

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

სპეციალური გამოშვება

კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities**

Institute of Georgian History

Proceedings

Special Issue

To the Splendid Hermitage Places of Klarjeti

გამომცემლობა „მერიდიანი“

Meridian Publishers

თბილისი

Tbilisi

2012

უკ(UDC)94(479.22)

ს-323

რედაქტორები:

თელო დუნდუა

ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ლორთქიფანიძე

გიული ალასანია

თეიმურაზ პაპასქირი

აპოლონ თაბუაშვილი

ქეთევან გოჩიტაშვილი

ლერი თავაძე

ანდრო გოგოლაძე

გიორგი ჟუჟუნაშვილი

შალვა გლოველი

ქეთევან მირზიკაშვილი

ეკა კვირკველია

როზეტა გუჯეჯიანი

Editors:

Tedo Dundua

Alexander Boshishvili

Editorial Board:

Mariam Lordkipanidze

Giuli Alasania

Teimuraz Papaskiri

Apolon Tabuashvili

Ketevan Gochitashvili

Leri Tavadze

Andro Gogoladze

Giorgi Zhuzhunashvili

Shalva Gloveli

Ketevan Mirzikashvili

Eka Kvirkevelia

Rozeta Gujejiani

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

E-mail: geohistory@tsu.ge

geohistory@live.com

© ტექსტი – ავტორები, 2012

© შედგენა – თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 2012

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

როზეტა გუჯეჯიანი „ქართული ხელოვნების სახლი“ სტამბოლში.....	5
როლანდ თოფჩიშვილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები	8
Roland Topchishvili Historical-Ethnographic Regions of South-Western Georgia (Summary).....	23
ინგა ღუტიძე თურქეთის (ბურსა, ინეგოლი) მუჰაჯირი ქართველები (ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა)	24
Inga Ghutidze The Forcely Migrated Georgians in Turkey (Bursa, Inegol) (Ethno-Linguistic Review) (Summary)	41
მაია მიქაუტაძე სამეტყველო კოდთა შერევის საკითხისათვის ქართული ენის ტაოურ დიალექტში	42
Maia Mikautadze Mixing the Speech Codes in Tao Dialect of the Georgian Language (Summary)	50
როზეტა გუჯეჯიანი სოციალური მემორების ფაქტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში	51
Rozeta Gujejiani The Facts of Social Memory in the Traditional Life of the Georgians in Turkey (Summary)	62
ლერი თავაძე კურაპალატის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახელში (ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ვითარება IX-X საუკუნეებში)	63
Leri Tavadze Title of Kouropalates in Tao-Klarjeti Bagrationi Royal House (Political Situation of Kartvelian Kingdom in 9 th – 10 th CC.) (Summary)	99

ჯაბა სამუშია ბაგრატ III-ის მიერ „კლარჯი ხელმწიფეების“ ამოწყვეტა	101
Jaba Samushia Execution of “Sovereigns of Klarjeti” by Bagrat III (Summary).....	110
ეკა კვირკველია სახარების ომკური ხელნაწერის (ათონ. 62) ისტორიის შესახებ	111
Eka Kvirkvelia About the History of the Gospel Manuscript (Ath. 62) from Oshki (Summery)	118
ნინო სილაგაძე ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) მონასტრის უძველესი ნაგებობის დათარიღების საკითხისათვის	119
Nino Silagadze Towards the Date of the Earliest Building of Jakismani Monastery in Southern Georgia (Summary)	133
თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი „გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	134
Tedo Dundua, Apollon Tabuashvili Emancipation of the Serfs in the Southern, and South-Western Georgia (Childir Vilayet) (Summary).....	141
ალექსანდრე ბოშიშვილი მესხი დიდებულის – დოლენჯიშვილის ოჯახი	142
Alexander Boshishvili Meskhetian Noble Family of Dolenjishvili (Summary)	150
ნიკო ჯავახიშვილი ოსმალეთში დაბანაკებული „ქართული ლეგიონის“ ფულის ნიშნები	151
Niko Javakhishvili Paper Money of “Georgian Legion”, Camped in Turkey (Summary)	158



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

„ქართული ხელოვნების სახლი“ სტამბოლში

2011 წელს ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და თურქეთში ქართული ეთნიკური კულტურის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – 17 დეკემბერს სტამბოლში „ქართული ხელოვნების სახლი“ გაიხსნა. დამფუძნებელი და დირექტორი არის ბატონი შემსეთთინ იემი (გიორგი ირემაძე). იგი თურქეთელი ქართველია, ზემო მაჭახლის მინდიეთის თემის სოფელ ირემეთიდან.

გიორგი ირემაძეს თურქეთში ქართული კულტურის განვითარების საქმესთან ხანგრძლივი პერიოდი აკავშირებს. გიორგის მშობლები – ქაზიმ ირემაძე და ნაზი გივიაძე-ირემაძე თურქეთში განხორციელებული მრავალი კულტურული პროექტის ინიციატორები არიან. „ქართული ხელოვნების სახლის“ კულტურულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობენ იბერია ოზქან-მელაშვილი და ეკა ირემაძე-მელაშვილი. იბერია დიდი ქართველი მოღვაწის – აჰმედ მელაშვილის ვაჟია და აგრძელებს მამის მიერ დაწყებულ კულტურულ საქმიანობას. „ქართული ხელოვნების სახლთან“ თანამშრომლობს თამარ თედორაძე, სტამბოლის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ახალგაზრდა მეცნიერი საქართველოდან.

„ქართული ხელოვნების სახლის“ დაარსების იდეა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა თურქეთელ ქართველთა შორის. ბუნებრივია, ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დიდ დროს და სახსრებს მოითხოვდა. მოსამზადებელი სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„ქართული ხელოვნების სახლი“ სტამბოლის აზიურ ნაწილში, ქადიქოის რაიონშია განთავსებული და თვალს ახარებს აბრაზე ამოკვეთილი ქართული წარწერა. ცნობილია, ქადიქოის რაიონი გამორჩეულია კულტურის ცენტრების სიმრავლით. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა მორიგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერის გახსნას.

ბატონი გიორგი ირემაძის სიტყვით, „ქართული ხელოვნების სახლის“ მიზანია თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში კულტურული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება; ზრუნვა თურქეთის ეთნიკურ ქართველთა კულტურის გადარჩენისათვის, ასევე, სხვა კავკასიელ ხალხთა ეთნო-კულტურული მრავალფეროვნების წარმო-

ჩენა“.

„ქართული ხელოვნების სახლის“ გახსნის საპატიო მისია დაეკისრა აჰმედ მელაშვილი-ოხჯანის ქვრივს, ქალბატონ იუქსელს. ღონისძიებას დაესწრნენ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ბატონი მირზა (პაპუნა) დავითაია, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს გენერალური კონსული ბატონი ზურაბ პატარიძე, რომელმაც „ქართული ხელოვნების სახლს“ დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა; ამ ზემისათვის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით სტამბოლში ჩავიდა საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე). „ქართული ხელოვნების სახლის“ გახსნას დაესწრნენ საპატრიარქოს თანამშრომლები, მეცნიერები და ხელოვნების სფეროების წარმომადგენლები.

„ქართული ხელოვნების სახლის“ გახსნას მიესალმნენ ქადიქოის რაიონის კულტურის დაწესებულებებისა, თურქეთში მოქმედი ქართული და კავკასიური კულტურის ცენტრებისა და თურქეთის ამა თუ იმ რეგიონში არსებული ქართული კომპაქტური დასახლებების წარმომადგენლები. ღონისძიებას ესწრებოდა საპატიო სტუმარი – ბატონი სირლი ოზთურქი – სიონურ იაინილარის ხელმძღვანელი, რომელიც გამოსცემდა აჰმედ მელაშვილისა და ვახტანგ მაღაყმაძის ნაშრომებს.

„ქართული ხელოვნების სახლში“ წარმოდგენილია ტრადიციული ქართული ხელოვნების ამსახველი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. პერიოდულად ახლდება მხატვართა გამოფენები. იმართება მუსიკალური და სხვა სახის შემოქმედებითი საღამოები, იწვევენ ქართული კულტურის წინაშე დვაწლმოსილ ადამიანებს და მათ დვაწლს აცნობენ ფართო საზოგადოებასა და ახალგაზრდა თაობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი თურქი მეცნიერის, პამუკკალეს უნივერსიტეტის დოცენტის, ფაჰრიე ბაირამის მონოგრაფიის – „ართვის ქართული მონასტრების არქიტექტურა“ – წარდგენასა და განხილვას. პროფესორმა ფაჰრიე ბაირამმა წაიკითხა მოხსენება „შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურა ანატოლიაში“. გაიმართა წარდგენა ოზგე ჩ. დენიზჯის გამოკვლევისა „ქართველები, ისტორია, ენა, კულტურა, მუსიკა“. აქვე განთავსებულია ანსამბლ „კაფდაღის“ – „კავკასიის მთის“ სარეპეტიციო დარბაზი.

„ქართული ხელოვნების სახლს“ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს: იმართება საბავშვო-შემეცნებით ღონისძიებებიც. იწვევენ სკოლების მოსწავლეებს და აცნობენ ქართულ კულტურას. ქართველი მხატვარი ჯ. თანდოღლუ ატარებს ბავშვებისათვის გაკვეთილს „ყველას შეუძლია ხატოს“; ხოლო იბერია მელაშვილი და ქენან იაშარი-ურბენიძე მსურველებს ასწავლიან ქართულ მრავალხმიან სიმღერებს და სხვადასხვა ქართულ ხალხურ საკრავზე დაკვრას.

მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ხელოვნების სახლმა“ შემოიკრიბა თურქეთში მცხოვრები ჩერქეზი, ჩეჩენი, აფხაზი ხელოვანები და იმართება მათი გამოფენები თუ სხვადასხვა წიგნებისა და კრებულების წარდგინებები.

„ქართული ხელოვნების სახლი“ ჩართულია სხვადასხვა ეთნოგრაფიული ექსპედიციის ორგანიზების საქმეში და მას ხშირად სტუმრობენ საქართველოდან სამეცნიერო სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად ჩასული მეცნიერები.

„ქართული ხელოვნების სახლში“ იგეგმება აჰმედ მელაშვილისა (ოზქანის) და ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მაღაყმაძის) ხსოვნის უკვდავყოფისაკენ მიმართული ღონისძიებები, აქვე განთავსდება მათი სამეცნიერო არქივები. მსურველებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების ამსახველ მცირე ბიბლიოთეკას, სადაც დაცულია ჟურნალ „ჩვენებურების“ ის ნომრებიც, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვითობას წარმოადგენს.

გიორგი ირემაძე მადლიერებას გამოხატავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატისადმი (დეკანი პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, დეკანის მოადგილე პროფესორი თედო დუნდუა) და ამავე უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ რედაქციისა და ავტორებისადმი, რომლებიც დიდ ადგილს უთმობენ თურქეთელ ქართველთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ პროფესორ დარეჯან თვალთვაძისა და პროფესორ თედო დუნდუას ინიციატივით „ქართული ხელოვნების სახლის“ ბიბლიოთეკას ეგზავნება უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ყოველი მორიგი კრებული. იგეგმება შემდგომი თანამშრომლობაც.

ვუსურვებთ სტამბოლის „ქართული ხელოვნების სახლს“ წარმატებებს. ამ ცენტრის არსებობა მნიშვნელოვანი განაცხადია ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების კუთხით და დიდი სტიმულია თურქეთის ეთნიკური ქართველების ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გადარჩენისათვის.

როზეტა გუჯეჯიანი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

როლანდ თოფჩიშვილი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები

ცნობილია, რომ ქართველი ხალხისა და მისი ეთნიკური კულტურის ფორმირება და განვითარება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიასა და მის ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში მოხდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირითადი ნაწილი დღეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაა. ისიც საყოველთაოდ ალიარებულნი, რომ ხალხთა ეთნიკურ განვითარებასა და ეთნიკური კულტურის შექმნაში გეოგრაფიულ ფაქტორს/ლანდშაფტს გადამწყვეტი როლი აქვს. ქართული ეთნიკური კულტურის მრავალფეროვნებაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების წარმოქმნაში გეოგრაფიული ფაქტორის როლი განუსაზღვრელია.

ქართველთა განსახლების მთელი არეალი/ტერიტორია შედგებოდა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისაგან. ამ ტერიტორიულ ერთეულებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს საქართველოში „თემებს“ უწოდებდნენ. ამ ტერმინს ანიჭებდა უპირატესობას ივანე ჯავახიშვილიც. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩამოყალიბდა, ზოგიერთი საკმაოდ ადრე, ზოგიც კი – შედარებით გვიან. თითოეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული სპეციფიკური ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

ქართული ეთნოსით განსახლებული ტერიტორია უადრესად რთული რელიეფით და მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით ხასიათდება. სწორედ ამით და სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით, ისტორიული განვითარების მსვლელობით იყო განპირობებული არცთუ ისე მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული//ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიების (მხარეების) არსებობა და, შესაბამისად, ქართულ ეთნოსში ეთნოგრაფიული ჯგუფების/ლოკალური ერთეულების სიმრავლეც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ესა თუ ის ქართული „ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ გარკვეულ დროსა და ვითარებაში ჩნდება, სახეს იცვლის

დროსა და ვითარების შესაბამისადვე: იზრდება, მცირდება თუ მოიშლება...“.¹ ასე რომ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს და, შესაბამისად, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს უცვლელად როდი მოუღწევიათ ჩვენამდე. ისტორიის მანძილზე ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გაქრა, სხვას შეეზარდა, გამსხვილდა, ანდა პირიქით, ორად გაიყო. იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ამა თუ იმ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ფართობი და საზღვრები მუდმივი არ იყო. ის ხშირად იცვლებოდა საგარეო და საშინაო ფაქტორების, მოსახლეობის მიგრაციის შედეგად. ბარში დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები არსებობდა, მთაში – პირიქით, მცირე ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები გვქონდა, ამავე დროს, მეტი რაოდენობით. ისტორიულად არსებულმა ყველა ეთნოგრაფიულმა ჯგუფმაც არ მოაღწია ჩვენამდე. საგარეო ფაქტორის გამო რამდენიმე ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში საერთოდ გაქრა მოსახლეობა. „საქართველოს აწინდელი მოსახლეობა მის ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია. ძველი ტომურ-ნათესაური სიწმინდით დღემდის არცერთ კუთხეს არ მოუღწევია“.²

წინამდებარე ნაშრომში საუბარი მხოლოდ საქართველოს იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებზე გვექნება, რომლებიც თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული. ამდენად, იმის გამო, რომ სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიული ერთეულების ძირითადი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებშია, ამჯერად ამ პროვინციების შესახებ საუბარი არა გვაქვს.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების უმრავლესობამ დღეისათვის, ფაქტობრივად, დაკარგა ის ეთნოგრაფიული თავისებურებანი, რაც მას XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ მკვეთრად ჰქონდა შემორჩენილი. სამცხისა და ჯავახეთის გარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვქონდა შემდეგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები: *შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, ტაო...* შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე განსახლებული იყვნენ *ჭანები (ლაზები)*, რომლებიც ქართული ენის ზანური შტოს ჭანურ (ლაზურ) დიალექტზე მეტყველებდნენ და მეტყველებენ. ისტორიულმა მსვლელობამ ლაზების (ჭანების) მხოლოდ მცირე ნაწილს მისცა შესაძლებლობა ქართულ სახელმწიფოში თანაცხოვრებისა.

შავშეთი. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნოგრაფიული რეალიები და ქართული ენა უმეტესად შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მაცხოვრებლებმა შემოინახეს. შავშეთი სამხრეთით უშუალოდ აჭარას ესაზღვრება. ვახუშტის ცნობით, შავშეთში ორი მდინარე – შავშეთის წყალი და ჭილოვნის ხევი – მიედინება: „ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენნი დიდ-მცირენი. და მზღვრის შავ-

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VIII. თბ. 1975, გვ. 345.

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1964, გვ. 273.

შეთს: აღმოსავლეთითმა არსიანი, და გარდავლენან მას ზედან გზანი ერუ-
შეთს, ფოცხოვის ხეობას და ზარზმა-ყუელს; სამხრით მზღვრის კლდე არტა-
ნუჯსა და შავშეთს შორისი...“³

შავშეთში იყო X საუკუნეში დაარსებული ტბეთის მონასტერი, სადაც
ტბელი ეპისკოპოსი იჯდა. 1547 წელს შავშეთი თურქებმა დაიპყრეს, ხოლო
1878 წელს შავშეთი რუსეთმა შეიერთა. შემდგომ კვლავ ოსმალეთმა დაიპყრო.
შავშეთის ძველი სოფლები იქ მოსახლე ძირითადი გვარის სახელს ატარებდ-
ნენ. გვართა უმეტესობა -ქე სუფიქსს ირთავდა. 1886 წელს რუსეთის ხელი-
სუფლებამ აღწერა შავშეთშიც ჩაატარა. აქ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი
ქართველ მაჰმადიანადაა ჩაწერილი. 1874 წელს სამხრეთ საქართველოში
იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც წერდა: „ამ საუბრის დროს ქართუ-
ლი მაყრული შემომესმა. და მართლაც, ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი
ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მიაცილებდა
კარგა მოზრდილი მაყრიონი“.⁴ შავშეთში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ ის-
ტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა არა-
ერთი ქართული ტრადიციული ყოფითი რეალია. იმავე ავტორს თუ მოვუს-
მენტ, ამაში უდავოდ დავრწმუნდებით: „აქაური საქორწინო წეს-ჩვეულება
ბევრ რამეში ჰგავს ქართულს. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობ-
ლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითვეი, და-
წინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწილის დროს –
მეფე, დედოფალი, ასევე სიძე-პატარძლის მხლებელთა სახელები – მაყრები,
სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ – მაყრული, მისი სიტყვები და კი-
ლო, თვითონ ქორწინების ზეიმი სამ დღეს – ქორწილი, – ყველაფერი ეს
წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველ-
გან ამ მხარის ქართველ მუსლიმებში.“⁵ შავშეთის ნაწილი იყო იმერხევი.
ქართული მეტყველება დღეს ძირითადად აქაა შემორჩენილი. სხვათა შორის,
იმერხეველები შავშეთელებს „გადაბრუნებულ ქართველებს“ უწოდებენ. 1886
წლის საოჯახო სიებით შავშეთელები უკვე თურქებად იყვნენ აღრიცხული,⁶
თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებით XX საუკუნეშიც შავშეთში მოხუცებმა
ქართული იცოდნენ. აღნიშნული აღწერით შავშეთში გათურქებული ქართვე-
ლების რაოდენობა 9 401 სული იყო. რაც შეეხება თვით ქართველთა რაოდე-
ნობას, ის 7556 კაცს შეადგენდა (მთლიანად ართვინის ოკრუგში ქართველე-
ბის რაოდენობა 17. 802 სული იყო). 1907-1908 წლების სტატისტიკური მონაცე-

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვი-
ლის მიერ. თბ. 1973, გვ. 679.

⁴ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურჯისტანსა და აჭარაში. ბათუმი. 1987, გვ. 50.

⁵ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურჯისტანსა და აჭარაში, გვ. 50.

⁶ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886. Тифл. 1893.

მებით იმერხევში ქართველების რაოდენობა 6. 896 კაცი იყო.⁷ ოცი წლის განმავლობაში კლება აშკარაა (-562). 1907 წლის მონაცემებით, შავშეთის ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ სოფორაში, მოსახლეებს ქართული ეთნიკური თვითშეგნება ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი: სხვა სოფლის მკვიდრთაგან განსხვავებით, ეთნიკურობის გრაფაში მათ „ქართველი-მაჰმადიანი“ აქვთ მიწერილი (სხვათა შორის, ამავე დემოგრაფიული მასალით, ართვინის ოკრუგის, რომელშიც ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნები შედიოდა, რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ მიწერილი აქვთ არა „ქართველი-მაჰმადიანი“, არამედ „ქართველი“, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ისლამი არ ჰქონდათ მიღებული. ასეთ სოფელთა შორის შეიძლება დავასახელოთ მანატა და ბაზვირეთი – იმერხევში, ანაგურტი და მეცავილი – არტანუჯის მხარეს, ე. ი. კლარჯეთში, ბეშაული და კაბარჯეთი – ართვინის მხარეს, მურღულის ხეობაში). ველზე მუშაობისას დასტურდება, რომ შავშეთში ოიკონიმები (სოფლის სახელები) მთლიანად ქართული იყო: ანკლია, ვერხნალი, ზენდაბა, მოჭეთა, მოროხოზი, მოხობანი, სინგოთი, ხანთუშეთი, ცეცხლაური, ცორცელი, სათაფლია, გარყლობი, ახალხაბა, დაბაკეთილი, ტბეთი, თურმანიძე, ცივეთი, ციხისძირი, ჭვარები, დაბაწვრილი, მერია, სხლობანი, ციხია, შავქეთი, ქვათეთრისი, ოქრობაქეთი, ვანთა, ველი, გურნათელი, საბუდარა, სათლელი და სხვა. დღეს ოფიციალურად ეს ქართული სოფლის სახელები უკვე თურქული სახელებითაა შეცვლილი. მოსახლეობამ კი ქართული ტოპონიმები კვლავ იცის. უფრო მეტიც – შავშეთის მიკროტოპონომიის (დელეების, მთების, სახენელების, სათიბების) დიდი ნაწილი კვლავ ქართულია. შავშეთშია ტბეთის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც 1960-იან წლებში დაუნგრევიათ. იმერხევშია ტოპონიმი „ხანცთა“ – სოფელ უბესთან. გადმოცემით, აქ ეკლესია და სასწავლებელი ყოფილა. დღეს ხანცთის მონასტრად ფორთის გუმბათოვან ტაძარს მიიჩნევენ. მიგვაჩნია, რომ ხანცთის მონასტერი იქ იყო, სადაც ტოპონიმი „ხანცთაა.“ არქიტექტურულმა ძეგლმა უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია – აქ ხომ სხვა არაერთი ეკლესია და ტაძარი მოიხსოვ. „დიობნიდან უბეში რომ გადავიართ, ძველად ავადმყოფების სახლი ყოფილა და ხანცთა იმიტომ დაურქმევიათ.“ ადგილობრივები ბევრ სოფელში ნაეკლესიარებს მიუთითებენ. ცნობილია, რომ ეთნოსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ისტორიის მახსოვრობაა. შავშელ-იმერხეველებს თამარ მეფე ახსოვთ; მას უკავშირებენ ყველა ხიდის, ციხის, რუს აგებას. ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, მიაჩნიათ, რომ თამარ მეფის საფლავი აქ არის. იმერხეველი მთხრობელი გვარწმუნებდა, რომ „სხლობანს წევს თამარა. ველიდან უნდა შეიარო სხლობანს. წამალი უჭამია და იქ დაწოლილა.“

შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს მთიან აჭარას. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია. ხნავდნენ ხის სახენელით, რომელსაც აქ „არუნას“ უწოდებდნენ. მასში უღელ

⁷ Кавказский календарь. 1910. ч. 1.

ხარს აბამდნენ (კორდის ხენის დროს – ყვეარს). მესაქონლეობა ყიშლებისა და იაილების სისტემის იყო. მაისის თვეში ერთი თვით ჯერ ყიშლებში, რომელიც სოფელთან ახლოს იყო, შემდეგ იაილებში ადიოდნენ. კოტორობამდე (სიმინდის მოჭრამდე) ისევ ყიშლებში ბრუნდებოდნენ.

ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა მარხილი, რომლის ნაირსახეობას „ხიხეკი“ ეწოდებოდა. ზოგიერთ ადგილას მთლიან ხეში გამოჭრილი ბორბლიანი (გოგორიანი) ურემიც გვხვდება. ასეთი ურემები დღესაცაა შემორჩენილი.

საცხოვრებელი სახლები ხისაგან იყო და დღესაც არის აშენებული. მისი პირველი სართული საქონლისათვის იყო განკუთვნილი. მას ახორი ეწოდებოდა. მეორე სართული საცხოვრებელი იყო, ხოლო მესამე, დაბალი სართული, ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ერთ ნაწილს ერქვა „მარანი“, მეორეს – „ბედელი“. ძველად სახლები მთლიანი ძელებისაგან უკეთებიათ, ახლა სახლის კედლების ფიცარი „დახეულია“ (დახერხილია). დასახლება აჭარულს ჰგავს, თითოეულ სახლს ირგვლივ ეზო-კარმიდამო აკრავს. განსხვავებული დასახლების ტიპი მხოლოდ სოფელ ბაზგირეთსა და მანატბაშია. ბაზგირეთი ზღვის დონიდან 1. 900 მეტრზეა და ფერდობზე საცხოვრებლები ერთმანეთის მიჯრითაა განლაგებული. საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, იმერხევშიც ჰქონიათ სამალავი დარანები. მაგალითად, სოფელ იფხრეველში ასეთი სამი დარანი ყოფილა, თითოეულში კი დაახლოებით 60 კაცი ეტეოდა. სოფლებში აუცილებელი სამარხილე გზები ჰქონდათ. ღობეები „წკნელით დაწნული“ იყო, თუმცა ქვისაგან გაკეთებული ღობეებიც იშვიათობას არ წარმოადგენდა. ხისაგან ჰქონდათ აგებული ორსამსართულიანი ნაგებობები – „ქორები“, რომლებშიც თივას ინახავდნენ. ქორი თითოეულ ოჯახს რამდენიმე ჰქონდა, ჭაღებში ანუ სათიბ ადგილებში და სახლებთან. სათიბები, ისევე როგორც სვანეთსა და აჭარაში, ირწყვებოდა (რწყვაზე რიგი ჰქონდათ დაწესებული. ვისაც დიდი მიწის ნაკვეთი ჰქონდა, მას წყალი უფრო დიდხანს ერგებოდა). ამის გამო აქ ორჯერ თიბავდნენ. პირველ მოთიბულს „თივას“ უწოდებენ, მეორედ მოთიბულს – „მორჩვს“ („შეკონილ, მოკოჭილ თივას ღორომი“ ერქვა). თიბვის დროს, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, იცოდნენ ურთიერთდახმარება. იმის გამო, რომ ბალახსა და მორჩვს ქორებში ინახავდნენ, იმერხევის ლანდშაფტისათვის თივის ბუღეულები დამახასიათებელი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, სოფელი მანატბაა.

იმერხევში ბოლო დრომდე აკეთებდნენ ჭურებს. მას ძირითადად მწნილის ჩასადებად იყენებდნენ. სხვათა შორის, აქ რამდენიმე ჯიშის მსხალი (კვირისთავა, კალკობრული, მერულა, თავრიჟული, მარიობა, იშიდა...) იყო გავრცელებული და ერთ-ერთი მათგანიდან („სართულა“) მწნილსაც აკეთებდნენ. ჭურებში ინახავდნენ თაფლსაც, ბექმეზსაც. ბექმეზი თუთის სქელი მოდუღებული წვენია, ძალიან გემრიელი. ხილისაგან, ქლიავისაგან, ვაშლისა და მსხლისაგან ძირითადად დიდი რაოდენობით აკეთებდნენ ჩირს. შავშეთ-

იმერხევში ორი სახის ყველს ამზადებდნენ – ერთი იყო „ფშენილა“ და მეორე – „ჩეჩილი“ (მაჭახლელები ფშენილას „ფუნჩხას“ უწოდებდნენ, ხოლო დაწნულ, ანუ ჩეჩილ ყველს „ჭიჭიკონს“). ყველი ძირითადად ძროხის რძისაგან უკეთებიათ, თუმცა სცოდნიათ თხისა და ცხვრის რძის შერევაც. ფშენილას ხის ვედროებში – კროჭებში (დიდ კროჭებს *ქილაკს* უწოდებდნენ. კროჭი წყლის ჭურჭელიც იყო. მას თავსახურიც ჰქონია. ფშენილას დებდნენ ასევე ხისაგან გაკეთებულ ოვალურ და დაბალ ჭურჭელში, რომელსაც „კანდრას“ უწოდებდნენ) მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ. დიდხანს ინახავდნენ ჩეჩილ ყველსაც. იცოდნენ ყველის გუდაში შენახვაც. გუდებს, ჩვეულებრივ, თხის ტყავებისაგან აკეთებდნენ. შავშეთ-იმერხევში პურს, ჩვეულებრივ, კეცებში აცხობდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ჭოროხის ხეობაში მცხოვრები ქართველებისათვის არც ვერტიკალური საცხობი იყო უცხო. მართალია, აქ ტერმინი „თორნე“ ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ მთხრობელების თქმით, „ჭურში აცხობდნენ პურს. აცხელებდნენ და ისე, პურის ასეთი გამოსაცხობები არტანშიც იყო. კეცები მერე გამოსულა. მე არ მოვსწრებურვარ ჭურებში პურის გამოცხობას, მაგრამ დედების დროს აცხობდნენ“ (მასალა ჩაწერილია სოფელ მაჩხატეთში). შავშეთში კერამიკული წარმოების ცენტრი სოფელი სინქოდი ყოფილა – აქ, გარდა ჭურებისა, კეცები, დერგები (მაწვნის შესადელებელი), კოკები და სხვ. უკეთებიათ. იმერხეველებისათვის ტრადიციული საჭმელი იყო ფეტვისაგან გამომცხვარი მჭადი. პოპულარული იყო იადში ჩაფშენილი მჭადი ან პური, რასაც *ჭიმურს* უწოდებდნენ (სხვათა შორის, სოფელ ბაზგირეთში ერთ ნათესაურ გაერთიანებას „ჭიმურები“ ერქვა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჭიმურები“ იმიტომ შეერქვათ, რომ ბევრ ჭიმურს ჭამდნენ). იმერხეველები გარე სამუშაოზედაც დადიოდნენ. არტაანსა და კოლაში (გოლაში) ისინი სათიბად მიდიოდნენ, თან ხილი მიჰქონდათ. რაც შეეხება არტაანელებსა და კოლაელებს, თავიანთ მხრივ, ისინი იმერხევში შეშის მოსაჭრელად მოდიოდნენ, რადგან ისტორიული საქართველოს ამ ეთნოგრაფიულ მხარეებში ტყე არ იყო.

შავშეთ-იმერხევში დასტურდება ისტორიულად შორი ადგილებიდან საცხორებელ სახლამდე წყლის გამოყვანა როგორც კერამიკის, ისე *ხის მიღებით*. საგულდაგულოდ შენახული ხის მიღები სოფელ უბეში მოლიძეების (ახლა ალთუნები) ოჯახში აღმოჩნდა. 1,8 და 2,0 მეტრის სიგრძის და 20-25 სმ. დიამეტრის ხეები შუაგულში გახვრეტილი იყო და ისინი ისე იყო მჭიდროდ შეერთებული, რომ წყალს არ უშვებდნენ.⁸ ყველა სოფელში რამდენიმე წყაროა. ჩვეულებრივ, წყაროს წყალი ავაზანში ჩაედინება, რომელიც ამოღარული დიდი ხეა.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება დიდი ოჯახების არსებობა. „ოთხი ძმა ერთ ოჯახში ვიყავით. ყველას თავისი ოდა (ოთახი) ჰქონდა დასა-

⁸ საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფნიშვილის საერთო რედაქციით. თბ. 2010, გვ. 145.

წოლი. სახლის უფროსი იყო ასაკით უფროსი ძმა“. იცოდნენ უმძრახობის ჩვეულება. რძალი დედამთილ-მამამთილს არ ელაპარაკებოდა. „დედამთილს უსულოდ ელაპარაკებოდა. ბაღვი რომ ყოფილების ერთი, ორი, მერე დაელაპარაკებოდა“. ოთახში მამამთილის ყოფნის დროს რძალი არასდროს აქედან ზურგშექცევით არ გამოვიდოდა. კარებისაკენ აუცილებლად უკანასვლით უნდა წასულიყო. როგორც მუსლიმები, იმერხეველები ნათესავებზეც ქორწინდებოდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთ ქორწინებებს ისინი არ მიესალმებოდნენ. ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „თუ ახლობლები დაქორწინდებიან, სახადი გამოა“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველად ქორწილი, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სამი დღე სცოდნიათ. ხარის დაკვლა აუცილებელი იყო. საქორწილო სუფრებს მრგვალ, დაბალ ტაბლებზე აწყობდნენ. იცოდნენ სათაენო. რძალს ცხვარს დედამთილიც აძლევდა. სამწუხაროდ, დღეისათვის შავშეთ-იმერხევის ყოფიდან ძველი ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები თითქმის გაქრა და ის თურქულის ანალოგიურია. ხარის დაკვლა, საქორწილო სუფრის გაშლა აღარ ხდება. სუფრა მხოლოდ ნეფე-დედოფლის წინაა გაშლილი, რომელზედაც ტორტი და წვენებია. ქორწილის არსი მხოლოდ მუსიკის მოსმენასა და სიმღერებში გამოიხატება. ცეკვავენ ძირითადად აღმოსავლური ტიპის – „ქოჩარის“ ცეკვას. რაც შეეხება ქართულ ცეკვებს, ისინი ჯერ კიდევ შემორჩენილია. მაგალითად, იმერხევეში სათავის ფესტივალზე, რომელიც ადრინდელი შუამთობის ნაცვლად იმართება, ოფიციალურად დიდ მოედანზე მხოლოდ თურქულს ცეკვავენ, ქართული ფერხულით კი თავს ყველა თავის სუფრასთან იქცევენ.

მაჰმადიანობის მიუხედავად, იმერხევეში შემორჩენილი იყო ზოგიერთი ქრისტიანული ტრადიცია. მაგალითად, სოფელ ბაზგირეთში აპრილის ბოლო რიცხვებში ბებიები შვილიშვილებს კვერცხებს წითლად უღებავდნენ. „ახალ წელს ვებნებით. ახალწელს მოიკრიბებოდნენ ბაღნები და ერთად ჭამდნენ. ხოჯები გვიშლიდნენ: ახალ წელიწადი გიაურების არისო. ნაძვის ტოტს ახორში მივიტანდით, ახალ წელს ბევრი საქონელი წამოვიდესო“. იმერხეველებს სცოდნიათ „ბერობის“ დღესასწაული: „კაცს შეკაზმავდნენ ვირად, ცხენად, ყოჩად, გახდება ბერობანა, ისამებდნენ (ე. ი. იცეკვებდნენ – რ. თ.). წვერს გააბავდნენ, კუღს გააბავდნენ. ცეკვას „ხელგაშლილას“ ეუბნებიან. ხორუმი სხვაა. ხორუმიში მეებმებოდნენ, ხელგაშლილაში ერთმანეთის პირდაპირ დგებოდნენ“.

მართალია, დღეს იმერხეველი ქართველები თურქულ გვარებს ატარებენ, მაგრამ ბევრს, კარგად ახსოვს ძველი ქართული გვარი. სოფლების უბნები ხშირად გვარის სახელსაც ატარებდა, რაც 1886 წლის საოჯახო სიებშიცაა დაფიქსირებული: სამხარაძე, კოპაძე, ხილაძე, ირემაძე, ფუტკარაძე, თულაძე, დევაძე (დევაძეები მაჭახლიდან მოსულან. მათი ძველების გვარი კიბორიძე ყოფილა. „დემურჩი უსტა ყოფილა ჩვენი ძველი. უკეთებია თოხი, წაღდი, ეჩო, დანა. დევაძეებში მოსულა და დასახლებულა. ჩვენს მეჭველებში მჭედელას ეტყოდნენ. ამიტომ მჭედელ-ოღლებიც ვიყავით“), ჯარბიძე, ჩიკირიძე, დავითი-

ძე, გორგაძე, ჭვიძე, აბრამიეთი, აბნაძე (დღეს ობნიეთს უწოდებენ), ზიალიძე, მაჩხატიძე (დღეს – მაჩხატეთი), კუმაშიძე, იმნაძე (დღეს – იმნიეთი), ნიოლიძე (ნიოლეთი)⁹ და სხვ. იმერხეველ ქართველებს დღესაც ახსოვთ თავიანთი ძველი ქართული გვარები. ეს გვარებია: დაბელიძე, ზურაბიძე, ფილიპიძე, იშხნელიძე (ამ გვარისანი აჭარაში, ხიხაძირის ხეობაშიც არიან. გადმოცემით როგორც ერთნი, ისე მეორენი ტაოს სოფელ იშხნიდან არიან მოსულები. აქ მოსვლამდე იშხნელიძეებს, ზურაბიძეებთან ერთად, ჯერ კოლაში უცხოვრიათ), შარაბიძე, ზაქრაძე, ბაბელიძე, ციცვნაძე, კარალიძე, ურბენიძე, ლაიკიძე, ყარალიძე, კაკაბიძე, კვირიკაძე (ამ გვარის უბანს კვირიკეთს უწოდებენ), ხატიძე, ბუტიძე, ჭურკვესიძე, კორტოხიძე, ჯაფარიძე, ლოლაძე, გოგელიძე, კოსოლიძე, ჯიჯანიძე და მრავალი სხვა. სოფელ მაჩხატეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, გვარებს ერთგვარად „მეტსახელით“ მოიხსენიებენ. ესენი არიან ჩახმაჩები, მეორე და მესამე გვარი აქ მეღმაძე და „დარბაზიეთ“ სახელით არის ცნობილი. ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, შავშეთ-იმერხევეშიც სცოდნიათ ზესიძედ მისული კაცის სიმამრის გვარზე გადასვლა. სოფელ იმნიეთში მოხრობელი გადმოგვცემს: „ბუტიძეები ვართ, მაგრამ იმნაძე გავხდით, ჩემი ბაბა ზესიძედ მოვიდა და რადგან იმნაძის მამულზედ გაჩნდა, იმნაძედ ვართ“. ხოხლევეში ჩაწერილი მასალით, „გორგიეთ ერთ კვამლს ვეტყვით და გორგიძეებს – ბევრს ერთად. გაბევრებულებს გორგაძეები ჰქვიათ“.

იმერხეველ ქართველებში, საქართველოს დღევანდელი ეთნოგრაფიული მხარეებისაგან განსხვავებით, სიტყვა „ღორი“ სიძლიერის, სიკარგის, ვაჟკაცობის სინონიმია (მაჰმადიანურ გარემოში პირიქით უნდა იყოს). საქართველოს მკვიდრ ქართველებს ისინი ამ ლექსიკური ერთეულით მოიხსენიებენ. მოხრობელის თქმით, „ქართული წერა-კითხვა რომ ვიცოდეთ, ჩვენც ღორი გვურჯები ვიქნებით“.

ისევე როგორც აჭარაში, შავშეთ-იმერხევეშიც ისტორიულად ძირითადი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო *ჭიბონი*.

იმერხევეში სოფელ სურევანის ერთ ნაწილს რაბათი ერქვა, სადაც ერმენლებს (სომხებს) უცხოვრიათ, რომლებიც არა სომხურად, არამედ ქართულად ლაპარაკობდნენ. „მათი ენა აქაური ქართული იყო. ცოტა გაგრძელებულად ლაპარაკობდნენ“. აშკარაა, რომ სურევანელი ე.წ. სომხები გაგრიგორიანებული ქართველები იყვნენ.

ვახუშტი ბაგრატიონი შავშეთს, რომლის ფართობიც 1. 218 კვ. კმ-ს შეადგენდა, შემდეგნაირად ახასიათებს: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორამთიანი, დედეღრანტოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამისი, რაოდენაც იჭ-

⁹ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886.

მარების სივიწროვედ“.¹⁰

კლარჯეთი. შავშეთის სამხრეთით-დასავლეთით კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. კლარჯეთს გასასვლელი ჰქონდა შავ ზღვაზე. მდ. ჭოროხის დინების აუზში მდებარე კლარჯეთის „ქვეყანა“ მოიცავდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის, ბორჩხის და სხვა ხევებს. კლარჯეთი ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოში საერისთავოს სახით შედიოდა. ერისთავის რეზიდენცია არტანუჯში იყო. ვახტანგ გორგასალს აქ ეკლესია-მონასტრები აუშენებია. VIII საუკუნეში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რომელთა მეფობა საქართველოში XIX საუკუნემდე გაგრძელდა. VIII საუკუნეში არაბებმა კლარჯეთი გააპარტახეს. გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ეპიდემიამ მოსპო. IX საუკუნის დასაწყისში მეფე აშოტ I-მა მხარე აღადგინა და აქ დიდი სამონასტრო მშენებლობა გაიშალა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. კლარჯეთში არაერთი ქართული ეკლესია-მონასტერი იყო აშენებული. XVI საუკუნეში კლარჯეთი, სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად, თურქებმა დაიპყრეს. XX საუკუნის დასაწყისში კლარჯეთში იმოგზაურა *ნიკო მარმა*, რომელმაც ქართულად მოლაპარაკე კლარჯები საკმაოდ ნახა. 1886 წლის საოჯახო სიებით კლარჯეთში ქართველების რაოდენობა 9. 246-ით განისაზღვრებოდა (ართვინის უბანში – 6. 913 კაცი, არტანუჯის უბანში – 2. 333).¹¹ ხოლო 1907-1908 წლების მონაცემებით მთლიანად კლარჯეთის ქართული მოსახლეობა 16. 425 კაცით განისაზღვრებოდა, შესაბამისად, ართვინის უბანში 7. 741 სული და არტანუჯის უბანში – 8. 684 სული.¹² არტანუჯის მიდამოებში დღეს, ფაქტობრივად, ეთნიკური ქართველები აღარ მოსახლეობენ. როგორც ირკვევა, ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურსაში გადაასახლეს. არტანუჯის მიდამოების სოფელთა სახელწოდებები იყო: ბიჯა, ვარტელია, ვართხელი, გელაშენი, გორაშეთი, ანაგერტი, ანჭკორა, ახარშია, ახიზა, ბაცა, გულიჯა, გულიკა, ენირაბათი, ჟუგო, იშკინარი, კაპტახორი, კარენია, კაშუხტი, ქვამჭირეთი, კლარჯეთი, ქორენია, ღონგოთხევი, მაცალახეთი, მეცაგილი, მუქერი, ნორგიელი, ოფისჭალა, ორთოხი, ფეტობანი (ამ სახელწოდებით სოფელი ფოცხოვშიც იყო), საღარა, სამსხარი, სახრე, სუაგორა, სხლობანი, ხარაული, ხევა, ხემოდრეთი, ხერთვისი და სხვა. XIX საუკუნეში კლარჯეთს ტაოსთან ერთად, უფრო სწორედ, მთელ ჭოროხის ხეობას „*ლივანად*“ მოიხსენიებდნენ, რომლის შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში წერდნენ: „საერთოდ ლივანაში ძალიან ბევრია ძველი ეკლესია. ზოგი მთელია და დღემდე შემორჩენილა კედლის მხატვრობა ბერთაში, არტანუჯის ახლოს, ართვინიდან რვა საათის სავალზე არის თამარ მეფისდროინდელი ციხე ეკლესიითურთ... ბერთაში რამდენიმე სხვა ეკლესიაც

¹⁰ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 680.

¹¹ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886.

¹² Кавказский календарь. 1910. ч. 1.

არის, ერთ მათგანს ახლა მეჩეთად ხმარობენ“. „ლივანელ მუსლიმებს შემორჩენიათ წასული ქრისტიანული დროის მოგონება. 30-ოდე წლის წინათ მათში ქრისტეს ფარულ აღმსარებელსაც შეხვდებოდი; ახლა ასეთები აღარ არიან. ქართულად მთელ ლივანაში ღაპარაკობენ, თუმცა არც ისე წმინდად. ქართული ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში“.¹³ იგივე ავტორი კლარჯთა და ტაოელთა ეთნოგრაფიული ყოფის ზოგიერთ რეალიაზეც წერდა: „რაც შეეხება ლივანას, იგი ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლება ღაზისტანის საფაშოს უბნებს შორის. აქ აწარმოებენ ცვილს, რომელიც ადგილზე 18 მან. ღირს ფუთი, აბრეშუმს, მოყავთ ზეთისხილი, ჩინებული მსხალი და ვაშლი; აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდის. ლივანაში ვაზი ხეებზეა გაშენებული. **მუსლიმები მას მეტწილად ფოთსა და ახალციხეში ყიდიან.** ქრისტიანები კი ღვინოს აყენებენ, წურავენ ქართულად – შიშველი ფეხებით საწინახელში და ინახავენ ქვევრებში, რომლებიც ბლომადაა შემორჩენილი“. „მისთვის ცნობილი ლივანის დასახლებული პუნქტებიდან ნეგაშეგმა (დიმიტრი ბაქრაძის მთხრობელი – რ. თ.) დასახელა ისეთები, რომელთაგან ზოგი აღნიშნულია ახლანდელ რუკებზე, ზოგიც – არა და თითქმის ყველა მათი სახელწოდება ქართულია. ასეთები: *მარადიდი, კათაფხია, ბორჩხა, მამაწმინდა, ბარი, სვეტი, ღომაშენი, სინკოთი, წყალოქრო, არტანუჯი, ბერთა, გვერდა, ორჯახი, ანჩა, ანაკერტი, ხლითი, პარხალი და უთავი.* მათგან ართვინი ლივანის მთავარი ქალაქია“. 1886 წლის საოჯახო სიებით ართვინის უბნის სოფლები იყო: ბერთა (მისი უბანი იყო ოპიზა), დაბაჯიმერკი, დოლისყანა, ფორთა, წყალოეთრა (მისი უბანი იყო გორდა), აგარა, ბოსელთა, გიასყანა, გურჯანი, ხეძორი, სვეტი, სვეტიბარი (მისი უბნები იყო: ღომაშენი, მახლუქე, ჭარბიეთი), წორია – ყველა ამ სოფელში ამ დროს თურქები იყვნენ აღრიცხულნი. ქართველები იყვნენ განსახლებულნი: ბეშაულში, ირსა-ახალდაბაში, ქვაცხანაში, სინკოთში (უბნები – ბაღათი, ვაკე, სავაილი), ადურჩაში, ძანსულში, დურჩაში, კაბარჯეთში, კორიდეთში, ავანოში, არხოში, გიავილში, დამპალაში, ქართლაში, ორჯაში, ტრაპენში, თხილაზურში (მისი უბანი იყო ღომაშენი), ნაჭვიაში, ურძუმაში, ხატილაში (ამ სოფლის უბანთა სახელწოდებები იყო – დეპანიძე, იმედიძე, მუხნარა, ნაყევარი), ხოდში, ბაგაში, გოგლიეთში, ჯოლაულში, ჯუვანში, ყვამჭირეთში, ზემო ყურაში, ქვემო ყურაში, პოროსეთში, ჩხალეთში, ერედუნში და სხვა.

კლარჯეთი რუსეთის ხელისუფლების დროს ორი უბნისაგან შედგებოდა, ესენი იყო არტანუჯისა და ართვინის უბნები (ბორჩხის 11 სოფელი ბათუმის უბანში იყო შეყვანილი). ორივე ზემოთ აღნიშნული უბნის – არტანუჯისა და ართვინის – საერთო ფართობი 2. 053 კვ. კმ.-ს აჭარბებდა.

ჭოროხის ხეობაში, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, სამწუხარო ეთნოლოგიური რეალია დაფიქსირდა. სამი-ოთხი წლის წინ სოფელ ჭიმჭიმში ქართულად მხოლოდ ხუთი მოხუციღა მეტყველებდა, არადა ერთი საუკუნის

¹³ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 42.

წინ, როდესაც ამ სოფელში ექვთიმე თაყაიშვილი იმყოფებოდა, ქართულად ყველა შესანიშნავად საუბრობდა.¹⁴ საერთოდ, თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში სერიოზულად დგას ქართული ენის შენარჩუნების საკითხი. ბუნებრივია, რეალურად საფრთხის წინაშეა ის მრავალი ტრადიცია, რომლებიც აქაურ ქართველებს სულ ცოტა ხნის წინ კარგად ჰქონდათ შემონახული. აღნიშნულს თავისი მიზეზები აქვს, რომელთაგან უმთავარესი ქართველთა კომპაქტური განსახლების არეალებიდან დიდ ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციაა.

ვახუშტის დახასიათებით, „და არს ეს ლივანის ჳეობა, თვნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვთ, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბამბას“.

ტაო. ტაოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ყველაზე დიდი ერთეულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კლარჯეთი ტაოსთან ერთად ხშირად ერთ რეგიონად გაიაზრებოდა: „ტაო-კლარჯეთი“, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულები იყო. განსხვავება აშკარაა ლანდშაფტური თვალსაზრისით. ტაო მდ. ჭოროხის შუა დინების აუზშია. ძვ. წ. 401 წ. ბერძენი ქსენოფონტი ამ კუთხის მოსახლეობას ტაოხებად მოიხსენიებს. ძვ. წ. I ათასწლეულში ტაო კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ტაო მისი ორგანული ნაწილი გახდა. ტაოს ძვ. წ.-ის II საუკუნეში სომხეთი დაეუფლა. ახ. წ.-ის I-II საუკუნეებში კვლავ ქართლის სამეფოში შედიოდა. შემდგომ კვლავ სომხეთმა მიიერთა და მამიკონიანთა ფეოდალური სამფლობელო იყო. ამიტომ ტაოში ქართულ მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებით იმიერტაოში, სომხურიც გაჩნდა. ქართველებსა და სომხებს შორის საეკლესიო დაპირისპირების დროს ტაოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა და ის დიოფიზიტობის ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა. VIII-IX საუკუნეებში ტაოში ფართო სამონასტრო მშენებლობა იყო გაჩაღებული. აქ აიგო ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები (*ბანა, სახული, ოშკი, იშხანი, ოთხთაეკლესია, პარხალი*...). დღესაც კი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს თორთუმის ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

კლარჯეთთან ერთად, ტაოში მიეცა დასაბამი ბაგრატიონების სამეფო დინასტიას. ტაოში მოღვაწეობდნენ ქართული საეკლესიო კულტურის მოღვაწეები – *იოანე* და *ექვთიმე მთაწმინდელეები*. XII-XIII საუკუნეებში ტაო საქართველოს ფეოდალური მონარქიის სანაპირო ქვეყანა იყო. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ტაო სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ეთნოგრაფიული ერთეულები და მათ შორის ტაოც ოსმალეთმა დაიპყრო. ტაოში, მის

¹⁴ ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო. „დაბრუნება“. მრავალტომეული. ტ. I. გ. შარადის საერთო რედაქციით. თბ. 1991.

ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პარხლის ხეობაში სამ ქართულ სოფელში შემორჩენილია ქართული ენა. ბევრ ტაოელს თავიანთი ქართული გვარი ახსოვს. ადგილობრივთა თქმით, აქ „ორი ასი“ ქართველის სახლია. ტაოელ ქართველებში უკვე ოცი წელია მესაქონლეობის ტრადიციული ფორმა – იაილები მოიშალა, რადგან „გენჯები“ ქალაქებში წავიდნენ. ძველ ტაოელებს აგებული აქვთ უნიკალური ტერასები, რომლებიც 40 საფეხურზე მეტს მოიცავს. უძველეს ტერასებზე დღესაც ხილის ბაღები და ვენახებია გაშენებული. პარხლის ხეობაში ბევრი დიდი ოჯახი ყოფილა. დასტურდება ვაზის ისეთი ჯიშები, რომლებიც აქამდე ცნობილი არ იყო, მაგალითად, *კვირტაი*, *ჩაჩხაი*, *თურგანდა*, *კარული*, *თხისძუძუ*. ძველ ტაოელებს მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, ცერცვი, ფეტვი, ღომი, დიკა. ხის ვედრო ტაოელებმაც იცოდნენ. იმერხევში თუ მას კროჭი ერქვა, ტაოში ის, აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურად, „კოდის“ სახელით იყო ცნობილი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტაოელები ერიდებიან ახლო ნათესავეებზე დაქორწინებას. მართალია, ტაოელები პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ, მაგრამ აქ იშვიათი არ იყო დიდი ოჯახებიც.

ტაოში მესაქონლეობა იაილების სისტემის იყო. XX საუკუნის სამოციანნი წლების დასაწყისში ტაოში იმოგზაურა ინგლისელმა *დ. ს. ჰილზმა*. იმ დროს საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე თურქეთის ხელისუფალთა მიერ კვლავ ჩაკეტილი იყო. ტაოელი ქართველების შესახებ ის წერდა: „შაგერემანმა ლამაზმა ქართველებმა, მსხვილძვლიანი ნაკეთებით და მათმა წელში გამართულმა ქალებმა, რომელთა წითელი კაბები ყაყაჩოსავავით გამოკრთოდა ყვითელ ხორბალში, შეცვალეს ქერა ლაზები, მათი გამგმირავი მზერით და ტანსაცმელ-შემოგლეჯილი, შრომაში ქანცგაწყვეტილი ქალებით“. ინგლისელი დაწერილებით აღწერს ტაოს ქართულ ტაძრებს და დასძენს, რომ მათი გადარჩენა ძირითადად მეჩეთებად გადაკეთებამ განაპირობაო. პარხლის აღწერისას წერს: „ხეობაში გაფანტულია ბევრი სხვა ქართული ეკლესია, (მოჰყავს მთხრობლის სიტყვები) „მაღალი კოშკებით და სურათებით ქვებზე, ისინი ქართველების ძველმა მეფემ ააგო თავისი ასულებისათვის“. „ამბობენ, აღმოსავლეთ თურქეთის დღევანდელი ქართული მოსახლეობა გამუსლიმანებული შთამომავლობაა წარმოშობით ქრისტიანი ხალხისა, რომელთა ქვეყანა ერთ დროს კავკასიონიდან ჭოროხის მდინარემდე და შენაკადამდე იყო გადაჭიმული. მე არ დავუწყე გამოკითხვა ამ აგენტს (მხედველობაში ჰყავს ტაოს ადმინისტრაციული ცენტრის – იუსუფელელი ფინანსური აგენტი, რომელიც ასევე ქართველი იყო – რ. თ.), რადგან ის აუცილებლად უარყოფდა ყოველგვარ კავშირს ქრისტიანობასთან. მაგრამ ის წუხდა, რომ განათლებისა და ემიგრაციის წყალობით ქართული ენა იკარგებოდა“. პარხალში ქართველთა საცხოვრებელი სახლები ხისა იყო. განვითარებული იყო მეთევზეობა და ხშირად იკვებებოდნენ კალმახით. ზემოხსენებულ *დ. ს. ჰილზს* ტაოში ცნობილ ეკლესია-მონასტრებთან ერთად სხვა დანგრეული ტაძრებიც მოუნახულებია. მაგალითად, სოფელ ნიკომში მას უნახავს დანგრეული ეკლესია: „პატარ-პატარა ქოხებს ზემოთ აღმართულიყო მაღალი, ყვითე-

ლი ეკლესიის ჩონჩხი შესანიშნავი მოხატული სვეტებითა და ძალიან დაზიანებული გუმბათის ყელით. ახლომდებარე სამლოცველოში, რომელიც პროხეზის სადგომს უერთდებოდა, რამდენიმე კარგად შენახული წმინდანთა ფრესკა ვიპოვნე, ქართული წარწერებითა და მინაწერებით“. თორთუმის ახლოს კი სულ ახლად, სამი წლის წინ აფეთქებულ ექვქის ეკლესიას აღწერს.

ერუშეთი. სამცხის სამხრეთით, ჯავახეთის დასავლეთით და არტაანის ჩრდილოეთით ერუშეთი მდებარეობდა. იგი მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქედსა და ნიალის ველს შორის: ერუშეთი არტაანთან ერთად წუნდის საერისთავოში შედიოდა. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი ერუშეთში ააგეს (IV საუკუნე). ერუშეთში იჯდა ერუშნელი ეპისკოპოსი. XVI საუკუნეში ერუშეთი საქართველოს სხვა სამხრეთ პროვინციებთან ერთად ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. 1878 წელს ერუშეთი რუსეთის იმპერიამ შეიერთა, მაგრამ მას შემდგომ ისევ ოსმალეთი დაეუფლა. ვახუშტის დახასიათებით, „არს ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნადირითა და მდინარე-თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყუავილოვან-ბალახოვან-წყაროიანი“. ერუშეთში ეთნიკური ქართული მოსახლეობა დღეისათვის შემორჩენილი არაა. ისინი ნაწილობრივ დევთნიზებულნი არიან, ნაწილი თურქეთის სხვადასხვა მხარეშია გადასახლებული.

არტაანი. მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს არტაანი მდებარეობს. არტაანში ეთნიკური ქართველები აღარ მოსახლეობენ. „ხოლო არს არტაანი ვაკე და უტყეო, ბალახყუავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე“¹⁵. არტაანი წუნდის საერისთავოში შედიოდა ჯავახეთთან და კოლასთან ერთად. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნე) არტაანი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული თურქებმა ამ მხარის დაპყრობის შემდეგ ორად გაყვეს. „დიდი არტაანი“ ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა, „პატარა არტაანი“ – ყარსის ვილაიეთში. ისტორიულად არტაანელებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიური კავშირები ჰქონიათ შავშელებთან. შავშელები გარე სამუშაოზე (ძირითადად სათიბად) არტაანსა და კოლაში დადიოდნენ; თან გასაყიდად ხილიც მიჰქონდათ. თავის მხრივ, არტაანის მოსახლეობა იმის გამო, რომ არტაანი უტყეო იყო, ხე-ტყეს შავშეთიდან ეზიდებოდა.

კოლა. „პატარა არტაანი“, ანუ იგივე „კოლა“ მდინარე მტკვრის სათავეების ქვაბულში მდებარეობდა. მიიჩნევენ, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის სახელწოდება, კოლა, მომდინარეობს კოლხას ტომის სახელისაგან (თუმცა პირიქით კი უნდა ყოფილიყო – კოლასაგან უნდა მიგველო კოლხა). იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნისთანავე კოლა მის შემადგენლობაში შედიოდა. კოლაში შეიქმნა ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი ძველი „კოლა-

¹⁵ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 674.

ელ ყრმათა წამება“, რომელშიც ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე ქრისტიანებსა და წარმართებს შორის ბრძოლაა ასახული. ვახუშტი კოლას შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვთ და ჰავით, ავ ჯავახეთი, და კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი“. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლას მოსახლეობა უკლებლივ გამუსლიმანებული იყო. „ქართულად ძნელად ვინმე ლაპარაკობს“¹⁶. რაც შეეხება არტაანის მხარეს, დ. ბაქრაძე წერდა: „არტაანის კახაში მოსახლეობის მეთაური თუ ლაპარაკობს ქართულად. მოსახლეობას მოჰყავს კანაფი, ხორბალი და ქერი; ჰყავთ დიდძალი შინაური ფრინველი და ძროხა. აქედან ძალზე ძნელი გზით ოლთისში, არსიანის მთაზე გადავლით ახალციხესა და სხვა მეზობელ ადგილებში გასაყიდად გააქვთ პური, ქერი, ერბო, მიერეკებიან ცხვარს და კამეხს“. კოლა დღეს ძირითადად ქურთული ეთნიკური ელემენტითაა დასახლებული.

ჭანეთი (ლაზეთი). შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთით ჭანეთი (ლაზეთი) მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, ჭანეთი „არს ესე შავი ზღვს კიდის წადევნებით, გონივად ტრაპიზონის საზღვრამდე“. სხვა ადგილას ვახუშტი საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვარს რიჯეს დასავლეთით დებდა. ჭანეთი ნაყოფიერი მხარე იყო: „არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბამბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყუნი, ნადირნი ფრიად მრავალნი, ფრინველნი და თევზნი ურიცხუნი, მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად“. ჭანები (ლაზები) განთქმული მუშაკები იყვნენ: „კაცნი არიან ჰელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებინ ქრისტიანენი, არამედ იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამე“¹⁷. ლაზები განთქმული და მამაცი მეომრები იყვნენ. ბრძოლაში, ისევე როგორც დანარჩენმა ქართველებმა, უკანდახევა არ იცოდნენ. ქართული ენა ძირითადად ზედაფენის წარმომადგენლებმა იცოდნენ და მათ, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ხის დასამუშავებლად დადიოდნენ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჭანეთი (ლაზეთი) ხანგრძლივად მოწყვეტილი იყო საქართველოს, მის მკვიდრებს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოსთან ჰქონდათ.

1960-იანი წლების დასაწყისში ლაზეთში იმოგზაურა ინგლისელმა *დენის სესილ ჰილზმა*, რომელიც აქედან პარხლის ხეობით ტაოში გადავიდა. ჰილზის მონაცემებითაც, ნიკოლოზ მეორის გადაგდებამდე ლაზები ინტენსიურად დადიოდნენ სამუშაოდ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც. გარე სამუშაოზე გასულები „მისდევდნენ ლაზების ტრადიციულ ხელობას –

¹⁶ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 46.

¹⁷ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 690.

პურის ცხოვრებასა და მეშაქარლამეობას“. XX საუკუნეში კი ისინი იმის გამო, რომ მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალება არ ჰქონდათ, მოდებული იყვნენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქის სასტუმროებში, რესტორნებში პურის საცხოვრებლსა და საკონდიტროებში. *დ. ს. ჰილზი* წერდა: „ველური, ტყიანი პონტოს ხეობების სიღარიბე კვლავაც აიძულებს მათ წავიდნენ საშოვარზე სხვა რაიონებში, ვიდრე ადგილობრივი მრეწველობა შეიქმნება აქ და ტყის სიმდიდრე რაციონალურად იქნება გამოყენებული“. დღეს ლაზეთში ფართოდაა განვითარებული მეჩაიეობა. XIX საუკუნის შუა ხანების ერთ-ერთი უცხოელი მოგზაურის ცნობით, ლაზეთის სოფლები არწივის ბუდეებს მოგაგონებდათ და არა კაცის საცხოვრებელს. ეს მოგზაური (*სენდუითი*) წერდა: „მათი პაწაწინა მიწის ნაკვეთები ტყის სიახლოვეს ისეთ ციცაბო ფერდობებზე მდებარეობდა, რომ გლეხები ხშირად თოკით იყვნენ დაბმული თოხნის დროს. კაცები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული, – ჩვეულებრივ ატარებდნენ სახლში დამზადებულ თოფებს, წყვილ გრძელ დამბახას, ყამას ან განიერ ხანჯალს“. ბოლომდე შემორჩენილი ჰქონდათ სისხლის ალების ჩვეულება.

აჭარის, ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის მსგავსად ლაზეთშიც მეცხოველეობაში საზაფხულოდ საქონლის აღპურ საძოვრეზე, იაილებზე, გადარეკვის სისტემა იყო გაბატონებული. XX საუკუნეში ლაზეთის ერთ-ერთი ძირითადი საკვები მჭადი იყო; მჭადს კეცებში აცხოვდნენ. *დ. ს. ჰილზის* სიტყვებით, „თურქები, რომლებიც აღიარებენ, რომ ლაზეთი დიდ წარმატებას აღწევნ ვაჭრობასა და თავისუფალ პროფესიებში, ხაზს უსვამენ მათ ჭკუას და სიყოფიერს, მათ მხიარულ ბუნებასა და ცეკვებს“. როგორც სხვა ქართველები, ლაზეთიც ძალიან სტუმართმოყვარენი იყვნენ და არიან.

ამრიგად, ასეთია მოკლედ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. აქაურ ქართველებს ყოფაში ბოლო დრომდე ქართული ტრადიციები ჰქონდათ შემონახული, თუმცა ისინი დღეს თანდათან დავიწყებას ეძლევა. აქაური ტრადიციები საერთო ქართული ტრადიციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ მოვლენის შენარჩუნებაში კი შავშეელებს, ტაოელებს, კლარჯელებს ერთმანეთს შორის არსებული მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების უწყვეტობაც ეხმარებოდა. რაც მთავარია, ეს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ამ მხარეებს არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრებთანაც ჰქონდათ. დადასტურებულია არაერთი მიგრაციული ფაქტიც. უფრო მეტიც, მუსლიმ ქართველებში ენდოგამიური საქორწინო ურთიერთობების დამკვიდრების შემდეგაც არ შეწყვეტილა სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარის მკვიდრთა შორის საქორწინო ურთიერთობა, მაგალითად, აჭარიდან ბევრი ქალი იყო გათხოვილი შავშეთსა და კლარჯეთში, მაჭახლელები – იმერხევში. ისევე როგორც საქართველოში, თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში მკვიდრ ქართველთა შორის სწრაფად ქრება უძველესი ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და მათი დაფიქსირება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ყველა ჩვენგანის გასაკეთებელი საშური საქმეა.

Roland Topchishvili

HISTORICAL-ETHNOGRAPHIC REGIONS OF SOUTH-WESTERN GEORGIA

Summary

Formation and development of the Georgian people and their ethnic culture took place on the territory of present-day Georgia and its historical south-western provinces. Main part of south-western Georgia today is beyond the border of modern Georgia, on the territory of Turkey.

The entire area/territory of settlement of the Georgians consisted of different territorial units. These territorial units, historical-ethnographic parts, were called in Georgia the “communities”. These units were characterized by specific ethnographic peculiarities.

The present work deals with those historical-ethnographic parts of Georgia, which are within the modern Turkey. The majority of historical-ethnographic parts of south-western Georgia, now being on the territory of Turkey, in fact, by today has lost those ethnographic peculiarities, which were strictly preserved till 18th -19th centuries. In addition to Samtskhe and Javakheti, in south-western Georgia we have the following historical-ethnographic parts: **Shavsheti, Klarjeti, Erusheti, Kola, Artaani, Tao...** The Black Sea south-eastern coastline was settled by the **Chans (Lazs)**, which have spoken Chan (Laz) dialect of Zan branch of the Georgian language. The historical situation enabled only a small part of the Lazs (Chans) to co-live in the Georgian state.

The Georgian traditions preserved till last time are gradually being forgotten. The traditions here were an integral part of the common Georgian traditions. Uninterrupted close economic-farming relations existing among inhabitants of Shavsheti, Tao, and Klarjeti served for preservation of this phenomena. These parts of Georgia had the economic-farming relations not only between each other, but also with the inhabitants of historical-ethnographic parts of East and West Georgia. More than one fact of migration was proved. Even more, after endogamic wedding relations were established among Muslim Georgians, the wedding relations between the inhabitants of different historical-ethnographic parts were not suspended, for example, from Adjara many women were married in Shavsheti and Klarjeti, Machakhela dwellers – in Imerkhevi...As well as in Georgia, in Turkey the oldest Georgian traditions, habits and customs are disappearing rapidly. Therefore, they should be fixed and brought into scientific circulation.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ინგა ლუტიძე

თურქეთის (ბურსა, ინეგოლი) მუჰაჯირი ქართველები (ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა)

ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის სულის წიაღში მოიპოვება ერთადერთი, განუმეორებელი წყარო, რომელიც ეხმარება მას იდენტობის გამოხატვაში, ეხმარება დარჩეს ისეთი, როგორც არის და თქვას სათქმელი ისე, როგორც ამას ვერ იტყვის ვერც ერთი სხვა ეთნიკური ჯგუფი მსოფლიოში.

ნ. ს. დორიანი წერს: „ხალხი და ენა – რა შეიძლება იყოს უფრო მარტივი და ადვილად გასაგები? იდეალურ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. არსებობს განსაკუთრებული ადგილი, სადაც ცხოვრობს კონკრეტული ჯგუფი ხალხისა, რომელიც კონკრეტულ ენაზე ლაპარაკობს. მათ აქვთ სახელი თავიანთი თავისა და საკუთარი ენის გამოსახატავად. ეს სახელი მხოლოდ მათ მიეკუთვნებათ და ამ სახელით არ არსებობს არც ერთი სხვა ხალხი და არც ეს ენაა მშობლიური სხვა რომელიმე ხალხისთვის. თუ თქვენ მათ იპოვით, ისინი გეტყვიან, ვინ არიან და რომელ ენაზე ლაპარაკობენ“.¹

ჩვენი გამოკვლევა იმ ტიპის სოციუმს ეხება, რომელიც ისტორიაში ქართველი მუჰაჯირების სახელითაა ცნობილი. ნებისმიერი ეთნიკური ერთობის თვითშეგნების შესწავლას, ჩვენს შემთხვევაში კი ქართველ მუჰაჯირთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხების გააზრებას, დიდი მნიშვნელობა აქვს; რადგან ენა, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ქართველი მუჰაჯირების შემთხვევაშიც პირუთვნელად ასახავს მათ დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი. რამდენადაც ტრაგიკული და მწარე ისტორია ქართველი მუჰაჯირების აყრისა და გასახლებისა, იმდენადვე მრავალფეროვანი და საყურადღებოა მათი ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფორმები. მუჰაჯირთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის დასადგენად გამოვიყენეთ სოციოლინგვისტიკისათვის დამახასიათებელი ის ძირითადი ფორმები, როგორებიცაა ინტერვიუ და დაკვირვების მეთოდი. რაც შეეხება ანკეტირებასა და ტესტირებას, მათზე გარკვეული მიზეზების გამო ხელი არ მიგვიწვდებოდა.

¹ N. C. Dorian. Linguistic and Ethnographic Fieldwork – Language and Ethnic Identity. Edited by J. A. Fishman. New York. Oxford. 1999, გვ. 25.

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს სამშობლოდან წასვლას, გასახლებას სხვა მხარეში. მუჰაჯირობად მიიჩნევა ის გასახლება, რომელიც ხდებოდა კავკასიაში რუსეთის მიერ შემოერთებული მიწა-წყლიდან მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. ქართველ მუჰაჯირთა შესახებ ისტორიული ცნობებიც ძალზე მწირია და შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევებიც. ქართველ მუჰაჯირთა პრობლემატიკას შეეხნენ ზ. ჭიჭინაძე, შ. მეგრელიძე, ა. ფრენკელი, ხ. ახვლედიანი, ვ. იაშვილი, ჯ. ჩხეიძე, ვ. სიჭინავა, ნ. კახიძე, გაზეთები: „დროება“, «Обзор», «Кавказ», «Голос». ჩამოთვლილთაგან ყველაზე ვრცლად ამ საკითხზე ზ. ჭიჭინაძე და შ. მეგრელიძე მსჯელობენ. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „რაკი გადასახლების შესახებ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, ამიტომ მგზავრობის დროს, ზეპირი ამბები ვკრიბე ამის შესახებ. არ არის ისეთი კუთხე ქართველ მაჰმადიანთა, რომ იქ მოხუცებულთ არ ეამბნათ ცნობები მასზედ, თუ ძველად ოსმალთ მათ ხეობიდამ რამოდენა ხალხი აჰყარეს და გადაასახლესო“.²

ცნობილია, რომ მუჰაჯირობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო როგორც რუსეთის იმპერია, ასევე ოსმალეთი. რუსეთს სჭირდებოდა ქართველთაგან დაცლილი ტერიტორიები, ხოლო ოსმალეთი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი აეყარა და გაესახლებინა ოსმალეთში რუსეთის მიერ დაკავებული მაჰმადიანებით დასახლებული კავკასიის ტერიტორიიდან. შ. მეგრელიძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ მუჰაჯირობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსეთის მმართველობის დამყარების პირველ წლებში აჭარაში მწვავე პოლიტიკური ვითარება და უმძიმესი ეკონომიკური პირობები შეიქმნა; ხალხი მიწას ვერ ამუშავებდა, რასაც მოუსავლიანობა და შიმშილი დაერთო, გავრცელდა დაავადებანი, გახშირდა სიკვდილიანობა; შფოთი და მღელვარება გამოიწვია კამერალურმა აღწერამ, რომელიც ხალხმა ახალი გადასახადების გატარებისა და ჯარში გაწვევის ნიშნად მიიღო; რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები (როგორც იყო სასამართლო პროცესზე ქალის მოწმედ გამოცხადება, სისხლის აღების წესის აკრძალვა და სხვ.) ეწინააღმდეგებოდა ხალხში საუკუნეების განმავლობაში ფესვადგმულ ტრადიციებს. ამას თან ერთვოდა ცარიზმის მოხელეთა დამოკიდებულება და ურთიერთობა ხალხთან, რითაც ისარგებლეს ოსმალთა მოხელეებმა და ბათუმის ოლქის მოსახლეობას დაურიგეს ოსმალეთში დაბეჭდილი ბროშურები. ამ ბროშურების მიხედვით რუსეთის მმართველობის ქვეშ დარჩენილი ყველა მაჰმადიანი სულით და ხორციით წაწყმდებოდა და ედემს ვერ ეღირსებოდა.³

მუჰაჯირობის ოფიციალური ვადა იყო 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, მაგრამ თურქებმა მოსახლეობის გასახლება აჭარიდან გაცილებით ადრე, რუსეთის ჯარის აჭარაში შესვლამდე დაიწყეს. 1879 წლის

² ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში – მუჰაჯირ-ემიგრაცია. თფ. 1912, გვ. 25.

³ გაზ.: „დროება“. 1880 წელი. № 100; 1882 წელი. № 38.

გაზაფხულზე წასულა მუჰაჯირთა პირველი ნაკადი; პირველი ნაკადის გასახლება იმავე წლის შემოდგომამდე გაგრძელდებოდა. სწორედ ამ დროს წასულა მუჰაჯირად აჭარის მოსახლეობის საერთო გასახლებულთა უმეტესი ნაწილი. 1880 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ისევ გაგრძელდა გასახლება, 1881 წლის გასახლება უფრო მაჭახლიდან, მურღულიდან და შავშეთიდან მომხდარა.

ზ. ჭიჭინაძე გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ თავისი ნაშრომის სხვადასხვა გვერდზე განსხვავებულ ციფრებს ასახელებს. ხოლო გადასახლებულთა საერთო რაოდენობას, რომლის შესახებაც ცნობა ბათუმის მუფთის, ჰასან ეფენდი გვერდადეს, მიუწოდებია, 150 000-ით განსაზღვრავს;⁴ რადგანაც გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი არ გაგვაჩნია, ეს ციფრი რეალობას, შესაძლოა, ზუსტად ვერ ასახავდეს. გაზეთ „დროების“ მიხედვით, აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა 10 000 სულით განისაზღვრება („დროება“, 1882, № 38). შ. მეგრელიძე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ აჭარაში, კერძოდ, კი ქვემო აჭარის რამდენიმე სოფელში, მთლიანად აფხაზები ცხოვრობდნენ და მათი ძირითადი ნაწილი მთლიანად გადასახლდა. გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას ის მუჰაჯირობასთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შედეგად 2-3 ათასით განსაზღვრავს. გარდა ამისა, ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ლაზები, რომელთა ნაწილი, 2 000 კაცი, აჭარაშიც იყო. შ. მეგრელიძე გადასახლებულთა რაოდენობას აკლებს 4 000 კაცს და აგრეთვე იმ ქართველთა რაოდენობას, რომლებიც დაუბრუნდნენ სამშობლოს და აჭარიდან გასახლებული ქართველი მოსახლეობის რაოდენობას 5 000-ით განსაზღვრავს.⁵

ყველაზე დიდი ნაწილი გადასახლებულა ქვემო აჭარიდან, კერძოდ კი ქობულეთიდან; შედარებით ნაკლები გადასახლებულა ჩაქვის მახლობლად მდებარე სოფლებიდან და გონიოს უბნიდან, ხოლო ზემო აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა სრულიად უმნიშვნელო ყოფილა და მათი უმრავლესობაც უკან დაბრუნებულა.

ნ. კახიძე წერს: „უპირველესად, ქედს ვიხრით იმ მუჰაჯირთა წინაშე, ვინც ამ ტრაგედიის მსხვერპლი გახდა. ამასთანავე, მადლიერებით ვიხსენიებთ თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებს, რომლებიც მრავლად სახლობენ თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთებსა და სოფლებში და რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს წინაპართა ტრადიციები, მშობლიური ქართული ენა, წეს-ჩვეულებები, ქართული თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობანი“.⁶

მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობის დროს გადახვეწილ ეთნიკურ ქარ-

⁴ ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, გვ. 146-147.

⁵ შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან. თბ. 1964, გვ. 53-54.

⁶ ნ. კახიძე, მუჰაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში (გაზეთ „დროებაში“ აჭარაზე და-ცვლი ცნობების მიხედვით). სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობ-ლებები. II. ბათუმი. 2008, გვ. 15.

თველთა ხსოვნამ ბევრი რამ შემოინახა, დანამდვილებით, დაზუსტებით მაინც ძნელია თქმა იმისა, ეთნიკური ქართველები თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში პირველად როდის გამოჩნდნენ და დამკვიდრდნენ. ერთი რამ, რაც ყველა ეთნიკური ქართველის მესხიერებას შემორჩა ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეს არის ცოდნა იმისა, რომ ისინი ჰიჯრით 93 წელს წამოვიდნენ საქართველოდან. გარემოებას ართულებს ისიც, რომ მთქმელი, მთხრობელი ცოტაა.

საბაჰატინ ბაშთურქის (ვახტანგიძე) გადმოცემით, დაახლოებით 1867 წლისათვის მისი დიდი პაპა ოსმალთა იმპერიის ჯარში მსახურობდა, ფადიშაჰის სასახლეს იცავდა. ერთხელ ფადიშაჰს სხვა ტანსაცმელი გადაუცვამს და ისე გამოსულა მცველების დასათვალიერებლად, უნდოდა შეეცყო, თუ როგორ ასრულებდნენ მცველები თავიანთ მოვალეობას. იმ დამით მორიგე მცველი გურჯი ვახტანგიძე ყოფილა. ფადიშაჰს უთქვამს, სასახლეში უნდა შევიდეთ. ვახტანგიძეს გადაცმული ფადიშაჰისთვის უთქვამს, როგორც კი გაინძრევი, გესვრი და მოგკლავო. მეორე დილით ფადიშაჰს ერთგული მცველისთვის ასისთავობა უბოძებია. 1887 წელს, მუჰაჯირობის დროს, დაახლოებით 20 კომლი აჭარიდან სტამბულს ჩასულა. ასისთავ ვახტანგიძისთვის შეუტყობინებიათ მათი ჩამოსვლის ამბავი, ვახტანგიძემ არ იცოდა, სად დაებინავებინა სამშობლოდან აყრილი ქართველები. გახსენებია, რომ ინეგოლში ერთი ქართველი ყადი იყო და მისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. ყადს უთქვამს, ჩემთან გამოგზავნეთ. 20 კომლი გემით სტამბულიდან მუდანიაში ჩამოსულა, ხოლო იქიდან ურმით, რომელსაც „ხარის არაბას“ უწოდებენ, ინეგოლში ჩამოულწევიათ. ყადს ჩამოსული ქართველებისთვის უთქვამს, აქ ერთი ადგილია, წადით, ნახეთ, ტყე, წყალი, კორდი თუ მოგეწონებათ, დასახლდითო. გურჯებს მოსწონებიათ ეს ადგილი, დასახლებულან ამ ადგილას და მისთვის **ბახჩეკაია** უწოდებიათ. ამდენად, მუჰაჯირ ქართველთა პირველი ნაკადი ინეგოლში, გადმოცემით 1887 წელს გამოჩნდა. ამის შემდეგ 10 კომლი მოსულა კიდევ აჭარიდან, ყადს ისინი „კორდიან“, საძოვრებიან ადგილას დაუსახლებია და ამ სოფლისათვის თავისი სახელი **ყარაყადი (Karakad) უწოდებია**. **ბახჩეკაიას** შემდეგ, საბაჰატინ ბაშთურქის ნაამბობის მიხედვით, მუჰაჯირმა ქართველებმა დააარსეს **ალაჩამი**. ალაჩამის შემდეგ გაჩნდა სოფლები: **საადეთი** (ყოფილი **ფაზარალანი**), შემდეგ კი – **ჰილმიე**. მეჰმეთ გულფეკინის (გულაშვილი) გადმოცემით, სოფელი **ჰილმიე** ჰილმიე დედემ დააარსა, რომელმაც სოფელს თავისი სახელი უწოდა. ჰილმიე დედემ ჭვანადან იყო და ყველა ჭვანელი იქ მიდიოდა. არსებობს სხვა ვერსიაც, ჰილმიე დედემ რომ დღევანდელ სოფელ ჰილმიეში ჩავიდა, მას უკვე იქ სოფელ **ბახჩეკაიდან** წასულ მუჰაჯირ ქართველთა 10 კომლი დახვდა და სოფელს თავისი სახელი შემდეგ უწოდა. ჰილმიეს შემდეგ ეთნიკურ ქართველთა სხვა სოფლები: **მეზითი, თუფეჩიყონადი, გულბახჩე და სხვ. დასახლებულა**.

მთხრობელთა გადმოცემით, როგორც ეს მათ წინაპრებისგან გაუგონიათ, 1923 წლამდე გაგრძელებულა მუჰაჯირ ქართველთა პირველი ნაკადის სამშობლოდან აყრა და თურქეთში გადასახლება. მუჰაჯირ ქართველთა მეორე ნაკადი, რომელიც რაოდენობრივად ბევრი არ იყო, ინეგოლში 1931 წელს ჩასულა აჭარიდან; 1938 წელს უჩამფიდან (შუახევი) ერზრუმში წასულა 100 კაცი და იქაურ სასტუმროში დამდგარან. ამ დროს გარდაიცვალა ათა-თურქი. ქართველები შეშინებულან, უკან რომ დავბრუნდეთ, დაგვხვრეტენო, აქ კი ვინ გვიპატრონებსო. 100 კაციდან ორი ინეგოლში მოსულა; ერთი მათგანი ქალაქში დარჩენილა, ხოლო მეორე მათგანი კი, გვარად ველიაძე, **ბახჩეკაიაში** ასულა. ამის შემდეგ კი, 1941 წელს, 20 კაცი წამოსულა ერთი სოფლიდან (გოგაძეებიდან – შუახევი), დაუტოვებიათ ოჯახები და ერზრუმში დარჩენილან 3 თვე, იქიდან კი ყველანი ინეგოლში გამოუშვიათ; ინეგოლიდან ბევრი ბახჩეკაიაში ასულა, ნაწილი კი – ჰილმიეში, ერთი წლის შემდეგ კი უმეტესობა ბახჩეკაიიდან და ჰილმიედან დიარბაქირში დასახლებულა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინეგოლში დამკვიდრებული მუჰაჯირები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მუჰაჯირობის დროს „წამოსვლა იყო, გამოქცევა არ იყო“, ანუ მათ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით უფლება ჰქონდათ აყრილიყვნენ მამაპაპისეული საცხოვრებელი ადგილებიდან და თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო „გამოქცევა“, ზოგის გადმოცემით, 1927 წელს დაიწყო, როდესაც ეთნიკურ ქართველთა პირველი ნაკადი გამოიქცა, ხოლო, ზოგის ინფორმაციით, გამოქცევა 1939 წელს დაიწყო, რაც 1942 წელს დამთავრდა. ნეჯათ ქუფჩიოღლის (დავითაძე) გადმოცემით, რაც მას პაპისგან მოუსმენია, 1941 წელს გამოიქცნენ: გაბაიძეები (ხულო, სოფ. ხიხაძირი), ფუტკარაძეები (შუახევი, სოფ. ოლადაური, ლომანაური), დიასამიძეები (ბათუმი), თურმანიძეები (შუახევი, სოფ. წაბლანა), დავითაძეები (ტბეთი), გოჩიტაძეები (ტბეთი). ამავე გადმოცემით, ერთ წამოსვლაზე 1500 კაცი წამოსულა. ეს ყველაზე ვრცელი ინფორმაციაა, რომელიც ინეგოლელ მუჰაჯირთა ხსოვნამ შემოინახა აყრის, გასახლებისა და გაქცევის შესახებ.

მუჰაჯირთა უმეტესობა თავდაპირველად ხოფასა და ტრაპიზონში ჩერდებოდა და აქედან ანაწილებდნენ მათ ოსმალეთის სხვადასხვა, უმეტესწილად კი ისეთ ადგილებში, სადაც ცუდი კლიმატისა და მოუსავლიანობის გამო აუტანელ პირობებში ჩაცვნილან. ის ფაქტი, რომ ქართველი მუჰაჯირები ინეგოლში პირველად 1887 წელს გამოჩნდნენ, იმით უნდა აიხსნას, რომ 1879 წლიდან მოყოლებული ამ პერიოდამდე ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, რათა ისეთი ადგილი ეპოვათ, სადაც დადგომა და ცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა, რადგან „თურქეთი ომში დამარცხებული ქვეყანა იყო და ეკონომიკურადაც დაუძღურებული. მას საკუთარი მოსახლეობისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც არ შეეძლო, არათუ მუჰაჯირებზე ზრუნვა“.⁷

⁷ ნ. კახიძე. მუჰაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში, გვ. 14.

როგორც ცნობილია, ეთნიკურ-ენობრივი კონტაქტები მრავალმხრივი და, აქედან გამომდინარე, რთული ცნებაა. თანამედროვე თურქეთი მრავალენოვანი კურია, იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი; მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თურქად მიიჩნევა თავს, რათა თავიდან აეცილებინათ მუდმივი დაძაბულობა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის. ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა ებრძოლა, მათ შორის, ეთნიკურ ქართველებსაც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეთნოსად მიიჩნევენ ამა თუ იმ ხალხს, მაგრამ „არა უბრალოდ ხალხის ჯგუფს, არამედ იმ ხალხს, რომელიც თავის თავს გამოაცალკეებს სხვა ხალხებისაგან ენობრივი და კულტურული ნიშანთვისებებით... ეთნოსისათვის (ხალხისათვის) ყველაზე მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება არის ეთნიკური თვითშეგნება“.⁸

ჩვენი მიზანიც მუჰაჯირ ეთნიკურ ქართველთა ჯგუფის შემთხვევაში სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან ენობრივი ნიშნით გამოცალკეება და მათი თვითშეგნების ასახვა იყო.

დღეს მუჰაჯირ ქართველთა დიდი ნაწილი ქალაქ ბურსის ინეგოლის რაიონსა და ინეგოლის სოფლებში ცხოვრობს: სულჰიეში (ეთნიკური ქართველები – 70 კომლამდე, აფხაზები – 5 კომლი), ჰაირიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 130 კომლამდე), ჰილმიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 150 კომლამდე), მურათბეიში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 40 კომლამდე), თუფეჩიყონაღში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 120 კომლამდე), გულბახჩეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 100 კომლამდე), საადეთში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 50 კომლამდე), მესრურიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 100 კომლამდე), ბახჩეკაიაში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 25 კომლამდე), ჩაილიჯაში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 40 კომლამდე), ფევზიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 50 კომლამდე), ჰამიდიეში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 50 კომლამდე), ჰასანფაშაში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 100 კომლამდე), ჩიფთლიქში (მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული – 70 კომლამდე), ელმაჩაიში (ეთნიკური ქართველები – 40 კომლამდე), ყარაყადიში (ეთნიკური ქართველები – 50 კომლამდე, ე.წ. „მესხი თურქები“ – 8 კომლამდე), ბაჰარიეში (ეთნიკური ქართველები – 9 კომლამდე, ბოსნიელები – 16 კომლამდე), ერიქლიში (ეთნიკური ქართველები – 30 კომლამდე, დანარჩენი ახალციხიდან მოსული ე.წ. „მესხი თურქია“), ფინდიკლიში (ეთნიკური ქართველები – 20 კომლამდე, დანარჩენი ჩერქეზია), გუნეი ქესთანეში (ეთნიკური

⁸ რ. თოფჩიშვილი. ეთნოსტორიული ეტიუდები. I. თბ. 2005, გვ. 42.

ქართველები – 20 კომლამდე, დანარჩენი აფხაზია), ყარაჯაყაიაში (ეთნიკური ქართველები – 15 კომლამდე, აფხაზები – 2 კომლი, დანარჩენი თურქია), ჰაჯიყარაში (ეთნიკური ქართველები – 20 კომლამდე, ჩერქეზები – 70 კომლამდე), დაბა იენიჯეში (ეთნიკური ქართველები – 100 კომლამდე, დანარჩენ მოსახლეობას პომაკები, ბულგარელები, ბოსნიელები და თურქები წარმოადგენენ).

საკუთრივ ინეგოლის მოსახლეობა 160 000 სულს შეადგენს, ხოლო სოფლებიანად – 220 000-ს; აქედან მოსახლეობის 35%-მდე ეთნიკური ქართველია. თურქეთში ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ ძნელი მოსაპოვებელია გარკვეული და ობიექტური მიზეზების გამო. ამიტომ ეს ციფრები ზუსტი არაა, მაგრამ რეალობასთან შეძლებისდაგვარად მიახლოებულია. ინეგოლსა და ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა უმეტესობამ მამა-პაპათაგან გადმოცემით იცის, თუ საიდან, რომელი სოფლიდან არიან წამოსულები. ჰაირიეში ყველა ეთნიკური ქართველი მაჭახლიდანაა, მურათბეისა და ჰასან-ფაშაში – ჩაქვიდან, ჰილმიეში უმეტესობა შუახევის რაიონის სოფელ ჭვანადანაა, ყაზელში ყველაზე მეტი ღორჯომიდანაა, ხოლო დანარჩენ სოფლებში – შუახევიდან (სოფლები: ნენია, ნიგაზეული, ჭალა, ჭვანა, შუახევი, ფურტიო, ჩანჩხალო, ოლადაური, ლომანაური, ჯუმუშაური, წაბლანა, ბაბოშვილები, რიყეთი, ტბეთი, დღვანა, ბარათაული, გოგაძეები, წყაროთავი, გოგნიაური, წაბნარეთი, შუბანი, გუნდაური, კობალთა მაწყვალთა, ქვახეთი), ხულოდან (რიყეთი), ქედიდან (ზუნდაგა), გონიოდან და აჭარის სხვადასხვა სოფლებიდან; შესაბამისად, ინეგოლის ეთნიკური ქართველები სოფლებსაც ასე ანაწილებენ: **აჭარელი** (*resp.: აჭარლების*) სოფელი, **მაჭახელი** (*resp.: მაჭახელების*) სოფელი, **ჩაქველი** (*resp.: ჩაქველების*) სოფელი, ასევე ანაწილებენ ამ სოფლების მაცხოვრებლებსაც: **აჭარელია, მაჭახელია, ჩაქველია.**

რაც შეეხება გვარებს, ეთნიკურ ქართველთა ნაწილმა კარგად იცის საკუთარი გვარი, ისევე როგორც იმ სოფლის სახელი, რომლიდანაც მისი მამა-პაპა წამოსულა. ჰაირიეში ჩვენ მიერ ჩაწერილი გვარებია: *ხინკილაძე, მაღაყმაძე, მიმინაძე, ძველიშვილი/ქოქოლაძე, გურგენიძე, ღეკიშვილი/ღეკირაშვილი, გელაშვილი, ქავთარაძე, კირკიტაძე*; მურათ ბეიში: *ჩიბურდანიძე, ქავჯარიძე, ფართოშვილი, ონაზე, გურანიძე, ბასილაძე, ონაძე, კონწალიძე, აფაქიძე, ეწერაშვილი, მეშიშაიშვილი, მემედალიშვილი*; თუფექჩიყონაღში: *ფუტკარაძე* (სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფუტკარაძეა), *ღუმბაძე, თავდგირიძე, მაკარაძე, მელაძე, დავითაძე, დეკამაძე*; საადეთში: *ჭალალიძე, მამულაძე, ცეცხლაძე, ქათამაძე, დიასამიძე, ტაკიძე, ვახტანგიძე, გელიშვილი, ჩოგაძე*; ბახჩეკაიაში: *პაჯიშვილი, ვახტანგიძე*; ჰილმიეში: *გულაშვილი, ბერიძე, ჟავანიძე // ჟავანაძე, დავითაძე, ჭალალიძე, ნახევარიშვილი, დავითაძე*; ყაზელში: *მეკეიძე, ბერიძე*; ჩიფთლიქში: *ბერიძე*; სულჰიეში: *გუნდაძე, თავდგირიძე, აბაშიძე, მაკარიძე, ლომაძე, გოგიტიძე, ღუმბაძე, ქამადაძე, მამულაძე, დავითაძე, ფუტ-*

კარადე, ყარაყადიში: *მაძალადე, დიასამიძე, მაკარიძე, ბერიძე.*

ნებისმიერი ეთნიკური ერთობლიობა, ისევე როგორც ესა თუ ის ეთნოსი, მუდმივ განვითარებას განიცდის; ეთნიკური ჯგუფი, რომელიც განვითარებას წყვეტს, ქრება.

ზემოთ, არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ვისაუბრეთ იმ ისტორიულ პირობებზე, რომელთა შედეგადაც ქართველთა ერთი ნაწილი სხვის მიწა-წყალზე დასახლდა. ბუნებრივია, ქართველთა ეთნიკური ჯგუფიც გადასახლების შემდეგ მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა, რადგანაც ეთნიკური ჯგუფისთვის მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი თვითშეგნებაა, რომლის საფუძველზეც ეთნიკური და ენობრივი იდენტობის კონსტრუირება ხდება. საინტერესოა ამ კუთხით იმ ეთნიკურ ქართველთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის კვლევა, რომლებიც ოდითგანვე არ იყვნენ პატრონები იმ ტერიტორიისა, რომელზეც ცხოვრობენ და არც ენობრივ უმცირესობად მიიჩნევიან.

ბურსას რეგიონი, ისევე როგორც თურქეთის სხვა რეგიონების უმეტესობა, მრავალეთნიკურია, აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ თურქეთის მოქნილი პოლიტიკის წყალობით ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თურქია; ამის მიუხედავად, ყველა ეთნიკური ჯგუფი ეთნიკურ თვითშეგნებას ეთნონიმით (თვითსახელწოდებით) გამოხატავს. როგორ გამოაცალკევენ ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს სხვებისგან, რა ლექსიკური ერთეულები დასტურდება მათ მეტყველებაში ეთნიკური და ენობრივი იდენტობის გამოსახატავად? ეს საინტერესოა, რადგანაც, როგორც ჯ. ფიშმანი მიუთითებს, „ჩვენი ცოდნა საკუთარი იდენტობის შესახებ არ არის ინვარიანტული, მაგრამ იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე“.⁹

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკურ ქართველებში, ჩვენი დაკვირვებით, გამოიყოფა სამი ჯგუფი: 1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ყოველთვის საზგასმით მიუთითებენ თავიანთი ქართული წარმომავლობისა და ენის შესახებ, რაც ყველაზე არსებითი და ძვირფასია მათთვის; 2. ეთნიკური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ გურჯები (resp.: ქართველები) არიან; 3. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას.

ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს **ჩვენებურს, თელი ჩვენებურს (მთლიანად ჩვენებურს), გურჯს**, ანუ გურჯისტანიდან (resp.: საქართველოდან) მოსულს უწოდებენ. ასევე უწოდებენ მათ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები: თურქები, აფხაზები, ჩერქეზები, ქურთები, ბოსნიელები, ბულგარელები და სხვები. *სხვებს ვუუბნებით, გურჯები ვართ და ეს გურჯობა ყველაზე მაღალი*

⁹ J. A. Fishman. Sociolinguistics – Language and Ethnic Identity. Edited by J. A. Fishman. New York. Oxford. 1999, გვ. 153.

რამეა აქ. მათი აზრით, *თუ გურჯი ხარ, უნდა თქვა, თუ არ იტყვი, მაშინ ადამიანიც არ ხარ*. იმ გურჯების შეფასებით, რომელთათვისაც გურჯობა ყველაზე აღმატებული ცნებაა, *ჩვენმა შვილმა რომ თქვას, გურჯი არ ვარ, მის თავ ჩამოაგდებ*. შესაბამისად, **სოფელიც გურჯია**, ანუ ქართულია. ასევე ინტენსივობით იყენებენ საკუთარი თავის გამოსახატავად შესიტყვებებს: „**გურჯის სისხლი ვარ**“, „**ჩვენი სისხლის კაცია**“. ხანში შესული ეთნიკური ქართველები მიუთითებენ, რომ თურქები მათ **გიაურსაც** უწოდებდნენ, მათი მუსულმანობის მიუხედავად. სიტყვა **ქართველის** ხმარება სირცხვილად მიიჩნეოდა, რადგან იგი **არამუსლიმანს** ნიშნავდა. **ქართველიშვილოს** გაბრაზების ჟამს იყენებდნენ და ის, რასაკვირველია, უარყოფითი კონოტაციის შემცველი იყო. ეთნონიმ **ქართველის** ხმარება აქ დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო და, შესაბამისად, ახალი ლექსიკური ერთეულებიც გაჩნდა: **ქართული (ქართველი), გაწურული ქართველი, სუფთა ქართველი**. რესპოდენტებმა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს, მაგრამ აღნიშნეს, რომ ეთნიკური ქართველებით დასახლებული სამი სოფლის მოსახლეობა იტყვის: **ქართველი ვარ**, ხოლო დანარჩენები იტყვიან: **მუსლიმანი ქართველი ვარ**. საქართველოში მცხოვრები ქართველები კი თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის **ქართველი გურჯები** არიან, რითაც ერთგვარად მიანიშნებენ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების შესახებ.

საინტერესოა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ეთნიკური ქართველები სხვა ეთნოსის განსაკუთრებით კი მუჰაჯირობის დროს კავკასიიდან წასულებისგან, თავიანთი თავის გასამიჯნავად უწოდებენ. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზებს ისინი **აბაზებს** უწოდებენ და ვერც ერთი შემთხვევა ვერ დავადასტურეთ ეთნონიმ **აფხაზის** ხმარებისა. **აბაზა** მათთვის გურჯისტანში (resp.: საქართველოში) გვიან მოსულია. აფხაზების აღსანიშნავად იყენებენ აგრეთვე სიტყვას **კაბიანი**. ამგვარად, აფხაზის აღსანიშნავად გამოიყენება ორი სიტყვა: **აბაზა** და **კაბიანი**. გურჯების თქმით, ინეგოლში **კაბიანი სოფლებიც** (აფხაზების სოფლები) არის. ჩერქეზს ინეგოლელი ეთნიკური ქართველები **ჩერქეზს, ჩეჩენს** და **იუნან თოხუმს (ბერძნის თესლს)** უწოდებენ; მათი აზრით, ბერძნები რომ ზღვაში ჩაყარეს, ანუ თურქეთიდან განდევნეს, ისინი ბერძნებს ესმარებოდნენ და აქედან შემორჩათ მათ ეს სახელი, ხოლო თურქებს **კუდიანებს** უწოდებენ, რასაც ორგვარ ახსნას უძებნიან: პირველი სამოსთან, კერძოდ კი, შარვალთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე განმარტებით, ვინც **ჩვენებური**, ანუ ქართული არ იცის, **კუდიანია**. ღაზებს **ჭანებს** უწოდებენ; ოღონდ ღაზებს, რომლებსაც **ჭანებს** უწოდებენ, განარჩევენ ე.წ. **მოხთი, ქომოხთი** ღაზებისგან. **მოხთი, ქომოხთი** ღაზებს ტრაპიზონელ და რიზელ ღაზებს უწოდებენ, რომლებმაც ენა იციან და, მათი აზრით, ესენი კარგი ღაზები არიან, რადგან ენა შეინახეს, ხოლო ინეგოლში მცხოვრებმა ღაზებმა ენა არ იციან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თუკი ეთნონიმ **ქართველს** ნაკლები ინტენსივობით ან სულ არ იყენებენ ზემოთ დასა-

ხელებული მიზეზის გამო, ლაზებთან მიმართებით ეთნიკურ ქართველთა უმეტესობა ხაზგასმით მიუთითებს: *ლაზი არ ვარ, ქართველი ვარ; ქართული ჩვენ ვართ, ისინი ქართულა არ ლაპარაკობენ, ანადილი (დედაენა) ლაზურია*. ცნობილია, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები, ყოველ შემთხვევაში, მათი უდიდესი ნაწილი, რომლებიც ეთნიკური ქართველები არიან, კატეგორიულად ემიჯნებიან აზრს ქართული წარმომავლობის შესახებ: *ლაზი ვარ, ქართველი არ ვარ*. ამის საპირისპიროდ, გურჯთან თუ ლაზების შესახებ ჩამოვარდა საუბარი, ყველა თაობის წარმომადგენელი, თუკი სხვა შემთხვევებში მოერიდებოდა ეთნონიმ **ქართველის** ხმარებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის ამბობს: *ქართველი ვარ*. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგანაც ეთნიკური ქართველი, რომელიც თავის ისტორიულ მიწა-წყალზე აღარ ცხოვრობს და ეთნონიმ **ქართველის** ხმარებას თავს არიდებს რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, თავს ყოველთვის **ქართველს** უწოდებს ლაზებთან მიმართებით. გარდა ამისა, მათთვის უცხოა ჩვენში ესოდენ გავრცელებული „თურქი ქართველი“. ჩვენ მოცემულ რეგიონში მუშაობისას არსად დაგვიფიქსირებია „თურქი ქართველი“-ს გამოყენების შემთხვევა ეთნიკურ ქართველებში. ამ ხელოვნური შესიტყვების გამოყენება მათ გაორებასა და გულისტკივილს იწვევს: *ქართულა ვლაპარაკობ, გურჯი ვარ*.

თავისებური დამოკიდებულება აქვთ ეთნიკურ ქართველებს მესხეთიდან და ისტორიული საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან გადასახლებულთა მიმართ, რომელთაც **ახისკალს** ან კიდევ, რაც ნიშანდობლივია, **მესხ თურქს** უწოდებენ და არა **თურქ მესხს**, რასაც ენობრივი მომენტი უდევს სარჩულად. ისინი, მესხები, საქართველოს უძველესი კუთხის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ რადგანაც ქართული დაივიწყეს, თურქები გახდნენ. ყველა ეთნიკური ქართველისთვის ისინი **მესხი თურქები** არიან და **მესხურა** ლაპარაკობენ. როგორც გაირკვა, მესხურა იგივე თურქულია, ოღონდ ცუდი. რესპოდენტები მიუთითებენ: *ახისკალები ამბობენ, გურჯი ვარ, ყაზელში ფოცხოვოდან მოვიდნენ, მაგრამ იმათ ქართულა არ იციან, თურქი არიან, ყაზელში ფოცხოვოდან მოვიდნენ ახისკალები, მესხი თურქები იყვნენ და აქ გურჯები გახდნენ*. გულბახჩეშიც ასე მიიჩნევენ: *აქ ჩვენებურები დასახლდნენ, შემდეგ მესხეთიდან წამოსული თურქები მოვიდნენ, გადაერივნენ ჩვენებურებში, ჩვენებური ისწავლეს*. ამიტომაც უწოდებენ მათ **გადარეულ (შერეულ) მესხებს** ან კიდევ **გარეულ მესხეთელებს**. ასეთვე მდგომარეობაა ალმაჩაიშიც. თუ გულბახჩეში, ყაზელსა და ალმაჩაიში ეთნიკურმა ქართველებმა მათ ენის სწავლა აიძულეს (ასეც ამბობენ, იძულებული იყვნენ), ყარაყადიში პირიქით მოხდა, 7-8 კომლმა **გარეულმა მესხეთელმა** სოფელში გურჯული დალია. თვითონ ეს ჯგუფი როგორ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, ეს ცალკე კვლევის საგანია და შესწავლას საჭიროებს, მაგრამ ამ ჯგუფის წევრთა აზრით, რომლებთანაც ჩვენ გვქონდა ურთიერთობა, *ჩვენ მესხებ გვიძახიან, 93 წელს (პიჯრით) წამოვედით მესხეთიდან, ჩვენ გურჯები ვართ*. ამგვარად, ისინი თავს გურჯებად მიიჩნევენ, ასევე ფაქტია ის გარემოებაც, რაზეც ეთნიკური ქარ-

თველები მიუთითებენ: მათ **ჩვენებური, ქართულა** არ იცოდნენ, იძულებულები იყვნენ და დაისწავლეს.

როგორც აღვნიშნეთ, ეთნიკური ქართველები არ არიან მკვიდრები იმ ტერიტორიისა, რომელზეც ცხოვრობენ, ამ ფაქტორის გამო მათ განსაკუთრებული განცდა აქვთ ისტორიული სამშობლოს მიმართ. ეთნიკური ქართველებისთვის საქართველო, ანუ **გურჯისტანი, მემლექეთია, სამშობლოა**; ცონბიერებაში ასე ასხვავებენ თურქეთსა და საქართველოს: ვათანი თურქეთია, **სამშობლო – გურჯისტანია**. ქართული ლექსიკური ერთეული **სამშობლო** მხოლოდ საქართველოს მიემართება, ხოლო ლექსიკური ერთეული **ვათანი**, რომელიც ასევე სამშობლოს ნიშნავს, თურქეთია. საქართველოს **დედასამშობლოსაც** უწოდებენ. ქართული ლექსიკური ერთეული **სამშობლო** მხოლოდ საქართველოს მიემართება. ფორმულირებას შემდეგნაირად ახდენენ: **მე გურჯი ვარ, მემლექეთი გურჯისტანია, მაგრამ თურქეთის ვათანდაში (მოქალაქე) ვარ**, შესაბამისად, თურქეთი **ვათანია, მემლექეთი – საქართველოა**.

როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, ეთნიკური ქართველებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სისხლით და სულით გურჯობას, რასაც შემდეგნაირად გამოხატავენ: „**სისხლით არ მოიშლება გურჯობა**“, „**მე გურჯი ვარ, სისხლი იქიდან მოდის**“, მნიშვნელოვანია აგრეთვე სული, რომელსაც შემდეგნაირად გამოხატავენ: „**შივნით გურჯი ვარ**“. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლით გურჯობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქაური ქართველების უდიდესი ნაწილისთვის: **გურჯულა არ დამისწავლია, მაგრამ გურჯი ვარ; ენა რომ არ მქონდეს (ენა რომ არ ვიცოდე), მაინც გურჯი ვარ; რომ გაჭრა, გურჯი გამოდინდება სისხლი**.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ენა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი კონცეპტია მუჰაჯირობის დროს წასულ ქართველთათვის თურქეთში, იგი სისხლისა და სულისაგან განსხვავებით, მათი იდენტობის გარეგანი, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივი ამსახველია. ამის დამადასტურებელი ის ფაქტია, რომ, როდესაც იქაურ ეთნიკურ ქართველს ვეკითხებით, თუ რომელია მშობლიური ენა მისთვის, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე პასუხობს – **ჩვენებური, გურჯული**, ხოლო როდესაც ვეკითხებით, თურქული რა არის მისთვის, პასუხად მოგვიგებს – **მეორე ენა. ჩვენი ანადილი (მშობლიური ენა) ჩვენებურია (resp.: ქართული), მეორე ენა კი – თურქული, „ანადილიმი ქართულაა“**. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პასუხი გამოკითხვის შედეგად მივიღეთ არა მხოლოდ გურჯების იმ ჯგუფისგან, იმ ნაწილისგან, რომლისთვისაც „გურჯობა ყველაზე მაღალი რამეა“ და ქართულადაც ჩინებულად მეტყველებენ, არამედ ახალგაზრდა გურჯების იმ ნაწილისგან, რომლებიც დამტკრეული ქართულით საუბრობენ, ან კიდევ ესმით, მაგრამ ჯერ არ უსწავლიათ ქართული.

სანამ ენასა და ეთნიკურობას შორის არსებულ კავშირზე ვისაუბრებდეთ, იმაზე, თუ რას ნიშნავს გურჯისთვის ენა, მანამ იმ ლექსიკურ ერთეულებს დავიმოწმებ, რომლებითაც ქართულს, ანუ მშობლიურ ენას (ანადილს)

მოიხსენიებენ: ჩვენებურა // ჩვენებური, გურჯულა // გურჯული // გურჯი // გურჯიჯა, ქართულა // ქართულაჲ // ქართული, ქართველურა. ის ფაქტი, რომ ეთნიკური ქართველები რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს იყენებენ მშობლიური ენის აღსანიშნავად, ამას ქართული ენის სისავსე განაპირობებს, რომელიც დიალექტთა მრავალფეროვნებით (მოხევური, ფშავური, ხევსურული, თუშური, მთიულურ-გუდამაყრული, ქართლური, კახური, მესხური, ჯავახური, იმერული, სვანური, რაჭული, ლეჩხუმური, მეგრული, გურული, აჭარული, იმერხეული, ფერეიდნული) გამოირჩევა. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ დღესდღეობით ყველა მათგანს ინტენსიურად იყენებენ, მაგრამ ჩვენებური // ჩვენებურა-ს გამოყენებას სიხშირის მიხედვით უპირატესობა ენიჭებოდა და ენიჭება დღესაც, ის განსაკუთრებით ძვირფასია მათთვის გასაგები მიზეზების გამო, ამ ტერმინის საშუალებით ახდენენ თვითიდენტიფიკაციას. ეს ტერმინი მათ სხვებისგან გამოარჩევს თურქეთში. თუ ეთნიკური ქართველებისთვის ეთნიკურობა ძირითადი ჩარჩოა, რომელსაც მათი იდენტობა ეფუძნება, მაშინ ენა ამ იდენტობის გამოსახატავი უმთავრესი საშუალებაა. ჩვენებური // გურჯულა // ქართულა // ქართველურა მათი ღირებულებების, სტერეოტიპების, ურთიერთობების გამომხატველია. ჩვენებური მოიცავს ადამიანური ურთიერთობების ყველა სფეროს, რასაც შემდგენიარად გამოსატყვენ: ენა გურჯიჯა მექცევა (ქართულისკენ გამიბრბის).

როგორ გამოსატყვენ ეთნიკური ქართველები იმ ფაქტს, რომ ენა მათთვის, ისევე როგორც ბევრი ეთნიკური ჯგუფისთვის მსოფლიოში, მათი ეთნიკურობის მთავარი მარკერია? აქ, უპირველეს ყოვლისა, მინდა დავიმოწმო 2009 წლის ზაფხულში ინეგოლსა და ინეგოლის სოფლებში ჩაწერილი მასალებიდან, შემდეგი: „ჩვენ მუჰაჯირ არ გვეტყვიან. ბულგარისტანიდან, ბოსნიადან, იუგოსლავიიდან და ზოგი ერიდან (resp. ადგილიდან) მოსულს მუჰაჯირ ეტყვიან. ჩვენ აბაზას მუჰაჯირ არ ვეტყვით, აბაზას ვეტყვით, ისინი ჩვენ გურჯ გვეტყვიან, მუჰაჯირ არ გვეტყვიან. ჩერქეზს მუჰაჯირ არ ვეტყვით, ჩერქეზს ვეტყვით. ვისაც დედაენა გვაქვს, ენა რომ შენახული გვაქვს, ასე გვეტყვიან. ვისაც ენა არა აქვს, მუჰაჯირ ვეტყვით“. როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს და რასაც ხაზგასმით მიუთითებენ ეთნიკური ქართველები, ის გახლავთ, რომ ისინი თავიანთ თავს მუჰაჯირებად არ მიიჩნევენ და არც სხვები უწოდებენ მათ მუჰაჯირებს, რადგანაც ენა შემოინახეს, რომელსაც დედაენას უწოდებენ. როცა კიდევ უფრო ჩავეძიეთ, აღმოჩნდა, რომ მათში არსებობს ცნება „გერჩექ მუჰაჯირისა“ (resp.: ნამდვილი მუჰაჯირისა).“ მათი აღქმით, „გერჩექ მუჰაჯირი“ (ნამდვილი მუჰაჯირი) იგია, ვინც ჰიჯრით 93 წელს გადაახტა და ენა დაკარგა. ამგვარად, მარკერი, რომელიც გურჯს, აფხაზსა და ჩერქეზს სხვა, ნამდვილი მუჰაჯირებისგან გამოარჩევს, ენაა. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ არც ერთ ეთნიკურ ქართველს, რომელიც თავს გურჯად მიიჩნევს, არ უთქვამს, რომ მუჰაჯირია; როდესაც ამ საკითხს შევეხებოდით, პასუხი ყოველთვის ასეთი გახლდათ: მუჰაჯირობის დროს

წამოვედით ან კიდევ ჩვენებურებს 93-ის მუჰაჯირებ გვეტყვიან (გვიწოდებენ). 93-ს თუ გადაახტა, გერჩექ მუჰაჯირია. მუჰაჯირი ბოსნიაკია, არნაუტია.

საკუთარ ფესვებს მოწვევტილი, სხვა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის დამოკიდებულების აღწერა ენისადმი ძალზე რთული ყოფილა. დიდი ქვეყნების ენობრივი პოლიტიკისა (როდესაც ქვეყანაში მხარდაჭერა მხოლოდ ოფიციალურ ენას აქვს და არცთუ მთლად სასურველია მცირე ეთნიკური ჯგუფების ენების წახალისება) და თანამედროვე კომუნიკაციების შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელმაც სოფელს თავისი სახე დაუკარგა, ყველა მკვლევარი ამა თუ იმ მცირე ეთნიკური ჯგუფის ენის კვლევისას მხოლოდ უიმედო სურათს ელოდება. თუ პრაქტიკული თვალთ შევხედავთ, თვით მცირე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვისაც ეთნიკური ენის სწავლა, იგულისხმება მე-3, მე-4 და ა. შ. თაობის წარმომადგენლები, არაფრის მომცემია. ჩვენც ამგვარ სურათს ველოდით ეთნიკურ ქართველთა მე-3, მე-4 და მე-5 თაობის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას და საუბრებისას ენების გამაუჩინარებელ, მელაპველ 21-ე საუკუნეში, როდესაც წინაპრების ენის შესახებ მხოლოდ ხსოვნაა შემორჩენილი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მხოლოდ **ჩვენებური**, ანუ წინაპრების ენა აკავშირებს თურქეთის ეთნიკურ ქართველებს თავიანთ ისტორიულ მემკვიდრეობასთან, რომელსაც ვერავითარი სხვა მარკერი ვერ ენაცვლება. ენაა ერთადერთი შეუცვლელი კომპონენტი მათი ეთნიკურობის გაცხადებისა.

თუ რა არის გურჯებისთვის **ჩვენებური // გურჯულა // ქართულა // ქართველურა**, ამის საილუსტრაციოდ ისევ ჩაწერილ მასალას მოვიხმობ:

ჩვენ გურჯობას ენით გამოვხატავთ.

ქართველურა ვლაპარაკობთ, ჩვენ თავ მუჰაჯირ არ ვეტყვი, გურჯი ვარ ვიტყვი.

ნამუს ვინახავთ, ჩვენებურ რომ ვლაპარაკობთ.

როგორც ვხედავთ, **ჩვენებური** მათი გურჯობა და ნამუსია, ხოლო ენის დაკარგვა, მათი აზრით, გურჯობისა და ადამიანობის დაკარგვას ნიშნავს:

ვინცხამ ენა დაკარგა, გურჯი არ არის.

გურჯობის დაკარგვა ენიდან დაიწყება.

ენის დაკარგვა ინსნობის (ადამიანობის) დაკარგვაა.

ენა როცა დაიკარგება, ქართველობაც დაიკარგება.

ვისაც ქართული დაამიწყდება, გაცდეს (მოკვდეს) მაშინ.

აქვე მინდა დავიმოწმო დიალოგი ხანში შესულ კაცსა და ახალგაზრდას შორის:

– *ჩვენებურა იცი?*

– *არა!*

– *მაშინ რაღს გურჯი ხარ? ჩვენებურმა არ უნდა დაგამძიმოს.*

- გურჯი ვარ.
- ენა იცი?
- არა!
- მოთავეებულა.

- გურჯიჯა იცი?
- არა!
- აბა, რაფელი გურჯი ხარ?

ზემოთ მოყვანილ მაგალითები ცხადად გვიჩვენებს, რომ გურჯებმა შეძლეს სწორი ორიენტირის შენარჩუნება საკუთარი იდენტობის გადასარჩენად.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ენობრივი კოლექტივების სიცოცხლისუნარიანობა მოიცავს პოლიტიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურსა და ლინგვისტურ საკითხებს, რომლებიც გასათვალისწინებელია სოციოფსიქოლოგიურ მსჯელობასთან ერთად... ენობრივი კოლექტივის ეკონომიკური სტატუსი (ენობრივი ჯგუფის გაელენის ხარისხი ეკონომიკურ ცხოვრებაზე მოცემულ რეგიონსა და ან საზოგადოებაში), ენობრივი უმცირესობის მონაწილეობის ხარისხი ეკონომიკურ ყოფაში... სოციალური სტატუსი ახლოს დგას ეკონომიკურთან და ძირითადად გამოიხატება იმაში, თუ რამდენად მაღალია საკუთარი თავისადმი ამ ენობრივი ჯგუფის პატივისცემის ხარისხი... სოციოისტორიული სტატუსი არის მნიშვნელოვანი ენობრივი ჯგუფისათვის, რომლითაც იგი თავს განისხვავებს დანარჩენებისაგან ისტორიის საფუძველზე. ბევრი ეთნოლინგვისტური ჯგუფი საკმაო პერიოდითაა დაშორებული თავის ისტორიულ ამოსავალს, მაგრამ ისტორიულ კავშირებს შეუძლია მობილზეება საერთო სიმბოლოებით ინდივიდებისა, რომლებიც ერთმანეთსაც, შესაძლოა, საკმაოდ არიან დაშორებულნი აწმყოში“.¹⁰

ეთნიკური ქართველები მოცემულ რეგიონში ძალზე დაწინაურებულები არიან ეკონომიკური თვალსაზრისით, აქაურმა გურჯებმა, შეიძლება ითქვას, უმოკლეს ხანში მოახერხეს დუსტირი ცხოვრებისგან თავის დაღწევა და ფეხზე დადგომა. ასევე მაღალი სოციალური სტატუსით გამოირჩევიან ეთნიკური ქართველები, რეგიონის ცხოვრებაში მათ სიტყვას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება **ჩვენებურის** ცოდნის ხარისხს, ისევ გურჯებს დავიმოწმებ. მათი აზრით, სადაც კი ქართველები ცხოვრობენ, იქიდან ყველაზე კარგი ქართულით ინეგოლში ლაპარაკობენ: „დედეები იტყოდენ, ინეგოლი პატარა საქართველოა“. ზემოჩამოთვლილი სოფლებიდან ყველაზე კარგად და ლამაზად ჰილმიეში, ბახჩეკაიაში, ყაზელში, თუფექჩიყონაღში, სულჰიეში, გულბახჩესა და საადეთში ლაპარაკობენ. ბახჩეკაიელმა გურჯმა, მეჰმედ ოზჯანმა,

¹⁰ მ. ტაბიძე. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბ. 2005, გვ. 147-148.

რომელიც შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა, ხუმრობით მითხრა: მე იმათ ლაპარაკს არ ვკადრულობ (იგულისხმება ჰაირიეს, მურათ-ბეისა და ჰასან-ფაშას გურჯები). ეს სოფლები ინეგოლს ზედ ებმის და ქალაქთან სიახლოვის გამო „ჩვენებურა ლამაზა ვერ ლაპარაკობენ“. გარდა ამისა, ჰაირიეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გერმანიაში ცხოვრობს და სოფელში მხოლოდ მცირე დროით, ზაფხულობით ჩამოდის. როდესაც რესპოდენტებს უფრო ღრმად ჩავეკითხეთ. სოფლებს შორის მეტყველების სხვაობის თაობაზე რაც, თავისთავად ცხადია, ცალკე სტატიის თემაა, მიპასუხეს: *იმათი (იგულისხმებიან ჰაირიელები) გაწეწილია, ჩვენი კი მოკლეა. ჰაირიემ თქვენიავეთ გაწეწილი ლაპარაკი იცის, ჩვენ ქისა (მოკლედ) ვლაპარაკობთ*. სოფლებს შორის დასტურდება მთელი რიგი სხვაობები ქართული ლექსიკური ერთეულების გამოყენების თვალსაზრისით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ყველა, ვინც ამ საკითხით დაინტერესდება, ზერელე დაკვირვებითაც კი შეამჩნევს, რომ **ჩვენებურმა (ქართულმა)** გაუძლო დროს ყოველგვარი მხარდაჭერის, თვით ძალზე მოკლევადიანი კურსების არარსებობის პირობებში და მისი შენარჩუნება დღემდე შეძლეს ეთნიკურმა ქართველებმა. მაშინ, როდესაც, უამრავი პროგრამის მიუხედავად, ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო ძნელდება თუნდაც არცთუ ისე მცირერიცხოვან სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ენების შენარჩუნება დიდ სახელმწიფოთა ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მკაფიოდ განსაზღვრული ენობრივი პოლიტიკის შედეგად. რა განაპირობებს ქართულის შენარჩუნებას ეთნიკურ ქართველებში? პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ეთნიკური ჯგუფის განწყობა წინაპრების ენისადმი, განწყობა იმისა, რომ მხოლოდ ჩვენებურით, ქართულით შეიძლება საკუთარი იერსახის, იდენტობის შენარჩუნება უცხო მიწაზე.

აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ნებისმიერი სიტუაციისა და მოვლენის აღწერა განიცდის ცვლილებებს. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ვლაპარაკობთ ეთნიკურ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის შესახებ, აღწერა, როგორც რეალური სურათის დადგენის ფორმა, ცვალებადი იქნება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით. თუკი გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის ეთნიკურ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხის შესწავლისას ეთნიკურ ქართველთა რაოდენობას დიდი და გარკვეული ადგილი ექნებოდა ენის შენახვა-შენარჩუნების თვალსაზრისით, დღეს ენობრივი ასიმილაციის პირობებში, როდესაც თურქული ეროვნებათა შორის ურთიერთობების ენაა, მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის სიდიდე-სიმცირე არაფრის მთქმელია. დღეს ეს ეთნიკური ქართველების განწყობაზე დამოკიდებული, რომელიც მათი იდენტობის განუყოფელი ნაწილი ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი იდენტობაა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ეთნიკური ქართველების ის ნაწილი, რომელმაც ბავშვობა ინეგოლში, ქალაქში, გაატარა და არა ინეგოლის რომელიმე სოფელში და რომელთა ასაკი 20-დან 30 წლამდე მერყეობს, აღნიშნავს, რომ ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა,

რადგანაც ენა ბრუნდება ანადილისკენ (მშობლიურ ენას ვებრუნდებით).

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. 80 წელს გადაცილებული ქალები (მათი რაოდენობა დიდი არ არის), რომელთაც ცუდად იციან თურქული ენა და ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ქალები ძირითადად ოჯახში საქმიანობდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება. გურჯი ქალების საქმიანობა ინეგოლში, ისევე როგორც თურქეთის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები სხვა გურჯი ქალებისა, ოჯახის მოვლით, დიასახლისობით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული ასაკის ადამიანებისთვის ქართული პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც მშობლიური ენაა;

2. 60-75 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ ქართულია; თურქულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა ან კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამათგან გარკვეულ ნაწილს სკოლაშიც არ უვლია გასაგები მიზეზების გამო;

3. 35-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც განათლება თურქულ ენაზე აქვთ მიღებული. ეს ნაწილი მიუთითებს, რომ თურქული ენა მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს, რაც მათ პრობლემებს უქმნიდა და თითო კლასში ზოგჯერ ორ-ორი წელი უხდებოდათ დარჩენა;

4. რაც შეეხება ეთნიკურ ქართველებს 35 წელს ქვემოთ, აქ შემდეგი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

ა) ჰილმიეს, ყაზელის, ბახჩეკაიას, თუფეკჩიონადის, სულჰიეს, გულბახჩესა და საადეთის ახალგაზრდები საუბრობენ ქართულად და ერთმანეთთან ურთიერთობა ქართულ ენაზე მათთვის პრობლემა არ არის;

ბ) ჯგუფი, რომელიც დამტვრეული ქართულით ლაპარაკობს;

გ) ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ ვერ ლაპარაკობს;

დ) არ ესმის ქართულად არც ერთი სიტყვა და, შესაბამისად, ვერც ლაპარაკობს;

ე) ჯგუფი, რომელმაც ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა.

ზემოაღნიშნული ყველა ჯგუფის წევრისთვის მშობლიური ენა ჩვენებურია, იმათი ჩათვლით, ვინც ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ თავს გურჯად მიიჩნევს. განსხვავება აღქმაშია: დიდი ნაწილის აზრით, თუ ენა არ

იცი, რად გურჯი ხარ?

ნაწილის აზრით კი, გურჯობა სისხლით არ მოიშლება. როცა ამ უკანასკნელთ **ჩვენებურის** არცოდნის მიზეზის თაობაზე ვეკითხებოდით, თითქმის ყველა მათგანი დედის ფაქტორზე მიუთითებდა: ანა (დედა) არ მელაპარაკებოდა ჩვენებურად, ან კიდევ ანა გურჯი არ იყო. ზოგმა კი გვითხრა, დედა რომ ქართულად არ მელაპარაკებოდა, ამიტომ ქართული 18 წლის შემდეგ დავისწავლე, მინდოდა, ჩემი ენა მცოდნოდაო. რაც შეეხება თურქულს, ისინი მას დღემდე **თათრულს** უწოდებენ: *თათრულა ლაპარაკობს; მე თათრულა მეორე კლასში დავისწავლე; მე თათრულა არ გამიგონია.*

ეთნიკური ქართველები თავიანთი ენის შესახებ აღნიშნავენ, რომ მათი წინაპრები 100 წლის წინათ როგორი ქართულითაც ლაპარაკობდნენ, თვითონაც ისეთივე ქართულით ლაპარაკობენ: *ჩვენ მაშინდელი ქართველები ვართ, ასი წლის წინ რაც დარჩენილა, იმას ვლაპარაკობთ.* მათი აზრით, მეტყველებაში ბევრი უცხო სიტყვაა შემოტანილი: *ჩვენი ქართულად გარეცხილია, შემოტანილი სიტყვები გვაქვს;* ამის გამო, მიუთითებენ: *ჩვენი ქართველურა გადაქცეულია, გადაბრუნებულია; ჩვენი ენა მეიშალა.* ამ კუთხით ერთგვარ შედარებასაც კი აკეთებენ იმერხეველ ქართველებთან: *„იმერხეველებმა, შავშელებმა რაფრათ დაისწავლეს, ისე ლაპარაკობენ, ჩვენ გადაბრუნდით“.* მას შემდეგ, რაც თურქეთ-საქართველოს საზღვარი გაიხსნა და მისვლა-მოსვლა დაიწყო, იმ გურჯების მეტყველება, რომლებიც საქართველოში დადიან, გამდიდრდა ქართული ლექსიკური ერთეულებით.

უცხო მიწაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხების კვლევამ და დაკვირვებამ მიგვანიშნა იმ განწყობაზე, რომელიც ქმნის ძალასა და ენერგიას წინაპრების ენის იმ კონცეპტად გადასაქცევად, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს ანიჭებს ძალას იდენტობის შესანარჩუნებლად.

Inga Ghutidze

**THE FORCELY MIGRATED GEORGIANS IN TURKEY (BURSA, INEGOL)
(ETHNO-LINGUISTIC REVIEW)**

Summary

This paper is ethno-linguistic review about the descendants of forcibly migrated Georgians who were forced out from the Caucasus by Tsar policy in the 19th century.

Today most of the descendants of the forcibly migrated Georgians live in Inegol, the Bursa region of Turkey, which is characterized with diversities of ethnic groups; they inhabit 20 villages and represent 35% of ethnically diverse population. There has been no previous research on the language and identity issues of this group of the ethnic Georgians.

Three different groups of the ethnic Georgians are described in this paper.

Language is the main link between the ethnic Georgians and their Georgian identity. When we ask the Georgians, living in Turkey, who have never been to Georgia, who do not read and write Georgian, and who received their education in Turkish language, what is their mother language, without hesitating they answer that their mother language is **Chveneburi** (resp.: the Georgian language). Turkish is their second language.

This paper explores the reasons of importance of the Georgian language for **Gurjis** (resp.: the **Georgians**) within Turkey.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

მაია მიქაუტაძე

სამეტყველო კოდთა შერევის საკითხისათვის ქართული ენის ტაოურ დიალექტში

საქართველოს ისტორიული მხარე, ტაო, დღეს შედის თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილის იუსუფელის რაიონში (ილჩეში).

თურქულ ენობრივ სამყაროსთან ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად ტაოს ყველა თანამედროვე მკვიდრი ავტოქთონი ქართველი ფლობს სახელმწიფო ენას – თურქულს. სწავლა-განათლება, ბუნებრივია, თურქულ ენაზეა; ასევე საკმაოდ ხშირად იყენებენ მას ოჯახებში თუ ჩვეულებრივი ყოფითი ურთიერთობების დროს.

ისტორიული დედაენა კი ტაოელ ქართველთა დიდ ნაწილს უკვე დავიწყებული აქვს და ეთნიკურადაც თურქებად მიიჩნევენ თავს. დედაენა შემონახული აქვთ პარხალისწყლის ხეობის ზოგ სოფელში და პარხალისწყლის შენაკადის, ქობაის წყლის, ხეობაში არსებულ ყველა თემის ყველა სოფელში; კერძოდ, ქობაიში, ბალხის საზოგადოების სოფლებში და ხევაის შემდეგ სოფლებში /რომლებიც ზოგან უბნებად იწოდება/: ივეთი, ობლეკარი, სადრიყანა, ვაჩეკარი, კრავეკარი, ქელაძორი, ჰესევიკარი, დოლეკარი, ჭეილენკარი, ქორიეთი დოლენჯაკარი, გოდლეკარი, ბასლეკარი, ქონობანი, ელიასხევი და სხვ. *შდრ., ხევაის ხევის ნასოფლართა სახელებიც: ველითავი, ჭირხლაქეთი, ყულედიბი, ცერეკარი, აზლენკარი, შაბლინკარი, ფიშნახევი, კუარეთი, ბოწმინდა.*¹

სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მქონე ქართველი და თურქი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აისახა არა მხოლოდ ტაოელთა სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, არამედ მათ მეტყველებაზეც. ტაოურ დიალექტში, ქართულ-თურქული ლინგვო-კულტურული ურთიერთობების შედეგად სამეტყველო კოდების შერევის ძალზე საინტერესო სურათს ვხვდებით.

საანალიზოდ წარმოდგენილი გვაქვს 2006-2011 წლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ექსპედიციების დროს ტაოს სხვადასხვა სოფელში ჩა-

¹ ტ. ფუტკარაძე, მ. ლაბაძე. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები. „წელიწადეული“. III. ქუთაისი. 2011, გვ. 202-224.

წერილი დიალექტური მასალა.

მასალის მოპოვების დროს ვაფიქსირებდით ქართველური ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ფორმებს, კონტექსტებსა თუ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევებში რესპონდენტებს ვთხოვდით, აღნიშნული წინადადებები თუ სიტყვაფორმები შესაბამისი თურქულით გადმოეცათ. ისინი, ფაქტობრივად, დაუფიქრებლად თარგმნიდნენ ფორმებს. აღმოჩნდა, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ტაოელთა მეტყველებისათვის ესოდენ დამახასიათებელი და ქართული სალიტერატურო ენისა თუ სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო კონტექსტები თუ მნიშვნელობები, თურქული ენის პირდაპირი ზეგავლენის შედეგია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ ენობრივ კოდთა შერევის ორ უმთავრეს ტიპს: **კოდ-მიქსინგსა** და **კოდ-სვიჩინგს**. პირველი ტიპი გულისხმობს დიაქრონიულ პროცესს – A და B ენობრივ კოდთა შერევის საფუძველზე C ენობრივი კოდის მიღებას, მეორე ტიპი კი გულისხმობს სინქრონიულ პროცესს – A და B ენობრივ კოდთა კონტაქტურ თანაარსებობას თანასწორ (როდესაც ორივე ენობრივი კოდი თანაბარუფლებიანია) ან უთანასწორო (როდესაც ერთ-ერთი ენობრივი კოდი მეორეზე პრესტიჟულია) პირობებში.²

კოდ-სვიჩინგი (ინგლ. switching „გადართვა“) სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება მხოლოდ სრული ბილინგვიზმის ან დიგლოსიის, ანუ A და B ენების (ან დიალექტების) თანაბრად ფლობის შემთხვევაში.³

გამოყოფენ კოდ-სვიჩინგის ხუთ ძირითად ქვეტიპს და ტაოელთა მეტყველებაში ხუთივე ქვეტიპი გვხვდება.

ტაოურ დიალექტში ჩვეულებრივია ფრაზის თავში ან ბოლოში თურქული ლექსიკური ერთეულის დართვა, ე.წ. თეგ-სვიჩინგი (Tag-switching – A ენის/დიალექტის ფრაზის თავში ან ბოლოში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის (ე.წ. „თეგის“ – Tag) დართვა).⁴ მაგალითად: **ჩეშით-ჩეშით** (თურქ. çeşit – ჯიში, სახე, ნაირნაირობა, სხვადასხვაობა) საჭმელები არი, **ჩეშით-ჩეშით; ყუი** (თურქ. kuyu – ჭა, ღრმა ორმო) მიწაში ამოგვრავთ, ჩაყვრით იქა; **ჩაფა** (თურქ. çapa – თოხი) აქ არ გუაქუა ჩვენ. არ ვხმაროფთ **ჩაფა; თირფანი** (თურქ. tirpan – ცელი) ასე აყუდებულდი, კაცები თირფით თიბენ; **მალე** (თურქ. mal – ქონება, საკუთრება, საქონელი, ნივთი) წავასხამთ, ძროხებ წავასხამთ, იქ მოვწველაფთ; **მესელა** (არ. mesela – მაგალითად, მაგალითზე) ამაზღამ ვილოცავ, გამუაყოლიებ მასაც. **გენმიშეფთა** (თურქ. geçmiş – წარსული, გავლილი, ძველი ვალი, ძველი დავალიანება).

² George Bokamba-Eyamba. Are There Syntactic Constraints on Code-mixing?. World Englishes. 8 (3). London-New York. 1989, გვ. 277-292.

³ Li Wei. The 'Why' and 'How' Questions in the Analysis of Conversational Code-switching. In Code-Switching in Conversation: Language, Interaction, and Identity. London. 1998, გვ. 156-176.

⁴ M. Clyne. Constraints on Code-switching: How Universal Are They? in The Bilingualism Reader. London. 2000, გვ. 12-30.

ხშირად დასტურდება ტაოურში ასევე ინტრასენტენციური გადართვის (Intra-sentential switching – A ენის/დიალექტის ფრაზაში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის ჩასმა)⁵ ფაქტებიც. მაგალითად: ზამთრი აქ ვართა, ზაფხული **ყურბეთში** (არ. gurbet – უცხო მხარე, უცხოეთი) წავალთ; არ იყო **ესკიდან** (თურქ. eski – ძველი, გარდასული), მარტო **ჯამე** (არ. cami – მეჩეთი) იყო; აქ **ოქული** (თურქ. okul – სკოლა, სასწავლებელი) არ იყო და ახლა აბლი რამ, აბლი, პეტერად უშენებიან; ო, მევიწონე, ი მევეწონე და... **ართუხ** (თურქ. artik – კვლავ, ახლა, ამიერიდან) დავქორწილდით, გვევთხუენი; ა, მე არ მოვქსოე, **ჰაზირი** (არ. hazir – მზა, მომზადებული) ევლე, **ჰაზირი** ასე; შიგნი შურთებ და ი ბალი შემა **სობა** (თურქ. soba – ღუმელი) აცხელეფს, აწითლეფს.

ტაოელთა მეტყველებისათვის ასევე ბუნებრივია საუბრისას ქართული ფრაზებიდან თურქულზე გადასვლა და პირუკუ, რაც ცნობილია ე.წ. ექსტრასენტენციური გადართვის სახელით (Extra-sentential switching – A ენის/დიალექტის ფრაზიდან B ენის/დიალექტის ფრაზაზე გადასვლა). მაგალითად: ზამთარში ვერ დიიჭირავ იმა, მიწაში მივა, *kışın toprağa soluyor, orada gizleniyor, yazın çıkar, sıcak olunca yukarı çıkar* („ზამთარში მიწაში მიდის, იქ იმალება, ზაფხულში ამოვა, აცხელება, მაშინ გამოვა“), მიხვდი-და?

რაც შეეხება ე.წ. ფონემურ-მორფემული გადართვის (Intra-word switching – A ენაში/დიალექტში B ენიდან/დიალექტიდან ფონემათა და მორფემათა სესხება; ასევე B ენაზე/დიალექტზე მეტყველებისას A ენისთვის/დიალექტისთვის უჩვეულო ფონემათა ჩანაცვლება რომელიმე სხვა ფონემით) შემთხვევებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ტაოურში ყველაზე ნაკლებ სწორედ კოდ-სვიჩინგის ეს ტიპი გვხვდება.

ტაოურში თურქულიდან შემოსულ სიტყვებში ხშირად აშკარაა სუბსტიტუციის შემთხვევები: სახელდობრ: თურქულ “F”, “P” ბგერებს ენაცვლება ქართული „ფ“: მეშინია ქი მიკენს **ფალან** (თურქ. falan – მგონი); **ფენა** (თურქ. fena – 1. ცუდი, ბოროტი; 2. ძლიერ, ძალიან, 3. შემძლე, მოხერხებული) დიდი სახლია; ბადვსა ათეში ქონდა და ნამსხმანი **ფაჩავრასავით** გუუხდა (თურქ. paçavra – ძველმანი, ნაფლეთი).

თურქულ “G”-ს ენაცვლება ქართული „ღ“: **ღალიბა** (თურქ. galiba – ალბათ, როგორც ჩანს) მუა ნენე; **ღენი** (თურქ. gen – უხვი, ხელგამლილი, ფართე) ხალხია გურჯები.

თურქულ “K”-ს ენაცვლება ქართული „ყ“: იმა დააბურებ, **ყაფადი** (თურქ. kapak – სახურავი) თუ არა გაქ, მააკოჭებ ლამაზა ფალას, **ყაფადი** თუ გაქ, **ყაფადებ** დააბურებ; „ორყათი სახლები დუუკეთებიან“ (თურქ. kat – სართული).

⁵ მ. ლაბაძე. ქართველურ დიალექტურ კოდთა შერევის საკითხისათვის მურღულის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა). „წელიწადეული“. II. ქუთაისი. 2010, გვ. 114-118.

თურქულ “**H**”-ს ენაცვლება ქართული „ხ“: კეცსა ჩუენში **ხაჩით** (თურქ. haç – ჯვარი) დაატრელებენ ზირში; **ხარმანი** (სპ. harman – კალო) კალოს ქეია.⁶

ტაოელი ქართველები, როგორც ვხედავთ, თურქულიდან შემოსულ სიტყვაფორმებში თავიანთი მეტყველებისთვის ბუნებრივ ფონემებს ანაცვლებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთ ფონზე ტაოურ დიალექტში თურქული ენის ხანგრძლივი და ძლიერი გავლენის შედეგად დასტურდება კბილბაგისმიერი **f** თანხმოვანი და პალატალიზებული ხმოვნები. როგორც წესი, პალატიზებული **□** და **წ** ხმოვნები, ისევე როგორც კბილბაგისმიერი **f**, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში ისმის. მაგალითად: მადლა დიდი **გ□ლია** (თურქ. güm – ტბა), გურჯი **გ□ლ** ვებნევით; **გ□ზგ□რ** (თურქ. göz göre – როგორც ჩანს, ცხადად, აშკარად) წევდა დედემ, დეძინა, არ ჩანა; **გ□ზლუღები** (თურქ. gözlük – სათვალე) გიმიტყდა და ახალი უნდა ევლო; ფენა **გწზელი** (თურქ. güzel – მშვენიერი, საუცხოო) ბგანი იყო, ფენა ლამაზი; პარხალში **გწრემ**, ბოლა **გწრემ** (თურქ. güreş – თამაში, boğa güreş – ხარების ბრძოლა) იქნება, წევდეთ, ვისეიროთ; ე **თერქი** (არაბ. taraf – მხარე, რაიონი) გწნედ მალე რი, ი **თარაჩი** ღწზედ მალე რი; ჩად **ჩაბრიკები** (თურქ. fabrika – ფაბრიკა, ქარხანა, საწარმო) არი, ემიჯებიან, კრეფენ, **ჩაბრიკა** აძლევენ...

ტაოელთა მეტყველებაში დადასტურებულ თურქულ სიტყვებში პალატალიზებული **□** და **წ** ხმოვნების გამოყენება კანონზომიერია, თუმცა ისინი უიშვიათესად გვხვდება ქართული სიტყვების ფუძეშიც, რაც ნაკლებად იყო მოსალოდნელი ზემოთ დასახელებული სუბსტიტუციის მაგალითების ფონზე. მაგალითად: **ფურწღამ** (ფურიდან – მ.მ.) ყაძმად ვიქმ, ძად ვიქმ და ყუელ ვიქმ; **ღ□ბუო** ყანებ ვთესავთ, ვყიდავთ, მარქუალსაც ვყიდავთ... ასევე დავადასტურეთ კბილბაგისმიერი **f** იმ სიტყვის ფუძეშიც, რომელშიც ამოსავალ ვარიანტში წყვილბაგისმიერი **ჰ/ფ** არის. მაგ.: ჩაი კრეფენ, ჩაბრიკა აძლევენ, ჩად იჯებიან, **ჩაქეთ** (თურქ. paket – ხეული, პაკეტი) იჯებიან...

საზგასანმელია, რომ პალატალიზებული **□** და **წ** ხმოვნები ძირითადად ისმის ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში, რომელიც უფრო უკეთ ფლობს სალიტერატურო თურქულს, ვიდრე დედაენას. ხოლო უფროსი თაობის წარმომადგენლები თურქულიდან შემოსულ ლექსიკურ ერთეულებში შესაბამისი თურქული **ö** და **ü** ხმოვნების ადგილას ჩვეულებრივ **ო** და **უ** ხმოვნებს გამოიყენებენ: გურჯი **გოლი**; ფენა **გურემი**... უფრო მეტიც, ხშირად მათს მეტყველებაში თურქულად საუბრის დროსაც კი პალატალიზებული ხმოვნები ჩანაცვლებულია სადა, ჩვეულებრივი ხმოვნებით.

ტაოურ დიალექტში ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენილია კალკური

⁶ მ. მიქაუტაძე. სამეტყველო კოდების შერევის რამდენიმე საკითხი იმერხეულში. „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის აქტუალური პრობლემები“. II. თბ. 2010, გვ. 210-217.

გადართვა, მორფოლოგიური იქნება ის, სინტაქსური თუ ლექსიკური (Calque switching – A ენაში/დიალექტში B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნა).

სინტაქსური კალკირების ნათელი ნიმუშია, მაგალითად, შედგენილი შემასმენლის თავისებური წარმოება ტაოელთა მეტყველებაში. თურქულ ენაში შედგენილი შემასმენელი მრავალფეროვნად იწარმოება და საკმაოდ პროდუქტიულია.

ტაოურში შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად გვხვდება როგორც ქართული, ასევე თურქული (ან არაბული და სპარსული წარმომავლობის) სიტყვები, ზმნურ კომპონენტად კი, როგორც წესი, ისეთი ქართული ზმნები გამოიყენება, რომლებიც ხან მარტივ შემასმენლად გვევლინებიან და ხან შედგენილი შემასმენლის ნაწილად (იჯება „ირჯება, აკეთებს, შვრება“, არის, ქნა/უქნია/იხამს, იყო, გახდა, დარჩა და ა.შ.).

მაგალითად:

ჩაფა აქ არ გუაქუა ჩვენ. ჩაფა არ ვხმაროფთ, **არ ვიჯებით ჩაფა**, თოხი, თოხითა, ჰო, მოვთხრით, ართუხ ასე იქნება (თურქ. çapa – თოხი);⁷ ვმუშ... ვსაქმოფთ, **უსტობა ვიჯებით** (თურქ. usta – ხელოსანი), მესელა, სახლ ვაკეთეფთ, ოთელ ვაკეთეფ; **დუგუნი** (თურქ. düğün – ქორწილი) **ვქენით** და, დუგუნი ჰვეა ვქენით... დანგრეველა სახლები ბითთაო. **ვერანი შექნილა** (თურქ. viran ye çevirmek – გავერანება, გაპარტახება; çevirmek – გარდაქმნა, გადაქცევა, განახლება, გადაყვანა) აღარავინ დგას რა. აქეც **ვერანე დამჩალა**, მიხვდი?

ფურები დუუაბლებიან ახლა ბითთაო, **ექინებ** აღარ **იჯებიან** (თურქ. ekin – თესვა, ნათესი, თესლი, პური), მარტო თივაზე გუგდიან ჭალა-ყანა – თურქულად **თესლს/პურს/ნათესს ვთესავთ** არის ekin ekmek; რესპონდენტი, ნაცვლად სიტყვათშეხამებისა **ekin ekmek** „ნათესს ვთესავთ“, **çapal ediyoruz** „ჩაფა არ ვიჯებით“ ტიპის შესიტყვებათა ანალოგიით, იღებს თურქული ენისათვის არაბუნებრივ **ekin ediyoruz-ს** „ექინებ აღარ ვიჯებით“ და სპონტანურად, პირდაპირ გადმოაქვს ეს გამოთქმა ქართულად საუბრისას.

სარცხელი ვქენი და ხელები მენთება, **სარცხელი** ხელითა **ვქენი** – თურქულად **სარცხის რეცხვა** არის çamaşır yıkamak; ტაოელთა მეტყველებაში დადასტურებული **სარცხელი ვქენი** მიღებულია შემდეგნაირად: რესპონდენტი თურქული düğün yaptık-ის ანალოგიით იღებს თურქულისთვისვე უჩვეულო ფორმას **çamaşır yaptım** „სარცხი ვქენი“ და ასევე გადმოაქვს ქართულად, სადაც ის კიდევ უფრო უჩვეულოდ და არაბუნებრივად ჟღერს.

ქართული ენისათვის უცხოა შედგენილი შემასმენლის ისეთი ფორმების წარმოება, როგორიც წარმოდგენილ მაგალითებშია გამოყენებული: **ვერანე შექნილა**, **სარცხელი ვქენი**, **არ ვიჯებით ჩაფა**, **დუგუნი ვქენით**, **ექინებ** აღარ

⁷ გამოყენებული გვაქვს: ა) ქართულ-თურქული ლექსიკონი. ილიდა კვანტალიანი. თბ. 2010. ბ) Türkçe-Gürcüce Sözlük. İlimi kontrol ve redaksiyon Lia Çlaidze. İstanbul. 2001.

იჯებიან ... ეს ნიმუშები კალკირებული ფორმაა შესაბამისი თურქული შედგენილი შემასმენლებისა: **viran ye çevirmek, çamaşır yaptım, çapal ediyoruz, düğün yaptık, ekin ediyoruz ...** ტაოელთა დიალექტში ხშირად დასტურდება ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსი, ქართულის ენისთვის შედგენილი შემასმენლის წარმოების ისეთი არატიპობრივი შემთხვევები, როგორც დამახასიათებელია თურქული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის.

სინტაქსური კალკია შემდეგი ტიპის მაგალითში: ჰა, **ბუქი** ისე **აბუქდება** ქი ზოხან, გაწვიმდება, **ბუქი აბუქდება** – თურქული სალიტერატურო ენისათვის უცხოა უპირო ზმნათა ისეთი წარმოება, როგორც ახასიათებს ქართულს: წვიმს, თოვს, ელავს... შესაბამისად თურქულში გვაქვს: **yağmur yağıyor** „წვიმა წვიმს“, **kar yağıyor** „თოვლი თოვს“... სწორედ, მსგავსი თურქული ფორმების ანალოგიითაა მიღებული ტაოურში შესიტყვება **ბუქი აბუქდება**.

სინტაქსური კალკირებაა სახეზე ქვემოთ ხაზგასმულ მაგალითებშიც: რად-და ვთქვა ისე? სიმღერე? ენ წინაწინ ბევრი ვიცოდი ბოძ... ასე ყარშლამა ორი თანე, ასე ეთ ადგილა მივდოდით, **სიმღერეს ვიტყოდით**. იქენდამ ჩვენ ყარშლამა **გვეტყოდეს სიმღერას** – ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის **სიმღერის თქმა, სიმღერას გვეტყოდენ, სიმღერას ვამბობდით...** უჩვეულო შესიტყვებაა და კალკირებული ფორმაა შესაბამისი თურქული შესიტყვებისა – **şarkı söylemek** „მღერა/სიმღერა“, რომელიც ქართულად სიტყვა-სიტყვით ითარგმნება სწორედ, როგორც „სიმღერის თქმა“.

სინტაქსური კალკის მაგალითია **სიზმარი მოვა თვალეფში**: იშთე დავწევებით, რამ დასთულზე, ჰემენ **სიზმარი მევა, მოვა თვალეფში**, გემეველიძეფთ ქი, არ არი სადენი – თურქულად **დამესიზმრება** არის **rüya görmek**; **მეძინება** არის **uykum geliyor**, რაც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც **ძილი მოდის**. სწორედ ამ უკანასკნელი ფორმის ანალოგიით, რესპონდენტი იღებს თურქული სთვისაც უჩვეულო ფორმას **rüya geliyor gozlerime** და ის კალკირებული ფორმით გადმოაქვს ქართულად **სიზმარი მოდის თვალეფში** სახით.

ლექსიკური კალკირებაა სახეზე, მაგალითად, შემდეგი ტიპის შემთხვევებში:

მოდრუბლუი თუ აი **ჰავა**, იმხან ემეიჯება, ბუქსა, ჰო – **ჰავა** ამ კონტექსტში **ამინდის** მნიშვნელობითაა გამოყენებული, რაც ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა ქართული დიალექტებისთვის დამახასიათებელი არ არის. ამინდის მნიშვნელობით სიტყვის გამოყენება თურქული ენის გავლენაა (მდრ.: თურქ. **hava** – ჰაერი, ატმოსფერო, ამინდი, კლიმატი);

ღარჭი პაწინაჲ არიან. **იკითხვენ**, მექთეფში **იკითხვენ**. სიტყვა **კითხვა სწავლის** მნიშვნელობით, ასევე თურქული ენის კალკია, რომელშიც ორივე ამ სემანტიკას ერთი **okumak** ზმნა აღნიშნავს;

ბეური გათოვლდება, აქობამდი, გათოვლდება; ალაპალუდი. დიდისაც არი, პატარადხაც არი. ერთი ქილო გომოვა ერ თანე. **გეიზდება ბევრი**, იცხოვრეფს, მოცემულ კონტექსტებში **ბევრის** გამოყენება ქართული სალიტერატუ-

რო ენისა და დიალექტებისათვის უჩვეულოა. თურქულად **ბევრი გათოვლდება** ჟღერს, როგორც *çok kâr yağar* „დიდს მოთოვს“, ხოლო **გაიზრდება ბევრი**, როგორც – *çok büyür*. მოყვანილ მაგალითებში რიცხვითი სახელის, **ბევრის**, გამოყენება ზედსართავი სახელის, **დიდის**, მნიშვნელობით კალკია თურქული ენისა, რომელშიც აღნიშნული რიცხვითი სახელი **çok** „ბევრი“ დასტურდება **დიდის** მნიშვნელობითაც:

რემეზან ვიჭირავთ/მარხვა ვიჭირავთ – გამოთქმა კალკირებული ფორმაა შესაბამისი თურქული შესიტყვებისა **Oruç tutuyoruz** „მარხვას ვიჭერთ“, ვინაიდან **ვიჭერთ** ფორმა **მარხვის შენახვის, მარხულობის, მარხვის** მნიშვნელობით ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის უცხოა.

ასე **მერყევა** თვალი, რუმ მერყევა, ვიტყვი ქი, უნა მეწყინოს – ფორმა **რყევა** მოცემულ კონტექსტში დადასტურებული მნიშვნელობით ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში არ გვხვდება. იგი კალკირებული ფორმაა შესაბამისი თურქული ფორმისა **seğirmek** „შეტოკება, შეხტომა, შეკრთომა“, რომელიც გამოყენებულია შესიტყვებაში **gözüm seğiriyor** „თვალი მითამაშებს“. აღნიშნული შესიტყვება სიტყვა-სიტყვით ქართულად ითარგმნება, როგორც თვალი მისტის/მერყევა/მიტოკავს/მიკრთის.

მაღებ გავგზავნით, მეცხვერე მივცემთ, მოვბრუნდები, ბოსელ **ღაფგით საყვარლა**; ფორმა **საყვარელი, კარგის** მნიშვნელობით, როგორც ეს დადასტურებულია მოცემულ კონტექსტში, ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში არ გვხვდება. იგი კალკია თურქული ფორმისა **beğenir** „მოსაწონი, სასიამოვნო, მისაღები“, რომელიც შესიტყვებაში **en çok sevilen/beğenilen** „ყველაზე საყვარელი“ გამოყენებულია სწორედ მნიშვნელობით **საყვარელი**. ზემოთ მოყვანილი ტიპის კონტექსტებში რესპონდენტი არ ითვალისწინებს ქართულში აღნიშნული ფორმების – **საყვარელი** და **კარგი/მოსაწონი** – სემანტიკურ სხვაობებს და, თურქული ენის ანალოგიით, სპონტანურად, სიტყვა **საყვარელი** გამოყენებული აქვს ქართულისათვის უჩვეული კონტექსტსა და უჩვეულო სემანტიკურ-ნიუანსობრივი დატვირთვით.⁸

გაანალიზებულმა მასალამ აჩვენა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ტაოურ დიალექტში თურქული ენის გავლენა მეტ-ნაკლებად ყველა დონეზე შეიმჩნევა: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში. როგორც მოსალოდნელი იყო, თურქული ენობრივი ელემენტების მოძალემა განსაკუთრებით ლექსიკაში იგრძნობა. კოდ-სვიჩინგის ქვეტიპებიდან ყველაზე ნაკლებად გვხვდება ფონემურ-მორფემული გადართვის შემთხვევები; ზრდადობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა ექსტრასენტენციური გადართვის ნიმუშები; რაც შეეხება დანარჩენ სამ ქვეტიპს, ისინი თითქმის ერთი სიხშირით არიან წარ-

⁸ მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია იმერხეულშიც. იხ. მ. მიქაუტაძე, გ. ქამუშაძე. სამეტყველო კოდთა შერევით გამოწვეული სემანტიკური თავისებურებანი იმერხეველთა მეტყველებაში – I. ჟურნ.: „სემიოტიკა“. X. თბ. 2011, გვ. 152-160.

მოდგენილი; მათი გამოყენების მიხედვით კი შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქული სალიტერატურო ენისა თუ დიალექტების გავლენის შედეგად ტაოურ დიალექტში აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დონეზე კალკური გადართვა სპონტანურად ხდება, რის შედეგადაც აშკარაა სიტყვათა სემანტიკური ცვლილებები; ასევე სპონტანური ხასიათისაა გადართვები სინტაქსური კალკების შემთხვევაში; სრულიად კანონზომიერი პროცესია ფონემურ-მორფემული გადართვის საფუძველზე სპეციფიკური ბგერების შესხებაც.⁹

ტაოელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი უჩვეულო სემანტიკურ-ნიუნსობრივი თუ ფორმობრივი განსხვავებულობა-თავისებურების საფუძველი თანამედროვე ტაოს მკვიდრ ავტოქტონ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

⁹ 2006-2011 წლებში იმერხევსა და ტაოში ჩაწერილი, სტატიაში გამოყენებული დიალექტური მასალა დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

Maia Mikautadze

MIXING THE SPEECH CODES IN TAO DIALECT OF THE GEORGIAN LANGUAGE

Summary

Tao, the historical part of Georgia, now forms Iusupheli Ilche, part of Artvin Ili, in the Turkish Republic.

As a result of long co-existence with the Turkish lingual world, every native-born Georgian inhabitant of Tao speaks official language of the country – Turkish. They get education in Turkish and they often use Turkish language in families.

Most of the Georgians of Tao have forgotten their historical native language and they consider themselves as ethnic Turks. The native language is kept in some villages of the Parkhalistskali valley and in all villages of Kobaistskali valley.

Century-old interrelation between Georgian and Turkish people, with different languages, beliefs and traditions, is reflected not only in social and ethnographic life of the people of Tao, but also in their speech. Due to the mixing of the Georgian and Turkish linguocultural moments, we have an interesting finding of mixing the speech codes in Tao dialect the Georgian language. Five subtypes of code-switching occur there.

The researched material made it clear that in Tao dialect of the Georgian language the influence of the Turkish language is seen at all levels: phonetics, morphology, syntax, lexics.

All that reflects that the people living in Tao are bilingual.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

როზეტა გუჯეჯიანი

სოციალური მეხსიერების ფაქტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში

თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში სოციალური (კოლექტიური) მეხსიერების ფაქტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგანაც კოლექტიური მეხსიერების მთავარი ნიშანი კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების დაკარგვა და იგნორირებაა. სოციალურ მეხსიერებაში რჩება მთავარი და არსობრივად მნიშვნელოვანი ფაქტები და ხდება მათი მკვეთრი მითოლოგიზირება.¹

თურქეთელ ქართველთა შორის შემონახული სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ანარეკლი უნივერსალური სიუჟეტების სახით არის გავრცელებული მთელ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და თურქეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირეთის რეგიონებში მცხოვრებ „მუჰაჯირთა“ შთამომავლებში.

ისტორიულ ფაქტთაგან აღსანიშნავია ამა თუ იმ ტოპონიმთან, სოფლის დაარსებასთან, ციხეების, ხიდებისა და აბანოების აგებასთან, ეკლესიებთან და ნაეკლესიარებთან, წყაროების „ამოფეთქებასთან“, არხებისა და გზების გაყვანასთან დაკავშირებული საისტორიო გადმოცემები, შემონახულია მასალა ოსმალეთისა და რუსეთის ომების დროს ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მომხადრი ბრძოლების შესახებ, რუსეთის არმიის მიერ ჩადენილი არაერთი სისასტიკის ამსახველი ამბავი, სომეხთა მიერ ქართული სოფლების რამდენიმეჯგუფის აოხრების ისტორიები. ცალკე გამოიყოფა სიუჟეტები, რომლებშიც მოთხრობილია ქართველი ქალების მშობლიურ მხარეებთან განსაკუთრებული მიჯაჭვულობისა და სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული მძაფრი ნოსტალგიის შესახებ. მაგალითად, არტანუჯის ბეგის ასულისა თუ ჩიხორელი ქალის ტრაგიკული ისტორია; საინტერესოა ე.წ. ზიარეთობასთან დაკავშირებული ტრადიციები, მოყრიანობის ხსოვნა, ზოგიერთ დღემდე არსებულ ხალხურ დღეობათა დაარსების ისტორიები და სხვ.

უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფაქტად თურქეთელ ქართველთა შორის

¹ А. Я. Гуревич. Категории средневековой культуры. М. 1972; М. Элиаде. Космос и история. М. 1987; Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекового Запада. М. 1992.

ფიქსირდება წმიდა თამარ მეფესთან („თამარ დოდოფალი“) დაკავშირებული ისტორიული მომენტები, რომლებიც ამავე დროს უნივერსალურია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისთვისაც.

თამარ მეფის ნათელი ხატება თურქეთელ ქართველთათვის ეთნიკური იდენტობის უმთვარესი მარკერია და ტრადიციულ ქართულ კულტურასთან მაკავშირებელი მთავარი სოციალური ფაქტია.

ისტორიული კლარჯეთისა (შავშეთი, იმერხევი, ნიგალის//ლიგანისა და ზედა მაჭახლის ხეობები...) და ტაოს (პარხლისწყლის ხეობის) ეთნიკურ ქართველთა შორის დაცულია მრავალი გადმოცემა თამარ დედოფალზე. თურქეთელი ქართველები თამარ დედოფალს უკავშირებენ თითქმის ყოველი ეკლესიის (ნაეკლესიარი), ციხის, ძველებური თაღოვანი ხიდის აგებას, არხის გაყვანას, წყაროს წყლის ამოფეთქვას და სხვ. ამ ადგილობრივ, ლოკალურ ნიუანსებს კეთილი ტონალობები შემოაქვს ზოგადქართულ მასალაში.²

თამარ მეფის შესახებ არსებული გადმოცემები ისტორიული მეხსიერების ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია. გადმოცემებში ასახულია საისტორიო წყაროებიდან და საეკლესიო ტრადიციებიდან შემეცნებული ელემენტები: თამარ მეფისდროინდელი საქართველოს სიდიადე, ძლიერება და სოციალური ყოფის სტაბილურობა, სამხედრო გამარჯვებები, კულტურული აღმშენებლობა, ელემენტები თამარ მეფის ბიოგრაფიიდან, თამარ მეფის წმინდანობასთან დაკავშირებული უმშვენიერესი ლეგენდა-თქმულებები და სხვა. ამ ინფორმაციათა შორის ცალკე გამოიყოფა ლეგენდა-გადმოცემათა ლოკალური მახასიათებლებით აღჭურვილი ნაწილი: ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყოველი მხრის ქართველი ხაზგასმით საუბრობს წმიდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მის კონკრეტულ მხარესთან, ამავე დროს ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემში დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მათ მხარეშია წმიდა მეფე დაკრძალული და ა.შ.

ისტორიულ ტაოში ეთნიკურ ქართველთა რამდენიმე ტრადიციული კომპაქტური დასახლება დღემდე შემონახული. ყველა მათგანში დაცულია თამარ დოდოფალთან დაკავშირებული გადმოცემები.

ექვთიმე თაყაიშვილის მასალით, „იშხანში, ხახულში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში მცხოვრებნი მათი ეკლესიების აშენებას ძლევა მოსილს, მდიდარს და შესანიშნავ დედოფალს მიაწერენ. მაგრამ სახელი მისი იციან კობაკში და ბინათში... კობაკის მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა, რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია და პარხალი... თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოეველო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან გაიარა ამ კლდესთან თავისი ჯარით, ცხენიდან ჩამოვარ-

² რ. გუჯეჯიანი. თამარ მეფის ხატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში. კრ.: „ქართულ-თურქული კულტურული პარალელები“. I. თბ. 2009. გვ. 16-28.

და და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო. პარხალის ზემო სოფლებში დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი, რომელიც იწყება სოფელ უთავიდან, კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რამდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ ზაგრიეთში; ამას მიაწერენ თამარ მეფეს და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო. კიდევ უფრო კარგად იციან თამარის სახელი ბინათის მცხოვრებლებმა (სოფელ ორჯოხის ზემოთ, ჭოროხის პირზე).³

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემების ვარიაციები დაადასტურა შ. ფუტყარაძემ XX საუკუნის მიწურულს: ქობაის მახლობლად პარიხევის დელესთან „გზიპირში ფიქლები არი. ასე შექარებული, ბელქიდა თამარ დოდოფლისი დაწყობილია. ანაი მეტყოდა: – თამარ დოდოფალსა, ის რომ მოღალულა, დარჭი ახუტებული ყოლია, იმა გზიპირში ქვებზედამ უყუდებია. იმ ბაუშუისი ფეკი ქუაში ჩაფლობოდა. ასე ფეკის კუალი არი, თოვლში რომ რაგარ ჩანს. იმაზე ფეკ მომასმევინებდა. – ფეკები გეისუენეფს, აღარ მეიღალვიო. – ის ქვა დღესაც მის ადგილ არი. ქუაბელთ და ბალხელთა, ჰეველთა იციან. ორმოც წლის ზემოთკე კაცებთ თელთ იციან. მასზე პატიტუანებთ, წურიღლთ არ იციან, იმისთვის ქი, ქომოდამ ჰევიპირიღამ ქუაბაისკე, ჰევაისკე გზა გეიკეთა თავრობამა... ზემოდამ ფეკდაფეკ არავინა იარება“.⁴ მკვლევარს ამ გადმოცემის სხვა ვარიანტიცა აქვს ჩაწერილი: „გურჯისტანიდამ გადმეარა თამარ დოდოფალმა. ასკრებიც მის უკან გადმუანურია. წითლეკარიდამ ქომოთკე, პარეკევისკე ჩომოსლიხან ზემოდან ქუები აგორდა, კილდეგნარი. თამარ დოდოფალმა შეშინდა, ასკრებიინა გემიჯრუროსო. ეიდა, ღმერთ შეესუეწა ქი, ღმერთო, ქუა მან დააყენე, ესენი გავანურიო. იქ დადგა, რო დიდი ორი ბედლინერთი ქუა, კონწოხის თავიღამ დადგა. ჰალადვენ იქ არი, გახვიდე, დეინახავ“; „ჩუენ ზუელანდელებმა ისე მითხრეს, თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა. ჩუენ ზალიან შამაყუარეს“.⁵

თანამედროვე მასალითაც, ტაოს ყოველ ქართულ სოფელში ამყობენ თამარ მეფით და აუცილებლად მოგითხრობენ რომელიმე ციხეზე, ხიდზე ან ადგილზე, რომელსაც თამარ დედოფალს დაუკავშირებენ. „*თამარაე ჩუენი დოდოფალი იყო, ოთხი თანე ქილისე უშენებია, პარხალი ქილისე თამარასი გაკეთებულია, აქ მისი მოყვანილი რუა, წყალი მოდის იქა*“. საუბარია ბალხის თემში გამავალ არხზე, რომელიც, მართლაც, XII საუკუნის ნაგებობადაა მიჩნეული. მას სავრიათის/ზავრიათის რუს უწოდებენ. ექსპედიციამ შეიარა სოფელ ზავრიათშიც//სავრიათში და აუყვა რუს რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. გადმოცემით, სავრიათი უშუალოდ თამარ მეფეს დაუარსებია, რადგან იქვე ახლოს მეფის ჯარი ყოფილა დაბანაკებული. მეფეს ბალხელებისათვის

³ ე. თაყაიშვილი. სამუსულმანო საქართველო. „დაბრუნება“. მრავალტომეული. ტ. I. გ. შარადის საერთო რედაქციით. თბ. 1991, გვ. 220-221.

⁴ შ. ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული. წ. I. ბათუმი. 1993, გვ. 173.

⁵ შ. ფუტყარაძე. ჩვენებურების ქართული, გვ. 173-174.

საგრიათში უბოძებია მამული და უბრძანებია ჯარს მომსახურებოდნენ. კეთილი სამსახურისათვის მადლიერ მეფეს გამოუყვანია არხი, რითაც ეს ახალი სოფელი სასმელი წყლით მოუმარაგებია. გადმოცემით, „*რუ ძნელად გამოხაყვანი ყოფილა, ფიცხელ კიდეებში, ფული გათავებია თამარ დოდოფალს და საჩვარები ჰქონებია ოქროსი, ისინი გუუყიდა და გუუთავებია ეს რუ*“. სოფლის ყოფილი გამგებელი/მუხტარი გამოგვყვა და მიგვიყვანა საგრიათის რუს შუა წელამდე, ამ ბოლო ხანებში რუს არხი რამდენიმეგან დაზიანებულა და საგრიათელებს შეუკეთებიათ: „*ჩვენ ვაშენეთ ტახტიდან (ფიცრით) ვაშენეთ არხი, საყუჩარი (საშიში), ბეჩი (ქვიანი) ადგილებია და გავაკეთეთ, გამოვიყვანეთ წყალი, ბეტონიდან ვაშენებინეთ. მე მუხტარი ვიყავი 3-4 წლის წინ. 500 ტორბა ცემენტი წამოვიღე ართვინიდან, იქ ვაშენეთ*“.

ადგილობრივი ტრადიციით, თამარ მეფეს უკავშირდება თითქმის ყოველი ეკლესიის, ციხის, ხიდის მშენებლობა. მაგალითად, ეფრატისა და ხერთვისის ეკლესიები, ეკლესიათა და ციხეთა დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბები (ზემო მაჭახელში), სათლელეის, დიობნისა და წეფთის ციხეები შავშეთ-იმერხევში, გოგნარის ციხე მურღულში და სხვა სულ თამარ მეფის აგებულად ითვლება.⁶

მშენებლობის ეტაპები საკრალური ელემენტებით არის აღჭურვილი. მაგალითად, წეფთის ციხის (სოფელი უსტამისი, იმერხევი) აგებისას მშენებლებს წყალი გამოლევიათ. თამარ მეფეს ღვთისთვის დახმარება უთხოვია და, მისი თხოვნით, წვიმა მოსულა. მშენებლებს წვიმის წყალი სპილენძის კასრებში შეუგროვებიათ და მშენებლობა ამ წყლით დაუსრულებიათ.

მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტები თითქმის ერთგვაროვანია, მსგავსია, მაგალითად, ზემო აჭარის ხიხანის ციხის აგების ლეგენდისა: ხიხანის//ხირხანის//ხირხათის ციხის მშენებლობისას გვირგვინოსანს ხიხადირის ციხესა და დანდალოს შუა სიგრძეზე ხალხი ჩაუმწკრივებია, რომლებიც საშენ მასალას ხელიდან ხელში აწვდიდნენ ერთმანეთს.⁷

ცნობილია თამარ მეფისეული წყაროები, მინერალური სამკურნალო წყლები, სამკურნალო აბანოები: ბუჯალში – „მეფა წკარი“ (ლაზეთი), ოთინგოს აბანო ლიგანის ხეობაში, ბაგინის აბანოები დევსქელის ხეობაში და სხვა.

თამარ მეფესთან დაკავშირებული უამრავი ხალხური ისტორიაა დაცული კლარჯეთშიც. ამ კუთხით განსაკუთრებით მრავალფეროვანი მაჭახლური გადმოცემებია.⁸

⁶ ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით. ტფ. 1911; ა. ახვლედიანი. თამარ მეფის სახე აჭარულ სიტყვიერებაში. აჭარის საგმიროსაისტორიო სიტყვიერება. ბათუმი. 1970; ტ. ფუტყარაძე. იმერტყვეის მეტყველი მიწა-წყალი. ქუთაისი. 2007; რ. მაღაყმაძე. ლიგანის ხეობა. თბ. 2008.

⁷ თ. სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბ. 1950, გვ. 200.

⁸ ცნობილია, მაჭახლის ხეობა, რომლის ძველი სახელწოდებაა „მიჭინიანის ჳევი“, 1921 წლიდან ორ ნაწილადაა გაყოფილი, ქვედა მაჭახელი საქართველოს ეკუთვნის, ზედა მაჭახელი კი თურქეთის შემადგენლობაშია მოქცეული.

მაჭახლელოთა ღრმა რწმენით, ეს მიდამოები მაჭახლელებს თვით თამარ მეფემ უბოძა ერთგული სამსახურისთვის. სხვადასხვა გადმოცემით, თამარ მეფე ზაფხულობით ხშირად სტუმრობდა მაჭახელს. იგი ხან ქვედა მაჭახლიდან (სადაც გვარას ციხეში ბინავდებოდა) ამობრძანდებოდა, ხან კი შავშეთიდან გადმოდიოდა კარჩხლის მთის გადმოსასვლელით. ერთხელაც მაჭახლის კოშკიდან გადმოუხედავს და დაუნახავს სასწაულებრივი ცეცხლი//სხივი ეფრატის (სოფელია ზედა მაჭახელში) მთაზე. მეფეს განუღაგებია ჯარისკაცები ექვსი საათის სავალზე და გაუყვანია საიდუმლო მიწისქვეშა გზა ქვედა მაჭახლის ციხიდან ზედა მაჭახლამდე და იმ ღვთისაგან მინიშნებულ ადგილზე დიდი ეკლესია აუგია, იქვე აუშენებია ციხე-კოშკიც.⁹ შავშური და ზედა მაჭახლური გადმოცემებით, თამარ მეფეს კარჩხლის მთაზეც ჰქონია ციხე და სასახლე („ნაქალაქევი“) და სწორედ აქედან დაუნახავს სასწაულებრივად ანთებული ცეცხლი//მოკაშკაშე სხივი ეფრატის ეკლესიასთან. მეფეს ეფრატის ეკლესია მალევე მოუნახულებია, თუმცა მაინცდამაინც არ მოსწონებია და ახალი ეკლესიის აგება უბრძანებია მეზობელ სოფელში – ჰერთვისში. დაუწყიათ მშენებლობა, მაგრამ მშენებლებს სამუშაო იარაღები დილაობით ადგილზე აღარ ხვდებოდათ, რაც მეფისთვის მოუხსენებიათ. მეფე დაფიქრებულა და უთქვას: თუ ასეა, შეწყვიტეთ ახალი ეკლესიის შენება, ისევ ეფრატის ეკლესია დარჩეს ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედაეკლესიად, თუმცა იგი ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვლის სამკაულებითო.¹⁰ ტრადიციული ქართული მენტალობის ისტორიის შესწავლის კუთხით საინტერესოა ეფრატის ტაძართან დაკავშირებული სხვა ლეგენდაც: „ის სხივი, ეკლესიის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულ იყო იმ ქვის ალაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი ლამპარი. ეკლესიის დასრულებისა და შემკობის შემდეგ... წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ ეს ეკლესია არამც და არამც არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოდ“.¹¹ მაჭახლელოთა დედა-ეკლესია დღეისათვის აღარ არსებობს, ნაეკლესიარზე ჯამეა აგებული, ცხადია, ლეგენდის სიუჟეტით, აქ შუა საუკუნეების მენტალობის ერთ საგულისხმო მომენტთან – ცნობილ მითოლოგიურ ფაბულასთან – ღვთიური ცეცხლის თვითჩენასთან გვაქვს საქმე, რაც ამ შემთხვევაში ღვთიური მადლის გარდამოსვლის მაუწყებელია და ერთგვარი მინიშნებაცაა იმისა, თუ სად უნდა აიგოს ტაძარი. ამგვარი პასაჟები ქრისტიანულ სიმბოლიკასთან ჰპოვებს აშკარა პარალელებს და, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი საერთოქართული მენტალური მახასიათებლების არსებობა ზედა მაჭახლის ტრადიციულ ყოფაში. აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი სიუჟეტები დღესაც ცოცხალია და ლე-

⁹ ა. ახვლედიანი. თამარ მეფის სახე აჭარულ სიტყვიერებაში, გვ. 49.

¹⁰ ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით, გვ. 22.

¹¹ ზ. ჭიჭინაძე. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით, გვ. 22-23.

გენდების ეს ვარიანტები ამჟამადაც ფიქსირდება ზედა მაჭახელში.

გადმოცემით, კარჩხლის მთის ერთ-ერთ კალთას თამარ მეფის დროს ვრცელი და კეთილმოწყობილი ქალაქი ამშვენებდა. ამ ადგილს დღეს ნაქალაქარ/ნაქალაქევს უწოდებენ. იგი დასახლებული სოფლებიდან ყველაზე ახლოს ეფრატთანაა. „*ნაქალაქარში თამარადს დროს ზამთარშიც გაზაფხული ყოფილა, სანამ თამარად კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, აქ ზამთარი არ სცოდნია, შვიდ წელიწადს პური კარჩხლის მთაზეც მოჰყავდათ ჩვენს დიდ დედებს, თამარ მეფე რომ წასულა, ზამთარი მერე დაწვებულა*“. შესაძლოა, სწორედ ამ „ქალაქს“ გულისხმობს „ტბეთის სულთა მატიანეში“ დაცული ერთი მოსახსენებელი: „თევთისძესა, რომე **ქალაქს** მოკუდა, გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“.¹²

საგულისხმოა იმერსეული მასალაც: „თამარაი ჩვენი დიდი; თამარაი აქ ყოფილა, ეს ციხე იმან ააშენა, აქ ქილისაი ყოფილა, სკოლის თავზე და **იმ ციხიდან აქ გადმოფრენილა**“.¹³ საუბარია ისტორიული შავშეთის ერთი სოფლის, დიობანის, შესახებ, სადაც ქართული კულტურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი ტერიტორიულად გვერდიგვერდაა შემონახული: მთაზე თამარის ციხის ნანგრევია აღმართული, იქვე მახლობლადაა „სამებათ“-ი და „ჯვართა“. სხვა გადმოცემით, „თამარაი სხლობანში ყოფილა, შავშეთის ყალე მას უკეთებია, უსტამისი მას აუგია, არდანუჯში უცხოვრია“.¹⁴ ასევე, „კარგად იციან თამარის სახელი ბინათის მცხოვრებლებმა. ბინათი მდებარეობს მელოს მახლობლად, სოფელ ორჯოხის ზემოდ, ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 219 სული ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს. მათი თქმულებით ამ სოფლის სახელი ასე წარმოიშვა: ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა; ცუდი ტაროსის გამო გზა ვეღარ განაგრძო და ინება დამის გათევა ამ სოფელში; მას მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა სახელი ბინათი, რომ ამით აღენიშნათ თამარის დამის გათევა ამ სოფლის ბინაში“.¹⁵ ადგილობრივ ქართველებში დღემდე შემონახული რწმენა თამარის სასწაულთმოქმედობის შესახებ („იმ ციხიდან აქ გადმოფრენილა“) მსგავსია მთელ საქართველოში მოარული სიუჟეტისა, თამარ მეფე ხომ, საისტორიო და საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი, შესაბამისდ, სასწაულთმოქმედი იყო. მაგალითად, ფშაური გადმოცემით: „თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა თურმე. ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანაფორა დაუგავ ისე დავალა ზღვაზე და ჰაერში“;¹⁶ ან თუნდაც, სვანური გადმოცემით, „*თამარ მეფის დროს სვანეთში ზამთარიც არ ყოფილაო*“, ხოლო ზედა მაჭახლური გადმოცემით, მანამ, „*სანამ თამარად კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, ამ მხარეში ზამთარი არ სცოდნია*“.

ბუნებრივია, კონკრეტული ქრისტიანული რელიგიური ცოდნა (თამარ მეფის წმინდანობის შესახებ) აქ დაკარგულია, მაგრამ ტოპონიმებში, ლეგენდებ-

¹² ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ. 1977, გვ. 214.

¹³ ტ. ფუტყარაძე. იმერჯევის მეტყველი მიწა-წყალი, გვ. 60.

¹⁴ რ. გუჯუჯიანი. საველე-ეთნოგრაფიული მასალა. ტაო-კლარჯეთი. 2007.

¹⁵ ე. თაყაიშვილი. სამუსულმანო საქართველო, გვ. 221.

¹⁶ ვ. ბარდაველიძე. ივრის ფშავლებში. დღიური. თბ. 1941, 2003, გვ. 61.

სა და სხვადასხვა სიუჟეტებში დაცული თამარ მეფის ხატება და ძველი დიდების მატერიალური ნაშთების (ციხეები, ხიდები, ნაეკლესიარები, არხები) თამარ მეფისეულად მიჩნევა, **ქართველთა ისტორიასთან და ქართულ კულტურასთან იდენტობის მასულდგმულზელი მომენტებია.** ამგვარი საგულისხმო მენტალური პასაჟები წარმოდგენილია თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალითაც. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში დღემდე არსებული ისტორიული მეხსიერების ფაქტები და ტრადიციული ქართული მენტალური მახასიათებლები თვითმყოფადი ქართული კულტურის მობილობის კიდევ ერთი თვალში საცემი ნიშანია.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით ფასეულია ლაზურ საისტორიო თემატიკაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში გამომკრთალი თამარ მეფის ხატება. მასალას ცნობილმა მკვლევარმა ზ. თანდილაგამ მიაკვლია. მან ყურადღება გაამახვილა თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ ლაზეთში დაფიქსირებულ (XVII ს.) ლექსზე. ეს ლექსი პირველი ლაზური ფოლკლორული ჩანაწერია და არაბული ტრანსკრიპციითაა შესრულებული, რის გამოც მასალა, ბუნებრივია, უამრავი ხარვეზისა და უზუსტობის შემცველია. რთული კვლევა-ძიების შედეგად, ზ. თანდილაგამ აღადგინა ლექსის თავდაპირველი ფორმა:

„თუნას არ უღუნ თაბანჩარუ,
თამარ პანდა ფალიკარუ,
აფხანკა ღურატუნა,

გებლაფეის დოხვამუ (ან: გებლაფეის—თი ხვამუ).

სალიტერატურო ქართულზე გადმოტანის შემდეგ ლექსი ამგვარად ელერს:

„ქვეყნად ერთია დამბაჩიანი,
თამარ მუდამ გმირი,
ამხანაგი რომ მომკვდარიყო,

დამარხული დალოცა (ან: დამარხულსაც ღოცავდა)“.

ზ. თანდილაგას დაკვირვებით, „XVI საუკუნიდან ლაზებს ბევრი ძლიერი სულთანი და ფაშა უნახავთ. თუ სულთანებისა და ფაშების ქება თურქული ფოლკლორის... ერთ-ერთ ძირითად თემას წარმოადგენს, ლაზურ პოეზიაში მათი სახელის მადიდებელი ერთი ტაეპიც არა გვაქვს. პირიქით, ლაზურ ფოლკლორში იმ სახალხო გმირთა სახელებია დაცული, რომლებსაც ოსმალთა დამპყრობლური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში პატივი და სიყვარული დაუმსახურებიათ“.¹⁷

თამარ მეფის ხსოვნა ლაზთა მეხსიერებაში XX საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ დაცული ყოფილა. იგი გვხვდებოდა ტოპონიმებში, ისტორიულ გადმოცემებსა და თქმულებებში. განსაკუთრებით საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის მიერ ლაზეთში ჩაწერილი ლექგნდა: ერთხელ თამარ მეფეს დასჭირვებია... ნაშთების (ეკლესიების) შეკეთება. ამიტომ მას თავიდან თმის ღე-

¹⁷ ზ. თანდილაგა. ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი. 1972, გვ. 151-163.

რი გამოუძვრია და ლაზებისათვის მიუცია. ამ თმის საშუალებით ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მადანი უპოვნიათ და ამით დაუმთავრებიათ ის მშენებლობა. თამარ მეფეს ლაზები დაულოცავს და მათი ხელოვნება უკურთხებია, ამიტომაც ვართ ლაზები განთქმულ ხელოსნებიო.¹⁸

თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში შემონახულია მრავალი ლეგენდა წმინდა მეფის სამუდამო განსასვენებლის ადგილსამყოფელის შესახებ: მაჭახლელები და იმერხეველები ამბობენ, თამარ მეფე კარჩხლის მთაზე გარდაიცვალა და იქვე,¹⁹ ნინო წმიდის//ინეწმიდის ხეობაში, დაუსაფლავებიათო. იმერხევის ზოგიერთ სოფელში ჩაწერილი სხვა მასალით, თამარ დედოფალი სხლობანში მარხია, ან შავშეთის ციხეში, ან წყეთის ციხეში და სხვ. ლიგანის (ნიგალის) ეთნოგრაფიული მასალით, თამარ მეფე მურღულში ასაფლავია; დევსქელის ხეობაში ამბობენ, რომ სოფლის უკიდურესი ჩრდილო საზღვრის მთებში შემონახული ნაეკლესიარია დედოფლის უკანასკნელი განსასვენებელი და ა.შ.

თამარ მეფისდროინდელი ძლევამოსილი საქართველო ყველა შემდგომი დროის ქართველის სიამაყის ამოუწურავი წყაროა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მოტივების არსებობა ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა დარჩენილ ეთნიკურ ქართველებში. წმინდა მეფეს უკავშირებს ყოველი მხრის ქართველი საქართველოს დიადი წარსულით გამოწვეულ სიამაყეს. ნაკლებად სახარბიელო თანამედროვე მდგომარეობა და უთუო ნათელი მომავლის რწმენაც ურთიერთგადაჯაჭვულია და, შეიძლება ითქვას, თამარ მეფის ხსოვნა ქართველთა ეთნიკური მენტალობის უშრეტი წყაროა, რომელიც ამავე დროს ჩვენი ეროვნული კულტურისა და დღევანდელი ქართველის მიერ ტრადიციულ მენტალობასთან და კულტურასთან გადებული ხიდის სიმბოლო-საც წარმოადგენს. თამარ მეფის ხატება უძლიერესი ნიშაა ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარებისათვის და იგი ერთგვარი მონაცემთა ბაზაა საქართველოს საზღვრებს მიღმა მოქცეული ეთნიკური ქართველების თანამედროვე ქართულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრირებისა და ადაპტაციისათვის. კოლექტიურ ისტორიულ მესხიერებაში დავანებული თამარ მეფისა და XII საუკუნის ძლიერი საქართველოს ხსოვნის მიზეზი და მიზანი ქართული კულტურის შემდგომი აღორძინება და განვითარებაა.

ტრადიციულ ქართულ კულტურასთანაა დაკავშირებული ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველი მოსახლეობის ყოფაში ფიქსირებული „ზიარეთობის“ ტრადიცია. „ზიარეთობა“ საინტერესო სოციალური ფაქტია. ტოპონიმი ზიარეთი რამდენიმე ადგილის სახელად შემორჩა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევართა ნაშრომებში ტოპონიმ „ზიარეთთან“ ერთად აღწერილია „ზიარეთობის“ ტრადიციაც. განსაკუთრებით დაწვრილებით ეს ტრადიცია ნ.

¹⁸ ზ. თანდილავა. ლაზური ხალხური პოეზია, გვ. 161.

¹⁹ იმერხევისა და მაჭახლის გამყოფი კარჩხლის მთის მახლობლად.

მარს აქვს ჩაწერილი იმერხევში: „თეთრაქედლები, ცხადია, მუსლიმები, მიყვებოდნენ, თუ როგორ დადიოდნენ სალოცავად (ზიარეთი) ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ახლა ნანგრევებადაა ქცეული; ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყოფთ და ამევიღებთ, წავიდებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის, აჭარას. ფორტის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაა მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი. ზიარეთში დაწვებიან. სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო და ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლაეს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, კარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია“. ადგილობრივმა ქართველებმა ნ. მარს საზიარეთოდ სიარულის მიზეზიც აუხსნეს: „ზიარეთში მიდიან ფორტის, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის. კარი არა აქ, შევა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვეცხლი არ იქნება. მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი), მომ აანთებს, სამ, შვიდ, ხუთ, ცხრას. ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დაწვება. თუ არ ნახა სიზმარი, არ მოუხდა. თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტონს რაცხას, ისე ეჩვენება) ასვამს და ეტყვის ყურბანიო (ქართ. ყურბანდო)“. სანთლებს ქვაზე აკრავენ. მლოცველები იქ რჩებიან 1-3 დღე, შორიდან მოსულები კი უფრო – ხანგრძლივი დროითაც. საზიარეთოდ მიემართებიან მაისსა და ივნისში, მიდიან ფეხით.²⁰ ნ. მარი თვითონაც შეესწრო სალოცავალ მიმავალთა პროცესიას იქვე, იმერხევის სოფელ იფრხეველში. „საზიარეთოდ“ მიმავალი მლოცველთა ჯგუფი საკმაოდ დიდი ყოფილა. ადგილობრივმა მცხოვრებმა მოსიძემ მკვლევარს აუხსნა, რომ ეს ქალები და მათი ქმრები 3 დღე დარჩებოდნენ მთაში სალოცავად. ხოჯები ძალიან ებრძვიან ამ ჩვეულებას და ამბობენ, რომ მთებში არავითარი ზიარეთი არ არისო, მაგრამ მოსახლეობა ეწინააღმდეგება მოლებს, არ უჯერებს მათ და აგრძელებს თავისი ძველი წეს-ჩვეულების შესრულებასო.²¹

ე. თაყაიშვილის მასალით, იგი ამავე დროს იმოწმებს ნ. მარის ნაშრომსაც, „სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიების ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ დამეს; თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმროთ დამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეუ-

²⁰ Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. წიგნში: Георгий Мерчул. Жизнь св. Григория Хандзтийского. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. кн. VII. СПб, გვ. 79-81.

²¹ Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, გვ. 45.

ლებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, ასეთ ქცევას ხალხს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიების ნანგრევებია დაცული“.²²

ტოპონიმები „ზიარეთი“ და „ზიარეთობა“ ახსოვთ დღევანდელ იმერხეველებს, მაჭახლელებს, მურღულელებს, დევსქელის ხეობელებს, ქლასკურელებს, ხებელებს, აგრეთვე, ტაოელებსაც (ხევაი, ბალხი, ქობაი). მთავარი მატერიალური მახასიათებელი ზიარეთად მიჩნეული ადგილისა, არის იქვე ნაეკლესიარისა და ქრისტიანული სასაფლაოს არსებობა.²³

ტოპონიმი ზიარეთი და საზიარეთოდ წასვლის ტრადიცია ხშირ შემთხვევაში უკავშირდება **თამარ მეფის ხსოვნასაც**. იმერხევის, ტაოსა და ნიგალის ხეობის მასალით, ზოგიერთ „ზიარეთთან“ მთხრობელები თამარ დედოფლის საფლავის არსებობას ვარაუდობენ: „*თამარაი სხლობანში ყოფილა, შავშათის ყალე (სათლელის ციხე) უკეთებია, უსტამისი მას აუგია, მთაში ასულა, მომკვდარა, იქ ახლა ზიარეთია.*“ არსებობს **თამარ დედოფლის წყარო** ბაძგირეთის მთაში. „*ჯანჯირთან ახლოს არის ქილისეები, თამარას წყაროს უკან, იქ დედოფლის ალაზანია/ავაზანია. იქ იყო თამარ დედოფალი და იქ მოკვდა. მეზერი არი, იქზე ზიარეთია*“ და სხვ. მაჭახლის „ქალქის“ მიდამოებში არის მაჭახლელთა ზიარეთი, საიდანაც იმერხევის სოფლებში გადასახლებული ბილიკებია (ბაძგირეთი, ივეთი). ზიარეთი მთაშია, რომელსაც ლეკობანს უწოდებენ. ინეწმინდის/ნინოწმიდის გადაღმა, უკვე იმერხევიში, ბაძგირეთელთა ზიარეთია. „*ბაძგირეთზე ასე მარჯვნივ ტყია, იქ არის ზიარეთი*“. „*ზიარეთზე ორ-სამ წელიწად მარუნია ჩემმა დედამ. იქზე ერთი დიდი ქვა იყო, ქვაში, გეკონება, ცხენის ფეხი ეტყობოდა. ავად ვიყავი და დედას დავყავდი, იქ დამაწვენდნენ, მორჩებო, იტყოდნენ. სამ-სამი დამე ვრჩებოდი*“. „*ზიარეთზე წამიყვანეს, 7-8 წლისა ვიყავი. ცოტა ჭკუიდან ლეჩობა მქონდა. მაზინეს, მაზინეს, ვერ დამაძინეს. ვატყუილე, რომ დავიზინე, ვერ დამაზინეს*“. ბაძგირეთელები თავიანთ ზიარეთში ორი გზით აღიოდნენ. ერთი ბილიკი საძგირელას ველიდან მრცხნივ მიემართება: „*გაივლი გაკაფულაი-ს და ჩახვალ ზიარეთში*“. მეორე გზა – „*ჯანჯირის მთიდან გაიარ, ნახევარ საათში იქ ხარ*“. „*იქ ბევრი ძველ საფლაგებია, ლამაზი ადგილია, ქეებია და ლამაზი კორდია*“. „*ზიარეთ ჯანჯირთან ახლოა. ვიარებოდი იქზე*“. თანამედროვე იმერხეული მასალით, ყველაზე დიდი ზიარეთი პორტაში იყო. აქ საუბარია ნ. მარის მიერ აღწერილ პორტის ზიარეთზე. პორტაში დღეს ქართველები აღარ ცხოვრობენ. „*დიდ ზიარეთია პორტას, იქ წამიყვანეს. იქ ავედი. ერთი შეშის ოთახი იყო, ერთიც – ქვისა. გარეთ ხეები იყო. იქ ემეები დავაბით, შალის ნაფრეწები დავადით. მაძინეს. ერთ დამე დამაზინეს, მერე ვერ მაძინეს. ბევრი ვი-*

²² ე. თაყაიშვილი. სამუსულმანო საქართველო, გვ., 220.

²³ მ. ბერიძე, რ. გუჯუჯიანი. „ზიარეთობის“ ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობის“ (მაისი. 2010). მასალები. ხულო-დიდაჭარა. 2010, გვ. 175-179.

ყავით პორტას, ვინცხას რაცხა დარდი ქონდა, მთელი წავედით. ვიწრო გზები იყო, ზოგი დაგორდენ. 9-10 წლისა ვიყავ. დილაზე გავედით, ერთი დღე ვიარეთ. მერე ღამე იქ დავდექით“. თანამედროვე მთხრობელთა ბავშვობაში (ანუ XX საუკუნის შუა წლებში) პორტაში „სახიარეთოდ“ დადიოდნენ ბაძგირეთიდან, გამიშეთიდან და ზაქიეთიდან, ასევე უსტამისიდან: „ბერთადან უნდა აიარო ზემოთა, იქაცაა ზიარეთი. პორტაის ზირში. ჩემი ქალი იყო იქა“. უსტამისის თემის იაილები ბაძგირეთელთა იაილებს ემეზობლება: „ახლოს არის, გედიარ. იქ ალაგია ზიარეთი. იქ ვინცხა წევს. ვინმე ავად იყო, იქ ავიდოდა, იქ დეიზინებდა, კარგათ გახდებოდა. მეზერები ეტყობა ახლაც“. „ყვანილიან ჯვარში არის მეორე ზიარეთ. ის უფრო ზემოდ არის. ჩვენი მოხობანნი იაილის თავში“. დიობნელების ზიარეთი დღესაც არსებობს. „ბოჯანათი გადიხარ, იფხრეველს გაიარ, იქ ახლოს საფლავეებია, მეზრები, იმას ჰქვია ზიარდთ. იქ რომ გაიარო, დმერთი ღამაზად შეგხედავსო“. ამ ზიარეთში მიმავალ მლოცველებს აღწერს ზემოთ ნ. მარი. სურევანის ზიარეთი მეჰელე დღვაბიეთის მახლობლად: „ღამაზ დუზხე ორი მეზერია და იქაა ზიარეთი, ნანგრევებია იქ, ძველი. ღამაზია“. რამდენიმე ზიარეთია ხება-მარადიდის მთებშიც. „სოფელ მონასტირის მახლობლად, ძველი ქილისე იყო იქ“. მურდულის ხეობაში ერთ-ერთი ზიარეთი თამარ დედოფლის სახელს უკავშირდება. „ზიარეთ თეფუა, იქ თამარ დოდოფალი მოსულა, წმალი უჭამია, მომკვდარა და მკვდარი იქ ჩუფულენ“. „ზიარეთ ონმავლის იაილის ახლოსაა. იქ დიდი ყანაა. წაყლი გუჟყვანია გოგოს და იქ მომკვდარა. იქ ზიარეთ თეფუში ჩადებულ იყო“.

შემონახულია საინტერესო გადმოცემები ჩიხორელ ქალზე, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო ოსმალებს წაუყვანით სამშობლოდან. ქალის გასაოცარ სიღამაზეს თვით „ყველაზე დიდი ბეგი“ მოუხიბლავს და ცოლად შეურთავს. ქალი სამშობლოს მონატრების გრძნობას დაუსწეულებია და გარდაცვლილა. მრავალი ვარიანტია შემონახული არტანუჯის ბეგის ასულზე, რომელსაც მიჯნურთან დაცილების შემდეგ „წამალი უსმია“ და მომკვდარა და ა.შ.

პარხლისწყლის ხეობის ზემო წელის ქართულ სოფლებსა და იმერხევეში დაცულია რუსეთის ჯარის სისასტიკის ამსახველი ისტორიები, აგრეთვე – XX საუკუნის 10-იან წლებში სომეხთა რაზმების თარეშის შესახებ იმერხევის სოფლებში.

რასაკვირველია, სოციალური მეხსიერების ფაქტები მრავალმხრივ საყურადღებო ელემენტებია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ტრადიციულ კულტურასთან მაკავშირებელი კოლექტიური მეხსიერების ესა თუ ის მოტივი. ამ მხრივ, თამარ მეფის სახებაა უმთავრესი და მასში ფოკუსირებულია ყველა მხრისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან.

Rozeta Gujejiani

**THE FACTS OF SOCIAL MEMORY IN THE TRADITIONAL LIFE OF THE
GEORGIANS IN TURKEY**

Summary

Several facts of social (collective) memory are preserved in the traditional life of Georgians in Turkey. Every historical passage, as a result of historical-ethnographic research, is evidently separated from a concrete historic environment and time, but this is natural, because the main sign of the collective memory is the separation from the concrete and individual signs. The main and essentially important facts stay in social memory and are mythologised. The most important social facts among the Georgians in Turkey are the historical moments related to King Tamar (“Queen Tamar”) which are universal for every historical-ethnographic region of Georgia, but among the Georgians in Turkey the image of King Tamar is the main marker of the ethnic identity and the social connection to the traditional Georgian culture. The reflections of several historical facts, which are spread as universal plots in historical Tao-Klarjeti and among the descendants of the so-called Muhajirebi living in central and Black Sea regions of Turkey, are discussed in the same context.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უღაბნოთა
თბილისი. 2012

ლერი თავაძე

კურაპალატის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლში (ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ვითარება IX-X საუკუნეებში)

ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულებს შორის კურაპალატის პატივი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.¹ კურაპალატის ტიტული იყო პირველი უმაღლესი რანგის სენატორული ტიტულებიდან, რომელიც უკვე VI საუკუნიდან ჩნდება ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. საქართველოში კურაპალატის ტიტულის უკანასკნელი მფლობელი XI საუკუნის მეორე ნახევარში ფიქსირდება.²

კურაპალატი რომაულ/ბიზანტიურ სამყაროში შეიქმნა და გვიანანტ-

¹ კურაპალატის ტიტულის შესწავლა დიდი ხნის განმავლობაში მრავალი მეცნიერის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ერთმა ნაწილმა მას მთელი ნაშრომები მიუძღვნა, სხვამ აღნიშნული ტიტულის ბუნებას შედარებით მცირე მონაკვეთი დაუთმო, თუმცა მათი შენიშვნები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. კურაპალატის ტიტულის შესახებ იხილეთ: J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos. London. 1911, გვ. 33-35; R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curpalate. Byzantina. 2. 1970, გვ. 187-249; ODB. Vol. 2, გვ. 1157.

² საქართველოში კურაპალატის ტიტულის გავრცელებას მრავალი მკვლევარი შეეხო, მათ შორის იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი II. თბ. 1965, გვ. 109-115; შ. ბადრიძე. ქართველთა სამეფოს პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან (ცენტრალური ხელისუფლება). თსუ შრომები. ტ. 113. ისტორიის მეცნიერებათა სერია V. თბ. 1965, გვ. 217-268; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბ. 1963; ქსე. ტომი 6. თბ. 1983, გვ. 78; ნ. ლომოური. საქართველო და ბიზანტიის ურთიერთობა. ნაწილი I (IV-IX სს.). თბ. 2011, გვ. 178-179; C. Toumanoff. Caucasia and Byzantium. Traditio. Vol. 27. 1971, გვ. 120-122. ქართველთა სამეფოს შესახებ IX-X საუკუნეებში იხილეთ შემდეგი შრომები: თ. ლომოური. სუმბატ დავითის-ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები მე-9-მე-10 სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. ტფ. 1925; კ. კეკელიძე. აშოტ დიდის ქრონოლოგიისათვის. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 8. თბ. 1962, გვ. 251-257; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი II. თბ. 1973, გვ. 445-489; შ. ბადრიძე. დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის. თსუშ. B 8-9 (155-156), თბ. 1974; ქსე. ტომი 10. თბ. 1986, გვ. 462-463; აღ. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ. 1988; ზ. პაპასქირი. ქართველთა პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). ისტორიანი – სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70-ე წლისთავისადმი. თბ. 2009, გვ. 158-180; Cambridge Medieval History. Vol. IV – Byzantine Empire. Part I. Cambridge University Press. 1966, გვ. 609-618.

იკურ პერიოდში დაბალი რანგის მოხელეს წარმოადგენდა. *Cura palatii* (ლათ. სასახლის მზრუნველი) მშენებლობის ხელმძღვანელსა და იმპერატორის სასახლის მეთვალყურის თანამდებობა იყო.³

დასავლეთ რომის იმპერიაში კურაპალატი კასტრენსის დაქვემდებარებული პირი იყო, ეს უკანასკნელი კი *Notitia Dignitatum*-ში იხსენიება, როგორც *Castrensis sacri palatii*, ანუ წმინდა სასახლის კასტრენსისი.⁴ როგორც ჯონ ბაგნელ ბარი აღნიშნავს, მოგვიანებით, V საუკუნის კონსტანტინოპოლში კურაპალატის თანამდებობა არათუ გამოყოფილია კასტრენსისის სახელოსგან, არამედ თავისი მდგომარეობით მასთან გათანაბრებულია.⁵ იმავე V საუკუნეში იმპერატორ იუსტინე I-ის (518-527 წწ.) მმართველობის დროს რომაელი დიდებულისა და პატრიკოსის, ნომოსის (ან ონინოსის) შვილიშვილი ცოლად გაჰყვა ლაზიკის მეფე წათე I-ს. სწორედ ეს ნომოსი იწოდება აპო კურაპალატად (ყოფილი კურაპალატი).⁶ აქ უკვე კურაპალატი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც იმპერატორთან დაახლოებულია, ხოლო მისი ოჯახის წევრს უცხო ქვეყნის, ლაზიკის მმართველზე აქორწინებენ იმპერატორის ბრძანებით.

ასეთი საპატიო ქორწილისთვის, რომელსაც ლაზების მეფე და აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველი წრე უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან, დაბალი რანგის რომაელი დიდებულები ვერ შეირჩეოდა. ამგვარად, კურაპალატის მდგომარეობა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში VI საუკუნის დასაწყისისთვის საგრძნობლად არის გაზრდილი. როგორც ჯ. ბ. ბარი აღნიშნავს, უკვე იმპერატორ ანასტასიუსის (491-511 წწ.) მმართველობიდან მოყოლებული კურაპალატის თანამდებობა მნიშვნელოვნად უნდა ყოფილიყო დაწინაურებული.⁷

V საუკუნის ბიზანტიის სენატში ამ თანამდებობის მფლობელი სპექტაბილისის (*vir spectabilis*) რანგში იყო აყვანილი, მოგვიანებით კი – ილუსტრისის (*vir illustris*). სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა იუსტინიანე I დიდის (527-565 წწ.) იმპერატორობის დროს, როდესაც მან საკუთარ დისწულს და მომავალ მემკვიდრეს, იუსტინეს, უბოძა კურაპალატობა (552 წლის 28 იანვარ-

³ ODB. Vol. 2, გვ. 1157.

⁴ Extracts from the *Notitia Dignitatum*. Trans. by W. Fairley. University of Pennsylvania Press. 1894, გვ. 4, 14-15.

⁵ J. B. Bury. *Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos*. London. 1911, გვ. 33.

⁶ J. B. Bury. *Imperial Administrative System of the Ninth Century*, გვ. 33; R. Guiland. *Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate*, გვ. 189; იოანე მაღალა. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1936, გვ. 264; *Chronicon Paschale*. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი IV. ნაკ. 1. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1941, გვ. 11-12.

⁷ J. B. Bury. *Imperial Administrative System of the Ninth Century*, გვ. 34.

ი).⁸ ამის შემდეგ კურაპალატის ტიტული ხდება რიგით მესამე პატივი ბიზანტიის იმპერიაში.⁹ ვინაიდან თავად იუსტინიანე I დიდის მმართველობის დროს არ ფიქსირდება არც კეისრისა და არც ნოველისიმოსის ტიტულები, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უმაღლესი სენატორული პატივი იყო მთელი თანამეგობრობის მასშტაბით.

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე ჯონ ბაგნელ ბარის შენიშვნა, რომელიც წერს, რომ იუსტინიანე I-მა დიდმა თავის დისწულს, იუსტინეს, კურაპალატის ტიტული მიანიჭა, რითიც ამ ტიტულს იმპერიის ტახტის მემკვიდრის ფუნქცია შესძინაო. ხოლო კეისრის ტიტულის უგულებელყოფას ჯ. ბ. ბარი იუსტინიანეს პირადი შეხედულებებით ხსნის და მოტივად შურს ასახელებს.¹⁰ როგორც ცნობილია, იუსტინიანე I დიდი სანამ იმპერატორი გახდებოდა, ფლობდა ჯერ ნოველისიმოსის, ხოლო შემდეგ კეისრის ტიტულებს, როგორც აღმოსავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრე. ყველა ეს ტიტული მან სენატის წყალობით მოიპოვა. იმპერატორი იუსტინე თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ აიძულეს უმაღლესი რანგის ეს ტიტულები გადაეცა იუსტინიანესთვის. იუსტინიანე მისი შვილად აყვანის შემდეგ, ფაქტობრივად, სათავეში ედგა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ამდენად, ასეთი აქტიურობა და მისი დაწინაურება ბიძამისის იმპერატორობის პერიოდში ნაკლებ გასაკვირია.¹¹ ამგვარად, იუსტინიანე I-მა დიდმა (527-565 წწ.), განსხვავებით ბიძამისისგან, არ ისურვა, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გაეცა ნოველისიმოსისა და კეისრის ტიტულები საკუთარ მემკვიდრეზე, რაც შეიძლება გამხდარიყო საბაბი იმისა, რომ იუსტინიანე დიდმა საკუთარი მმართველობის დროს სრული უგულებელყოფა გაუკეთა კეისრის და ნოველისიმოსის ტიტულებს, ხოლო თავის მემკვიდრეს, იუსტინეს, კი მიანიჭა უფრო დაბალი კურაპალატის ტიტული, რომელიც იმპერატორის შემდეგ ყველაზე საპატიო ტიტულად აქცია მთელ იმპერიაში. აღნიშნული მოტივი სრულიად შეესაბამება იუსტინიანეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ვერ იტანდა მასზე რაიმე სახით უპირატეს ადამიანებს და ცდილობდა, ყველაფერში სხვაზე მაღლა დამდგარიყო, ასევე ნაკლებად ითვალისწინებდა სხვის აზრს (გამონაკლისი, ალბათ, მისი მეუღლე, თეოდორა, იყო) და მოქმედებდა თავისი შეხედულებების შესაბამისად. მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ეს ნიშან-თვისებები კარგად აქვს შემჩნეული პროკოპი კესარიელს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ტენდენციურობას იჩენს თავის „საიდუმლო ისტორიაში“, საერთო ჯამში, გარკვეულ ობიექტურ წარმოდგენას გვაძლევს

⁸ The Prosopography of the Later Roman Empire. Vol. 3. A.D. 527-641. J. R. Martindale. Cambridge University Press. 1992, გვ. 755.

⁹ ODB. Vol. 2, გვ. 1157.

¹⁰ J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 34.

¹¹ A. A. Vasiliev. Justin the First: An Introduction to the Epoch of Justinian the Great. Harvard University Press. 1950, გვ. 93-94.

იუსტინიანე I დიდის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე.¹² სწორედ იმპერატორის პირადულმა მოტივებმა განაპირობა სასახლის მეთვალეურის რიგითი თანამდებობის ასეთი სახის დაწინაურება.

რაც შეეხება იუსტინეს, იგი იმპერატორად კურთხევამდე (565 წლამდე), 552-565 წლებში, სწორედ კურაპალატის ტიტულის მფლობელია. იუსტინე, როგორც კურაპალატი, ითვლებოდა ბიზანტიის სენატის უმაღლესი რანგის, გლორიოსისიმუსის (gloriosissimus), პატივის მქონებელად. იგი ფლობდა საპატიო ექსკონსულის (ex consule) თანამდებობასაც.¹³ იუსტინე II-მ (565-578 წწ.) იმპერატორად კურთხევამდე კურაპალატად დანიშნა თავისი სიძე, ბადუარიუსი. ეს იყო ტიტული, რომელსაც იმპერატორი ტახტის დაკავებამდე თავად ატარებდა და რითიც ბადუარიუსი, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრედ გამოაცხადა.¹⁴ ფლავიუს კორიპუსის მიხედვით, იუსტინიანე I დიდის დროს კურაპალატი კეისრის თანაბარი პატივი იყო.¹⁵

ამრიგად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კურაპალატის ტიტული ორი იმპერატორის, იუსტინიანე I დიდისა და იუსტინე II-ის, მმართველობის დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრის ფუნქციას ითავსებდა.¹⁶ სიტუაცია შეიცვალა იმავე იუსტინე II-ის (565-578 წწ.) მმართველობის დროს, როდესაც იმპერატორს ფსიქიკა შეერყა, რის ფონზეც აღარ შეეძლო მმართველობა და მის ნაცვლად იუსტინეს უახლოესი მეგობარი ტიბერიუსი აიყვანეს კეისრის პატივში.

აღნიშნული მოვლენა ბადუარიუსის დამცრობას მოჰყვა შედეგად, რომელსაც 573 წლის 6 ოქტომბერს ფსიქიკაშერყეულმა იმპერატორმა, იუსტინე II-მ, მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა და საგანშმოდ მყოფი ძალის გამოყენებით გააგდებინა იქიდან. შემდეგ კი დედოფალ სოფიას ჩარევით იმპერატორმა თითქოს მოუბოდიშა კიდევ ბადუარიუსს,¹⁷ თუმცა ტიბერიუსის კეისრის რანგში აყვანა ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ, 574 წელს, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბადუარიუსი დამცრობილ იქნა, ხოლო მის მაგიერ ტახტის მემკვიდრე

¹² იუსტინიანეს პიროვნული დახასიათების შესახებ იხილეთ პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორია“, იხ.: The Secret History of Procopius. Trans. from Latin by R. Atwater. First pub. in 1927. Repr. in 2007, გვ. 37-39.

¹³ The Prosopography of the Later Roman Empire. Vol. 3, გვ. 755.

¹⁴ The Prosopography of the Later Roman Empire. Vol. 3, გვ. 164.

¹⁵ J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 34; Flavius Cresconius Corippus. In laudem Iustini Augusti Minoris. Libri IV. Edited with translation by Averil Cameron. The Athlone Press, University of London. London 1976, I, 134.

¹⁶ R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 189.

¹⁷ The Chronicle of Theophanes Confessor: The Byzantine and Near Eastern History AD 284-813. Trans. with introd. and comm. by C. Mango and R. Scott. Clarendon Press: Oxford. 1997, გვ. 364; The Prosopography of the Later Roman Empire. Vol. 3, გვ. 164. იმპერატორის მობოდიშების სცენა ზედმეტად მხატვრულად არის აღწერილი თეოფანე აღმსარებლის (დაახ. 760 - 817/8 წწ.) მიერ, როგორც ჩანს, იმპერატორისა და ბადუარიუსის კონფლიქტი ამით არ ამოიწურა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ტიბერიუსის აღზევება ტახტის მემკვიდრედ, რომელიც ქრონოლოგიურად სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა.

ტიბერიუსი გახდა.

ტიბერიუსი კეისრად თავად იმპერატორმა იუსტინემ (როდესაც ოდნავ გამოვიდა მდგომარეობიდან) და მისმა მეუღლემ, სოფიამ, დაამტკიცეს 574 წელს.¹⁸ აქედან მოყოლებული კურაპალატის ტიტული მყარად ინარჩუნებს მესამე პოზიციას (კეისრისა და ნოველისიმოსის შემდეგ) იმპერიის საკარისკაცო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე. კურაპალატის მდგომარეობა კარგად არის ასახული ბიზანტიურ ტაქტიკონებშიც, რომლებიც, მართალია, მოგვიანო პერიოდშია შედგენილი, მაგრამ კურაპალატის ტიტულთან მიმართებით ასახავს იმ ვითარებას, რომელიც VI საუკუნის მეორე ნახევრიდან დამყარდა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში.¹⁹ სიმპტომატურია ისიც, რომ ბატონიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756 წწ.) საკუთარ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ქართლის პირველი ერისმთავრის, გუარამის,²⁰ კურაპალატად აღზევებას ამ მოვლენის ახლო ხანებში საზღვრავს და 575 წლით ათარიღებს.²¹ შესაძლოა, არსებობდა რაღაც ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ვახუშტი აღნიშნული მოვლენის სწორ დათარიღებას გვაძლევს. ყოველი შემთხვევისთვის, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღი (575 წელი) კარგად უდგება კურაპალატის ტიტულის მქონე ბაღუარიუსის დამცრობას (573 წელი) და კეისრობის ხელახლა აღორძინებას იმპერატორის მემკვიდრის რანგში (574 წელი), რასაც იმავე ხანებში მოჰყვა კურაპალატის უკვე ოდნავ დამცრობილი ხარისხის ქართველ ერისმთავარზე გაცემა. ამით ქართლის მმართველის პოლიტიკური სტატუსი იმპერატორის ყოფილ მემკვიდრეს გაუთანაბრეს. არ არის გამორიცხული ისიც, რომ გუარამს კურაპალატობა ბაღუარიუსის სიკვდილის შემდეგ მიეღო. ეს უკანასკნელი კი, როგორც

¹⁸ W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997, გვ. 223.

¹⁹ N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris. 1972, გვ. 46-47, 136-137, 242-245, 262-263, 293.

²⁰ გუარამის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე ქართული საისტორიო წყარო გვაწვდის, მათ შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, ჯუანშერ ჯუანშერიანი და სუმბატ დავითის ძე. იხ.: მოქცევაჲ ქართლისაჲს: ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ. 2007; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წგნ.: I (V-X სს.), რედ. ილია აბულაძე, თბ. 1963, გვ. 95; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 226, 360-361; ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 218-220, 373-374; იმავე გუარამის შესახებ ინფორმაცია გვაწვდის ბიზანტიური წყაროები და ნუმიზმატიკური მასალა იმ განსხვავებით, რომ ამ წყაროებში იგი მოხსენიებულია გურგენის სახელწოდებით. ამის გამო ისტორიოგრაფიაში მას ხშირად გუარამ-გურგენადაც იხსენიებენ, იხ.: თეოფანე ბიზანტიელი. გეორგიკა. III, გვ. 257-258; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტომი I. თბ. 2006, გვ. 133-142.

²¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 119.

ცნობილია, 576 წელს დამარცხდა ლომბარდებთან შეტაკებაში, რის შემდეგაც გარდაიცვალა, შესაძლოა, ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებისგანაც.²² ამრიგად, კურაპალატის ტიტული ვაკანტური შეიქმნა, ეს კი გვაფიქრებინებს იმას, რომ გუარამის მიერ კურაპალატის პატივის მიღება ვახუშტის ქრონოლოგიასთან შეჯერებით, დაახლოებით, 575-576 წლების ახლო ხანებით განვსაზღვროთ.²³ შესაბამისად, სკეპტიციზმი, ქართველი ერისმთავრის მიერ კურაპალატის ტიტულის VI საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ, არ მიგვაჩნია გამართლებულად.²⁴ აქედან მოყოლებული, როგორც ისტორიოგრაფიაში არის შენიშნული, კურაპალატობა გადაეცემოდა ან იმპერატორის ოჯახის წევრებს, ანდა უცხო ქვეყნის მმართველებს (მაგ.: ქართლისა და სომხეთის).²⁵

კურაპალატის ტიტული VI-IX საუკუნეებში უშუალოდ იმპერატორის ოჯახის ახლო წევრებზე გაიცემა. იმპერატორი მავრიკე (582-602 წწ.) ამ ტიტულს გადასცემს თავის ძმას, პეტრეს. იმპერატორი ფოკასი (602-610 წწ.) თავის ძმისწულს, დომენციოლოსს, აიყვანს იმავე პატივში. მომდევნო იმპერატორი ჰერაკლე (610-641 წწ.) თავის ძმას, თეოდორეს, უბოძებს კურაპალატის ტიტულს. ლეონ III ისავრიელი (717-741 წწ.) – თავის სიძეს, არტავაზდს, ხოლო ნიკიფორე I (802-811 წწ.) ასევე თავის სიძეს, მიხაელს აიყვანს აღნიშნულ პატივში.²⁶

აღნიშნული ტიტული ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას X საუკუნეშიც, როდესაც იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა (963-969 წწ.) მას გადასცემს თავის ძმას, ლეონ ფოკას. პირველად ბიზანტიაში იმპერატორის ოჯახის წევრების გარდა (ასევე, მათი გამოკლებით, ვინც ქართლსა და სხვა ქვეყნებს მართავდნენ), რომლებმაც ეს ტიტული მიიღეს, იყო ბარდა სკლეროსი, რომელიც 976-979 წლებში სერიოზულ აჯანყებას აწყობს იმპერატორის წინააღმდეგ. მან კურაპალატობა სიკვდილამდე (999 წელი) შეინ-

²² The Prosopography of the Later Roman Empire. Vol. 3, გვ. 164-165.

²³ დავით მუსხელიშვილი მონეტებსა და ბიზანტიურ წყაროებში დაფიქსირებულ ქართლის პირველ ერისმთავარ გურგენსა და ქართული ნარატიული წყაროების გუარამ კურაპალატს სხვადასხვა პირად მიიჩნევს. გურგენის მოღვაწეობას იგი 571-580-იანი წლებით საზღვრავს, ხოლო გუარამ კურაპალატის მოღვაწეობას – VI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოთი. იხ.: დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003. თუ აღნიშნულ შეხედულებას გავითვალისწინებთ, გუარამის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღება VI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოთი უნდა განისაზღვროს. თუმცა, ჩვენი აზრით, გუარამისა და გურგენის სახელების მსგავსება, ასევე მათი მოღვაწეობის პერიოდი და ქართლში ხელისუფლების ხელახალი აღორძინების ფაქტი გვაფიქრებინებს იმას, რომ წყაროებში დაფიქსირებული ამ ორი სახელის მქონე პიროვნების გაიგივება სრულიად რეალურად მივიჩნიოთ.

²⁴ ნაწილი მკვლევარებისა, ფაქტობრივად, უყურადღებოდ ტოვებს ქართლის მმართველის მიერ VI საუკუნეში კურაპალატის ტიტულის მიღების ქართულ წყაროებში დაფიქსირებულ ფაქტს, იხ.: R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 215; ქსე. ტომი 6. თბ. 1983, გვ. 78.

²⁵ ODB. Vol. 2, გვ. 1157.

²⁶ J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 34.

არჩუნა.²⁷ XI საუკუნეში კურაპალატები ხდებიან, იმპერატორის ოჯახის წევრების გარდა, სხვა ბიზანტიელი დიდებულებიც, მაგალითად, კატაკალონ კეკავემნი, ნიკიფორე ბოტანიანტე (სანამ იმპერატორი გახდებოდა 1078 წელს) და სხვა.²⁸ აღნიშნული ტიტულის დაკნინება XI საუკუნეშივე უნდა დაწყებულიყო, როდესაც მას უფრო ინტენსიურად გასცემენ, ვიდრე მანამდე. ხოლო XI საუკუნის ბოლოს უკვე ჩნდება პროტოკურაპალატი, ანუ კურაპალატთა შორის უპირველესი.²⁹ ეს ფაქტი ამ ტიტულის ფართო გავრცელებაზე მიანიშნებს, რის გამოც მათ შორის კონკრეტული პირების გამოსარჩევად ახალი ტიტულის შექმნა გახდა საჭირო. მიუხედავად დაკნინებისა, კურაპალატის ღირსება ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე შემორჩა ბიზანტიური ტიტულატურის იერარქიას, თუმცა ბიზანტიის იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში ინტენსიურად აღარ გაიციმოდა.³⁰

კურაპალატი თავდაპირველად, როგორც აღვნიშნეთ, სამოხელეო ფუნქციას ითავსებდა და იმპერატორის სასახლის მეთვალყურის, მზრუნველისა და ადმინისტრატორის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. იმპერატორ ანასტასიუსის (491-511 წწ.) დროს იგი უკვე საკმაოდ არის დაწინაურებული, ხოლო იუსტინიანე I დიდის დროიდან ოფიციალური ტიტულია და მისი მფლობელი იმპერატორის შემკვიდრე ხდება, რითიც კურაპალატი კარგავს სამოხელეო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს და უმაღლესი სენატორული პატივი ხდება მთელ იმპერიაში. ამ პოზიციას კურაპალატი ინარჩუნებს, ვიდრე იუსტინე I-ის (565-578 წწ.) მმართველობის დასაწყისამდე, ხოლო შემდეგ ადგილს უთმობს კეისარს. საბოლოოდ იგი მესამე პოზიციას იკავებს ბიზანტიურ საიმპერიო-საკარისკაციო ტიტულატურაში.

ბუნებრივია, როგორც საიმპერიო-საკარისკაციო ტიტულის მფლობელს, კურაპალატის ტიტულის მქონებელსაც ეძლეოდა საპატიო ინსიგნიები, ანუ ძალაუფლების ნიშნები. ინვესტიტურის გადაცემა ხდებოდა თავად იმპერატორის მიერ ან მისივე საგანგებო დადგენილებით. ინვესტიტურას შეადგენდა წითელი ხიტონი, რომელიც შემკული იყო ოქროს ორნამენტებით. ინვესტიტურას შეადგენდა ასევე ხლამიდა და სარტყელი, რომელთაც იმპერატორი თავად გადასცემდა მომავალ კურაპალატს მთავარ ეკლესიაში.³¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ შედგენილ ცერემონიების წიგნში (De Cerimoniis Aulea Byzantinae) აღნიშნულია, რომ კურაპალატის ტიტულის გადაცემა ხდებოდა

²⁷ R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 201.

²⁸ R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 201-204; ODB. Vol. 2, გვ. 1157.

²⁹ V. Laurent. Argyros Karatzas, procurapalates et duc de Philipopolis. Revisia Istorica. 29. 1943, გვ. 203-210; Studies in Byzantine Sigillography. Vol. 8. Ed. by J.-C. Cheynet and C. Sode. Munich, Leipzig. 2003, გვ. 181.

³⁰ კურაპალატის ტიტულის გავრცელებაზე XI-XIV საუკუნეების ბიზანტიის იმპერიაში იხილეთ: R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 201-213; ODB. Vol. 2, გვ. 1157.

³¹ N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 96-97; Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis Aulea Byzantinae. Libri Dou. Graece et Latine. Ed. by I. Reiske. CSHB. Bonnae. MDCCCXXIX (1929), გვ. 229-231; J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 22.

საგანგებო ცერემონიაზე, თუმცა იქვეა მითითებული, რომ მისი გაცემა შეიძლებოდა მის გარეშე.³² კურაპალატად დანიშვნის წესიც იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის წიგნში ვრცლად არის მოცემული.³³

მსგავსად სხვა უმაღლესი საიმპერიო ტიტულის მფლობელებისა, კურაპალატის ტიტულის მფლობელი იღებდა ყოველწლიურ სარგებელს საკუთარ ტიტულზე, თუმცა ხშირად ისე ხდებოდა, რომ იმპერატორის ხაზინიდან თანხა მხოლოდ იმ პირებზე გაიცემოდა, რომლებიც კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ ან იმპერიის ცენტრის უშუალო სიახლოვეს. ხდებოდა თანხის შერჩევით გაცემაც, ყოველივე, როგორც წესი, იმპერატორის ნებაზე იყო დამოკიდებული. თუმცა, შერჩევითობის პრინციპი ხშირ შემთხვევაში უკმაყოფილებას იწვევდა, ამის გამო მრავალი არისტოკრატი პროტესტს გამოხატავდა იმპერატორთან აღნიშნული მოვლენის მიმართ.³⁴

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურაპალატის ტიტულს VI საუკუნის ბიზანტიაში იმპერატორის შემდეგ ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი უკავია მთელი თანამეგობრობის მასშტაბით. ამის შემდეგ ამ ტიტულის მიღება კეისრისა და ნოველისიმოსის ტიტულების პარალელურად იმპერატორის ოჯახის წევრების პრივილეგია გახდა. აღნიშნულ სტატუსს იგი ინარჩუნებს IX-X საუკუნეების ჩათვლითაც.

კურაპალატის ტიტულის მფლობელი იღებს ინსიგნიებსა და ინვესტიტურას იმპერატორის ბრძანების შესაბამისად, მასვე ეძლევა ფინანსური სარგო, ყოველწლიური წყალობის, როგას (ქართ. როქი), სახით. კურაპალატის სოციალური სტატუსი VI-XI საუკუნეების ჩათვლით ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაწინაურებულია მთელი ბიზანტიის თანამეგობრობის ჩათვლით. იგი დასახელებულია იმ ექვსი ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულისა თუ თანამდებობის მქონე საერო და სასულიერო პირებს შორის, რომლებიც ადგილს იკავებენ იმპერატორის გვერდით ოფიციალური ბანკეტის დროს – ფილოთეოსის ტაკტიკონის (899 წელი) მიხედვით ესენია (რიგითობის დაცვით): კონსტანტინოპოლის პატრიარქი, კეისარი, ნოველისიმოსი, კურაპალატი, ბასილევოპატორი, ზოსტე პატრიკია.³⁵ დაახლოებით იგივე ვითარებაა ე.წ. ბენემევიჩის ტაკტიკონის (შედგენილია 934-944 წლებში) მიხედვით, იმ განსხვავებით,

³² J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 35; Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis Aulea Byzantinae. I, გვ. 231.

³³ Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis Aulea Byzantinae. I, გვ. 229-231.

³⁴ აღფრედ რამბოს მოჰყავს გრიგოლ ტარონიტისის მაგალითი, რომელიც ყოველწლიურ წყალობას იღებდა იმპერატორისგან როგას (სპეციალურად განსაზღვრული ყოველწლიური ჯამაგირი – ლ. თ.) სახით, რაც გახდა კიდევ საბაბი იმისა, რომ იბერიის მეფემ, ვასპურაკანის მეფემ და მეფეთ მეფემ (იგულისხმება სომხეთის შაჰან შაჰი ანუ ანისის მეფე – ლ. თ.) წერილი გაუგზავნეს იმპერატორს, რომელშიც გულისწერომას როგას შერჩევითობის პრინციპით გაცემის გამო. იხ.: A. Rambaud. L'Empire grec au dixième siècle. Constantin Porphyrogénète. Paris. 1870, გვ. 515; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი II. თბ. 1965, გვ. 112.

³⁵ N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 134-137.

ვებით, რომ აქ თავში დასახელებულია რომის პაპი, ხოლო ბასილეოპატორის შემდეგ დასახელებულია პროედროსი, დანარჩენის მდგომარეობა უცვლელია.³⁶

საქართველოში კურაპალატის ტიტული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, VI საუკუნეში ჩნდება. თუმცა განსაკუთრებული გავრცელება IX-X საუკუნეებში ჰპოვა, როდესაც ამ ეპოქაში არსებულ ქართველთა სამეფოში (ისტორიო-გრაფიაში ცნობილია ასევე ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით) ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ტიტული გახდა.³⁷ უფრო მეტიც, ეს ტიტული იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ სამეფოს „ქართველთა საკურაპალატოდ“ მოიხსენიებენ.³⁸ თუ რამდენად სწორია აღნიშნული დეფინიცია ქართველთა სამეფოს მისამართით, ცალკე საკითხია. დამოუკიდებელ განხილვას მოითხოვს ისიც, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კურაპალატის ტიტულს ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში, რასაც დაეთმობა კიდევ აღნიშნული სტატია.

ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბება ბაგრატიონთა გვარის სახელმწიფო მოღვაწის, აშოტ I დიდის (787-826 წწ.), სახელს უკავშირდება.³⁹ აშოტი თავიდან ქართლის ერისმთავარი ყოფილა. მოგვიანებით არაბების წარუმატებლობასთან ერთად ბიზანტიასთან ომში და სახალიფოს დასუსტების პირობებში აშოტი არაბებს აუჯანყდა. არაბების წინააღმდეგ აჯანყება ბიზანტიის მოკავშირეობის გარეშე წარმოდგენელი იყო. უკვე აშოტის მამას, ადარნასე ბაგრატიონს, სამფლობელოები ბიზანტიის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან ჰქონდა.⁴⁰ ეს კი, ბუნებრივია, ბიზანტიის მესვეურთა თანხმობასაც გულისხმობდა აღნიშნული ტერიტორიის კონტროლის საქმეში. აშოტი, მამის მიერ კონსოლიდირებულმა საერისთავომ მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. საერთოდ, VII-VIII საუკუნეების საქართველოში რამდენიმე საერისთავო იყო შექმნილი, რომლებიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ სუსტი ცენტრალური ხელისუფლებისა და მძლავრი

³⁶ N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 242-245.

³⁷ ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში: ნარკვევები ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში. პირველად გამოიცა 1935. შრომები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 86; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II, გვ. 455-467.

³⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II, გვ. 446; ქსე. ტომი 10. თბ. 1986, გვ. 462.

³⁹ აშოტის შესახებ იხილეთ: ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 128-129; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე; ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. პირველად გამოიცა 1954. თხზულებათა კრებული. ტ. II. ნაწ. I. თბ. 2009, გვ. 43-70; ზ. პაპასქირი. ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IX ს. I მეოთხედში. ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა. კრ. საქართველო და მსოფლიო ისტორია და თანამედროვეობა. ბათუმი. 2009.

⁴⁰ გ. მამულა. ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სახლთა ურთიერთობა VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე. სმამ. ტ. 67. № 1. 1972.

შეუვალობის პირობებში.⁴¹ საქართველოში კი ამ დროს სამი სუპერძალა იბრძოდა გავლენის მოპოვებისთვის, მათ შორის იყვნენ: ბიზანტიის იმპერია, არაბთა სახალიფო, ხაზართა ხაკანატი.⁴² ყველა ამ ძლიერი ქვეყნის პოლიტიკა ექსპანსიონისტურ ხასიათს ატარებდა და რეგიონის მასშტაბით ჰეგემონობის დამყარებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული სახელმწიფოების ინტერესები ყველაზე მძაფრად საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთებოდა.

აღნიშნულ სამ ქვეყანას შორის ყველაზე გავლენიანი არაბთა სახალიფო იყო. შესაბამისად, საქართველოში არსებული პოლიტიკური ერთეულების დიდი ნაწილი ხალიფას უზენაესობას სცნობდა. აშოტისა და სხვა ადგილობრივი კავკასიელი მმართველების მიზანი არაბეთის ბატონობის დამხობა იყო. არაბეთში მიმდინარე არეულობამ, სოციალურმა დაპირისპირებამ და ბაბექის (არაბ. ბაბაკ, სპარს. პაპაკ) აჯანყებამ⁴³ აშოტს ხელი გაუხსნა ანტიარაბული კამპანიის გასაძლიერებლად. ამ წამოწყებაში მნიშვნელოვანი ადგილი ბიზანტიის მესვეურთა პოლიტიკურ და მორალურ მხარდაჭერას ჰქონდა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა და ბიზანტიის პოლიტიკური მხარდაჭერისა, აშოტის სამხედრო კამპანია წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა იგი ბოლომდე იბრძოდა ქართლისთვის, ხოლო პოლიტიკურ ცენტრად გარეშე მტრებისგან შედარებით უფრო დაცულ ადარნასე ბაგრატიონის სამფლობელოებს ირჩევდა. აშოტის მამის, ადარნასეს, სამფლობელოები „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით შემდეგია:

„სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგაღისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოისა ტაოისაჲ, და ციხეთაგანცა, რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“.⁴⁴

ამდენად, ჯერ კიდევ აშოტის მამის, ადარნასეს, დროს კლარჯეთი ბაგრატიონების პოლიტიკურ ცენტრად იქცა საქართველოში. ქართული წყაროების ჩვენებით, სწორედ არაბთა ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლისთვის იღებს აშოტი ბიზანტიის იმპერატორისგან კურაპალატის ტიტულს. „მატიანე ქართლისაჲში“ ვკითხულობთ:

„ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა. რამეთუ მათვე ჟამთა

⁴¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 385-387, 417-420.

⁴² საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქაში მომძლავრებული არაბებისა და სხვა დამპყრობლების შესახებ იხილეთ: ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში. პირველად გამოიცა 1936. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 342-411; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963, გვ. 113-134; ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით). თბ. 1991; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში.

⁴³ D. Sourdel. Bābak. Et. New edition. Vol. I. Leiden. 1986, გვ. 844.

⁴⁴ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 252; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 255.

შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღვრებელი და განწობილებელი. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს და მოუძღვრებულ იყვნეს სარკინოზნი. და განდიდნა აშოტ კურაპალატი“⁴⁵

კურაპალატის ტიტულით იხსენიებს მას სუმბატ დაგიითის ძეც, თუმცა არ აღწერს იმას, თუ რა ვითარებაში და რა მიზეზით დაეუფლა აშოტი კურაპალატობას. სამაგიეროდ, სუმბატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელმწიფება აშოტ I-მა კურაპალატმა სწორედ ბიზანტიის იმპერატორის ნებით დაიმკვიდრა:

„და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჰელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისადათა“⁴⁶

ამგვარად, ქართული წყაროების ცალსახა ჩვენებით, კურაპალატობა და ხელმწიფება, ანუ დამოუკიდებელი მმართველობის უფლება აშოტს ბიზანტიის იმპერატორისგან მიუღია. აშოტ I კურაპალატის სახელს უკავშირდება ქალაქი არტანუჯის განახლება და მისი გადგაქალაქება. ეს ყველაფერი იძლევა იმის საფუძველს, რომ სწორედ იგი მივიჩნით ახალი ქვეყნის, ქართველთა სამეფოს, დამაარსებლად.⁴⁷ როგორც ისტორიოგრაფიაში არის გარკვეული, კურაპალატის ტიტული აშოტმა 813 წელს მიიღო იმპერატორ ლეონ V არმენიელის განკარგულებით.⁴⁸

აშოტის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღება რომ ვასალურ დამო-

⁴⁵ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 252; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 255.

⁴⁶ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 376; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 363.

⁴⁷ პავლე ინგოროყვას აზრით, სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი“ აშოტის მიერ შექმნილი სახელმწიფოს აღსანიშნავად არ გამოდგება. შესაბამისად, ავტორი „ტაო-კლარჯეთის სამთავროს“ ნაცვლად გეთავაზობს ტერმინს „ქართველთა სამეფო“. პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ აშოტმა თავი მეფედ გამოაცხადა, ხოლო მას შემდეგ, რაც იმპერატორმა მას უბოძა კურაპალატობა, იგი იწოდა მეფედ და კურაპალატად. (პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 9, სქ. 33). ზოგადად აშოტ I დიდის მოღვაწეობისა და ამავე ეპოქაში ქართველთა სამეფოსა და ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ იხილეთ იმავე ავტორის იგივე მონოგრაფია: პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 43-70, 112-115.

⁴⁸ ვარდან არეველცის ცნობით, აშოტმა ისარგებლა არაბთა სახალიფოში მიმდინარე დაპირისპირებით (809-813 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომი) და ბიზანტიის იმპერატორის ლეონ V არმენიელს (813-820 წწ.) ეახლა კონსტანტინოპოლში შემწეობის სათხოვნელად. თუ გავითვალისწინებთ ლეონ V-ის სომხურ წარმომავლობასა და მის დაინტერესებას კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების გადმობირების საქმეში არაბთა წინააღმდეგ, მაშინ ნათელი გახდება ისიც, რომ აშოტის თხოვნა იმპერატორს მალევე უნდა დაეკმაყოფილებინა. იმავე წელს უნდა მიეღო აშოტს კურაპალატის ტიტულიც, რაც 813 წლით არის განსაზღვრული. იხ.: Всеобщая история Вардана Великого. Переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М. 1861, გვ. 98-99; С. Toumanoff. The Bagratids of Iberia from the Eighth to the Eleventh Century. Le Maseon. 74. 1961, გვ. 11-12; С. Toumanoff. Caucasia and Byzantium. Traditio. Vol. 27. 1971, გვ. 122; Cambridge Medieval History. Vol. IV – Byzantine Empire. Part I, გვ. 610.

კიდებულებას გულისხმობდა, ეს მოსაზრება არ არის ახალი.⁴⁹ ამ მოსაზრებასთან ერთად შოთა ბადრიძე თვლიდა, რომ კურაპალატობის მიღებით აშოტი თავის ძველ ტიტულს – ერისთავს – ახლით ანაცვლებს, რაც გულისხმობდა არა ერისთავის ან მისი სახეცვლილი ფორმის – ერისმთავრის – გამოყენებას უმაღლესი პოლიტიკური უფლების აღმნიშვნელ ტერმინად, არამედ კურაპალატის. შოთა ბადრიძე წერს:

„წყაროები, რომელთა გააზრება სწორადაა შესაძლებელი მმართველობის მეორე პერიოდიდან მხოლოდ კურაპალატის პატივით იცნობენ აშოტ დიდს. ამიტომაც ბუნებრივია, წამოიჭრას ვარაუდი, რომ ბიზანტიასთან გასაღურ პირობაზე მოქცევის დროიდან კურაპალატობამ შთანთქა ერისთავის სახელი. პირველმა მთლიანად შეცვალა მეორე.“⁵⁰

შოთა ბადრიძე არ სჯერდება იმის აღნიშვნას, რომ კურაპალატმა ერისთავის ფუნქცია გადაფარა და იქვე აღნიშნავს, რომ ტიტულ „კურაპალატსაც“ უნდა შეეცვალა თავისი შინაარსიო.⁵¹ ამაში მკვლევარი იმას გულისხმობს, რომ კურაპალატობა უკვე, როგორც უმაღლესი პოლიტიკური უფლების აღმნიშვნელი სახელი, მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. აღნიშნული თვალსაზრისის გასამყარებლად შოთა ბადრიძეს სუმბატ დავითის ძის შემდეგი პასაჟი აქვს მოშველიებული:

„ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა 7 გ. და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს.“⁵²

მოტანილ წყაროში არსად ჩანს, თუ ვინ დაამტკიცა დავით I (876-881 წწ.) ბაგრატის ძე კურაპალატად. ხოლო იმისთვის, რომ მსგავსი ვარაუდი საფუძვლიანად ჩაითვალოს, მკვლევარს ესაჭიროება სულ მცირე ერთი მაგალითის მოყვანა მაინც, როდესაც კურაპალატის ტიტულს ანიჭებენ საქართველოში ბიზანტიის ყველანაირი ჩარევის გარეშე. მსგავსი მაგალითი კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთოდ არ არსებობს. უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ ქართული წყაროების მონაცემებს, მაგალითად, დავით III კურაპალატის შესახებ, ვერ შევხვდებით ცნობას, თუ ვინ და როდის გადასცა მას ბიზანტიური ტიტული (კურაპალატი). მაშინ, როდესაც ბიზანტიურ საისტორიო წყაროში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II დიდმა დავითის წინააღმდეგ გაილაშქრა და აიძულა, დამორჩილებოდა, ხოლო მისი სამფლობელოები სამემკვიდრეოდ დაემტკიცებინა იმპერატორისთვის. იმპერატორმა წყალობის ნიშნად დავითს კურაპალატის ტიტული უბოძა. აღნიშნულ მოვლენას, იაპია ანტ-

⁴⁹ შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 221.

⁵⁰ შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 221.

⁵¹ შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 221.

⁵² შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 222; ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 366.

იოქიელის მიხედვით, ადგილი 990 წელს ჰქონდა⁵³ და არა დავითის მმართველობის დასაწყისშივე, როგორც ეს შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს ქართული წყაროებიდან.⁵⁴ აშოტის კურაპალატობაზე ანალოგიური ცნობა მოგვეპოვება, ოღონდ უკვე ქართულ წყაროში, სადაც გარკვევით არის მითითებული, რომ მან კურაპალატობა ბიზანტიის იმპერატორისგან (ბერძენთა მეფე) მიიღო.⁵⁵ აშოტის მიერ (813 წელი) და დავითის მიერ (990, ან 977/9 წელი, ამ თარიღის შესახებ მსჯელობა იხილეთ ქვემოთ) კურაპალატის ტიტულის მიღება იმპერატორის სპეციალური განკარგულებით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველთა სამეფოში მთელი IX-X საუკუნეების განმავლობაში კურაპალატის ტიტულის გაცემა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის პრივილეგია იყო და ის მემკვიდრეობით არასდროს გადაიცემოდა. მსგავსი ვითარებაა თუნდაც მანამდე და მას შემდეგაც, ვიდრე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულატურა არსებობს საქართველოში XI საუკუნის ჩათვლით.

ეს რაც შეეხება კურაპალატის ფუნქციის შეცვლას, რის შესახებაც, ბუნებრივია, არ ვიზიარებთ შოთა ბადრიძის მოსაზრებას. უფრო მეტიც, ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, თითქოს აშოტის დროს კურაპალატის ტიტულმა ერისთავის სახელო ჩაანაცვლა. ჩვენი აზრით, კურაპალატმა კი არ ჩაანაცვლა ერისთავის სახელო, არამედ ისინი არსებობდნენ ერთმანეთის პარალელურად. ერისთავი შესაძლოა ყოფილიყო კურაპალატი თუ შესაბამის ტიტულს გასცემდა იმპერატორი კონკრეტულ ფეოდალზე, რომელსაც ერისთავის სახელო ჰქონდა მიღებული.

რაც შეეხება დიდი ერისთავობის, ანუ ერისმთავრობის, დამცრობას, ეს ფაქტი ძველი, უმაღლესი პოლიტიკური უფლების აღმნიშვნელი ტერმინის, „მეფის“ აღდგენასთან უნდა იყოს კავშირში. ამ მოვლენას აშოტ I კურაპალატის მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი. აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა (ე.ი. დიდ ერისთავთა) შორის,⁵⁶ ხოლო

⁵³ В. Степаненко. К датировке получения сана Куропалата Давидом II Багратидом Тао. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 227. თბ. 1982, გვ. 72-77; ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში, გვ. 181-183.

⁵⁴ მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ეგრის-აფხაზეთის მეფის დემეტრეს (967-973 წწ.) მმართველობის დასაწყისში აჯანყდა მისი ძმა, თეოდოსი, რომელიც ამ აჯანყების მიმდინარეობისას დამარცხდა და, წყაროს მიხედვით, „წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა და მუნ დაყო წელიწადი ერთი“ (ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 266). აღნიშნული პასაჟის მიხედვით, დავითი X საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს კურაპალატის ტიტულს ატარებს, ეს მაშინ, როდესაც უფრო სანდო ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით დგინდება, რომ ის დემეტრეს მმართველობის პერიოდში მხოლოდ მაგისტროსის ტიტულს ატარებდა. იხ.: ვ. სილოგავა. ოშკი: X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006, 134-139.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 252; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 255.

⁵⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 43-57. სხვა იმ ეპოქიდან უნდა ყოფილიყო ლეონ II, რომელიც ქუთაისში მეფედ კურთხევამდე აფხაზეთის ერისთავია, ხოლო ეგრისში იოანე არჩილის ძის გარდაცვალების შემდეგ მეფედ იქნა გამოცხადებული, რო-

ხელმწიფების, ანუ დამოუკიდებელი მმართველობის ლეგიტიმაცია, როგორც აღენიშნეთ, ბიზანტიის იმპერატორისგან მიიღო. სუმბატთან მითითებული თარიღის გათვალისწინებით, ტიტული „ქართველთა მეფე“ 888 წელს შემოიღეს. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მეფის ტიტული ჰაერიდან იქნა მოტანილი ან ყველანაირი წინასწარი ნიადაგის შექმნის გარეშე მოხდა ამ ტიტულის დამკვიდრება. ადარნასეს ქართველთა მეფედ კურთხევას უკვე ჰქონდა შემზადებული ნიადაგი აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებით, უბრალოდ წყაროში არ ჩანს, თუ რა კონკრეტული ტერიტორიის მეფედ მოიაზრებდა თავს აშოტ I კურაპალატი, მაგრამ ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება, ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ.⁵⁷ რეალურად აშოტი მესხეთსა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს. სავარაუდოდ, აშოტი თავს ჯუანშერის ლეგიტიმურ მემკვიდრედ თვლიდა, რასაც მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობა იმის შესახებ, რომ ჯუანშერ არჩილის ძის სიკვდილის შემდეგ (787 წელს) მის ადგილზე აშოტი გახდა ერისმთავარი.⁵⁸ ეს ყველაფერი გარკვეული სახეცვლილი ფორმით გაფორმდა 888 წელს, როდესაც ადარნასე ოფიციალურად იწოდა „ქართველთა მეფედ“.⁵⁹ ნაწილი ისტორიკოსებისა თვლის, რომ ამ აქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 895, 897 ან 899 წელს,⁶⁰ თუმცა ამაზე ამჯერად არ შევჩერდებით.

როგორც ისტორიოგრაფიაში არის გაზიარებული, კურაპალატის ტიტულის მფლობელები ბიზანტიის იმპერატორის სიმპათიითა და აღიარებით სარგებლობდნენ ქართველთა სამეფოში. სწორედ კურაპალატის ტიტულის მფლობელს თვლიდა ბიზანტიის იმპერატორი „ქართველთა სამეფოში“ ყველაზე უპირატესად, სხვა მმართველებისგან განსხვავებით. ითვლება, რომ კურაპალატის ტიტულის გაცემით იმპერატორები უპირისპირდებიან ადგილობრივ იერარქიულ სისტემას, რომლის სათავეშიც „ქართველთა მეფე“ მოიაზრება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის, ცნობები, რომელშიც იგი ქართველებს „კურაპალატის იბე-

გორც არჩილის სახლის ერთადერთი ლეგიტიმური მემკვიდრე. იხ.: ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 254-255; ს. ჯანაშია. О времени и условиях возникновения Абхазского царства. პირველად გამოიცა 1940. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 322-341. დ. ლეთოლიანი. აფხაზეთი. თბ. 2012, გვ. 55-78.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 252; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 255; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 14.

⁵⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 127-8.

⁵⁹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 366; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი II, გვ. 114.

⁶⁰ შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 223-224.

რებად“ (οἱ Ἰβηραεζ, ἦγουν οἱ τῶν κουροπυλάτου) მოიხსენიებს.⁶¹ აღნიშნული კარგად ეხმაურება ბიზანტიის პოლიტიკას ქართველთა სამეფოს მისამართით, რომლის მიხედვითაც ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ბიზანტიის იმპერატორს მისივე ხელდასმული კურაპალატი მიაჩნია. ტიტული „კურაპალატი“ ბიზანტიის მესვეურთათვის გახდა ერთგვარი საშუალება, არა მხოლოდ გამოეკვეთათ საკუთარი ფავორიტი ქართველი ხელმწიფეების რიგიდან, არამედ ხშირ შემთხვევაში გაემკვივრებინათ, აღეხეებინათ საკუთარი მომხრეები და ამით გარკვეული დაპირისპირება შეეცანათ ქართველთა სამეფოს მმართველ წრეში. ეს ტენდენცია შეამჩნიეს ქართული მატრიანების ავტორებმაც. მაშასადამე, ბიზანტიის ეს პოლიტიკური ხრიკები კარგად იყო ცნობილი საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ღია და შეუნიღბავი ხასიათი ჰქონდა. სუმბატ დავითის ძე წერს:

„და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი – გურგენს მაგისტროსობად და ბაგრატს კურაპალატობად, რადთამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკუთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა.“⁶²

ამრიგად, დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1000 წელი)⁶³ შემდეგ მომხდარი ბიზანტია-საქართველოს კონფლიქტის დროს იმპერატორი ბასილ II დიდი აშკარად ცდილობდა უთანხმოება ჩამოეგდო მამა-შვილს შორის. მისმა მცდელობამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გაამართლა. გურგენი, ისტორიკოსის შეფასებით, „მართალი“ ანუ სამართლიანი კაცი იყო და უსამართლობა შვილის მიმართ არ ჩაუდენია. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ კურაპალატის ტიტულის გამოყენება გარკვეული პოლიტიკური უთანხმოების ჩამოგდების მიზნით 1000 წლამდეც უნდა მომხდარიყო, რასაც, გურგენისა და ბაგრატის შემთხვევისგან განსხვავებით, ბიზანტიისთვის სასურველი შედეგი უნდა მოეტანა. გურგენის გადაწყვეტილება, არ გაესაჩივრებინა იმპერატორის ბრძანება, შვილის პატივისცემით იყო განპირობებული, რასაც, ბუნებრივია, ნაკლებად გაუწევდა ანგარიშს გურგენის ადგილზე მყოფი სხვა პიროვნება. ის, რომ ისტორიკოსის აღშფოთება გამოიწვია ბასილის გადაწყვეტილებამ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რანგით უფრო მაღალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული ეძლეოდა ასაკით უფროსებს და არა მეტი გავლენისა თუ ტიტულის მქონეებებს. 1000 წლისთვის ბაგრატი „აფხაზთა მეფის“, ხოლო

⁶¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტომი IV. ნაკ. 2. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1952, გვ. 255.

⁶² ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 382; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 370.

⁶³ აღ. აბდალაძე. დავით დიდი კურაპალატის მკვლელობის კვლევა. ქართული დიპლომატია (წელიწადუული). ტომი 4. თბ. 1997, გვ. 31-38; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 523.

გურგენი „ქართველთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ამდენად, მათი სტატუსი თანასწორია. მაგრამ გურგენი მამაა და ასაკით უფროსი. შესაბამისად, უხუცესობის პრინციპით გვარში ის არის მეთაური და იწოდება კიდევ „მეფეთ მეფედ“.⁶⁴ სწორედ ამ ფაქტის გამო მემბტიანე თვლის, რომ ბასილი იმპერატორმა „იმპაცუა“ და კურაპალატობა უხუცესობის უგულვებელყოფით გადასცა ბაგრატს.

იმისვის, რომ უფრო ნათელი გახდეს კურაპალატის ტიტულის მნიშვნელობა, ფუნქცია და პოლიტიკური დატვირთვა, რაც მას ეძლეოდა, უმჯობესია, თვალი გავადევნოთ მისი გაცემის ინტენსივობას საქართველოში.

აშოტ I დიდის გარდაცვალების შემდეგ პირველი, ვინც ეს ტიტული მიიღო, იყო მისი შუათანა ძე – ბაგრატი. ის კურაპალატი მამის გარდაცვალებისთანავე, 826 წელს, გამხდარა. გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ შემდეგნაირად აღწერს აღნიშნულ სიტუაციას:

*„მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან, ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ კელმწიფებისაჲ ზეგარდამო. და ძმანი მისნი, ყოველნი კეთილნი და დიდებულნი კელმწიფენი, – ადარნერსე უხუცესი, და გვარამ მრწემი, – მშუგაღესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყვარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს იგინი“.*⁶⁵

გიორგი მერჩულის მიხედვით, ბაგრატის კურაპალატად დამტკიცება და მისთვის ქართველთა სამეფოს მართვის ჩაბარება ძმების ნებასთან და ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებასთან არის დაკავშირებული. როგორც წყაროდან ჩანს, ძმების ინიციატივით იმპერატორს ტიტული ბაგრატისთვის გადაეცა. ქართული ისტორიოგრაფია ამ გადაწყვეტილებას ბიზანტიის იმპერატორის სიმპათიას უკავშირებს. თავად გიორგი მერჩულე ოდნავ ქვემოთ საკუთარ ახსნას გვთავაზობს ბაგრატის დაწინაურებასთან დაკავშირებით. იგი წერს:

*„ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა, და სიქველითა და ყოვლითა ღმრთის-მსახურებისა სიხარულითა“.*⁶⁶

ამდენად, ბაგრატის გამეფება და კურაპალატის ტიტულის გადაცემა მისივე პიროვნული ღირსებებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ არჩევ-

⁶⁴ გურგენს „მეფეთ მეფედ“ „ქართლის ცხოვრებში“ შემავალი, ამ ეპოქის აღმწესხველი, ორივე წყარო იხსენიებს. მათ შორის ერთ-ერთი, სუმბატ დავითის ძე, განმარტავს, რომ იგი „მეფეთმეფობით“ იწოდა იმის გამო, რომ მისი შვილი ბაგრატი აფხაზთა მეფე იყო. იხ.: ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 382; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369. ამავე ტიტულით იხსენიებს მას „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორი. იხ.: ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 274; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 271.

⁶⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 272.

⁶⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 272.

ანში ბიზანტიის იმპერატორის როლის უგულვებელყოფაც არ იქნება სამართლიანი, ვინაიდან ბაგრატმა სწორედ „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა (ბიზანტიის იმპერატორი – ლ. თ.) მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა“: აღნიშნული, გარკვეულწილად, ბიზანტიის პირველი სერიოზული ძალის დემონსტრირებად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც უხუცესობის პრინციპის უგულვებელყოფით, მაგრამ ადგილობრივი ფეოდალების ინტერესების გათვალისწინებით, უპირატესობა შუათანა ძმას მიენიჭა და არა უფროსს. ბაგრატი კურაპალატად ბიზანტიის იმპერატორ მიხაელ II ამორიელს (820-829 წწ.) უნდა დაემტკიცებინა. თუ მივიღებთ მხედველობაში აშოტის მკვლელობის მეორე თარიღს, რომელიც სუმბატ დავითის ძის დათარიღების ალტერნატივაა, ეს მოვლენა იმპერატორ თეოფილეს (829-842 წწ.) უნდა დაგუკავშიროთ.⁶⁷

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ძმები იძულებულები არიან არაბებს ხარკი უხადონ,⁶⁸ მათი პრობიზანტიური პოლიტიკური კურსი ეჭვს არ იწვევს. ქართველთა სამეფო ბიზანტიის მოკავშირეა, თუმცა, სავარაუდოდ, იმავე ბიზანტიასთან შეთანხმებით ხარკს არაბებს უხდის, რათა უზრუნველყოს სტაბილურობა ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულში. გადასახადები, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავად ქართველების მიერ იკრიფებოდა. ბაგრატ I-ის (826-876 წწ.) მმართველობის ბოლოს ქართველები არაბებს არც ხარკს უხდიან და არც სხვა რამეში ემორჩილებიან, რაც უდავოდ ბაგრატის პოლიტიკის დამსახურებაა. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა ბალანსს ბიზანტიასა და არაბეთის სახალიფოს შორის. მან საბოლოოდ შეძლო ახლადშექმნილი ქვეყანა დაემკვიდრებინა პოლიტიკურ არენაზე და საგარეო პოლიტიკას გარკვეულწილად დამოუკიდებლად აწარმოებდა. ბაგრატი კურაპალატის ტიტულს სიკვდელამდე ინარჩუნებს,⁶⁹ თუმცა მისივე მმართველობის დროს ჩნდება ახალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, რომლითაც იწოდებიან სხვა ბაგრატიონი ხელმწიფეები. ბაგრატის დროს ასეთი ტიტული იმპერატორისგან მიიღო ადარნასეს ვაჟმა, სუმბატ არტანუჯელმა, რომელიც ანთიპატოს-პატრიკოსად იწოდა.⁷⁰ გამორიცხული არ არის, რომ ბიზანტიის იმპერატორისგან ბაგრატიონთა გვარის სხვა წევრებსაც მიე-

⁶⁷ ზოგადად ბიზანტიის პოლიტიკური ისტორიისა და იქ განითარებული მოვლენებისა თუ ქრონოლოგიის შესახებ იხილეთ: G. Ostrogorsky. History of the Byzantine State. Translated from German by Joan Hussey. Rutgers University Press. 1957; The Cambridge Medieval History. Vol. IV. The Byzantine Empire. Part I – Byzantium and Its Neighbours. Part II – Government, Church and Civilization. Edited by J. M. Hussey. Cambridge University Press. 1966-1967; W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997.

⁶⁸ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 365.

⁶⁹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 365-366.

⁷⁰ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 365.

ლო გარკვეული სენატორული პატივი, თუმცა წყაროები არ გვაწვდიან დეტალურ ინფორმაციას მათ შესახებ. ბაგრატ I სიკვდილამდე (876 წელი) ინარჩუნებს ქართველ მეფე-მთავრებს შორის უმაღლეს – კურაპალატის ტიტულს.

ქართველთა სამეფოს შემდეგი მონარქი დავით I (876-881 წწ.), იმავე სუმბატ დავითის ძის ცნობით, მამის გარდაცვალებისთანავე ხდება კურაპალატი. მემატინე წერს:

„ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა 76 და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს“⁷¹

მართალია, დავითს სუმბატ დავითის ძე „ქართველთა მეფის“ ტიტულით არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი მეფობა ეჭვს არ იწვევს, ისევე, როგორც კურაპალატობის მიღება 876 წელს, როდესაც მამამისი ბაგრატ I გარდაიცვალა. კურაპალატის ტიტული მაკედონელთა დინასტიის პირველ იმპერატორს, ბასილ I-ს (867-886 წწ.), უნდა გადაეცა ქართველი მეფისთვის. დავითი ტიტულს ცხოვრების ბოლომდე ინარჩუნებს. ის 881 წელს მისმა ბიძაშვილმა, ნასრ გუარამის ძემ, მოკლა.⁷² ნასრეს მიზანს მეფობისა და კურაპალატობის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, რაც მან ვერ მოახერხა.

დავითის მკვლელობის (881 წელი) შემდეგ ხდება კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა. კურაპალატის ტიტული მიიღო არა დავითის შვილმა ადარნასემ, არამედ დავითის სხვა ძმიშვილმა, გურგენ ადარნასეს ძემ. გურგენს კურაპალატობა იმავე ბიზანტიის იმპერატორის, ბასილ I-ის ბრძანებით გადასცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ კურაპალატობას გურგენი მხოლოდ ნასრის დამარცხების შემდეგ იღებს. ეს უკანასკნელი დევნილის სახით კონსტანტინოპოლს აფარებს თავს. სუმბატი წერს:

„დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს; და მოიკლა იგი ჳელითა მამის ძმისწულისა თვისისა, ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ ა, სუფევასა შინა გუარამისსა. ხოლო გუარამ მამფალი, მამის ძმად მისი, მამად ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისაჲთა; და დაუტევა ამან დავით მოკლულმან ძე მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ჰასაკითა, ხოლო ნასრ მკვლეელი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლეს და იყო მუნ მრავალ წელ. და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ, ძე ადარნასესი, კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისაჲ“⁷³

საინტერესოა ბიზანტიის ხელისუფლების მოტივი, თუ რატომ გადასცა კურაპალატობა გურგენ ადარნასეს ძეს და არა ნასრ გუარამის ძეს, ან

⁷¹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 366.

⁷² ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 366.

⁷³ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 378-379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 366.

კიდევ ადარნასე დავითის ძეს?! ადარნასე, როგორც მემატიანე გვამცნობს, „მოუძწიფებელ ჰასაკითა“ იყო,⁷⁴ ხოლო ნასრე, მიუხედავად დავითის მკვლელობისა, აშკარად დამარცხდა და გაიქცა. ნასრის დამარცხებასა და მის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას, ბუნებრივია, გურგენი ედგა სათავეში, რამაც განაპირობა ბიზანტიის იმპერატორის არჩევანი. აშკარაა, რომ გურგენი იმ დროისთვის ყველაზე გავლენიანი ფეოდალი იყო ბაგრატიონთა სახელში. შესაბამისად, რეალისტური პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ბიზანტიის იმპერატორი ბასილ I (867-886 წწ.) კურაპალატის ტიტულს სწორედ გურგენს გადასცემს.

ნასრე, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიაში გარბის, კერძოდ, დედაქალაქ კონსტანტინოპოლში. ნასრეს ცხოვრება „სამეფო ქალაქში“ რომ დიდი ხანი გაგრძელდა, ამას მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, სუმბატი წერს:

„ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლეს და იყო მუნ მრავალ წელ“.⁷⁵

ნასრეს კონსტანტინოპოლში ვიზიტი და მისი იქ ცხოვრება ბიზანტიის ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული. ბიზანტიის იმპერატორი გავლენიანი ქართველი ფეოდალებისთვის თავშესაფრის მიცემით ცდილობდა გარკვეული გავლენა მოეხდინა ქართველთა სამეფოზე, ხოლო მისი მესვეურების ურჩობის შემთხვევაში ასერხებდა ასეთი ფეოდალების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. საინტერესოა ისიც, რომ ბიზანტიის ხელისუფლება ბოლომდე არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ გამოდის და ცდილობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ასევე მისი მოწინააღმდეგე ბანაკი დაახლოებული ჰყავდეს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენოს.

ნასრეს შემთხვევაში ზუსტად არ არის ცნობილი, მიიღო თუ არა მან რაიმე საკარისკაცო ტიტული ბიზანტიის იმპერატორისგან. მან რამდენიმე წელი დაჰყო კონსტანტინოპოლში, მაგრამ ატარებდა თუ არა სენატორულ ტიტულს, ცნობილი არ არის, თუმცა ასეთი გარემოება ჩვენ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია. ვინაიდან საისტორიო მასალა მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა, ამ საკითხს მეტი სიცხადით აღარ შევხებით. ნასრე, როგორც ცნობილია, წამოვიდა ბიზანტიიდან და აფხაზთა მეფის დახმარებით სცადა, დაუფლებოდა ტახტს, მაგრამ დამარცხდა და მოკლეს. ეს მოხდა 888 წელს, ასპინძასთან ბრძოლაში. გამარჯვება ადარნასე დავითის ძესა და მისი ბაბუის ძმიშვილს, გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატს, დარჩათ.⁷⁶

ადარნასე „ქართველთა მეფედ“ ეკურთხა. აღნიშნული სწორედ 888 წელს მომხდარი ასპინძის ბრძოლისა და ნასრე გუარამის ძის დაღუპვის შემ-

⁷⁴ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 366.

⁷⁵ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 366.

⁷⁶ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. შეტრეველი, გვ. 366.

დეგ ხდება. ქართველების გადაწყვეტილებით, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გვარსა და სახელმწიფოში პირველი „ქართველთა მეფის“ ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო, რაც ამავე სამეფოში არსებული „მეფეების“ გამრავლებას უნდა უკავშირდებოდეს. ადარნასეს მიერ აღნიშნული ტიტულის მიღებას, როგორც ვარაუდობენ, არაბთა სახალიფოს მმართველი წრის მხარდაჭერა განაპირობებდა.⁷⁷ ადარნასეს მეფედ ხელდასმა, ერთი მხრივ, სომხეთში აშოტ I-ის მეფედ კურთხევას მოჰყვა შედეგად (886 წელი), ხოლო, მეორე მხრივ, იმ არსებულ ტრადიციას, რომ ადარნასეს მამა (დავით I) და ბაბუა (ბაგრატ I) გვარის მეთაურები და ტიტულ „მეფის“ მფლობელები იყვნენ.⁷⁸

ნასრის სამფლობელოების გადანაწილებასა და გვარში პირველობისთვის ბრძოლას უნდა გამოეწვია ახალი კონფლიქტი ბაგრატიონებს შორის. ამჯერად ერთმანეთს ადარნასე ქართველთა მეფე და გურგენ კურაპალატი დაუპირისპირდნენ. ბრძოლა 891 წელს სოფელ მგლინავთან მოხდა. ადარნასემ გაიმარჯვა, ხოლო ტყვედ ჩავარდნილი გურგენი ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.⁷⁹ როგორც ჩანს, გურგენი კურაპალატის ტიტულს 881-891 წლებში ფლობდა.

მას შემდეგ, რაც გურგენი მოკლეს, სუმბატ დავითის ძესთან თითქოს არ ჩანს, ვინ მიიღო კურაპალატობა. სუმბატი საერთოდ არ საუბრობს ადარნასე ქართველთა მეფის მიერ კურაპალატობის მიღებაზე. იქმნება შტაბეჭდილება, რომ მას არც მიუღია არანაირი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, მაშინ როდესაც ეს ტიტული ბაგრატიონთა გვარში რეგულარულად გაიცემოდა 813 წლიდან მოყოლებული. თუმცა, როგორც ბიზანტიურ წყაროში ჩანს, სწორედ ადარნასეს ჰქონდა მიღებული კურაპალატობა, რომელიც მისთვის ბიზანტიის იმპერატორ ლეონ VI ბრძენს (886-912 წწ.) გადაუცია. კონსტანტინე პორფიროგენეტი მამის ამ გადაწყვეტილების შესახებ აღნიშნავს:

„ხსენებულმა დავითმა, სპანდიატის ძმამ, შვა ბაგრატე, ბაგრატმა შვა ძე აშოტი, აშოტმა შვა ადარნასე, რომელსაც კურაპალატობა ებოძა რომაელთა ქრისტესმოყვარე ბასილევს ლეონისგან“.⁸⁰

ზუსტად როდის მიიღო ადარნასემ კურაპალატობა, კონსტანტინე პორფიროგენეტთან არ ჩანს. სამაგიეროდ, აღნიშნულის უკეთესად დანახვა შეიძ-

⁷⁷ ზ. პაპასქირი. „ქართველთა“ მეფის ინსტიტუტის შემოღება და ბიზანტია-გაო-კლარჯეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის სოხუმის ფილიალი: აკადემიკოს ილია ვეკუას საიუბილეო დღეები. სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა თეზისები). თბ. 1995, გვ. 75; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1998, გვ. 192-193; ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. ქართული დიპლომატია (წელიწადური). ტ. 6 თბ. 1999, გვ. 330.

⁷⁸ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 43-45, 71-77, 105-106.

⁷⁹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 379; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 367.

⁸⁰ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 259.

ლება ადიშის ოთხთავის 897 წელს შესრულებული ანდერძიდან. ანდერძის მიხედვით, ადარნასე 897 წელს უკვე კურაპალატად იწოდება. ანდერძში ვკითხულობთ:

„ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნისა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთადათა, სალოცველად ყოველისა ამის კრებულისათვის და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციელად სალოცველად მეფეთა ჩუენთა: ღმრთივდიდებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღმრთივ ბოძთა (!) ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს. და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს.“⁸¹

ანდერძის მიხედვით, ადარნასე 897 წელს უკვე კურაპალატი, რაც იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული ტიტული ოდნავ ადრე ბიზანტიის იმპერატორმა, ლეონ VI ბრძენმა, სწორედ მას უბოძა. ამით მისი უზენაესობა ქართველთა სამეფოში ოფიციალურად აღიარა. ეს ფაქტი 891 წელს უნდა მომხდარიყო. ბიზანტიის იმპერია აღნიშნული ტიტულის გაცემას, როგორც წესი, არ აყოვნებდა, შესაბამისად, ადარნასე კურაპალატად გურგენის სიკვდილის წელს – 891 წელს – უნდა გამხდარიყო. ადარნასე გარდაცვალებამდე ინარჩუნებს კურაპალატობას. მეფე ადარნასე კურაპალატი თეოფანე ჟამთააღმწერლის გამგრძელებლის ქრონიკაში 922 წელს კონსტანტინოპოლში ვიზიტისას სწორედ ამ ტიტულით იხსენიება. საინტერესოა ადარნასე კურაპალატის დახვედრის სცენის აღწერილობა. ქრონიკაში ვკითხულობთ:

„თებერვლის თვის ოცში, მეთე ინდიქტიონში, გარდაიცვალა რომანოზის (რომანოზ I ლეკაპენოსი – ლ. თ.) მეუღლე თეოდორა და ნეშთი გადასვენებულ იქნა თვით რომანოზ ბასილევსის სახლში, რომელიც მის მიერ მონასტრად იქნა გადაკეთებული. იმავე თვეში გვირგვინი დაიდგა სოფიომ ბასილევს ქრისტეფორეს მეუღლემ. იმ ხანებში ქალაქში (ე.ი. კონსტანტინოპოლში) იყო იბერიელი კურაპალატი, და მან რომ გაიარა შუა მოედანზე, ბრწყინვალედ მორთულზე, დიდის პატივით და დიდებით შეხვდნენ მას; იგი წმ. სოფიას ტაძარშიც შეიყვანეს, რომ ეხილა თავისი თვალთ მისი სილამაზე, სიდიადე და ძვირფასი მორთულობა. ეს ტაძარი ბრწყინვალედ მორთეს, ოქროსქსოვილი ფარჩებით და ყოველგვარი მორთულობით მოფინეს და ისე შეიყვანეს შიგ კურაპალატი. ამან კი, ტაძრის საკვირველი სანახაობით და მისი სიდიადით განცვირფებულმა და მისი ძვირფასი მორთულობით ზომაზე მეტად გააკვირვებულმა თქვა – ჭეშმარიტად ღვთის ბინა ყოფილა ეს წმინდა ადგილიო, და კვლავ თავის ქვეყანაში გაემგზავრა.“⁸²

⁸¹ შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 223; აკ. შანიძე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბ. 1945, გვ. 014-015; ადიშის ოთხთავი 897 წლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მახანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. თბ. 2003, გვ. 7.

⁸² კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 329-333.

ადარნასე ერთი წლის შემდეგ, 923 წელს, გარდაიცვალა, სამშობლოში დაბრუნებიდან ახლო პერიოდში. მან ოთხი ვაჟი დატოვა: დავითი, აშოტი, ბაგრატ და სუმბატი. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე მათ საიმპერიო-საკარისკაცი ტიტულატურას საინტერესოდ გადმოგვცემს:

*„გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისაჲ, ქრონიკონსა რ მ გ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“.*⁸³

სუმბატ დავითის ძის ცნობაში ის ჩანს, რომ ადარნასეს შემდეგ კურაპალატობა მიიღო არა უფროსმა ძმამ – დავით II ქართველთა მეფემ, არამედ მეორემ ძმამ – აშოტმა. ფაქტია, ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია ბოლომდე სტაბილური არ არის. მიმდინარე პროცესებისა და კურაპალატობის მნიშვნელობის შესახებ ძვირფასი ცნობების შემცველია კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაწარმოები „იმპერიის მმართველობის შესახებ“. მასში ნათლად ისახება ბაგრატიონთა სახლის წევრებს შორის არსებული დაპირისპირება. კონსტანტინე წერს:

*„ნეტარსენებულმა ბასილევსმა, უფალმა რომანოზმა გავზავნა კონსტანტი, პატრიკოსი და ნაოსნობის დრუნგარი, რომელიც მაშინ პროტოსპათარი და მანკლავიტი იყო, და მისცა მას მაგისტროსის სამოსი, რათა მას გურგენ იბერი (საუბარია გურგენ ერისთავთ ერისთავზე – ლ. თ.) მაგისტროსად აღეზევებინა, როცა კონსტანტიმ, პატრიკოსმა და ნაოსნობის დრუნგარმა, ნიკომედიამდე მიადწია, მოვიდა მონაზონი აგაპი კიმენელი, რომელიც იმ დროს წმინდა ქალაქში (იერუსალიმში – ლ. თ.) ყოფილა სალოცავად; მას იბერიაზე გამოუვლია და ადრანუჯის (არტანუჯი – ლ. თ.) ციხეში მისულა. აშოტ პატრიკოსს კი, რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა, მტრული ურთიერთობა ჰქონდა თავის სიძესთან, გურგენტან, და უთქვამს აგაპი მონაზონისთვის: «გაფიცებ ღმერთსა და პატიოსანი და ცხოვლისმყოფელი ჯვრის ძალას მიხვიდე ქალაქში (კონსტანტინოპოლში – ლ. თ.) და უთხრა ბასილევსს (რომანოზ I ლეკაპენოსი – ლ. თ.), გამოგზავნოს ვინმე და ჩაიბაროს ჩემი ციხე და ჰქონდეს ის თავის ძალაუფლებაში“.*⁸⁴

აშოტ კისკასის თხოვნას ბიზანტიის იმპერატორი მალევე გამოეხმაურა. ის ავალებს კონსტანტი პატრიკოსს, რომელიც დრუნგარიოსის თანამდებობასაც ფლობდა, წავიდეს და ხალდიის თემის არმიის გამოყენებით დაიკავოს არტანუჯი. კონსტანტიმ ბრძანება შეასრულა, მაგრამ ის თავისივე მეომრებთან ერთად დავით ქართველთა მეფემ დაატყვევა. კონსტანტიმ მოახერხა ქართველების მოტყუება, რომ ვითომ მხოლოდ გურგენისთვის მაგისტროსობის გადასაცემად მიდიოდა და სხვა არაფერი. საბოლოოდ, მივიდა და გადა-

⁸³ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 380; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 368.

⁸⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 280-281.

სცა გურგენს მაგისტროსობა. ამ უკანასკნელს, როგორც აღმოჩნდა, დიდი საჩუქრები გაუგზავნია იმპერატორისთვის, რომ კურაპალატის ან მაგისტროსის ტიტული მიეღო. აქვე კონსტანტინე პორფიროგენეტი იმასაც წერს, რომ თურმე ადარნასეს ოთხივე ვაჟს დიდი შიში ჰქონდა, გურგენს კურაპალატობა არ მიეღო, რასაც ისინი დიდად ეწინააღმდეგებოდნენ.⁸⁵ იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი წერს:

*„გურგენმა პირველი (კარის) კაცი გაგზავნა ბასილევსთან დიდძალი საჩუქრებით და სთხოვდა მას კურაპალატობას ან მაგისტროსობას, ოთხივე ძმამ, ესე იგი ადარნასე კურაპალატის შვილებმა ეჭვი აიღეს, რომ კონსტანტი იქ იმისთვის მიდის, რომ გურგენი გააკურაპალატოს“.*⁸⁶

საფიქრებელია, რომ გურგენი სწორედ კურაპალატობას თხოულობდა და არა მაგისტროსობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ძმების (ადარნასე კურაპალატის შვილების) შიში უსაფუძვლო უნდა ყოფილიყო. იმპერატორმა რომანოზმა გურგენს მხოლოდ მაგისტროსობა აკმარა, ხოლო მას შემდეგ, რაც მისმა ხალხმა არტანუჯის ციხე მიიღო აშოტ კისკასისგან, ის, როგორც ჩანს, მზად იყო აშოტისთვის მფარველობა გაეწია. ეს უკანასკნელი დაპირისპირებული ყოფილა არა მხოლოდ საკუთარ სიძესთან, გურგენ ერისთავთ-ერისთავთან და მაგისტროსთან, არამედ ადარნასეს შვილებთანაც. ამდენად, აშოტ კისკასს, როგორც სუსტი პოზიციების მქონებელს, ბიზანტიის ჯარი სჭირდებოდა თავისი გავლენის გასამყარებლად. საბოლოოდ, გურგენ მაგისტროსი და დავით ქართველთა მეფე გაერთიანდნენ. წერილის მეშვეობით შეუთვალეს იმპერატორს, რომ თუ იგი არტანუჯის ციხეს არ დათმობდა, ისინი არაბების მხარეზე გადავიდოდნენ და ამ გზით აიძულეს იმპერატორი, ჯარი გამოეყვანა ციხიდან.⁸⁷ ამის შემდეგ ხდება საინტერესო ფაქტი – იმპერატორი გასცემს ბრძანებას, არა მხოლოდ გამოიყვანონ ჯარები არტანუჯის ციხიდან, არამედ წამოიყვანონ დავით ქართველთა მეფის ძმა, აშოტი, კონსტანტინოპოლში, რათა მოხდეს მისი კურაპალატის ხარისხში აღზევება. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

*„კონსტანტი პროტოსპათარმა და მანკლავიტმაც მიიღო ბრძანება (იმპერატორ რომანოზისგან – ლ. თ.), ლანძღავინებისა და მუქარის შემცველი: «ვინ გიბრძანა შენ მაგის ჩადენა? ახლავე გამოდი ციხიდან; წამოიყვანე აშოტი, გარდაცვლილი ადარნასე კურაპალატის ძე, და მოიყვანე აქ, რათა ჩვენ მას მისი მამის პატივი, კურაპალატობა ვუბოძოთო» ... წამოიყვანა აშოტი, ძე ადარნასე კურაპალატისა, და მოიყვანა ის ქალაქში; და მას ბასილევსისგან ებოძა კურაპალატობა“.*⁸⁸

ამდენად, როგორც წყაროში ჩანს, სწორედ აღნიშნული კონფლიქტის

⁸⁵ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 281-283.

⁸⁶ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 283.

⁸⁷ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 283-286.

⁸⁸ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 287.

ბოლოს გადაწყვიტა იმპერატორმა კურაპალატობა მიეცა არა დავით ქართველთა მეფისთვის, რომელსაც თვით იმპერატორი კონსტანტინე დიდ დავითს უწოდებს მისი უპირატესობის აღსანიშნავად, არამედ აშოტისთვის, რომელიც, უფროსი ძმისგან განსხვავებით, ნაკლებად აქტიურია ბიზანტიის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებით იმპერატორს ძმებს შორის შუღლის ჩამოღება ჰქონდა განზრახული, რადგან მათ საერთო კოორდინაციას მთელი ამ დაძაბულობის მანძილზე კარგად ამჩნევდა. დავით ქართველთა მეფე, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტთან ჩანს, მაგისტროსის ტიტულს ფლობს, რომელსაც ის ან აღარნასეს გარდაცვალებამდე ფლობდა და ანდა იმავე 923 წლის ახლო ხანებში უნდა მიეღო იმპერატორისგან. ამ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანი ისაა, რომ კურაპალატის ტიტულს, რომელსაც აშკარად მნიშვნელოვანი წონა აქვს ქართველთა სამეფოს იერარქიაში და ბიზანტიის ფავორიტობის მაჩვენებელია, იღებს ის პიროვნება, რომელზედაც იმპერატორი ყველაზე მეტ იმედს ამყარებს სამომავლოდ. ძნელია ზუსტად იმის თქმა, რამდენად მოახერხა იმპერატორმა ძმებს შორის უნდობლობის ჩამოგდება. წყაროებში ეს ნათლად არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაინც მოხერხდა, რადგან დავითის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც კურაპალატობა არ აღიარეს, ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი კარგავს გვარში მეთაურობას. ბუნდოვანია ამ ტიტულის მფლობელის დაფიქსირებაც. ქართველთა სამეფოს მეთაურად კი სწორედ აშოტ II კურაპალატი მოჩანს, რომელიც კურაპალატის პატივს 923-954 წლებში ატარებდა.

დავით II ქართველთა მეფე და მაგისტროსი (923-937 წწ.), მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა სამეფოში უმაღლესი ხელისუფალია, იძულებულია, შეეგუოს ასაკით უმცროსი ძმის, აშოტის, შედარებით მაღალ პატივს – კურაპალატობას. დავითი 923 წლიდანვე იყოფს მაგისტროსის ტიტულს გურგენ ერისთავთ-ერისთავთან, რომელიც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ასევე იღებს მაგისტროსობას რომანოზ იმპერატორისგან. დავითის შემდეგ, უკვე მისი მესამე ძმის, ბაგრატ მაგისტროსის, მოხსენიება ქართველთა მეფედ იშხნის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში⁸⁹ აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ დავითმა მემკვიდრეობა დაუტოვა არა მეორე ძმას – აშოტს, არამედ, მესამეს – ბაგრატს. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, გამოდის, რომ დაპირისპირებას დავითსა და აშოტს შორის 937 წლამდე უნდა ჰქონოდა ადგილი.

ძმების დაპირისპირების კუთხით საინტერესოდ გვეჩვენება 934 წლით დათარიღებული წარწერა (ქორონიკონით რ მ ი დ, რაც ნოდარ შოშიაშვილის გამოთვლით უდრის: რ [100], მ [40], ი [10], დ [4] – ამ რიცხვების ჯამს ანუ 154+780=934). წარწერის უცნობი ავტორი „კურაპალატის“ უზენაეს მეფობას უსვამს ხაზს და ვინმე ბაგრატის „უფლობაზე“ საუბრობს. ოქრობაგეთის ეკლესიის (ისტორიული შავშეთი, თანამედროვე თურქეთი) ქვაჯვრის წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

⁸⁹ შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 225.

„ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისაჲთ)ა აღვ(ა)შ(ე)ნეთ წ(მინდ)ა ეკ(ლე)ს(ია) ხ(უენ), მამალ(აჲ)სა ძ(ეთ) ქ(რონი)კო(ნ)სა /რმიდ/, მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა კ(ურა)პ(ალა)ტ(ი)ს(ა)სა, უფლ(ე)ბ(ა)სა (უნდა იყოს „უფლ(ო)ბ(ა)სა“ – ლ. თ.) ბ(ა)გრ(ა)ტ(ი)სა, მ(ა)მ(ა)ს(ახლის)ობ(ა)სა მარკ(ო)ზ(ი)საჲ ძმ(ი)სა მაკ(ა)რ(ი)სა.

მწ(ერა)ლ(ი) და მკ(ი)თ«ი»ხვ(ელ)ი და მწ(ირვე)ლი ღ(მერთმა)ნ მ(ე)იწ-ყ(ალე)ნ“.⁹⁰

ეპიგრაფიკული წარწერის მიხედვით, ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფალი ის პირია, რომელიც კურაპალატის ტიტულს ატარებს, ხოლო კონკრეტული სამფლობელო, სადაც წარწერა შესრულდა, ბაგრატს ეკუთვნის. მისი მფლობელობის აღმნიშვნელად ტერმინი „უფალია“ ნახმარი. ბაგრატის წარმომადგენელი და აღმინისტრაციული მოხელე, ვინმე მაკარის ძმა, მამასახლისის სახელს მფლობელი მარკოზია. თუ ნოდარ შოშიაშვილის მიერ შემოთავაზებულ თარიღს გავითვალისწინებთ (934 წელი), გამოდის, რომ წარწერა შესრულდა აშოტ II-ს კურაპალატობის (923-954 წწ.) დროს, ხოლო უფალი ბაგრატი ამ შემთხვევაში მისი ძმა უნდა იყოს, ადარნასე კურაპალატისა და ქართველთა მეფის მესამე შვილი. ბაგრატი, როგორც ზემოთ მიუთითეთ, მხოლოდ 937 წელს იღებს მაგისტროსობას და იმავე წელს ქართველთა მეფობას. ამდენად, ბაგრატის 934 წელს ტიტულის გარეშე მოხსენიება სრულიად ლოგიკურია. აქვე დავძენთ იმასაც, რომ სხვა ბაგრატი 934 წლისთვის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო გვარში არ გვევლლება.

ამგვარად, წარწერის მიხედვით, მისი ავტორი „ქართველთა სამეფოს“ უმაღლეს მმართველად „კურაპალატს“ ასახელებს, რომელიც მითითებული თარიღის გათვალისწინებით აშოტ II კურაპალატია. ეს კი იმას მიუთითებს, რომ დავით II ქართველთა მეფე თავის ცხოვრებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით არ ყოფილა აღიარებული უზენაეს მმართველად. ყოველ შემთხვევაში, მას აშოტი ეცილებოდა, სავარაუდოდ, კურაპალატის ტიტულის ფლობის საბაბით.

დავითისა და აშოტის მაგალითზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულების სხვადასხვა პიროვნების ხელში გადასვლამ გარკვეული დისონანსი გამოიწვია ქართველთა სამეფოს იერარქიულ წყობაში. მანამდე ეს ორი ტიტული, როგორც წესი, ერთი პიროვნების ხელში იყო მოქცეული, რაც უთანხმოების აღბათობას მნიშვნელოვნად ამცირებდა.

დავით ქართველთა მეფე და მაგისტროსი უშვილძიროდ გარდაიცვალა 937 წელს, ხოლო მისი კუთვნილი ბიზანტიური ტიტული იმპერატორმა რომანოზმა ბაგრატს გადასცა. მართალია, წყაროში პირდაპირი მითითება არ გვაქვს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ბაგრატისთვის მაგისტროსის პატ-

⁹⁰ ლაპიდარული წარწერები. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). ქართული წარწერების კორპუსი. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 307-308.

ივის მინიჭება, სამაგიეროდ, კოსტანტინე პორფიროგენეტთან ჩანს, რომ მას დავითი ფლობდა, ხოლო სუმბატ დავითის ძესთან კი უკვე არა დავითი, არამედ ბაგრატია დასახელებული მაგისტროსის პატივით.⁹¹ ეს ყველაფერი კი იმას მიუთითებს, რომ დავით II-ის მემკვიდრეობა მისი გარდაცვალების შემდეგ ბაგრატს დარჩა მაგისტროსისა და ქართველთა მეფის ტიტულების ჩათვლით.

ამრიგად, დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეობას მესამე ძმა, ბაგრატი, ეუფლება და არა აშოტი. ბაგრატი უნდა გამხდარიყო ქართველთა მეფეც. მისი პრეტენზია გვარში პირველობაზე აშკარაა და შესაძლოა, რეალურადაც მივიჩნიოთ. თუმცა აღნიშნულს ეწინააღმდეგება გიორგი მერჩულეს ცნობა, რომლის მიხედვით, 951 წელს, როდესაც მან დაამთავრა თავისი ნაშრომი – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, საქართველოს მეფე მთავრებს შორის უპირატესად აშოტს იხსენიებს. გიორგი მერჩულე წერს:

„ხოლო იყო გარდაცვალება ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორება ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტესა წელსა, იერუსალჴმს პატრიაქობასა ავათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისსა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისსა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისსა, ერისთავთა-ერისთავობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისსა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისსა, ერისთავობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისსა. ქრისტემან დიდება უოხჴნოდ მათ ყოველთა მიანიჭენ!“⁹²

ამგვარად, გიორგი მერჩულის მიხედვით, ქართველთა შორის უპირველესი აშოტ II კურაპალატი ადარნასე II ქართველთა მეფისა და კურაპალატის ძეა. ხოლო სხვა მთავრები უხუცესობის პრინციპის მიხედვით არიან დასახელებული. ბაგრატი ამ დროისთვის გარდაცვლილია (გარდ. 945 წელს), ხოლო მისი შვილი ადარნასე მაგისტროსი (შემდგომ კურაპალატი), ბიძების, აშოტ კურაპალატისა და სუმბატ ერისთავთა ერისთავის (მოგვიანებით კურაპალატი) შემდეგ არის დასახელებული უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებით.

ბაგრატ მაგისტროსი, განსხვავებით მამის, ადარნასე ქართველთა მეფისგან, ამ ქართველთა მეფის ტიტულით არ არის მოხსენიებული. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბაგრატი არასდროს ყოფილა ქართველთა მეფე?! ამ

⁹¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 285-6; ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 380-381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 368-369.

⁹² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 316.

ვაქტს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ ბაგრატის ძე ადარნასე არასდროს წოდებულა ქართველთა მეფედ, რასაც ვერ ვიტყვით ადარნასეს უმცროსი ბიძის, სუმბატის შვილზე – ბაგრატ II რეგუენზე. როგორც არ უნდა იყოს, ეჭვის შეტანა იმაში, რომ აშოტი გვარში უხუცესია, თუნდაც ქართველთა მეფის ტიტულის გარეშე, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს ტიტული ან საერთოდ არ მოქმედებს 937-954 წლებში, ანდაც მისი მფლობელი იმდენად სუსტია, რომ აშოტ კურაპალატს ემორჩილება.

ამდენად, აშოტ II კურაპალატი ქართველთა სამეფოს განაგებს, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა. რეალურად სამეფო კოლეგიური მართვის სისტემის საფუძველზე რამდენიმე ბაგრატიონის მიერ იმართებოდა, ხოლო სათავეში ერთი პიროვნება, გვარის მეთაური იდგა. აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მისი ტიტული უმცროსმა ძმამ, სუმბატმა, მიიღო 954 წელს. სუმბატი ქართველთა სამეფოს მეთაური გახდა, მაგრამ არ ჩანს, ჰქონდა თუ არა ქართველთა მეფის ტიტული. ეს უკანასკნელი მისი გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟს, ბაგრატ II რეგუენს, მიანიჭეს. სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ:

„და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმაჲ მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ ო ზ, და დაუტყვენა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთურისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი“⁹³

სუმბატი კურაპალატად ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტს (913-919, 944-959 წწ.) უნდა დაედგინა. იმპერატორი თავის ნაშრომში სუმბატ კურაპალატს გაკვრით იხსენიებს კიდევ, როდესაც დავით II ქართველთა მეფის მიერ კონსტანს პატრიკიოსის შეპყრობაზე საუბრობს. იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტთან ვკითხულობთ:

„იგი (კონსტანსი – ლ. თ.) შეიპყრო ნეტარხსენებულმა დავითმა (დავით II ქართველთა მეფე – ლ. თ.), ახლანდელი კურაპალატის (იგულისხმება სუმბატ კურაპალატი – ლ. თ.) ძმამ და აშოტის ძმამ“⁹⁴

ამდენად, როგორც კონსტანტინესთან ჩანს, დავითი ძმა აშოტისა და კიდევ ერთი უსახელო კურაპალატის, რომელიც, იმპერატორის ცნობით, კურაპალატი იყო იმ დროს, როდესაც ის საკუთარ ნაშრომს წერდა. ბუნებრივია, დავითისა და აშოტის კიდევ ერთი ძმა და ისიც კურაპალატის ტიტულის მქონე, მხოლოდ სუმბატი შეიძლება იყოს.

სუმბატი, რომელიც აშოტის გარდაცვალების შემდეგ, 954 წელს, იღებს კურაპალატის ტიტულს, ამავე ტიტულით იწოდება გარდაცვალების დროსაც – 958 წელს. ამდენად, მას აღნიშნული ტიტული 954-958 წლებში უტარ-

⁹³ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 368-369.

⁹⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა. IV. ნაკ. 2, გვ. 282.

ები. ამავე პერიოდში სუმბატ კურაპალატი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა სახლის მეთაურიც.

958 წელს ქართველთა სამეფოს სათავეში ბაგრატ II რეგუენი ჩაუდგა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფედ მამის (სუმბატ კურაპალატი) გარდაცვალების შემდეგ დაადგინეს – „*ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი*“. როგორც საისტორიო წყაროში ვხედავთ, მანამდე ბაგრატს ერისთავთ-ერისთავის ტიტული უტარებია, თუმცა თუ რა ტიტული მიანიჭა მას ბიზანტიის იმპერატორმა, არ ჩანს. სამაგიეროდ, კურაპალატობა, სავარაუდოდ, უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებით მის ბიძაშვილს, ადარნასე ბაგრატის ძეს, გადაეცა. სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს:

„გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისაჲ, ქრონიკონსა რ ე ვ, თუესა მარტსა, და დაუტევა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი იქმნა“.⁹⁵

ისტორიკოსთან კარგად ჩანს, რომ ადარნასე მამის (ბაგრატ მაგისტროსი გარდ. 945 წელს) გარდაცვალების შემდეგ მაგისტროსის ტიტულით, ხოლო ბიძების გარდაცვალების მერე კი კურაპალატის ტიტულით იწოდება. ადარნასეს ბიძა – სუმბატ კურაპალატი – 958 წელს მოკვდა. ამდენად, ადარნასე ბაგრატის ძეს კურაპალატობა ამავე წელს მიენიჭა. ორივე შემთხვევაში დონატორი იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი უნდა ყოფილიყო. ადარნასე კურაპალატი ამ ტიტულით იწოდება ოშკის ტაძრის წარწერებშიც. მემპტიანის, სუმბატ დავითის ძის, ცნობით, ის 961 წელს გარდაიცვალა მას მერე, რაც შვილების გადაწყვეტილებით მონაზვნად აღკვეცეს:

„გარდაიცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისაჲ, ქრონიკონსა რ პ ა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩუთა“.⁹⁶

აქედან გამომდინარე, ადარნასე ამ ტიტულით 958-961 წლებში იწოდება. ადარნასეს კურაპალატის პატივი კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა გადასცა. იმპერატორის მოტივი, როგორც ვთქვით, უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებაა: ადარნასეს მამა – ბაგრატ I, ხომ ბაგრატ II რეგუენის მამაზე – სუმბატზე, უფროსია ასაკით. სხვა მიზეზი ქართველთა სამეფოს ბაგრატიონების ორ შტოს (იმიერ და ამიერ ტაოს ბაგრატიონები) შორის განხეთქილების შეტანა უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმიერტაოს შტო, რომლის ფუძემდებელიც ბაგრატ ადარნასე ქართველთა მეფის ძეა, შედარებით უფრო კოორდინირებულად მოქმედებდა ბიზანტიის იმპერიასთან და მეტ სამხედრო დახმარებას

⁹⁵ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 368.

⁹⁶ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

გზავნიდა იმპერატორის აღმოსავლურ კამპანიებში.⁹⁷ ადარნასე კურაპალატის დროს რომ პოლიტიკური სიტუაცია უადრესად დაიძაბა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მისმა შვილებმა, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა და დავითმა (შემდეგში კურაპალატი და მეფეთ მეფე) მამა აიძულეს ბერად შემდგარიყო, ხოლო იმიერტაოს მმართველობა ძმების ხელში აღმოჩნდა.⁹⁸ ბიზანტიის ხელისუფლებამ შვილების ამ ძალადობრივ აქტს იმით უპასუხა, რომ კურაპალატის ტიტული ბაგრატ II რეგუენის, ქართველთა მეფის, უმცროს ძმას, ადარნასე სუმბატ კურაპალატის ძეს, გადასცა. ადარნასე კურაპალატი სწორედ 961 წელს უნდა გამხდარიყო.⁹⁹

ადარნასე კურაპალატის ტიტულს გარდაცვალებამდე ანუ 983 წლამდე ფლობს. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე არ ახსენებს იმას, თუ როდის დაეუფლა ადარნასე კურაპალატის ტიტულს. ადარნასეს გარდაცვალების შესახებ საუბრისას არაფერი ჩანს მის ბიზანტიურ ტიტულატურაზე:

*„გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისაჲ, ძმად ბაგრატ რეგუენისაჲ, ქრონიკონსა ს გ, და დაუტევა ძე დავით მცირე“.*¹⁰⁰

სამაგიეროდ, იმავე სუმბატ დავითის ძის ტექსტის სხვა მონაკვეთში, რომელშიც ადარნასე თავის ძმასთან, ბაგრატ რეგუენტთან, ერთად არის მოხსენიებული, იგი პირდაპირ არის დასახელებული კურაპალატად:

*„(სუმბატ კურაპალატმა – ლ. თ.) დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი“.*¹⁰¹

კურაპალატობა ამ დროს ამიერტაოს ბაგრატიონების ხელშია, თუმცა მის მფლობელი არა სახლის უფროსი ბაგრატ რეგუენი, არამედ მისი უმცროსი ძმა, ადარნასე, იყო. ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, ეს ტიტული იმპერატორ რომანოზ II-ისგან (959-963 წწ.) მიიღო. ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულების ერთ სახლში არსებობა ბაგრატიონთა ამიერტაოს შტოს დაწინაურებას გულისხმობდა.

იმიერტაოს შტოში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ (966 წელი)¹⁰² ძალაუფლება ხელში მთლიანად დავით ადარნასეს ძემ აიღო, რომელიც იმპერატორისგან თავდაპირველად მაგისტროსის საიმპერიო

⁹⁷ ა. ბოგვერაძე. „ზემონი ქვეყანანი“ საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ-დიპლომატიურ ურთიერთობაში. ქართული დიპლომატია (წელიწადური). ტ. 4. თბ. 1997, გვ. 27-28.

⁹⁸ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

⁹⁹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

¹⁰¹ ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

¹⁰² ქართლის ცხოვრება. I. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 381; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, გვ. 369.

ტიტულს ეუფლება, ხოლო მოგვიანებით კურაპალატობას იღებს.¹⁰³

დავითის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ იმიერტაოს ბაგრატიონები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის რეგიონის მასშტაბით წამყვან ძალად აქცია, რომელიც ყველაზე აქტიურად იბრძოდა მუსლიმების წინააღმდეგ ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად. როგორც ოშკის ტაძრის ეპიგრაფიკული წარწერებიდან ირკვევა, დავითს მაგისტროსის ტიტული 966-973 წლებს შორის მიუღია.¹⁰⁴ მაგისტროსობას ის ნიკიფორე ფოკას (963-969 წწ.) ან იოანე ციმისხის (969-976 წწ.) იმპერატორობის პერიოდში იღებს, ხოლო იაპია ანტიოქიელის ცნობის მიხედვით კი, 990 წელს ბასილ II დიდი დავითს კურაპალატის ტიტულს გადასცემს.¹⁰⁵ ეს მოვლენა, ბუნებრივია, იმაზე მიუთითებს, რომ ამიერტაოს შტომ კურაპალატობა დაკარგა იმიერტაოს ბაგრატიონთა შტოს სასარგებლოდ.

ადარნასე სუმბატის ძე კურაპალატია 961-983 წლებში. მისი გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტული თითქოს ვაკანტური ჩანს. თუ ვინ ფლობდა მას 983-990 წლებში, ზუსტად არ ვიცით. ნარატიული წყაროების პირდაპირი ჩვენებით, ქართველთა სამეფოში დავითი აღნიშნულ ტიტულს 990 წელს იღებს.¹⁰⁶ თუმცა სხვა წყაროებზე დაყრდნობით, უკვე X საუკუნის 70-იან წლებში ის კურაპალატის ტიტულის მქონეა.¹⁰⁷

ვარაუდობენ, რომ მას კურაპალატობა 979 წელს ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისთვის უნდა მიეღო (ან დახმარების გაწევამდე ოდნავ უფრო ადრე, 977 წელს) ბიზანტიის იმპერატორისგან,¹⁰⁸ ხოლო შემდეგ უნდა დაეკარგა და ხელახლა მიეღო 990 წელს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ კონკრეტულად რომელ წელს დაეუფლა დავით III კურაპალატის ტიტულს, ეს შეიძლება მომხდარიყო, როგორც 977/9 წელს, ასევე 990 წელსაც. ძალიან საეჭვოა, მაგრამ არ არის გამორიცხული არც ის მოსაზრება, რომლის მიხედვით მან კურაპა-

¹⁰³ შ. ბადრიძე. დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის, გვ. 82-84.

¹⁰⁴ ვ. სილოგავა. ოშკი, გვ. 86-87.

¹⁰⁵ В. Степаненко. К датировке получения сана Куропалата Давидом II Багратидом Тао, гв. 72-77.

¹⁰⁶ ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში, გვ. 181-183.

¹⁰⁷ იოანე ოქროპირისა და ეფრემ სირინის „ქადაგებანის“ ქართული თარგმანის ანდერძ-მინაწერზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი თვლის, რომ დავითმა კურაპალატობა 977 წელს მიიღო (თუმცა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, აღნიშნული ანდერძის თარიღი არ გამოდგება ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველად), იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX. პირველად გამოიცა 1926 წელს. თბ. 1996, გვ. 169-170; შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 228-229; გ. ღუნდუა, თ. ღუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I, გვ. 188-189.

¹⁰⁸ ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 169-170; შ. ბადრიძე. დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის, გვ. 84; გ. ღუნდუა, თ. ღუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I, გვ. 188-189, 263.

ლატობა ორჯერ მიიღო (თუმცა ტიტულის ჩამორთმევის ფაქტი არსად არ ფიქსირდება). მთავარი მომენტი მაინც აქ ის არის, რომ კურაპალატის ტიტულის დავით III-ისათვის ბოძებით ბიზანტიამ კიდევ ერთხელ შეცვალა თავისი ფავორიტი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო სახელში და ამჯერად იმიერტაოს ბაგრატიონთა შტოს მიანიჭა ფორმალური უპირატესობა.

ამდენად, ხდება კურაპალატის ტიტულის მონაცვლეობით გაცემა იმიერტაოს – ბაგრატის შტოსა და ამიერტაოს – სუმბატის შტოში. აშოტ II კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (954 წელი) კურაპალატი ჯერ სუმბატია (954-958 წწ.), ამიერტაოს შტოს ფუძემდებელი; შემდეგ ადარნასე ბაგრატის ძე (958-961 წწ.) იმიერტაოს ბაგრატიონთა სახლიდან; მას მოსდევს ადარნასე სუმბატის ძე (961-983 წწ.) ამიერტაოდან; ხოლო ბოლოს დავით III კურაპალატი ეუფლება ამ ტიტულს 977/9 ან 990 წელს.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში შენიშნული ეს ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტია ცდილობდა, დაეზღუდას იმის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის და არ მოეხდინა, რომელიმე სახლის ზედმეტი დაწინაურება. იმპერატორები არანაირ ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ იერარქიას, ხოლო კურაპალატის ტიტულს გასცემდნენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ კურაპალატის ტიტულის გაცემას ხშირად წინ უძღოდა ადგილობრივი ფეოდალების გააქტიურებაც, რომელთა ინიციატივასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა იმპერატორის გადაწყვეტილებაზე. ძნელია იმის თქმა, თუ რა ვითარებაში მოხდა კურაპალატობის გადაცემა დავითისათვის. ამ ტიტულის მიღების სურვილი ქართველთა სამეფოში დიდი იყო. შესაბამისად, აღნიშნულ პოლიტიკურ ბერკეტს ბიზანტიის მმართველი წრე მოხერხებულად იყენებდა. დავით III-ის გაძლიერება ბიზანტიას მხოლოდ მაშინ სჭირდება, როდესაც მისი სამფლობელოები ანდერძის წესით იმპერატორს უნდა გადაეცეს. ამიტომაც იყო, რომ დავითის გააქტიურება საქართველოსა და სხვა ქრისტიანული ქვეყნების ფარგლებს გარეთ 990 წლის შემდეგ იწყება.

X საუკუნის 70-80-იან წლებში ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტიტული – „მეფეთ მეფე“. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში პირველი ამ ტიტულით სწორედ დავითი იწოდება. კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში „მეფეთ მეფის“ ტიტული ჯერ კიდევ სომხეთში გაჩნდა, როდესაც სომხეთის მეფე აშოტ I-მა 886 წელს (ან 885 წ.) არაბეთის ხალიფას მხარდაჭერით შაჰან შაჰად გამოაცხადა თავი.¹⁰⁹ სომხეთი ისწრაფობა რეგიონში პირველობა მოეპოვებინა, რაც აშკარად გამოჩნდა აშოტის ძის, სუმბატ ტიეზერაკალის, საგარეო

¹⁰⁹ არსებობს სხვა დათარიღებებიც, იხ.: К. Н. Юзбашян Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. М. 1988, გვ. 105; ზ. პაპასქირი. ქართველთა პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი), გვ. 160-161.

პოლიტიკაში.¹¹⁰

სწორედ სომხეთის წამყვანი პოზიციის ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ ახალი ტიტულის მიღება. ხოლო კურაპალატად მისი აღიარება იმის ხაზგასმა იყო, რომ ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანულ სამყაროში ის უნდა ყოფილიყო წამყვანი პოლიტიკური მოთამაშე. ამის საუკეთესო დასტურია დავითის კიდევ ერთი ახალი ტიტული „ყოველისა აღმოსავალისა კურაპალატი“ („აღმოსავალი“ ანუ აღმოსავლეთი).¹¹¹

ტიტულის „ყოველისა აღმოსავალისა კურაპალატის“ გაჩენა¹¹² ემთხვევა ახალი ტიტულის, „მეფეთ მეფის“, შემოღებას. ყოველ შემთხვევაში, ორივე მათგანი პირველად დავით III-ის ტიტულატურაში არის დაფიქსირებული.

¹¹⁰ ვრცლად სუმბატის (სომხ. სმბატი) მოღვაწეობის შესახებ იხილეთ ჰოვანეს დრასხანაკერტცის სომხეთის ისტორია: Ованес Драсханакертци. История Армении. Перевод с древнеармянского М. О. Дарбинян-Меликян. Ереван. 1984.

¹¹¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წგნ.: I. პირველი გამოცემა ტფ. 1892. მეორე ფოტოფირული გამოცემა. თბ. 2004, გვ. 108; ქსა. ათონური კოლექცია. ნაკვ. I. თბ. 1986, გვ. 47.

¹¹² პავლე ინგოროყვა ფიქრობს, რომ მოიაზრებდა „ყოველი აღმოსავლეთის“ ტერიტორიების ფლობასაც, რომლებიც უნდა ყოფილიყო ის „ზემონი ქვეყანანი“, ბიზანტიის იმპერიამ, რომ დაკარგა არაბების სასარგებლოდ. ამდენად, მისი აზრით, ტიტული „ყოველი აღმოსავლეთისა კურაპალატი“ არის არა მხოლოდ დავით III-ის წოდება, არამედ, ზოგადად, ეს შინაარსი უნდა ჰქონოდა ქართველთა სამეფოს მეფეების ამ ტიტულს – კურაპალატს (იხ.: პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 66-67). მიუხედავად ამ საინტერესო და ორიგინალური ახსნისა, რომელიც პავლე ინგოროყვამ მოუქმბა კურაპალატის ტიტულს, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის ამ მოსაზრებას. ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში საქართველოს სამეფო-სამთავროების მმართველებთან მიმართებით ორი სახის კურაპალატის ტიტული ჩანს – ერთი „იბერიის კურაპალატი“, რომელიც მოიაზრებს ქართველთა სამეფოში უპირველესს (ბიზანტიის იმპერატორის ოფიციალური პოზიცია – წყაროში იხსენიება „კურაპალატის იბერები“ ანუ იბერები, რომელთაც საკუთარი კურაპალატი ჰყავთ. იხ.: კონსტანტინე პორფიროგენეტი. გეორგიკა IV. ნაკ. 2, გვ. 255. ეს ტერმინი იგივეა, რაც „ქართველთა კურაპალატი“, რომელიც ამ შემთხვევაში ქართულ წყაროებში ფიქსირდება, იხ.: А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. вып. I. СПб. 1886, გვ. 83); და „ყოველი აღმოსავლეთისა კურაპალატი“ ამ შემთხვევაში ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე მხარეებში მის წარმომადგენელს მოიაზრებს (ეს ტიტული, დავით III-ის გარდა, მიღებული აქვს მრავალ სხვა არაქართველ დიდებულს, მაგ. გრიგოლ ფაჰლავუნი იხ.: R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 215). აქ ამოსავალი წერტილია ცნება, „ყოველი აღმოსავლეთი“ (ანუ „აღმოსავალი“), რომელიც უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება და ის არ უნდა გავიგოთ მხოლოდ საქართველოს ან ქართველთა სამეფოს მნიშვნელობით. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი უფრო ფართოა და სცილდება ქართველთა სამეფოს ბაგრატიონთა გვარის ფარგლებს (ამგვარად იხსენიებიან ბიზანტიელი და სომეხი დიდებულებიც), ამის გამო ამ წოდებაზე ყურადღებას ადარ შევაჩერებთ. აქვე მხოლოდ დავძენთ იმასაც, რომ იბერიის, ანუ ქართველთა კურაპალატი და ყოველი აღმოსავლეთის კურაპალატი დამოუკიდებელ ცნებებად აქვს წარმოდგენილი ბიზანტიის ადმინისტრაციული სისტემის ცნობილ მკვლევარს როდოლფ გიანს, რასაც ჩვენ ვიზიარებთ იხ.: R. Guiland. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Le curopalate, გვ. 239.

დავით III კურაპალატი, შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა სამეფოს უკანასკნელი მმართველი იყო, რომელიც კურაპალატის პატივში ასრულებს მოღვაწეობას. სწორედ დავითი ხდება პირველი, ვინც ქართველთა შორის პრეტენზიას აცხადებს ბიზანტიის აღმოსავლეთით არსებულ ქრისტიანულ სამყაროში პირველობაზე. შესაბამისად, ამან ყველაფერმა გამოხატულება მის ტიტულში, „ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატში“, პოვა. დავითის ეს ტიტული დაფიქსირებულია იოანე ოქროპირისა და ეფრემ სირინის „ქადაგებანის“ ქართული თარგმანის ანდერძ-მინაწერებში. თავად თარგმანი 977 წელს არის შესრულებული, რასაც ანდერძ-მინაწერიდან ვგებულობთ, ხოლო თავად კოლოფონი კი გვიანდელი უნდა იყოს.¹¹³

ზემოთ აღნიშნული ანდერძ-მინაწერი, რომელშიც დავითი ყოველი აღმოსავლეთის (წყაროში გამოყენებულია ფორმა „აღმოსავალი“) კურაპალატად არის მოხსენიებული, შემდეგი შინაარსისაა:

„სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღვთისა მსახურ მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითისათვის რათა სათნოდ ღმრთისა ქცევათა მისთათვის დაუმკვიდროს მეუფემან სუფევად დაუსრულებელი, რამეთუ მართლმადიდებლობისა თუალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვისისა, სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებლად იქცევის... რაჟამს იგი აღმოჩნდა ქუყყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული (ბარდა სკლეროსი ბიზანტიელი დიდებული, რომელიც 976-979 წწ. იბრძოდა ბიზანტიის ტახტის ხელში ჩასაგდებად – ლ. თ.) და მხდომად აღუდგა წმინდათა მეფეთა; ამან (საუბარია იოანე თორნიკ-ყოფილზე, იგივე თორნიკე ერისთავი დავით III კურაპალატის სარდალი – ლ. თ.) ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამხვა განზრახვად მისი და განამტკიცნა წმინდანი მეფენი (ბიზანტიის იმპერატორები ბასილ II დიდი და მისი ძმა კონსტანტნე IX. იმავე სახით იხსენიებიან ტექსტის დასაწყისშიც – ლ. თ.)“¹¹⁴

ამავე ხელნაწერის არშიების ცნობებიდან გამომდინარე, სრულიად აშკარაა ის ფაქტი, რომ 977 წლისთვის დავითი მეფე და მაგისტროსია, ხოლო ანდერძ-მინაწერი, რომელშიც ის მოიხსენიება კურაპალატად, მოგვიანო პერიოდისაა და არა თანადროული. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, 977 წელს შესრულებულ ანდერძ-მინაწერში როგორ შეიძლება მოთხრობილი იყოს ბარდა სკლეროსის დაამარცხების ამბავი, რასაც ადგილი 979 წელს ჰქონდა. ამდენად, აღნიშნული ანდერძ-მინაწერი 979 წლის შემდეგ არის შესრულებული,¹¹⁵ თუმცა ზუსტი თარიღის გარკვევა არ ხერხდება.

¹¹³ ქსა. ათონური კოლექცია. I, გვ. 1986, გვ. 44.

¹¹⁴ ქრონიკები. I., გვ. 108. ქსა. ათონური კოლექცია. I, გვ. 47; ვ. სილოგავა. ოშკი, გვ. 138-139.

¹¹⁵ ეს ჯერ კიდევ ელენე მეტრეველმა შენიშნა, რომ ანდერძ-მინაწერი 979 წლის მომდევნო ხანებშია შესრულებული და არა 977 წელს, იხ.: ქსა. ათონური კოლექცია. ნაკვ. I. თბ. 1986, გვ. 44.

ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ანდერძ-მინაწერში 977 წელი დაფიქსირებული, ის უნდა გულისხმობდეს არა ანდერძ-მინაწერის შესრულების დროს, არამედ თავად ხელნაწერის გადაწერის თარიღს. შეცდომას ამ შემთხვევაში გამოვიცხავთ, ვინაიდან კოლოფინის ავტორი დიდად განათლებული პირია და კარგად ჩახედული იმდროინდელ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ვითარებაში. ამდენად, ნაკლებ სავარაუდებელია, რომ მას თარიღი არეოდა, საფიქრებელია, რომ 977 წელს გადაიწერა თავად თარგმანი, ხოლო ანდერძის შესრულება მოგვიანებით მოხდა.

აღნიშნულ ანდერძ-მინაწერში მრავალი საგულისხმო ფაქტი ფიქსირდება, მათ შორის ისეთი ეპითეტები, რომლებიც პირველად სწორედ დავით კურაპალატის დროს უნდა გაჩენილიყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ასეთებია: „ყოფლისა აღმოსავალისა კურაპალატი“, „მართლმადიდებლობისა თუალი“ და სხვა. მოგვიანებით ყველა ეს ეპითეტი თუ ტიტული მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველ მეფეთა საპატიო ტიტულატურაში. დავით III კურაპალატი იყო უკანასკნელი ქართველთა სამეფოს მმართველებს შორის, რომელიც კურაპალატის ტიტულს დაეუფლა. ის გარდაიცვალა 1000 წელს, ხოლო მისი სიკვდილის მიზეზები დღემდე ბურუსით არის მოცული, სავარაუდოდ, იგი შეთქმულებმა მოკლეს.¹¹⁶

დავითის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა თავისი კუთვნილი სამფლობელოები იძულებით დადებული ანდერძის თანახმად თავად მიიტაცა, ხოლო ქართველთა მეფე გურგენსა და მის შვილს, ბაგრატ აფხაზთა მეფეს, მაგისტროსისა და კურაპალატის ტიტულები უბოძა.¹¹⁷

ამრიგად, კურაპალატის ტიტული, რომელიც VI საუკუნის შუა წლებიდან იშველი უკვე იმპერატორის მემკვიდრის ხარისხში იქნა აყვანილი, უკვე 575/6 წლის შემდეგ ეძლევა ქართველ ხელისუფალს, გუარამ ერისმთავარს, რომელიც ამით არ გამხდარა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრე, სამაგიეროდ ტახტის ყოფილი მემკვიდრის ტიტული მიიღო და იმპერატორი იუსტინე მეორესა და მის მემკვიდრე კეისარ ტიბერიუსის შემდეგ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად იქცა ბიზანტიის თანამეგობრობის მასშტაბით.

კურაპალატის ტიტული ამის შემდგომც ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას ბიზანტიის თანამეგობრობაში. ამ ტიტულს ეუფლებიან ქართლის სხვა ერისმთავრებიც, თუმცა ყველაზე ფართო გავრცელება მან ქართველთა სამეფოს არსებობის პერიოდში პოვა, სადაც იბერიის კურაპალატი, იგივე ქართ-

¹¹⁶ აღექსანდრე აბდალაძე თვლის, რომ იგი მოწამლეს ბიზანტიის იმპერატორის, ბასილ II-ის დავალებით, რასაც, განსხვავებით ქართული საისტორიო ნარატივისგან ერთნაირად რამდენიმე უცხოენოვანი წყარო. შედარებით ვრცლად იხ: აღ. აბდალაძე. დავით დიდი კურაპალატის მკვლელობის კვლადაკვალ, გვ. 31-38.

¹¹⁷ აღნიშნული პერიპეტეების შესახებ ვრცლად იხილეთ: ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969; 3. В. Папаскири. От Давида до Давида: Из истории международных отношений Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Тб. 2001.

ველთა კურაპალატი, ითვლებოდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლად, რაც, პირველ რიგში, გამოხატავდა ბიზანტიის დამოკიდებულებას ქართველთა სამეფოს პოლიტიკური იერარქიისადმი, ხოლო ნაწილობრივ ქართველების პოზიციასაც, რომელიც ემთხვეოდა ბიზანტიისას.

IX-X საუკუნეების ქართველთა სამეფოში არსებობდა განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით, არა კურაპალატი, არამედ ადგილობრივი მეფე უნდა ყოფილიყო ქვეყნის უმაღლესი სუვერენი. თავდაპირველად ბიზანტიის იმპერატორების მიერ გაცემული კურაპალატის ტიტული და ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარის უფროსობა (ანუ „მეფობა“ აშოტ I კურაპალატიდან მოყოლებული) ერთსა და იმავე პიროვნების ხელში იყო მოქცეული. ასე გრძელდებოდა 813 წლიდან 881 წლის ჩათვლით. გურგენ ადარნასეს ძის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღებამ (881 წელი) და მოგვიანებით ადარნასე დავით I-ის ძის მიერ „ქართველთა მეფედ“ თავის გამოცხადებამ (888 წელი) პოლიტიკური სიტუაცია შეცვალა. ამის შემდეგ კურაპალატობისა და ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურა იყო. ბიზანტიის ხელისუფლება არ ცნობდა ტიტულ „ქართველთა მეფის“ პოლიტიკურ სტატუსს.¹¹⁸ თუ კურაპალატის ტიტულის გაცემა ბიზანტიის იმპერატორის უშუალო პრეროგატივა იყო, ქართველთა მეფის ტიტულის გადაცემა უხუცესობისა და მემკვიდრეობითობის პრინციპის გათვალისწინებით ხდებოდა, რასაც ქვეყნის ადგილობრივი ელიტა არეგულირებდა ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე.

საერთო ჯამში, კურაპალატისა და ქართველთა მეფის ტიტულის სხვადასხვა პიროვნების ხელში მოქცევა დაპირისპირებისა და კონფრონტაციის მიზეზი ხდებოდა. კურაპალატის ტიტულს ასეთი სერიოზული დატვირთვა ბიზანტიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიანიჭა, რომელიც იმპერატორის ოჯახის წევრების პარალელურად ამ ტიტულს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების სახლის წევრებზეც გასცემდა, რითაც ქართველი მეფე-მთავრების პოლიტიკურ სტატუსს უმაღლესი იმპერატორის ოჯახის წევრების სტატუსთან ათანაბრებდა. აღნიშნული, ერთი მხრივ, ქართული პოლიტიკური სივრცის ბიზანტიურ თანამეგობრობაში ინტეგრაციის მაჩვენებელია, ხოლო, მეორე მხრივ, კარგად უჩვენებს ქართველ ხელისუფალთა დაწინაურებულ პოლიტიკურ მდგომარეობას IX-X საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში, სადაც აღმოსავლეთ რომის იმპერატორი უმაღლეს საერო პირად მოიაზრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკებისა და ბულგარეთის ტერიტორია ჩამოშორებული იყო ბიზანტიის პოლიტიკურ ჰეგემონობას, აღმოსავლეთ რომის იმპერატორია ჯერ კიდევ ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას საქრისტიანოში, რომლის წევრებადაც აღნიშნულ ეპოქაში მოიაზრებოდნენ ქართული სამეფო-სამთავროები.

¹¹⁸ ზ. პაპასქირი. ქართველთა პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი), გვ. 169.

შემოკლებების განმარტება:

თსუშ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

სმამ – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქხა – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

CSHB – Corpus Scriptorum Historiae Byzantinae

EI – Encyclopaedia of Islam

ODB – The Oxford Dictionary of Byzantium. 3 volumes. Oxford University Press.
1991 (Ed. by A. Kazhdan)

Leri Tavadze

**TITLE OF KOUROPALATES IN TAO-KLARJETI BAGRATIONI ROYAL HOUSE
(POLITICAL SITUATION OF KARTVELIAN KINGDOM IN THE 9TH - 10TH
CENTURIES)**

Summary

The title of kouropalates was the first serious Byzantine court title donated to the rulers of Kartli in the end of the 6th century. At first, the title of kouropalates had a pure administrative functions, but in the middle of the 6th century Justin, successor of Byzantine Emperor Justinian I the Great (527-565), was appointed in this position. Justin became the heir of Eastern Roman Empire and the title of kouropalates was equalized to caesar. Hence the title kouropalates served for the member of Imperial family and the title made its position second after the Emperor. Another member of the Imperial family, son-in-law of Emperor Justin I (565-578), Baduarius received the same title in 565. Consequently he had become the heir of the Byzantium, but later in 573 he was disgraced by Emperor and as a result of that he lost his position. Tiberius was appointed as caesar of Eastern Roman Empire and title of kouropalates was declined to the lower rank, below the caesar. But the title of kouropalates remained one of the highest position among the hierarchy of Byzantine court titles. Soon after the death of Baduarius (576), ex-heir of Byzantine Empire, the first *erismtavari* (Grand Prince) of Kartli Guaram-Gurgen was appointed as kouropalates of Byzantium. After that the Georgian and Armenian nobles next to the members of Imperial family were granted the title of kouropalates.

The title of kouropalates was very popular in Kartvelian Kingdom. The first member of Tao-Klarjeti Bagrationi royal house who was granted with that title by Emperor Leo V the Armenian (813-820) was Ashot I the Great, the founder of Kartvelian Kingdom in the southwest of Georgia. Later the same title was bestowed to his son, Bagrat I (826-876) and after, to son of Bagrat, David I (876-881). Later the title of kouropalates was given to Gurgen, son of Adarnase (the latter was the son of Ashot I the Great and the founder of Klarjeti branch of the royal Bagrationi family). The donation of the title of kouropalates was official recognition from the Byzantine Emperor of the leadership of Kartvelian Kingdom, hence many princes sought that title for themselves. That kind of situation occurred after the death of Adarnase I kouropalates and the king of Kartvelians, in 923, when the sons of Adarnase, David king of Kartvelians, his brother Ashot II and their relative Gurgen the Great were disputing for the title of kouropalates. They sent the emissaries to Emperor Romanos I Lekapenos (919-944) to seek the assignment in this position. Finally the Emperor decided in favour of Ashot II who was the kouropalates from 923 to 954. Almost dual suzerainty was established in Kartvelian Kingdom. According to contemporary epigraphical evidences,

Ashot II was reckoned as a supreme sovereign of Kartvelian Kingdom instead of his senior brother David II (923-937) who had a title of king of Kartvelians and was officially considered in charge of the Kingdom. Later the title of kouropalates was granted either to Imiertao branch of Tao-Klarjeti Bagrationi family (those were the offsprings of Bagrat, third brother of David II and Ashot II), or to Amiertao branch of the same house (offsprings of Sumbat, fourth brother and the youngest sibling of David II and Ashot II). The last member from the Tao-Klarjeti Bagrationi family throughout the 9th to 10th centuries who received that title was the David III kouropalates (Imiertao branch of Tao-Klarjeti Bagrationi royal house). He was the most prominent among the others from the same royal dynasty and was named as “kouropalates of the entire Orient” by the Emperor of Byzantium.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ჯაბა სამუშია

ბაგრატ III-ის მიერ „კლარჯი ხელმწიფეების“ ამოწყვეტა

ნათქვამია, პოლიტიკა ბინძური საქმეაო და ეს მარტო თანამედროვეობას არ ეხება. მეტიც, დღეს პოლიტიკა მნიშვნელოვნად გაკეთილშობილდა. გაცილებით სისხლიანი იყო ის ანტიკურ ხანასა თუ შუა საუკუნეებში. არავინ იფიქროს, რომ საუკუნეების წინ პოლიტიკა დინამიკური არ გახლდათ. იმ დროსაც ადამიანის გონება ათასგვარი პოლიტიკური ხრიკით იყო დაკავებული. ყველა ეპოქაში აწუხებდათ ერთი უმთავრესი დილემა, როგორ იყო ერთურთთან დაკავშირებული პოლიტიკა და მორალი. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელი იყო მათი თანაარსებობა. ერთ-ერთი მოხდენილი გამოთქმისა არ იყოს, „ძალაუფლება, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს“. მაგრამ პოლიტიკა ყოველთვის არ არის „ბინძური.“ პოლიტიკა ცოცხალი პროცესია და მისთვის დამახასიათებელია კეთილშობილებასთან ერთად სიბინძურეც. ეს სამწუხარო რეალობაა. ძველად პოლიტიკა „სამეფო ხელგონებად“ იყო მონათლული, რომელსაც ხალხისთვის სიკეთე უნდა მოეტანა, მაგრამ ხშირად ხდებოდა, რომ ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. დღემდე ძნელია ზღვარი გაივლოს, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის – ესა თუ ის სისხლიანი აქცია თუ შეგუება არსებულ რეალობასთან. მაგალითად, კახეთ-ჰერეთის შემოერთება ბაგრატ III-ის დროს, ფეოდალური ოპოზიციის დამორჩილება და სხვა ამის მსგავსი. ერთი დაუწერელი კანონი აქვს ისტორიას. თუ მონარქი ძალადობას მიმართავს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ფაქტს თითქოს აპატიებს მომავალი თაობა და ამისთვის დიდად არ განიკითხავს მას.

ბაგრატ III-ის ბიოგრაფიისთვის ერთი თვალის გადავლებაც კი დაგვარწმუნებს, რომ მისთვის სენტიმენტალიზმი მაინცდამაინც დამახასიათებელი არ ყოფილა. საჭირო შემთხვევაში რადიკალურ გადაწყვეტილებებსაც იღებდა და არც უკან დახევა ახასიათებდა. თითქოს წინასწარ იცოდა, რომ მისი ნაბიჯის აწონ-დაწონას მომავალი თაობა არ შეუდგებოდა, თუ საქმე სახელმწიფო ინტერესებს ეხებოდა. ამიტომაც ნაკლებს ფიქრობდა იმაზე, რას იტყოდნენ მის ნამოქმედარზე თანამედროვენი თუ შთამომავლობა, მთავარი იყო სამეფო ტახტის სიძლიერის დემონსტრირება. მამობილთან, დავით კურაპალატ-

თან, კონფლიქტის ჟამსაც ხომ კარგად გამოჩნდა მეფის ხასიათი. არაფერს ვამბობთ ტბელებსა და ბაღვაშებთან ბრძოლისას გამოჩენილ უკომპრომისობაზე. ასე რომ, ბაგრატ III თავისი ხასიათით შეუპოვარი მონარქის იმიჯს ტოვებდა. მაგრამ ეს ერთი მხარეა. მეორე ის გახლავთ, რომ ყველა ჩვენთვის ცნობილ შემთხვევაში ბაგრატ III თავის აშკარა მტერს უპირისპირდებოდა. დავით კურაპალატთან ინციდენტისას ბაგრატი, შეიძლება ითქვას, მართალი იყო, რადგანაც იმიერტაოს მეფემ აფხაზთა მეფის მტრის, ბაღვაშის მხარე დაიკავა. ამიტომაც ბაგრატის მიერ გადადგმული ნაბიჯის შეფასებისას ვერავითარ ამორალურს ვერ ვხედავთ. ცენტრალური ხელისუფლება იბრძვის თავისი უფლებების აღსადგენად. ქვეყნის ცენტრალიზაცია საკმაოდ მტკივნეული პროცესია, რომელსაც ყოველთვის ახლავს დაპირისპირება, ბრძოლა და სისხლისღვრა. მაგრამ ამ შემთხვევაში მეფე, როგორც ღვთისგან კურთხეული, თავისი უფლებების დაცვა-აღდგენას ცდილობს. ეკლესია, შეიძლება ითქვას, ამ პროცესების წინააღმდეგ არასდროს წასულა. გაცილებით რთული იყო შუა საუკუნეებში სხვა პოლიტიკური ერთეულის შემოერთებისათვის ბრძოლა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის მონათხრობს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ის ერთგვარ ახსნას უძებნის ბაგრატის ბრძოლას კახეთისა თუ ჰერეთის წინააღმდეგ, ასევე განძის საამიროზე ლაშქრობას. კახეთის მეფეს, დავით ქორეპისკოპოსს, ბაგრატ III ჯერ კიდევ XI საუკუნის 70-იან წლებში კახელების მიერ მიტაცებულ ციხეებს სთხოვდა, განძის ამირა ფადლონი ბაგრატის მიერ კონტროლირებად ჰერეთს არბევდა, ანუ მემატიანეს იმის თქმა სურს, რომ მეფის ბრძოლას კანონიერი საფუძველი ჰქონდა. მაგრამ რატომღაც ბაგრატ III-ის ბიოგრაფიის გადმოცემისას ერთ შემთხვევაში „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი დუმს და არაფერს ამბობს მეფის მიერ განხორციელებულ ერთ-ერთ პოლიტიკურ აქციასთან დაკავშირებით. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მემატიანემ უმნიშვნელო მოვლენა გამოტოვაო, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ეს ფაქტი თავისი მასშტაბით არ ჩამოუვარდება კახეთისა და ჰერეთის შემოერთების ამბავს. ბაგრატ III-ის თანამედროვე მეორე ისტორიკოსს, სუმბატ დავითის ძეს, უნდა ვუმაღლოდეთ, ეს მოვლენა რომ შემოგვინახა. საქმე ეხება „კლარჯი ხელმწიფეების“ შეპყრობისა და არტანუჯის ციხე-ქალაქის აღების ამბავს. ის ფაქტი, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორმა ეს ფაქტი იცის და დეტალებშია გარკვეული, ჩანს იქიდან, რომ ოდნავ ქვემოთ ის ახსენებს „კლარჯი ხელმწიფეების“ ერთ-ერთ შთამომავალს, რომელიც კონსტანტინოპოლში გაიქცა – დემეტრე სუმბატის ძეს. მთლიანობაში კლარჯი ბაგრატიონების თავგადასავალი მისთვის უცხო არ არის. მაშ რატომ დუმს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი? დავიწყეთ იმით, რომ ეს ინციდენტი ბაგრატის ბიოგრაფიაში შეიძლება ჩაითვალოს იმ ფაქტად, რომელიც ნაწილობრივ ჩრდილს აყენებდა მის პიროვნებას. საქმე ეხება არა კლარჯეთისა და, კერძოდ, არტანუჯის შემოერთების თემას, არამედ იმ ფორმებს, თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ეს სამხედრო-პოლიტიკური აქცია. სანამ შევაფასებდეთ თავად ამ ფაქტს, მოვუსმინოთ სუმბატ დავითის ძეს: „და

ამან ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი ჰელმწიფენი – სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თუსნი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგვსასა. და მუნ ციხესა შინა თმოგვსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა სლა. და ეგრეთვე მასვე ციხესა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმად სუმბატისი, ქრონიკონსა სლბ. ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს კოსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე. და მათნივე შვილნი, კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამას ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“.¹

ბაგრატიონთა დამკვიდრება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში VIII-IX საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. არაბულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში აშოტი, ქართლის ერისთავი, აიძულა თავშესაფარი კლარჯეთში ეძია. აშოტი არტანუჯში მკვიდრდება და ახალი სამთავროს ჩამოყალიბების ორგანიზებას იწყებს. ტაო-კლარჯეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ბაგრატიონები ამ სახელმწიფოს მმართველებად გვევლინებიან. აშოტის გარდაცვალებას მოჰყვა ხელისუფლების თანდათან განაწილება მის მემკვიდრეთა შორის. სწორედ ამ დანაწილების ნაყოფია ბაგრატიონთა სახლის ორ მთავარ შტოდ – ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად – დაყოფა, რამაც მოგვიანებით სახელმწიფოს გაყოფაც განაპირობა. ტაოს ბაგრატიონები ტაოს მეფეები ხდებიან, კლარჯეთის ბაგრატიონები კი – „კლარჯი ხელმწიფენი“.²

კლარჯეთის შტო დასაწყისში ძირითადად ფლობდა: კლარჯეთს, შავშეთს, არტანს, აჭარას, ასევე ყველისციხესა და ტაოში კალმახისციხეს. მართალია, წყაროთა სიმცირის გამო ამ პერიოდის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამა თუ იმ შტოს საგვარეულო სამფლობელოების ისტორიის შესწავლა მეტად რთული საქმეა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია იმის გარკვევა, თუ ვის ეკუთვნოდა X-XI საუკუნეების მიჯნაზე კლარჯეთი, ბუნებრივია, არტანუჯის ჩათვლით. თავიდანვე უფროსობა ტაოს შტოს აქვს და ნომინალურადაც ტაოს სახლი ითვლება უფროსად, თუმცა, ფაქტობრივად, კლარჯეთის შტო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს.

X საუკუნის II ნახევარში კლარჯეთი და შავშეთი კლარჯი ბაგრატიონის, სუმბატ დავითის ძის, ხელშია. მემატთანე აღნიშნავს: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისაჲ, არტანუჯელი, ქრონიკონსა სწ, და დაუტყვნა ძენი ორნი: დავით და ბაგრატ. და შემდგომად მიცვალებისა მისისა დღესა მეორმოცესა გარდაიცვალა ძე მისი ბაგ-

¹ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთაჲ. წიგნ.: ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 370.

² მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1979, გვ. 452; მ. ლორთქიფანიძე. ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი). წიგნ.: საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012, გვ. 211-212.

რატ, და დაუტევნა ძენი ორნი: სუმბატ და გურგენ.“³ სწორედ ამ სუმბატის უშუალო მემკვიდრეები (შვილიშვილები) არიან სუმბატი და გურგენ ბაგრატიონები, რომლებიც ბაგრატ III-ის პერიოდში „კლარჯ ხელმწიფეებად“ იწოდებიან და რომელთა ხელთაა არტანუჯის ციხე-ქალაქი.

* * *

X საუკუნე ქალაქი არტანუჯისთვის აღმავლობის ხანაა. მან დაიბრუნა თავისი ძველი დიდება და რეგიონში ძლიერ ეკონომიკურ ცენტრად იქცა. ამას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი – საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურმა პროცესებმა, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურმა აღმავლობამ, გეოგრაფიულმა ფაქტორმა და სხვ. X საუკუნის შუა ხანებისთვის არტანუჯი იმდენად სერიოზულ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, რომ მის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (913-959) თავის თხზულებაში “De Administrando Imperio”. იგი აღნიშნავს: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. ადრანუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“.⁴

კონსტანტინე VII პორფიროგენეტის მიხედვით, ქალაქი არტანუჯი სამი ნაწილისგან შედგებოდა: ციხის ანუ აკროპოლისისგან, დაბა-ქალაქისა და რაბათისგან. არტანუჯის ქალაქგეგმარება სწორედ ასე აქვს წარმოდგენილი ლევან ჭილაშვილს.⁵ ვალერიან გაბაშვილი კი ფიქრობს, რომ აშოტის მიერ დედაციხის ქვეშ აშენებული ქალაქი უნდა იყოს „რაბათი“.⁶ ბიზანტიურ წყაროში ცალსახადაა დასახელებული არტანუჯის სამი უბანი. ჩვენი აზრით, აშოტ I დიდის მიერ აშენებული არტანუჯი თავიდან ორი ნაწილისგან შედგებოდა: ციხისა და ქალაქისგან. IX საუკუნის I ნახევრიდან დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ურბანიზაციამ ქ. არტანუჯის სანახებში წარმოშვა კიდევ ერთი ახალი უბანი „რაბათი“.⁷

არტანუჯის ციხე-ქალაქს აკროპოლისი დასავლეთიდან დაჰყურებს. მისა-

³ სუმბატ დავითის ძე. ცხორებად და უწყებად ბაგრატონიანთად, გვ. 369.

⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De Administrando Imperio. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. IV. ნაკ. II. თბ. 1952, გვ. 281.

⁵ ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 108.

⁶ ვ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა). კრებ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. წ. 1. თბ. 1976, გვ. 14-18.

⁷ ამ საკითხზე ვრცლად იხ. ჯ. სამუშია. არტანუჯის ციხე-ქალაქი (ისტორიული ნარკვევი). თბ. 2005, გვ. 23-24.

სველი ციხესთან ჩრდილოეთ მხრიდანაა. ამ მონაკვეთში თვალნათლივ განიხილება ფორტიფიკაციის ორი ფენა: ერთი უშუალოდ არტანუჯის წყალს გადაჭურებს, მეორე გალაგნის ნაშთი ოდნავ შემადლებულზეა. იმ პერიოდისთვის, როცა არტანუჯი სამეფო ქალაქს წარმოადგენდა და იქ „კლარჯი ხელმწიფეები“ ცხოვრობდნენ, ციხის ამ მონაკვეთში საგანგებოდ უნდა ყოფილიყო მოწობილი გზებისა და კიბეების სისტემა. არტანუჯის აკროპოლისის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 205 მეტრამდე მერყეობს. სიგანე აკროპოლისს სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა აქვს. არტანუჯის ციხეზე ერთ-ერთ ყველაზე შემონახულ ნაგებობად შეიძლება ჩაითვალოს მომცრო დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ეს ტაძარი უნდა იყოს აშოტ კურაპალატის მიერ აგებული წმინდა პეტრესა და პავლეს ეკლესია, რომელშიც უნდა ყოფილიყო დასაფლავებული აშოტი.⁸

აკროპოლისი მთელ პერიმეტრზე საკმაოდ მაღალი კედლით იყო შემოვლებული. ამჟამად, ამ კედლის ნაწილი გადარჩენილია. სწორედ მასზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გალაგანში სხვადასხვა პერიოდის ფენებია შერწყმული.

არტანუჯის დაწინაურებას, ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მონაცემების გარდა, ხელი შეუწყო ასევე მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. იგი სამხრეთ საქართველოს რამდენიმე მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობდა. არტანუჯთან თავს იყრიდა როგორც შიდა რეგიონალური, ისე ტრანსსახელმწიფოებრივი გზები. შავი ზღვის ნავსადგურებიდან მომავალი გზა არტანუჯის გავლით არტაანში გადადიოდა. სხვათა შორის, ეს გზა მდინარე არტანუჯისწყალს მიუყვებოდა. ქალაქთან მიახლოებისას გზა მდინარეს კვეთდა და არტანუჯის ძირში, კლდეებში გადიოდა. სწორედ აქ იყო გადებული ცნობილი არტანუჯის ხიდი. გზა ისევ მდინარეს მიჰყვებოდა უღელტეხილის დასაწყისამდე. შემდეგ გზა ხელმარცხნივ უხვევდა და ქვაყრილის მთის გადასასვლელით არტაანის პლატოზე ჩადიოდა, საიდანაც ერთი განშტოება ყარსი (ქართ. კარი) ანისისკენ მიემართებოდა, მეორე კი, მტკვრის ხეობით – საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა პროვინციებისკენ. არტანუჯიდან გზები მიდიოდა ასევე ტაოსა და შავშეთისაკენ.

არტანუჯის ციხე-ქალაქის აღმავლობამ თავიდანვე დიდი თავსატეხი გაუჩინა მის მფლობელებს.

* * *

როგორც ვხედავთ, სამხრეთ საქართველოში იმერ და ამიერტაოს გარ-

⁸ W. Djobadze. Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet'i, and Šavšet'i. Stuttgart. 1992, გვ. 19; ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2006, გვ. 34-36; დ. ხოშტარია. ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველენი. ჟურნ.: „არტანუჯი“. №5. თბ. 1996, გვ. 65; იხ. მისივე, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ. 2005.

და, არსებობდა კიდევ ერთი სამთავრო, ცენტრით არტანუჯში. კონკრეტულად რა ტერიტორიას მოიცავდა ეს პოლიტიკური ერთეული, ამის დაზუსტება დღეისთვის ჭირს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, კლარჯეთის ნაწილი და არტანუჯისწყლის ხეობა დანამდვილებით რომ შედიოდა, უდავოა. არ გამოვრიცხავთ „კლარჯ ხელმწიფეთა“ საკუთრებაში ჭოროხის ხეობისა და შავშეთის ნაწილის ყოფნასაც. ამ საკითხის განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და ამიტომაც მხოლოდ ზოგადი მითითებით დაგვკმაყოფილდებით.

გარდა იმისა, რომ კლარჯ და ტაოელ ბაგრატიონებს ერთი დიდი წინაპარი ჰყავდათ აშოტ კურაპალატის სახით, საუკუნეების შემდეგ ამ განშტოებებს შორის უფრო ახლო ნათესაური კავშირები დამყარდა დინასტიურ ქორწინებათა მეშვეობით. ერთ-ერთი ასეთი წყვილი იყო ბაგრატ არტანუჯელი და მისი მეუღლე, ამიერტაოს მეფის, ბაგრატ რეგვენის, ასული. შესაბამისად, ეს ქალბატონი ბაგრატ III-ს მამიდად ეკუთვნოდა. ამდენად, ბაგრატიონების „კლარჯი ხელმწიფეები“ მამიდაშვილები გამოდიან. ბუნებრივია, სწორედ ასეთი ნათესაობის გამო სუმბატი და გურგენი ყოველგვარი ეჭვის გარეშე ეწვივნენ ბაგრატ III-ს ფანასკერტში სადარბაზოდ. სამწუხაროდ, ჩვენამდე მარტოოდენ ფაქტმა მოაღწია, თუ რა უძღოდა წინ ფანასკერტში დარბაზობას, ეს შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. წყაროდან ისე ჩანს, რომ ეს ნათესავეებს შორის მორიგი სტუმრობა იყო, ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე. ამ ინციდენტამდე ტაოელ და კლარჯელ ბაგრატიონებს შორის სამხედრო კონფლიქტი რომ არსებულებოდა, ამას მემბტიანე ორიოდ სიტყვით მაინც ახსენებდა. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ III-ის აპოლოგეტი „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი თვით მოვლენას გვერდს კი არ აუვლიდა, არამედ მეფის ამ ნაბიჯს ახსნას მოუძებნიდა. ფაქტია, კლარჯი სტუმრები დიდ საფრთხეს ბაგრატ III-ისგან არ ელიან და ამიტომაც ძმები, სუმბატი და გურგენი ფანასკერტში ჩადიან. აი, სწორედ აქ მოხდა ის ინციდენტი, რომელმაც ბაგრატ III-ისადმი საზოგადოების ნაწილის განწყობა კარდინალურად შეცვალა.

სუმბატ დავითის ძის მონათხრობს რომ მივყვეთ, მოვლენები ასეთი თანამიმდევრობით განვითარებულა.

კლარჯი ხელმწიფეების ფანასკერტში სტუმრობისას, ბაგრატ III-ის გადაწყვეტილებით, ძმები სუმბატი და გურგენი შეუპყრიათ. ამავე პერიოდში „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის ჯარს არტანუჯი უნდა აეღო. შემთხვევით ბაგრატიონის რისხვას გადაურჩნენ სუმბატისა და გურგენის შვილები – ბაგრატი და დემეტრე, თუმცა მათი ოჯახის წევრები ბაგრატ III-ის მომხრეებს დაუპატიმრებიათ. უფლისწულები სასწრაფოდ ბიზანტიაში გახიზნეს. ბაგრატ III-მ თავისი მამიდაშვილები თმოგვის ციხეში გამოამწყვდია. იგივე ბედი ეწია მათი ოჯახის სხვა წევრებს: „მათნივე შვილნი კლარჯთ მეფეთანი, რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა ში-

ნა“.⁹

ნამდვილად ძნელია ბაგრატ III-ის ასეთი მკაცრი ზომების ახსნა. შეგახსენებთ, რომ კახეთის შემოერთების შემდეგ მეფეს ხელთ ჩაუვარდა კვირიკე ქორეპისკოპოსი, მაგრამ ეს უკანასკნელი რომელიმე ციხეში ტუსად კი არ აქცია, არამედ სამეფო კარზე საპატიო ტყვეობაში ამყოფა. ასე დაუნდობლად კლარჯი ბაგრატიონების ამოწვევას დიდი ხნის ფარული შუღლი და დაპირისპირება უნდა ედოს საფუძვლად, თუმცაღა ათასი წლის წინ მომხდარი ტრაგედიის ბევრი დეტალი მაინც სამუდამოდ ისტორიის კუთვნილებად იქცა და წარსულის ლაბირინთებში ჩაიკარგა. ვარაუდი კი ბევრია. სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობა უბიძგებს ისტორიკოსს ათასგვარი მოსაზრების გამოთქმისკენ. იქნებ საერთოდაც დიდი ოჯახური კონფლიქტით იყო გამოწვეული ბაგრატ III-ის ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება. შემთხვევით არ ემთხვევა ეს ფაქტი 1008 წელს გურგენ მეფეთ მეფის მიცვალებას. სუმბატისა და გურგენ კლარჯის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, არ არის გამორიცხული, დაუშვათ, რომ ისინი ბაბუამისთან (დედის მხრიდან), ბაგრატ II რეგვენთან გაზრდილიყვნენ ფანასკერტში. 988 წელს გარდაიცვალა სუმბატ III ერისთავთ-ერისთავი, არტანუჯელი, ბაგრატ III-ის მიერ შეპყრობილი „კლარჯ ხელმწიფეთა“ პაპა, მამის მხრიდან. მეორმოცე დღეს მიიცვალა მისი შვილი ბაგრატ არტანუჯელი, სუმბატისა და გურგენის მამა.¹⁰ დაობლებული პატარა უფლისწულები დედის ამარა დარჩნენ. მათ ჰყავდათ ბიძა დავითი, რომელიც, სავარაუდოდ, განაგებდა კიდევ საგვარეულო მამულს გარდაცვალებამდე. ფაქტობრივად, სუმბატსა და გურგენს მფარველად ბაბუა ჰყავდათ. სწორედ ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, რომ ახალგაზრდობაში დაქვრივებულ ბაგრატ II რეგვენის ასულს შვილებთან ერთად დიდი დრო მამის სამფლობელოში, ამიერტაოში, გაეტარებინა. ამით მისი ვაჟების უსაფრთხოება უფრო დაცული იქნებოდა. ისიც ცნობილია, რომ ბაგრატ II რეგვენს მანიცდამაინც კარგი ურთიერთობა არ ჰქონია შვილთან და შვილიშვილთან. არ დაგვავიწყდეს, რომ ბაგრატ II რეგენი გურგენისა და ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგე ბანაკშია თრიალეთში. და კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც ზემოთ გაკვრით ვისაუბრეთ. სომეხი ისტორიკოსი ასოლიკი ახსენებს ბაგრატ II რეგვენის მეორე ცოლს, რომელსაც თავისი გერი გურგენი და მისი ოჯახი მოუძულებია.¹¹ როგორც ჩანს, მამა-შვილს შორის კონფლიქტი ვიდაცის მიერ საგანგებოდ იყო გაღვივებული. ასეთი კი შეიძლება ბაგრატ რეგვენის მეორე ცოლი ყოფილიყო, რომელსაც თავისი და თავისი შვილების უფლებების დასაცავად პროვოცირება მოეხდინა ბაგრატ რეგვენისა და გურგენის დაპირისპირებისთვის. და საერთოდ, ბაგრატ არტანუჯელის ცოლი, ანუ გურგენის და ხომ არ იყო ბაგ-

⁹ სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 370.

¹⁰ სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 369.

¹¹ Всеобщая история Степ'аноса Таронского Асох'ика. Переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М. 1864, გვ. 180-181.

რატ რეგენის შვილი მეორე ქორწინებიდან. მართალია, ყოველივე ზემოთ თქმული მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ, ვფიქრობთ, მას არსებობის უფლება აქვს. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ კლარჯეთის შემოერთების პოლიტიკურ მოტივებს პიროვნული დაპირისპირებაც უნდა უმაგრებდეს ზურგს. რაღაცის გამო ბაგრატ III თავისუფალია, როდესაც ფანასკერტში სტუმრად მისულ მამიდაშვილებს სასიკვდილოდ გაწირავს. არც ეს უკანასკნელი უნდა იყვნენ მთლად მართლები „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის წინაშე.

ფაქტი ერთია, ფანასკერტში დაპატიმრებულ სუმბატსა და გურგენს თმოგვის ციხის დილეგში უკრეს თავი, სადაც მალევე გარდაიცვალნენ კიდევ. სუმბატ დავითის ძის თქმით, სუმბატი 1011 წელს გარდაცვლილა, გურგენი კი 1012 წელს.¹² აქ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს მემპტიანისეულმა განცხადებამ, რომ გურგენიც „ეგრეთვე მას წელსა შინა“ გარდაიცვალაო¹³, მაგრამ ქრონიკონით სუმბატ დავითის ძე რატომღაც 1012 წელს უჩვენებს. ეს „ცდომილება“ ადვილი ასახსნელია. XI საუკუნის I ნახევარში, როდესაც, სავარაუდოდ, უნდა შექმნილიყო სუმბატ დავითის ძის თხზულება, საქართველოში მოქმედებდა წელთაღრიცხვის რამდენიმე სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ მემპტიანე მიუთითებდა ქრონიკონს, იგი გულისხმობდა მარტის წელიწადს. კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, მარტის წელიწადი ქრონიკონური წელიწადის საფუძველიაო¹⁴. ამის პარალელურად არსებობდა სამოქალაქო იანვრის

¹² სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა, გვ. 370.

¹³ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიაძე. თბ. 1990, გვ. 53: ტექსტის ამგვარი წაკითხვა მომდინარეობს ექ. თაყაიშვილიდან (იხ. ექ. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატონთა შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 27. თბ. 1949, გვ. 68). ის გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა (იხ. სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 382). 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ განსხვავებული წაკითხვაა მოცემული, „და მუნ ციხესა შინა თმოგვსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა სლა. და ეგრეთვე მასვე ციხესა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმად სუმბატისი, ქრონიკონსა სლბ.“ ამდენად, სიტყვები „ეგრეთვე მას წელსა შინა“ ჩასწორებულია „ეგრეთვე მასვე ციხესა შინა.“ ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი წაკითხვა არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან ძმები რომ თმოგვის ციხეში იყვნენ დატყვევებულნი, ეს მემპტიანეს მანამდეც აქვს აღნიშნული. სუმბატისა და გურგენის გარდაცვალებაზე საუბარსაც ისტორიკოსი იწყებს სიტყვებით, „მუნ ციხესა შინა თმოგვსასა“ გარდაიცვალა სუმბატიო. გასაგებია, რომ მეორე ძმაც იმავე ციხეშია, ეს ხომ თავშივე აქვს ნათქვამი სუმბატ დავითის ძეს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ უფრო ლოგიკურია, აქ წერებულიყო სიტყვები, „ეგრეთვე მას წელსა შინა,“ რამეთუ ამით ისტორიკოსი, ქრონიკონის განსხვავების მიუხედავად, აზუსტებდა, სამოქალაქო წელიწადის მიხედვით როდის გარდაიცვალნენ კლარჯი ხელმწიფეები.

¹⁴ კ. კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი. წიგნ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1956, გვ. 121-123.

წელიწადი.¹⁵ სუმბატ დავითის ძე ამ ორი წელთაღრიცხვის სინთეზს გვთავაზობს. სუმბატი და გურგენი გარდაიცვალნენ ერთსა და იმავე წელს იანვრის წელიწადის მიხედვით, ოღონდ ერთი განსხვავებით, სუმბატი მიიცვალა „ქრონიკონსა სლა (1011)“, ხოლო გურგენი „ქრონიკონსა სლბ (1012)“. გამოდის, რომ სუმბატი 1011 წლის იანვარ-მარტში გარდაცვლილა, რაც, მართლაც, მოდიოდა ქორონიკონსა სლა-ზე, ანუ 1011 წელზე, ხოლო იმავე 1011 წლის მარტ-დეკემბერს შორის განუტევა სული გურგენმა, ეს კი იქნებოდა „ქორონიკონი სლბ (1012)“, რადგანაც მარტიდან ახალი ქორონიკონის წელი იწყებოდა.

ასე დასრულდა კლარჯი სახელმწიფოების ცხოვრება. თავისი სიკვდილით გარდაიცვალნენ ძმები თუ მათ ვინმე „მიეშველა“, არც ესაა ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. მოსახდენი მოხდა. კლარჯეთის ბაგრატიონები დედაბუდიანად შეიპყრეს ბაგრატ III-ის მომხრეებმა. მემატინე მძიმე სურათს გვიხატავს: „მოისრნეს ყოველნი სიკუდილთა პატიმრობასა შინა“.¹⁶ ბიძის მახვილს მხოლოდ ბაგრატ სუმბატის ძე და დემეტრე გურგენის ძე გადაურჩნენ. ამათგან, დემეტრე მოგვიანებითაც გამოჩნდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1028-1029 წლებში იგი ბიზანტიელებთან ერთად შეეცდება კლარჯეთში თავისი უფლებების აღდგენას. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, აი, მაშინ კი ვეღარ დამალავს და იტყვის, რომ ბიზანტიელებმა დემეტრე კლარჯი გამოგზავნეს „რეცა შესატყუევენელად ქუეყნისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალი კაცი მის ქუეყანისანი წურილისა ერისგან.“¹⁷ მიუხედავად დიდი დროისა (სუმბატისა და გურგენის შეპყრობიდან 17-18 წელია გასული), კლარჯეთში ჯერ კიდევ ახსოვდათ სუმბატ და გურგენ არტანუჯელები. მათი შთამომავალი დაკარგული უფლებებისთვის იბრძოდა, მაშინ როცა ბაგრატ III-ის ქმედებიდან გამომდინარე ცენტრალური ხელისუფლება მოძალადეობასთან იყო გაიგივებული. დრო ყველაფრის მკურნალი ვერ აღმოჩნდა. მართალია, ბაგრატ IV-მ 1028 წლისთვის მოახერხა არტანუჯის შენარჩუნება, მაგრამ კლარჯეთის ნაწილი (ძირითადად ჭოროხის ხეობა) რამდენიმე ათწლეულით ბიზანტიელთა ხელში მოექცა და მხოლოდ გიორგი II-მ (1072-1089) შეძლო მისი საბოლოოდ შემოტკიცება.¹⁸

¹⁵ ქორონიკონის წელიწადი 25 მარტს (გაზაფხულის ბუნიობის დღეს) იწყებოდა (იხ. გ. მჭედლიძე, ზოგადი და ქართული ქრონოლოგიის კურსი. ქუთაისი 2009, გვ. 128. ვ. კობალეიშვილი. მითებიდან კალენდრებამდე. თბ. 1991, გვ. 112). ამასთანავე, X საუკუნიდან საქართველოში გავრცელებას იწყებს იანვრის წელიწადი. მარტის წელიწადი პარალელურად რჩება მხოლოდ ქორონიკონული აღრიცხვისათვის (იხ. კ. კეკელიძე. ძველი ქართული წელიწადი, გვ. 123; გ. მჭედლიძე. ზოგადი და ქართული ქრონოლოგიის კურსი, გვ. 128).

¹⁶ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, გვ. 370.

¹⁷ მატინე ქართლისაჲ. წიგნ.: ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 279.

¹⁸ რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II (XI საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორია). თბ. 2003, გვ. 83-96.

Jaba Samushia

EXECUTION OF THE “SOVEREIGNS OF KLARJETI” BY BAGRAT III

Summary

Article deals with the history of seizure and execution of the “sovereigns of Klarjeti” by king Bagrat III of Georgia (978-1014). “Sovereigns of Klarjeti” were cousins of Bagrat. Consequently, due to this relative status, Sumbat and Gurgen (“Sovereigns of Klarjeti”) went before the king Bagrat for the meeting in the castle of Phanaskerti without any suspicion. Only brief information about that event reached to us. Hence we can only deduce what was the prelude of that meeting in the Phanaskerti castle. According to the historical sources, this meeting was ordinary gathering of relatives without any political concept. During the meeting in Phanaskerti, Bagrat III ordered the seizure of brothers, Sumbat and Gurgen. In the same period Bagrat, king of “Abkhazians and Kartvelians”, captured the city of Artanuji (political center of Klarjeti region). Only Bagrat and Demetre, sons of Sumbat and Gurgen, had escaped the wrath of king Bagrat. But all the other members of their family were arrested by the companions of Bagrat. Princes of Klarjeti fled to Byzantium. Bagrat ordered to lock his cousins in the fortress of Tmogvi. The same fortune had befallen on the other members of their family. It is really difficult to explain the real reasons behind those harsh measures of king Bagrat. According to our assumption, except of the political concepts, another reason for this conflict was the big family quarrel.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ეკა კვიციანი

სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) ისტორიის შესახებ

როგორც ცნობილია, ათონის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერების ერთ-ერთი უძველესი აღწერილობა ეკუთვნის ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც 1886 წელს გამოიცა.¹ მოგვიანებით, 1932 წელს, ათონური კოლექცია აღწერა რ. ბლეიკმა,² მან ხელნაწერებს ახალი ნუმერაცია მიანიჭა. ბლეიკის კატალოგის მიხედვით 62-ე ნომრად აღნუსხული ხელნაწერი (აღ. ცაგარლით №4) მეცნიერებაში ცნობილია სახარების ოშკური ხელნაწერის სახელწოდებით. მას პირობითად **o** ლიტერით აღნიშნავენ, მისი წარმოშობის მიხედვით. ამავე ლიტერით აღნიშნავს სახარების ოშკურ ხელნაწერს (Ath. 62) ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფი ე. გიუნაშვილის, მ. მაჩხანელის, დ. თვალთვაძისა და ს. სარჯველაძის შემადგენლობით. ეს ჯგუფი ზ. სარჯველაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა.

სახარების ოშკური ხელნაწერი ამჟამად ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში ინახება. 1982 წელს გ. პატარაიამ და ა. მიქაბერიძემ მოახერხეს ათონის ივერთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფირთა გადაღება³ და საქართველოში ჩამოტანა. Ath. 62-ის ფოტოპირი და მიკროფირი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. მანუსკრიპტი XI საუკუნით თარიღდება.

ალექსანდრე ცაგარელისა და რობერტ ბლეიკის მიერ საუკუნის წინ მოცემული აღწერილობა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მკვლევრებს ხელნაწერი უშუალოდ ჰქონდათ ნანახი, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონია. ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ ფოტოპირის მიხედვით.

საინტერესოა, საიდან და რატომ მიიღო სახარების ოშკურმა ხელნაწერმა ეს სახელწოდება. თუკი იგი ოშკში, ტაო-კლარჯეთში მდებარე მონასტერშია გადაწერილი, როგორ და როდის მოხვდა ათონის ივერთა მონასტერში?

¹ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. выпускъ I. СПб. 1886.

² R. P. Blake. Catalogue des manuscrits Georgiens de la bibliothèque de la laure D'Iviron au Mont Athos. I. Paris. 1932.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. I. თბ. 1986, გვ. 9.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ ქართველ მეცნიერს ოშკი ათონზე ეგულებოდა. ალექსანდრე ცაგარელი რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობაში პირდაპირ უთითებს, რომ ოშკის მონასტერი ათონზე მდებარეობს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ოშკის ბიბლია, რომელიც 978 წელსაა გადაწერილი, მისი აზრით, ათონის მთაზე, ოშკის მონასტერში, იოანე ნათლისმცემლის ლავრაში შექმნილა, სანამ ივერიის მონასტერი აშენდებოდა.⁴ 69-ე ნომრად აღნუსხული ხელნაწერის, „სამოთხის“, ანუ იოანე ოქროპირის ქადაგებანის (რ. ბლეიკით №9, A-1142), შესახებ მსჯელობისას კი აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი გადაიწერა 977 წელს ათონზე ქართულ ლავრაში, ოშკში (ხელნაწერის ანდერძი: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბაძსა, ხელითა სტეფანე დეკანოზისათა და მისივე ხელითა შეიმოსა. ქორონიკონი იყო რ~ჟზ (977 წ.)“.⁵ იმავეს იმეორებს დიმიტრი ბაქრაძე⁶ და დასძენს, რომ ოშკის ლავრას ახლაც ქართველები ფლობენო. ხოლო ჭოროხის ხეობაში, თორთუმის ხეობის მახლობლად აგებული ეოშკის მონასტრის შესახებ მსჯელობისას ამბობს, რომ მას სახელი ათონის მთაზე არსებული მონასტრის ანალოგიით ეწოდაო.⁷

ზოგიერთი ათონური ხელნაწერი (A-1101, A-1103, A-1104, A-1105) ილია ფანცულაიამ ჩამოიტანა საქართველოში, ზოგიერთისა კი პირი გაუკეთებია (A-1054, A-1140, A-1141, A-1142, A-1144). აღ. ცაგარლით 52-ე, ხოლო რ. ბლეიკით მე-3 ნომრით (გიორგი ალექსანდრიელი, ცხოვრება იოვანე ოქროპირისა) აღნუსხული ხელნაწერის (A-1144) აღწერილობაში ილია ფანცულაია ასეთ კომენტარს აკეთებს: „ოშკი ბატონი ცაგარლის სიტყვით ისევ ივერიის მონასტერი არისო და ბერძნულად ახლაც ოშკს უძახიანო, მე ფრიად ვეცადე ეს გამეგო, მაგრამ ბერძნულში ასეთი სიტყვა არ არის და შეიძლება ბერძნული სკია ქართულად ოშკად დაწერეს, რომელიც ჩრდილსა ქვიან.“⁸

ოშკის მონასტრის არსებობა დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო ქართული სინამდვილისთვის XVI საუკუნის მიწურულს სამხრეთ საქართველოს ოსმალეთის მფლობელობაში მოქცევის გამო.⁹ მხოლოდ ერთგან, XVI საუკუნის დასაწყისის საბუთში, „კათალიკოსის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში“, აღნიშნულია, რომ „მონასტერი ოშკი, მისთა შესავლითა“ საკათალიკოსო სამწყსოა.¹⁰ ოშკის მონასტერს არც ქართველი გეოგრაფი

⁴ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, გვ. 72.

⁵ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, გვ. 89.

⁶ დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფ. 1889, გვ. 243.

⁷ დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, გვ. 223.

⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია. ტ. IV. თბ. 1954, გვ. 190.

⁹ საქართველის ისტორია. XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ტ. III. თბ. 2012, გვ. 194.

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 244.

და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი იცნობდა.¹¹ ამ საგანისა და, ზოგადად, ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების მეცნიერულად შეისწავლა XX საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილმა დაიწყო.¹² უახლესი გამოკვლევა ოშკის შესახებ კი ეკუთვნის ვალერი სილოგავას.¹³

მეცნიერები შეცდომაში შეიყვანა იმ ფაქტმა, რომ ათონზე აღმოჩენილ ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ეწერა მათი გადაწერის ადგილი, ოშკი, და მოხსენიებულნი იყვნენ ათონზე მოღვაწე პირები. მაგალითად, სამი ხელნაწერის, ოშკის ბიბლია (აღ. ცაგარლით №1, რ. ბლეიკით №1), „სამოთხე“ – ასკეტურ-ჰომილეტიკური კრებული (აღ. ცაგარლით №69, ხოლო რ. ბლეიკით №9) და გიორგი ალექსანდრიელის „ცხოვრება იოვანე ოქროპირისა“ (აღ. ცაგარლით №52 ნომრად, ხოლო რ. ბლეიკით №3) მომგებელნი, როგორც ანდერძებიდან ირკვევა, ცნობილი ათონელი მოღვაწეები, იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზეაჩე, იყვნენ.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო სახარების ოშკურ ხელნაწერს (Ath. 62), ის, როგორც აღვნიშნეთ, აღწერილი აქვს რ. ბლეიკსაც და ალექსანდრე ცაგარელსაც. რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი შეიცავს სახარების გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ტექსტს, დაწერილია XI საუკუნის მონაცრისფრო-მოთეთრო, სქელ და უკვე გაყვითლებულ ეტრატზე. ხელნაწერი არ არის დათარიღებული. სავარაუდოდ, მისი შექმნის ადგილი ათონია. საწერად გამოყენებულია ცუდი ხარისხის მოყავისფრო მელანი. მანუსკრიპტის პირველ ოთხ ფურცელზე კამარებში კოლონებად წერია ევსების კანონები და ეპისტოლე ევსები კარპიანეს მიმართ. კამარები დაბალი ხარისხის ფერადი საღებავებითაა შესრულებული (აგურისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი, იისფერი). ნაწერია საშუალო სიდიდის მარჯვნივ დახრილი ნუსხური ასოებით, ორ სვეტად, სტრიქონების რაოდენობა – 19, ფურცლის ზომა – 204×160, სვეტის ზომა – 132×98, კოლონებს შორის მანძილი – 11 მმ, მანუსკრიპტი შეიცავს 315 ფურცელს, ჩასმულია იასამნისფერ ტყავადაკრულ ყდაში, ბოლო ფურცელი მოხეულია, ორნამენტები არ აქვს.

რ. ბლეიკი ვარაუდობს, რომ ხელნაწერში დაცულია ტექსტი, რომელიც გიორგი მთაწმინდელმა გაასწორა ბერძნულის მიხედვით, რათა შეექმნა სახარების თავისი ვერსია. მისი აზრით, შესაძლოა, ეს ყოფილიყო სახარების წმ. ექვთიმეს მიერ რედაქტირებული ტექსტი.¹⁴

რ. ბლეიკის ამ ვარაუდისა და, აგრეთვე ალავერდის (A-484) ოთხთავის

¹¹ ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960, გვ. 46.

¹² ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში.

¹³ ვ. სილოგავა. ოშკი. X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006.

¹⁴ R. P. Blake. Catalogue des manuscrits Georgiens de la bibliothèque de la laure D'Ivion au Mont Athos, გვ.146.

მინაწერის („წმიდისა მამისა ეფთუმეს სახარება“) ¹⁵ საფუძველზე ქართული ოთხთავის მკვლევართა ნაწილმა მიიჩნია, რომ ექვთიმე ათონელმა (955-1028) შექმნა სახარების ახალი რედაქცია. თუმცა წმ. ექვთიმეს შრომათა ნუსხებში, რომელიც გიორგი მთაწმინდლის აგიოგრაფიულ თხზულებასა და მისი მამის, იოანე ათონელის, ანდერძშია წარმოდგენილი, სახარების თარგმნისა თუ რედაქტირების ფაქტი აღნიშნული არ არის. ამ და კიდევ სხვა არგუმენტის საფუძველზე, რომ დღემდე ექვთიმესეულად მიჩნეული წაკითხვების დიდი ნაწილი ოპიზური რედაქციის შემცველ ხელნაწერებში დასტურდება, მკვლევართა ნაწილი სახარების პროცესში წმ. ექვთიმეს წვლილს თითქმის გამორიცხავს. ¹⁶ ოცდახუთზე მეტი წინათონური ხელნაწერის მონაცემთა შესწავლის შედეგად ზურაბ სარჯველაძემ დაადგინა, რომ ე.წ. ექთვიმეს რედაქციის ვარიანტული წაკითხვები დასტურდება X საუკუნის რამდენიმე ხელნაწერში, რომლებიც ექვთიმეს მოღვაწეობამდე გადაწერილი. ¹⁷ მაშასადამე, რ. ბლეიკის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, ექვთიმეს მიერ რედაქტირებული სახარების ტექსტის არსებობის შესახებ, დღეს მეცნიერება არ იზიარებს.

გარდა ამ ვარაუდისა, რ. ბლეიკის აზრით, Ath. 62 შეიძლება გადაწერილი იყოს ათონზე. ათონის ივერთა მონასტერში დაცულ სხვა ხელნაწერთაგან განსხვავებით, Ath. 62-ს არ ახლავს ანდერძი, სადაც გადამწერი ან გადაწერის ადგილი იქნებოდა მითითებული. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, საიდან მიიღო ამ მანუსკრიპტმა (Ath. 62-მა) სახელწოდება „სახარების ოშკური ხელნაწერი“, თუკი ხელნაწერს ანდერძ-მინაწერი არ ახლავს, სადაც გადაწერის ადგილი იქნებოდა მითითებული? ეს თვალსაზრისი არ უნდა მომდინარეობდეს რ. ბლეიკისგან, პირიქით, ის ამბობს, რომ ხელნაწერის გადაწერის ადგილი ათონი უნდა იყოსო. საინტერესოა, რა აძლევდა მას ამ ვარაუდის საფუძველს? ჩვენი აზრით, აქაც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, კერძოდ, მკვლევრებმა Ath. 62 ათონის ივერთა მონასტერში აღმოჩენილ იმ ხელნაწერთა რიცხვს მიაკუთვნეს, რომელთა წარმომავლობა ოშკის მონასტერს უკავშირდებოდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ოშკის მონასტერში გადაწერილია მესტიის ოთხთავი (1033 წელი), იგი ამჟამად სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმშია დაცული. საფიქრებელია, რომ ოშკელ მამებს ოთხთავის ერთი სარწმუნო დედანი ექნებოდათ, რომლის მიხედვითაც გაამრავლებდნენ ტექსტს. ქართული ოთხთავის ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადე-

¹⁵ კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I. თბ. 1980, გვ. 317.

¹⁶ ე. ჭელიძე. არსებობდა თუ არა სახარების კიდევ სხვა ძველი ქართული რედაქცია? (წმინდა რელიკვიების ძველქართული ტერმინოლოგიის მიხედვით). გაზ. „მამული“. XI (სპეციალური ნომერი). თბ. 1996, გვ. 290.

¹⁷ ზ. სარჯველაძე. წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 29. 2001, გვ. 124-127.

ბაზე მომუშავე ჯგუფის მიერ (ე. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, მ. მაჩხანელი) მომზადებული მასალების¹⁸ ჩვენების მიხედვით ჩანს, რომ მესტიის ოთხთავის ტექსტი არ თანხვედბა სახარების ოშკური ხელნაწერის ტექსტს.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელსაც რ. ბლეიკი გვაწვდის, ეს არის ხელნაწერის ბოლოს, 315v-ზე, გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძის ფრაგმენტის არსებობის შესახებ. კერძოდ რომელი ფრაგმენტია, ამაზე მკვლევარი არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, აღ. ცაგარელი წერს: Ath. 62 ხელნაწერის ბოლოში გადამწერისვე ხელით ვკითხულობთ, რომ ოთხთავი თარგმნა (ბერძნულიდან) გიორგიმ (მთაწმინდელმა). მას მოხმობილი აქვს ანდერძის მხოლოდ ეს ფრაგმენტი: „...გიორგისათვის, რომელ ვთარგმნე, ლოცვა ჰყავთ“.¹⁹ სამწუხაროდ, Ath. 62-ის ფოტოპირიზე აღნიშნული ანდერძი არ არის დაცული. ფოტოპირის უკანასკნელი ფურცელია 297r. იგი მოხეულია და მისი აღწერილობა თანხვედბა რ. ბლეიკის მიერ 315v-ს აღწერილობას. ჩვენ საგანგებოდ შევუდარეთ ბლეიკისეული პაგინაცია ფოტოზე აღბეჭდილი ხელნაწერის პაგინაციას და აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს არის აცდენილი 18 ფურცლით, ბლეიკით 315v ამჟამად ფოტოზე არის 297r. ამ უკანასკნელ გვერდზე მოცემულია იოანეს სახარების დასასრული და საერთოდ არ ჩანს ანდერძის კვალიც კი.

გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძი, რომელიც მან ბერძნულთან შესამედ შედარების შემდეგ ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო, ჩვენამდე ორი, A და B, რედაქციითაა მოღწეული. A ვარიანტის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია, B ვარიანტის მიხედვით კი მხოლოდ რედაქტორი. დარეჯან თვალთვაძის მოსაზრებით, გიორგი მთაწმინდელს არ შეუქმნია ოთხთავის ახალი თარგმანი, მან უკვე არსებული სახარების ტექსტის რედაქტირება მოახდინა, მაქსიმალურად დაუახლოვა ბერძნულ დედანს. გვიანდელმა გადამწერმა ანდერძის ის ნაწილი, რომელშიც გიორგი სახარების მხოლოდ რედაქტორად სახელდება, შეცვალეს, სავარაუ-

¹⁸ გამოვიყენეთ ქართული ოთხთავის ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის (ე. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, მ. მაჩხანელი) მომზადებული მასალები მათ მიერ დათქმული ლიტერების მიხედვით: **X** – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** – ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **A** – ქსნის ოთხთავი (X ს.); **R** – Sin.-15 (975 წ.); **P** – Sin.-30, Sin.-38 (979 წ.); **S** – Sin.-16 (X ს.); **V** – ვატიკანის ოთხთავი (X ს.); **i** – ქუთ.-176 (X ს.); **s** – S-405 (X ს.); **b** – A-1699, H-1887 (X ს.); **e** – პარხლის ახალი ოთხთავი S-4927 (X ს.); **B** – ბერთის ოთხთავი (X ს.); **T** – წყაროსთავის ოთხთავი (X ს.); **M** – მარტვილის ოთხთავი S-391 (X ს.); **L** – ტბეთის ოთხთავი (995 წ.); **h** – H-1240 (XI ს.); **F** – ურბნისის ოთხთავი (XI ს.); **m** – მესტიის ოთხთავი (1033 წ.); **G** – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); **a** – ალავერდის ოთხთავი (1054 წ.); **c** – S-962, ქუთ. 688 (1054 წ.); **l** – Q-645 (XI ს.); **w** – ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №-1 ხელნაწერი (XI ს.); **t** – A-18 (XII ს.); **r** – A-411 (XVI-XVII სს.).

¹⁹ A. A. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, გვ. 75.

დოდ, იმიტომ, რომ უკეთ წარმოეჩინათ მთაწმინდლის ღვაწლი და გაემყარებინათ მისეული რედაქციის ვულგატად აღიარების ფაქტი.²⁰ ალ. ცაგარლის მიერ მოტანილი ანდერძის ფრაგმენტი, „...გიორგისათვის, რომელ ვთარგმნე, ლოცვა ჰყავთ“, გიორგი მთაწმინდლის ანდერძის იმ ვარიანტს თანხვედბა, რომლის მიხედვითაც ათონელი მამა ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია.

კიდევ ერთი საინტერესო ვარაუდი, რომელიც გამოთქმული აქვს ალ. ცაგარელს, არის ის, რომ ეს ნუსხა, სავარაუდოდ, გადაწერილი უნდა იყოს თვით გიორგი მთაწმინდლის მიერ. სანამ ამ მოსაზრებას გავაანალიზებთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ Ath. 62-ს ტექსტის შესახებ. მანუსკრიპტის ყურადღებით დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელნაწერზე მუშაობდა ორი ადამიანი, გადამწერი და რედაქტორი. გადამწერი წერს ძირითად, პირველად, ტექსტს, მისი ნუსხური ასოები წვრილი და თხელია, სავარაუდოდ, ღია ყავისფერი მელნით შესრულებული, ხოლო რედაქტორი ასწორებს ძირითად ტექსტს, შლის ან ამატებს მასში სხვა რედაქციის წაკითხვებს. მისი ასოები, სავარაუდოდ, დაწერილი შავი ფერის მელნით, შედარებით მსხვილია, კუთხოვანი და მარცხნივაა გადახრილი (ოშკური ხელნაწერის ქვედა ფენის ტექსტი ო[#] პირობითი ნიშნით აღვნიშნეთ, მეორეული, რედაქტორის მიერ გასწორებული - ო* ნიშნით).²¹

ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რომელი ფენის გადამწერად გულისხმობს ალ. ცაგარელი გიორგი ათონელს, ქვედა ფენისა თუ ზედა ფენის? ან რა უდევს მის ვარაუდს საფუძვლად? სამწუხაროდ, აღწერილობაში დამატებით არაფერია ნათქვამი.

ჩვენი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ გიორგი ათონელის მიერ იყოს გადაწერილი Ath. 62-ის ქვედა, პირველადი ტექსტი. სახარების ოშკური ხელნაწერის ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად ჩვენ უკვე გარკვეული გვაქვს, რომ პირველადი ტექსტი (ო[#]) წარმოადგენს გიორგი ათონელის მიერ ქართული ოთხთავის ბერძნულთან ორჯერ შედარების გზით მიღებულ ვერსიას. რაც შეეხება მეორეულ ტექსტს (ო*), ის ნასწორებია გიორგი მთაწმინდლის ვულგატად აღიარებული ტექსტის მიხედვით და იგი გიორგისეული რედაქციის იდენტურია. ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ სწორედ მეორეული ტექსტია თვით გიორგის მიერ სახარების ოშკური ხელნაწერის პირველადი ტექსტის ჩასწორების შედეგად მიღებული. ლოგიკურია ისიც, რომ ამ ხელნაწერის თარიღი ათონზე გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობას თანხვედბა. ჩვენ

²⁰ დ. თვალთვაძე. ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან, საქართველო და ევროპული სამყარო. ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. ტ. I. თბ. 2009, გვ. 129-141.

²¹ სახარების ოშკური ხელნაწერის ტექსტოლოგიური ანალიზის შესახებ იხ.: ე. კვიციანი. სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი მათეს სახარების მაგალითზე. ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“. №III. 2012. www.spekali.tsu.ge.

საგანგებოდ შევისწავლეთ ათონელი წმინდა მამის ავტოგრაფით ცნობილი ხელნაწერები (Ath. 45, Ath. 73, Ath. 65, Ath. 70). ერთი შეხედვით, მისი არასისტემური, სწორი (არა მარჯვნივ გადახრილი) ასოები ჰგავს Ath. 62-ის მეორეული ტექსტის გადამწერის ხელს. ზოგიერთი ასოს მოხაზულობაც თითქოს იდენტურია. თუმცა Ath. 62-ის რედაქტორის მიერ შეტანილი შესწორებები, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი პალეოგრაფიული ანალიზის სრულყოფილად ჩასატარებლად და ცალსახა დასკვნის გასაკეთებლად. გარდა ამისა, სახარების ოშკური ხელნაწერი არ უნდა წარმოადგენდეს ათონელი მამის, ასე ვთქვათ, სამუშაო ვერსიას. გადამწერმა თუ რედაქტორმა ზუსტად იცის, რა უნდა გაასწოროს, რომელი ადგილი რითი უნდა ჩაანაცვლოს. იგი ამ სამუშაოს ძალიან ფრთხილად და ზუსტად ასრულებს, ტექსტში ზედმეტი ჩარევის გარეშე. აქედან გამომდინარე, აღ. ცაგარლის ვარაუდი, რომ Ath. 62 უშუალოდ გიორგი მთაწმინდლის გადაწერილი შეიძლება იყოს, არ არის საფუძველს მოკლებული, თუმცა არც საბოლოოდ არის დამტკიცებული.

**ABOUT THE HISTORY OF THE GOSPEL
MANUSCRIPT FROM OSHKI (ATH. 62)**

Summary

The manuscripts of Iveron Monastery of Athos were described by Alexander Tsagareli (in 1886) and Robert Blake (in 1931). Manuscript number 62 in Blake's description is mistakenly known as the Gospel manuscript from Oshki in scientific literature. We have marked the manuscript with the conventional sign **o**.

The Gospel manuscript from Oshki is preserved in the collection of the manuscripts at Iveron Monastery on Athos. Photocopy and microfilm of the manuscript are kept at the National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). The manuscript is dated to the 11th century.

Some of the Georgian researchers even thought that Oshki Monastery was on Athos. The researchers were mistaken because of the fact that in the colophons of some manuscripts discovered on Athos, Oshki was indicated as the place of their rewriting, although well-known Athonite figures – Ioane-Tornike and Ioane-Varazvache were mentioned; they were the persons who ordered these manuscripts.

Robert Blake thinks that Ath. 62 should have been **rewritten** on Athos. But some of the Georgian researchers think that it belongs to that manuscripts discovered in Iveron Monastery on Athos, but originated in Oshki.

There is a fragment of colophon in the description of Alexander Tsagareli: "...Pray for Giorgi as I have translated this". This fragment is omitted from the photocopy which we possess now. That fragment coincides with Giorgi Mtatsmindeli's well-known colophon according to which Giorgi Mtatsmindeli is a repeated translator of the Gospel.

Alexander Tsagareli supposes that Ath. 62 should have been rewritten by Giorgi Mtatsmindeli himself. According to our textual study, it is established that two people were working at the Ath. 62 manuscript, a scribe and the editor. The scribe writes the main, initial text and the editor corrects the main text, erases or adds in it the readings of other edition.

It is well known that vulgate version by Giorgi Mtatsmindeli is that compared with the Greek original text for three times. In our opinion, it is less possible that Giorgi Mtatsmindeli rewrote the main, initial text of Ath. 62 because it represents the version twice compared with the Greek original of the Gospel by Giorgi Mtatsmindeli. As for the second text, it is corrected according the text recognized by Georgian church as vulgate and it is identical to Giorgi's edition. It is logical to think that exactly the second text is produced by correcting the main text of the Gospel manuscript from Oshki by Giorgi Mtatsmindeli. The **assumption** of Alexander Tsagareli that Ath. 62 should have been rewritten by Giorgi Mtatsmindeli himself is just a version, needing more arguments.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ნინო სილაგაძე

ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) მონასტრის უძველესი ნაგებობის დათარიღების საკითხისათვის

სამცხე-ჯავახეთის შუა საუკუნეების მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ხსენებული რეგიონი გამოირჩევა აგრეთვე დარბაზული ტიპის ეკლესიების სიმრავლით.

დარბაზული ტიპის ეკლესიის განვითარება საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდან იწყება. ეს ერთ-ერთი უძველესი, ფართოდ გავრცელებული და, ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე არქიტექტურული ტიპია: მისი ნიმუშები ჩვენ გვხვდება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამასთან ერთად, დარბაზული ტიპის ეკლესიის კომპოზიცია ერთგვარი სიმარტივით და ფორმათა კონსერვატიულობით გამოირჩევა ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილ სხვა არქიტექტურულ ტიპებთან შედარებით. ასეთი ეკლესიები ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში, ყველა ისტორიულ პროვინციაშია გავრცელებული (მაღალმთიანი რეგიონების ჩათვლით). უფრო მეტად ეს მცირე ზომის, ქალაქებიდან თუ დიდი ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებით აგებული ტაძრებია, ასევე დიდ სამონასტრო კომპლექსებში შემავალი მცირე ეკლესიები. საუკუნეების მანძილზე საქართველოში დარბაზული ტიპით აგებდნენ სოფლის ეკლესიებსაც.

სამცხე-ჯავახეთში დარბაზული ეკლესიების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია: უძველესი, VII-VIII სს-ის. ტაძრებით დაწყებული – თვით XIX ს-ის სოფლის ეკლესიებით დამთავრებული. საუკუნეების მანძილზე აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული არქიტექტურული სკოლა, გამორჩეული სტილი ხუროთმოძღვრებაში, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: ერთიანი, კომპაქტური შიდა სივრცის შექმნის მცდელობები, მონუმენტური ფორმები, ყოველგვარი დეტალიზაციის უარყოფა, სადა დეკორი, თავშეკავებული მხატვრული აქცენტები შენობის ექსტერიერში, ფასადების დიდი სიბრტყეები, დამახასიათებელი კედლის წყობა კარგად დამუშავებული საპირე ქვებით, პოლიქრომიის ელემენტების გამოყენება (სხვადასხვა ფერის, ტონალობის ქვების კომბინაცია და სხვ.) და ა. შ.

ჯავახეთის არქიტექტურულ სკოლას მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ეს მხარე და მისი უაღრე-

სად თვითმყოფადი ხუროთმოძღვრული ძეგლები მრავალი მკვლევრის ინტერესის საგანს წარმოადგენს: ესენია ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, გ. ბოჭორიძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, გ. ბაგრატიონი, ი. მირიჯანაშვილი და მრავალი სხვა. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯავახეთისაგან განსხვავებით, საკუთრივ ისტორიული სამცხის ძეგლები ნაკლებადაა შესწავლილი და მათ ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურაც შედარებით მცირერიცხოვანია. განსაკუთრებით კი ეს შეიძლება ითქვას სამცხის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამონასტრო კომპლექსზე – ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) მონასტერზე, რომელიც სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ნაგებობას აერთიანებს. სხენებული კომპლექსის შესახებ პრაქტიკულად არ შემოგვენახა ისტორიული ცნობები. საქართველოს სახელმწიფო არქივში არ არის დაცული არც ერთი დოკუმენტი ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) ტოპონიმით ცნობილი დასახლებული პუნქტის შესახებ. ერთადერთი ცნობა ამ სოფლის შესახებ შემონახულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში.¹

ასევე არ შემოგვრჩა ისტორიული ცნობები ჯაყისმანის მონასტრის შესახებ, არც ერთ ქართულ მატრიანეში იგი, სამწუხაროდ, არ მოიხსენიება. მონასტრის ახლოს, ფოცხოვის ხეობაში, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს შუა საუკუნეების ციხე – ჯაყის ციხე, რომელიც ჯაყელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მდინარე, რომელიც მონასტრის ახლოს ჩამოდის, ჯაყსუიუს, ანუ ჯაყისწყლის სახელს ატარებს. ამავე სახელითაა მოხსენიებული ეს მდინარე ვახუშტის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში: „ხოლო ბოცოსა და ქუაბლოვანის წყალის შესართავს ქუეთ ამ წყალს ერთვის ჯაყის წყალი“. ვახუშტი აღწერს აქ „ადგილს ნაოხარს, სადაც იყო თამარის სასახლე დიდშენი, შუენიერს ადგილას და აწ ოხერ... აქა არის ვანას მონასტერი, შუენიერი, კეთილ-ნაგები და მუნვე ქუაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი კლდესა შინა...“. აქვე ახლოს ჯაყისწყალი უერთდება ფოცხოვს, სადაც „წურწყუმას არის ეკლესია გუმბათოვანი, კეთილ-შუენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოს წყლისა და ახალციხის ეკლესიის სამხრეთისა... წყურწყუმ ზეთ, ჯაყის წყალზედ, არის ყუელის ციხე, მრავალჯერ შემუსრილი და აწ ოხერი.“² როგორც ვხედავთ, ვახუშტი არსად არ ახსენებენ ჯაყისმანის ან ჯაყისუბნის მონასტერს.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია ფოცხოვის ლივის ჩრდილის ნაპას სოფლები: ჯაყისმანი, ზედა ჯაყი და აგრეთვე ჯაყის რაბათი (ჯაყის ციხე)³. სავარაუდოდ, ჯაყისმანი ჯაყისუბნის ტოპონიმადან

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. წ. II. თბ. 1941, გვ. 312.

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 316.

³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 312-317.

მოდის. ყველა ეს ტოპონიმი ბუნებრივია ტერიტორიისთვის, რომელიც ისტორიულად ჯაყის სახელს ატარებდა და მსხვილი ფეოდალების – ჯაყელების – სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა.

სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ქ. ვალედან ოციოდე კმ-ის მოშორებით სამხრეთის მიმართულებით, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონაში. მასთან მიღწევა შესაძლებელია საკონტროლო პუნქტის გავლით. უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი წყალთბილაა (დაახლ. 9 კმ-ის მოშორებით) (იხ. სურ. 1). ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი აღწერილია ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს აღწერა-პასპორტიზაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ 1980 წლის ივლის-სექტემბერში მოქმედი ექსპედიციის ფარგლებში (მონაწილეები: ექსპედიციის ხელმძღვანელი ვ. ვარდოსანიძე, არქიტექტორი ვ. ჯიშკარიანი, ისტორიკოსი ზ. თოთიბაძე), რომელმაც ახალციხის რაიონში ჩაატარა ორასზე მეტი ისტორიული, ხუროთმოძღვრული და მონუმენტური პლასტიკის ძეგლის პასპორტიზაცია და აღწერა. 1984 წელს ვ. თოთიბაძემ გამოაქვეყნა სტატია ამ ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით⁴. კვლევის შედეგები საბოლოო არ იყო, რადგან ძეგლზე არ ჩატარებულა საგულდაგულო გაწმენდითი სამუშაოები.

მოცემულ სტატიაში ჩვენ უკანასკნელი აღწერისა და არქეოლოგიური სამუშაოების მონაცემებს დავეყრდნობით: 2011 წლის მაისში შპს „არქიტექს-მა“ ჩაატარა კომპლექსის ტერიტორიაზე აღნიშნული სამუშაოები და სტატიის ავტორის მონაწილეობით შეადგინა ძეგლის რესტავრაციის პროექტი.

ჯაყისმანის მონასტრის კომპლექსში შემავალი ნაგებობები ფერდობზე, ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზეა განლაგებული, ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზე. ფერდობი ფოცხოვის ხეობას გადაჰყურებს. სამხრეთის მიმართულებით მთაზე, თურქეთის ტერიტორიაზე, განლაგებულია ჯაყის ციხის ნაშთები. კომპლექსი შემდეგი ნაგებობებისგან შედგება: მთავარი დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ორი მცირე სამლოცველო აკრავს (მათგან ერთი, შესაძლოა, პასტოფორიის ფუნქციას ასრულებდა), ხოლო დასავლეთიდან – ნარტექსის ნაშთები; მთავარი ტაძრის სამხრეთით, განცალკევებით დგას კიდევ ერთი მცირე სამლოცველო და სამრეკლო. კომპლექსი გარშემორტყმული იყო გაღვანით. გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა აგრეთვე ნარტექსის კედლები მთავარი ტაძრის დასავლეთით, ამავე ტაძრის ჩრდილოეთით არსებული მცირე სამლოცველოს ჩრდილოეთით კიდევ ერთი პატარა დარბაზული ნაგებობა, რომელიც ამ უკანასკნელის ნაწილი აღმოჩნდა და მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე მიდგმული მცირე სამლოცველოს მიწაში ჩასული ფრაგმენტები. გამოვლენილია აგრეთვე ფილაქანი, დაგებული სამრეკლოსა და მთავარ ტაძარს შორის მონაკვეთზე და მრავალი საფლავი და საძვალე კომპლექსის სხვადასხვა წერტილში. ყველა ნა-

⁴ ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. 1984. № 67, გვ. 27-34.

გებობა დაზიანებულია და მხოლოდ ნაწილობრივია შემორჩენილი (იხ. სურ. 2).

კომპლექსის უძველეს ნაგებობას, როგორც ეს საბოლოოდ დაადასტურა უკანასკნელმა გამოკვლევებმა, მთავარი ტაძრის მიმდებარე ჩრდილოეთის მცირე ეკლესია წარმოადგენს. მისი ზომებია 7,6X4,4 მ. (გეგმაზე აღნიშნული ნაგებობა A) (იხ. სურ. 3, 4, 5). მისი სამხრეთის კედელი ჩართულია მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის კედლის სტრუქტურაში. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე მთავარი ტაძრის ინტერიერში ჩატარებული კვლევები: ინტერიერში ყველაზე მეტად ჩრდილოეთის კედელია დაზიანებული, კერძოდ, კედლის თაღებს ქვეშ მონაკვეთებს ნაწილობრივ აკლია პერანგის ქვები (აქ მოგვიანებით ამოქოლილი დიობებიც იყო). ფრაგმენტები უხეშადაა შევსებული ფლეთილი ქვით. როგორც ვ. თოთიბაძე აღნიშნავს, აქ იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე მოწყობილი უნდა ყოფილიყო დიობები, რომლებიდანაც კიბეები, სავარაუდოდ, ჩადიოდა ჩრდილოეთის სამლოცველოს ქვეშ არსებულ კრიპტაში⁵. მოგვიანებით ეს დიობები ამოქოლეს. ალბათ, შემდგომი კვლევები საბოლოო სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში. ჯერჯერობით კრიპტა ვერ გამოვლინდა, სამაგიეროდ, ცხადი გახდა, რომ მცირე ეკლესიისა და მთავარი ტაძრის იატაკის დონეები არ ემთხვევა ერთმანეთს (მცირე ეკლესიის უფრო დაბლაა). ჩრდილოეთის მცირე ეკლესიის სამხრეთის კედელი ჩართულია დიდი ტაძრის ჩრდილოეთის კედელში ამ კედელზე გამავალი თარო-კარნიზის დონეზე (იხ. სურ. 6).

მცირე ეკლესიის სიმაღლე ჩამოქცეული კონქის ზედა წერტილამდე 4,1 მ-ია. შემორჩენილია სარკმელი, ტრიუმფალური თაღის ფრაგმენტი და თაღის ქუსლი, ასევე კამარის საბჯენი თაღის მცირე ნაწილი (იხ. სურ. 7, 8). საკურთხევლის აფსიდის მოხაზულობა სულ ოდნავ ნალისებრია. კონქში აღმოჩნდა განგრეული და მოგვიანებით უხეშად ამოქოლილი ხერედი, რომელიც მცირე ეკლესიას XV საუკუნეში აგებულ პასტოფორიასთან აკავშირებდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ მთავარი ტაძრის აგების შემდეგ ძველმა მცირე ეკლესიამ დაკარგა დამოუკიდებელი ფუნქცია და, შესაძლებელია მთავარი ტაძრის ეკვდერად იქნა გადაკეთებული. მოგვიანებით, XV საუკუნეში, მთავარ ტაძარს ჩრდილოეთიდან კიდევ მიუშენეს პასტოფორია, რომელიც უკვე საკურთხეველს ემიჯნება.

მოუხედავად იმისა, რომ მცირე ეკლესია მართლაც შეიძლება უმნიშვნელო მიმდებარე ნაგებობად მოგვეჩვენოს, უფრო საგულდაგულო დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ თავდაპირველად სწორედ ისაა აგებული: მისი უფრო დაბალი კედელი ჩართულია დიდი ტაძრის კედელში, იატაკის დონეც უფრო დაბლაა, გარდა ამისა, კედლის წყობის ხასიათი მის არქაულობაზე მოუთითებს.

კედლის წყობა მცირე ეკლესიაში უფრო პატარა ქვებისგან შედგება, ვიდრე დიდ ტაძარში. თუმცა ქვის დამუშავების ხარისხი უკეთესია, ვიდრე

⁵ ვ. თოთიბაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) სამონასტრო კომპლექსი, გვ. 28.

პასტოფორიაში, რომელიც მთავარ ტაძარს XV საუკუნეში მიუშენდა. ამ წყობის ხასიათის მიხედვით, მცირე ეკლესია, სავარაუდოდ, IX ს-შია აგებული მაშინ, როდესაც დიდი ტაძარი, სავარაუდოდ X ს-ის II ნახევარს ან უკიდურეს შემთხვევაში XI ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. ამდენად, საფიქრებელია, რომ თავდაპირველ ეკლესიას სწორედ ეს პატარა ნაგებობა წარმოადგენდა, რომელიც X-XI სს-ში უკვე ვეღარ პასუხობდა დიდი ფეოდალების – ჯაყელეების – რეზიდენციის ახლოს განლაგებული მონასტრის სტატუსს.

ის მოსაზრება, რომ ჩრდილოეთის პატარა ეკლესია დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა, განმტკიცდა არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ახალი მასალით. გაირკვა, რომ ჩრდილოეთის მცირე ეკლესია ორი დარბაზული სათავსისგან შედგება: გაითხარა კიდევ ერთი, უფრო პატარა დარბაზული ეკლესია მის ჩრდილოეთით (გეგმაზე აღნიშნული ნაგებობა B) (მათი საერთო ზომებია 7,3X7,6 მ.). მცირე ეკლესია უფრო გრძელია (7,6 მ.), ახლადგამოვლენილი დარბაზი – უფრო მოკლე (5,8 მ.). ამ უკანასკნელის ფრაგმენტები მთლიანად მიწით იყო დაფარული. კედლის მაქსიმალური სიმაღლე 2,55 მ-ია. პატარა დარბაზს აქვს შესასვლელი დასავლეთიდან, რომლის წინ აღმოჩნდა საძვალე. ძნელია თქმა, იყო თუ არა ამ ორ დარბაზულ ელემენტს შორის კარი ან რა საშუალებებით უკავშირდებოდა ისინი ერთმანეთს (თუ საერთოდ იზოლირებული არ იყო). ერთობლიობაში ნაგებობა „ორეკლესიან“, ან ორნაგიან ეკლესიას მოგვაგონებს.

„ორეკლესიანი“ ნაგებობა უერთდებოდა ნარტექსს, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარი ტაძრის თანადროულია და ამ ორივე მცირე ეკლესიას და მთავარ ტაძარს უვლიდა დასავლეთიდან (ამჟამად მთავარი ტაძრის დასავლეთის ფასადზე ჩანს ნარტექსის კამარის დასაწყისი, ხოლო არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოავლინა მისი საძირკველიც) (იხ. სურ. 9).

ჩრდილოეთის მცირე ეკლესიას, თუ გავითვალისწინებთ ახლად აღმოჩენილ სათავსს მის გვერდით, საინტერესო ორნაწილიანი ფორმა აქვს, თანაც ერთი ნაწილი უფრო მცირეა, ვიდრე მეორე. ამ ეტაპზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთულია იმის თქმა, უკავშირდებოდა თუ არა ეს ორი ეკლესია ერთმანეთს, თუ იზოლირებული იყო: შესაბამისად, გაურკვეველია, მცირე ეკლესია ორეკლესიან ნაგებობას წარმოადგენდა, თუ ახლად აღმოჩენილი სათავსი მისი ეკვდერი-მინაშენი იყო. ორივე შემთხვევაში ასეთი კომპოზიცია არაა უჩვეულო სამცხე-ჯავახეთის არქიტექტურისათვის VIII-IX საუკუნეებში: მაგალითად, ალანძის (VIII ს.)⁶, ხვილიშას (IX ს.)⁷, აზაგრეთის (IX ს-ის მიწურული)⁸ ეკლესიები და სხვ.

⁶ ნ. ჩუბინაშვილი. ალანძია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XVII. 6. თბ. 1956; ი. მირიჯანაშვილი. ჯავახეთის დარბაზული ეკლესიები. თბ. 2009, გვ. 14-24.

⁷ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1992, გვ. 18-19; ი. მირიჯანაშვილი. ჯავახეთის დარბაზული ეკლესიები, გვ. 40-53.

⁸ ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედ. დ. თუმანიშვილი. თბ. 2000, გვ. 73-75.

კიდევ უფრო საინტერესო ანალოგებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორნავიანი ტაძრები გვაძლევს. დავათისა და ღართის ეკლესიები VIII-IX საუკუნეებით თარიღდება, ობოლეთის, ზველის, ქილდის ეკლესიები – IX-X სს. მიჯნით,⁹ ანუ მათი თარიღი დაახლოებით ემთხვევა ჯაყისმანის მცირე ეკლესიის სავარაუდო აგების პერიოდს. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, ჯაყისმანის უძველესი ეკლესია ამ ტიპის ნაგებობებთან პირდაპირ დაგვეკავშირებინა: ახლად გამოვლენილ სათავსს, ორნავიანი ეკლესიების უმრავლესობის გვერდითი ნავისგან განსხვავებით, აქვს საკუთარი აფსიდი, თანაც არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ვერ გამოავლინა ორი ეკლესიის დამაკავშირებელი თაღების და სვეტის ნაშთები. ერთადერთი რამ ცხადია – მოგვიანებით, როდესაც აიგო მთავარი ტაძარი და ნარტექსი, ორივე მცირე ეკლესიამ გადაკეთება განიცადა და კარების საშუალებით დაუკავშირდა ნარტექსს. სწორედ ნარტექსში, ახლდგამოვლენილი პატარა ნაგებობის წინ, მდებარეობს საძვალე, რომელიც სავსებით შესაძლებელია ჯაყელთა სავარაუდო საძვალედ ან მონასტერში მცხოვრები ბერების სამარხად მივიჩნიოთ. მაგრამ ყოველივე ეს მოგვიანო რეკონსტრუქციის შედეგია. თავდაპირველი სქემის სრული აღდგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

საინტერესოა ჯაყისმანის ძველი ეკლესიისა და მის გვერდით მდებარე შენობის ურთიერთმდებარეობაც – მცირე ნაგებობა უფრო მოკლეა, მაგრამ გაწვეულია აღმოსავლეთისაკენ (აფსიდების დონე ერთია), მაშინ როდესაც სამცხე-ჯავახეთის ორნავიანი ეკლესიებში გვერდითი ნავი უმეტესად ან ცენტრალურის სიგრძისაა და მის აღმოსავლეთ ნაწილში გამოყოფილია პასტოფორია (მაგ., დავათის, ღართის, დანკალის ეკლესიები) ან შედარებით მოკლეა, მაგრამ დასავლეთისკენაა გაწეული და აფსიდამდე მიჰყვება ცენტრალურ ნავს (მაგ., ქილდის ეკლესია). ხშირად გვერდითი ნავი ბევრად ვიწროა ცენტრალურზე (მაგ., ზემო ვარძიის ეკლესია). ამრიგად, შეუძლებელია ჯაყისმანის მონასტრის უძველესი ნაგებობის კომპოზიციისთვის პირდაპირი პარალელის მოძებნა ორნავიანი ეკლესიების სტრუქტურულ ვარიანტებში. ყველაზე საიმედოდ არგუმენტებს ძეგლის დათარიღებისთვის კედლის წყობის ხასიათი და შემორჩენილი არქიტექტურული დეტალები გვაძლევს. ამ ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძეგლი შედარებით მცირე, მოუხეშავად დამუშავებული ქვებითაა ნაგები (მთავარი ტაძრის კედლის სტრუქტურაში მოგვიანებით ჩართული სამხრეთი კედელი, როგორც ჩანს, X საუკუნეში თავიდანაა ჩასმული პერანგში). ქვების მოყვანილობა და ზომა არაა ერთნაირი, მაგრამ შეძლებისდაგვარად დაცულია მწკრივების სიზუსტე. უფრო ფაქიზად დამუშავებული ქვებია გამოყენებული აფსიდის კონქსა და თაღებზე. კედლის წყობის ხასიათი, მარტივი ფორმის თაღის ქუსლი, ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდი და ტრიუმფალური თაღი ანალოგიას პოულობს სამხრეთ საქართველოს

⁹ ი. ელიზბარაშვილი. ქართული ორნავიანი ეკლესიები. დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1994, გვ. 7-10.


VIII-IX სს-ის მრავალ ძეგლთან (ალანძია, სირგო, დუმეილა, ხვილიშა, სალო-შეთი; უკვე X საუკუნეში აგებულ ბუზავრეთის ეკლესიაში სამშენებლო ტექნიკის ხარისხი ბევრად მაღალია, ისევე როგორც საკუთრივ ჯაყისმანის მონასტრის მთავარ ტაძარში). სამწუხაროდ, იმ მცირე ფრაგმენტების მიხედვით მეტის თქმა ძნელია.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსის უძველეს ნაგებობას მთავარი ტაძრის ჩრდილოეთიდან მიმდებარე, ფრაგმენტულად შემორჩენილი მცირე ეკლესია და მისი მიმდებარე ახლად გამოვლენილი მინაშენი წარმოადგენს. ნაგებობა, სავარაუდოდ, VIII საუკუნის მიწურულს ან IX საუკუნეს განეკუთვნება ანუ დაახლოებით ემთხვევა სამხრეთ საქართველოში გაცხოველებული აღმშენებლობის და მონასტრების ინტენსიური დაარსების პერიოდს. ხსენებულ ეკლესიაზე ადრეული ნაგებობა მონასტრის ტერიტორიაზე ჯერჯერობით გამოვლენილი არაა.




სურ. 1. ჯაკისმანის მდებარეობა

ნინო სილაგაძე. ჯაყისმანის (ჯაყისუბნის) მონასტრის უძველესი ნაგებობის დათარიღების
საკითხისათვის




სურ. 2. ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ტაძრისა და მიმდებარე ნაგებობების ტოპოგეგმა მიწის სამუშაოების შემდეგ (არქ. შ. მელიქიძე)



სურ. 4. ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ტაძარი. ტრილი ჩრდილოეთის მიმდებარე მცირე ეკლესიაზე (არქ. შ. მელიქიძე)



სურ. 5. მცირე ეკლესია გაწმენდით სამუშაოებამდე




სურ. 6. ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ტაძარი. ჭრილი ჩრდილოეთზე (არქ. შ. მელიქიძე)



სურ. 7. მცირე ეკლესიის კამარის და საბჯენი თაღების ნაშთები



სურ. 8. მცირე კელესიის აფსიდი გაწმენდილი სამუშაოების შემდეგ



სურ. 9. ჯავისმანის მონასტრის მთავარი ტაძარი. დასავლეთის ფასადი (არქ. შ. მელიქიძე)

Nino Silagadze

**TOWARDS THE DATE OF THE EARLIEST BUILDING OF JAKISMANI
MONASTERY IN SOUTHERN GEORGIA**

Summary

The Georgian provinces of Samtskhe and Javakheti are famous for their Medieval architectural monuments. Javakheti architectural monuments are well studied; that of Samtskhe – less. Jakismani monastery in Samtskhe, consisting of many buildings of the different periods, is among the latter. Plus, we have in fact nothing about it in historical records.

Taking into consideration the latest observation of monastery and archaeological data discovered, we focussed to date obviously the earliest building of this complex, small half-ruined church situated towards the North from the main church. Special architectural details show the 9th c. as date of its construction. The wall of this very church later has been included into the system of main church, built in the 10th c. Indeed, the demands of great feudal family of Jakeli, having residence in neighbourhood, were more than this small church. So, they ordered the new one to be built using old church as part of this new construction.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი

„გურჯისტანის ვილაიეთი“ და ბატონყმობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

აგროინდუსტრიული პროფილი, ურბანული პრიორიტეტები, ათეულობით მილიონი მოსახლე, მანუფაქტურები, დაქირავებული შრომა, ბაზრები, აკვედუკები, საერთაშორისო ვაჭრობა, ბატონყმური რიგის და წოდებრიობის არარსებობა, სულთნის ძალაუფლების არამემკვიდრეობითი ხასიათი XVII საუკუნინიდან, ბიზანტიური სტილი არქიტექტურაში, კონტროლი შავიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე – ყოველივე ზემოაღნიშნული ოსმალეთის იმპერიის ბიზანტიური მემკვიდრეობაა.¹

კიდევ ერთი სიმპტომატური ბიზანტინიზმია ოსმალურ მეტროპოლისში (რუმელია, ანატოლია) – აგრარული სექტორის მართვის სახელმწიფო სოციალისტური პრინციპი, ბევრად უფრო მოწესრიგებული და პერმანენტული სახით, ვიდრე ეს ადრე იყო.² მიწების ფონდი სახელმწიფო საკუთრებაა. მისი კულტივაციის პროცესი ცენტრალიზებულია. ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, საბაზრო ფასებთან შედარებით, ოდნავ აწეულია სპეციალური სახელმწიფო ედიქტებით ფასების შესახებ. ბიზანტიური დაპირისპირება ინდუსტრიულ ზღვისპირეთსა და ანატოლიის ჰინტერლანდს შორის ინდუსტრიულ და აგრარულ პროდუქტებზე ფასების შეფარდებამ გამოიწვია. ჰეგემონი ზღვისპირეთი აგრარულ სექტორს საბაზროზე უფრო დაბალ ფასებს უწესებდა საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის გზით. ამას შედეგად ანატოლიელების თურქების მხარეზე გადასვლა, გათურქება და ეკონო-

¹ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453. Cambridge University Press. 1965. Reprinted 1996, გვ. 158-159; T. Dundua. The Cyclic Dialectics. Tbilisi. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა, არქიტექტურა და სტილის კატეგორია. თბ. 1998, გვ. 4; World Cultures. A Global Mosaics. Textbook. New Jersey. 1999, გვ. 578; თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003, გვ. 8-10; The Black Sea. A History of Interaction. Teaching Pack. Council of Europe. Gyldendal Undervisning. Oslo. 2004, გვ. 86-106; მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბ. 2007, გვ. 196; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. I. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თბ. 2009, გვ. 142-148.

² მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), გვ. 139-140.

მიკური სისტემის პოლიტიკური თვალსაზრისით ორად გახლეჩვა მოჰყვა.³ ოს-მალთა დროს კი ფასები ისეა რეგლამენტირებული, რომ ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების ფონდიდან მომდინარე აგრარულ პროდუქტზე ფასი ოდნავ აწეულია საბაზრო ნორმასთან მიმართებით. ამით კონფლიქტი ზღვისპირეთსა და ჰინტერლანდს შორის მოგვარებულია. დამატებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მანუფაქტურების მრავალრიცხოვნება გვაგვარაუდებინებს, რომ, განსხვავებით ადრეული ეპოქისაგან, ახლა მეტი ყურადღება დაეთმო საწარმოო საშუალებების წარმოებას.

სახელმწიფო სავარგულებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მენეჯმენტს უმადლესი ადმინისტრაცია ახორციელებდა. ადგილზე კი რამდენიმე ათეულ ან ასეულ ნადელზე (ჩიფთლიქზე) ეკონომიკურ კონტროლს ახორციელებდნენ აქედან უპირატესი შემოსავლის მქონენი, და ამიტომაც, სამხედრო ვალდებულნი. ერთი სიფაჰის (მეომრის) სამეურნეო მეურვეობის ქვეშ მყოფ კონკრეტული შემოსავლის მქონე მიწებს თიმარი ერქვა; უფრო მეტ შემოსავალს ზიამეთი იძლეოდა. თიმარიოტები და ზიამები, მილიციის გარდა, სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სამსახურშიც იღვნენ.⁴ თანამდებობრივი წინსვლის შემთხვევაში თიმარის ნაცვლად ზიამეთი ეძლეოდათ. ასევე ჩვეულებრივი პროცედურა იყო კონკრეტული მიზეზების გამო, თიმარის ან ზიამეთის ჩამორთმევა. მიწას პირადად თავისუფალი რაიათები ამუშავებდნენ. ასეთი იყო ოსმალური აგრარული სისტემა.

ქართული ფეოდალური კონსტიტუცია მონარქიზმის, წოდებრიობის, კერძო საკუთრებისა და ბატონყმური რიგის სინთეზია.⁵ ვიცით, რომ ოსმალობამ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან მიწაზე კერძო საკუთრება მოსპო, ის სახასო სისტემამ შეცვალა. ბევრი ფეოდალური სახლი ამის გამო რეგიონს ტოვებს.⁶ დარჩენილები კი ისლამს იღებენ და ახალი სტატუსით თავიანთ ძველ ქვეყანას მართავენ, *de facto* ავტონომიას;⁷ ისე, რომ ეკონომიკურადაც ქართლთან კავშირი არ გაწყვეტილა. ამის საფუძველზე მესხები ენას ინარჩუნებენ. ვინაიდან მესხეთს ისევ ჯაყელები და ხიმშიაშვილები მართავენ, ე.ი. *de facto* წოდებრიობაც შენარჩუნდა. შესაძლოა, *de jure* წოდებრივი კასტა მესხეთის სახასო მიწების კოლექტიური მომხმარებე-

³ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453, გვ. 27; J. J. Norwich. A Short History of Byzantium. Published in Penguin Books. 1998, გვ. 242-243; თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი, გვ. 8-10, 17-18.

⁴ S. Runciman. The Fall of Constantinople 1453, გვ. 35; მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ. 1971, გვ. 79.

⁵ იხ.: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1963.

⁶ მ. სვანიძე. სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 150-155.

⁷ შ. ლომსაძე. სამცხე-საათაბაგო: XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე. თბ. 1975, გვ. 382-383.

ლი იყო გენეტიურ პერსპექტივაში.

ე.ი. ლოკალური (მესხური) სოციალური კონტრაქტი აბსტრაჰირდა საკანონმდებლო ინიციატივისგან, პრივატული სისტემისგან და, პირობითად, შეინარჩუნა წოდებრიობა. კიდევ ერთი პუნქტი იყო ქართულ ვერბალურ კონსტიტუციაში – კერძოდ, ბატონყმური რიგი. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?!

კონკრეტული ასპექტით საინტერესო ჰიპოთეზის დედუქციური კონსტრუქცია ასეთია: 1828-1829 წლებში რუსეთის ჯარებმა სამცხე-ჯავახეთი დაიკავეს⁸ და მოსპეს ის ბარიერი, რაც შეიძლება ქართლ-კახეთთან ეკონომიკური ურთიერთობისათვის ხელისშემშლელი ყოფილიყო; 1877-1878 წლებში რუსებმა დაიკავეს ერუშეთი, არტაანი და კოლა, შავშეთი და კლარჯეთი, აჭარა, ორივე ტაო.⁹ 1864-1871 წლებში ქართული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ყველგან ეტაპობრივად გაუქმდა ბატონყმობა.¹⁰ ახალციხის მაზრა ამ კუთხით არსად იხსენიება. რატომ? ნუთუ ბატონყმობა იქ ვიღაცამ ადრე უკვე გააუქმა?! არც 1877-1878 წლებში შემოერთებულ ტერიტორიებზე გაუქმებით რუსებს ბატონყმობა.

დასკვნა ერთია – XVI-XVII საუკუნეებში მესხეთის დიდ თემში/ გურჯისტანის ვილაიეთში ბატონყმობა ოსმალებმა გააუქმეს. სხვა საკითხია, ეკონომიკური კუთხით რამდენად რენტაბელური შეიძლება ყოფილიყო მმართველი კლასისთვის შემოსავლის და სტიმულის პროცენტული შეკვეცა.

დედუქციური ჰიპოთეზა ინდუქციურადაც უნდა იყოს შემავრცელებული. ვნახოთ, როგორი ვითარებაა ასახული თანადროულ დოკუმენტებში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დაგთარზე“. მისი საწყისი ნაწილი ეთმობა კანონთა წიგნს, *კანუნ-ნამეს*, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია რაიათის სტატუსზე. *კანუნ-ნამეში* აღნიშნულია: „ . . . უკეთუ ქალი მის მფლობელობაში მყოფ მიწას (ე.ი. მიწის ნაკვეთს, რომელსაც ადრე, ალბათ, ქალის მეუღლე ამუშავებდა – თ. დ., ა. თ.) დაუმუშავებელს და ცარიელს არ დატოვებს და ახალ სახელმწიფო დაგთარში ჩაწერილი [წესების] მიხედვით იხდის ბეჭერესა და გამოსაღებს, მისგან [მიწების] ჩამორთმევა ნება დართული არ არის, და უკეთუ რეადადან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება, [ეს მიწა] შეიღზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა (ე.ი. შეიღს შეუძლია მისი დამუშავება – თ. დ., ა. თ.). თუ მას შეიღი არა ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის; თაფუს¹¹ წესებს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის

⁸ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბ. 2004, გვ. 111-113.

⁹ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 187-191.

¹⁰ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 149-154.

¹¹ თაფუს წესით მიწის გაცემა ნიშნავდა მიწაზე მომუშავის უმემკვიდრედ გარდაცვალების შემთხვევაში ამ მიწის ახალ მუშაკზე გაცემას გადასახადის გადახდის პირობით. თაფუს წესით სიფაჰები მიწას რაიათებს გადასცემდნენ.

თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ [მიწა] სხვას არ გადაცემა. პაპის მიწა მისი შვილის შვილზე არ გადადის“.¹² კანუნ-ნამეს აღნიშნული ნაწილი ერთგვარად გვისაბუთებს, რომ რაიათი მიწაზე არ არის იმ სახით მიმაგრებული, როგორც ეს გვხვდება, თუნდაც, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მართალია, კანუნ-ნამეს შემდეგი ნაწილი გაქცეული რაიათების უკან დაბრუნების საკითხს ეხება, მაგრამ აქ სპეციფიკურ მდგომარეობასთან უნდა გვექონდეს საქმე. დოკუმენტში აღნიშნულია: „თუ დავთარში რეგისტრირებული რეადას [ხალხი] დაიფანტება, – დაწესებულია კანონი, რომ ისინი მოყვანილ იქნენ უკანვე და დასახლებულნი თავიანთ ადგილას, ხოლო, უკეთუ ათმა, ან მეტმა წელმა განელო, უკან გადმოსახლება არ შეიძლება; გამოსაღები მათ გადახდებთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.¹³ ჩვენი ვარაუდით, აქ საუბარი უნდა იყოს არა რაიათების პირადი გადაადგილების უფლების შეზღუდვაზე, არამედ ახლად დაპყრობილი ტერიტორიიდან მოსახლეობის მასობრივი გაქცევის პრევენციაზე. ამ მოსაზრებას პირდაპირ ეხმაურება კანუნ-ნამეშივე შეტანილი ის პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ახლად მოსული რაიათი სოფელში დასახლების და სამი წლის ცხოვრების შემდგომ ადგილობრივი თიმარიოტის დაქვემდებარებაში გადადის – „ . . . თუ სხვა რეადადან მოვა ვინმე, რომელიმე სოფელში დასახლება და იცხოვრებს [იქ] 3 წელიწადს ისე, რომ ვინმეზე არ იქნება მიწერილი, ის თიმარის მფლობელის (უფრო ზუსტად, მოსარგებლის, ე.ი. სიფაჰის – თ. დ.) ისეთივე რეადა ხდება, როგორც სხვები. არავის ემინთავან და არც სხვას ვისმე ხელი არ აქვს [ამ საქმეში] და მას ნუ მოსთხოვენ გამოსაღებს იმ მიზეზით რომ ის მოსულიაო. [აქ] საზღვარია [და] ხალხის ჩასახლებაა საჭირო . . .“.¹⁴

ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის საფაშო) მკვიდრი რაიათები პირადი თავისუფლებით რომ სარგებლობდნენ და მხოლოდ საგადასახადო სისტემაზე, და არა მიწაზე, იყვნენ მიმაგრებულნი, ამ ფაქტს ადასტურებს კანუნ-ნამეს შემდეგი პუნქტები: „რაიდეეთის შვილი არის რაიდეეთი, სანამდის ის სხვას არაა მიწერილი. თუ რეადა თავის სახნაგ-სათესად გამოსადეგ მიწას არ დაამუშავენ და სხვა სიფაჰის მიწის დასამუშავებლად წავა, ამ შემთხვევაში დაკანონებულია ასეთებისაგან ორი ყუშურის აღება [ხსენებული გარემოების] დადასტურების შემდეგ. ხოლო თუ ის თავისი მიწის დამუშავების შემდეგ დაამუშავენ კიდევ სხვა სიფაჰის მიწას, (მაშინ) ორი ყუშურის გადახდა უქმდება.

. . . თუ [ვინმე] გარეშე რაიდეეთი მოვა და თაფუს საფუძველზე სიფაჰის // მიწას დახნავს და დათესავს, მაშინ [დაწესებული] ბეჰრეს გადახდის

¹² გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიაშვილმა. წიგნი II. თბ. 1941, გვ. 1.

¹³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 1.

¹⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 5-6.

შემდეგ აიღება ორი დონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახნა, ხოლო სამი დონუმი უარესი ადგილიდან [აგრეთვე] ერთი ახნა. დონუმი სიგრძითა და სიგანით 40 ნაბიჯი მიწაა, ჩვეულებრივი ნაბიჯით. [ამაზე] მეტი ან ნაკლები არ უნდა იქნეს მიღებული. დაკანონებულია, რომ სახნავ-სათესად გამოსადეგი რეადას ის მიწა, რომელსაც [რეადა] სამ წელიწადს ზედიზედ უმიზეზოდ დაუშუშავენებს და ცარიელს დასტოვებს, ჩამოერთვას მას და გადაეცეს სხვას, თავის საფუძველზე.

. . . თუ გარეშე ვინმე მოვა და სიფაჰის თიმარზე გაიზამთრებს, მაშინ, თუ ის ცოლშვილიანია, მას გადახდეს გაზამთრების გამოსაღები – 6 ახნა, ხოლო თუ ის მარტოხელაა, მაგრამ კერა აქვს, მაშინ გადახდეს საკვამლე გამოსაღები – 3 ახნა. // თუ კი ის მიწას დახნავს და დათესავს და მიწის გამოსაღებს გადაიხდის, მაშინ გაზამთრების გამოსაღებს ის აღარ იხდის. მოზამთრეები სამი წლის განმავლობაში იხდიან გაზამთრების გამოსაღებს; ხოლო თუ გაზამთრებაში დააყოვნდებათ 3 წელზე მეტი, მაშინ თავის სიფაჰის უნდა მისცენ გამოსაღები ბენაქი – 18 ახნა. თუ გარეშე რეადა, რომელიც სხვა სიფაჰიზე არაა მიწერილი, მოვა და იცხოვრებს სიფაჰის თიმარზე, მან დაწესებული გამოსაღები უნდა მისცეს თიმარის მფლობელს. სხვას ხელი არა აქვს ამაში . . .“¹⁵

როგორც ვხედავთ, ახალციხის საფაშოს მკვიდრ რაიათებს გადაადგილების და სხვა სიფაჰზე (თიმარიოტზე) მიწერის ანუ ადგილმონაცვლეობის უფლება აქვთ, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რაიათი სამი წლის მანძილზე მიწას არ დაამუშავენ, მას ეს მიწა ჩამოერთმევა და, რა თქმა უნდა, ამის შემდგომ ის, საკუთარი სურვილისამებრ, განაგრძობს ცხოვრებას. ყოველივე ეს კი მესხეთში მცხოვრებ ქართველ მიწათმოქმედთა პიროვნულ თავისუფლებაზე მეტყველებს.

მესხეთში მცხოვრები რაიათები სახელმწიფოს (სულთნის) საკუთრებაში მყოფ მიწებს ამუშავენდნენ; აქედან სახელმწიფოს წილი მნიშვნელოვანი იყო (მოსავლის ერთ მეხუთედი – „ხუმსი“), რომელიც ხელფასის სახით ეძლეოდათ სამხედრო პირებს (სიფაჰებს). რაიათები იხდიდნენ სულადობრივ 25 ახნას. სიფაჰები თიმარებისა და ზიამეთების მოსარგებლენი იყვნენ.¹⁶ ახალციხის საფაშოში მცხოვრები რაიათების პიროვნულ თავისუფლებაზე მეტყველებს აგრეთვე 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ და 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედარებაც. 1595 წლის

¹⁵ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 1-2.

¹⁶ ახალციხის საფაშოში და მის მიმდებარე რეგიონებში თიმარები და ზიამეთები, ოსმალეთის რიგითი პროვინციების მსგავსად, არამეკვიდრეობით გაიცემოდა და მხოლოდ სახელმწიფო სამსახურთან იყო დაკავშირებული, რასაც ადასტურებს მრავალი ოსმალური დოკუმენტი. იხ.: ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის. XVI-XVIII საუკუნეები. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავალით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ. 2011.

დავთარში რაიათები მიწერილნი არიან იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე, სადაც მიწას ამუშავებენ. აქ არსად ჩანს მათი პიროვნული დამოკიდებულება. ასე მაგ., „სოფელი შურდო ექვემდებარება მზვარეს [რ-ნს]. იორდანეს შვილიშვილი, მერე[ა] ძე მისი . . .“.¹⁷ რაც შეეხება 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარს“, აქ განსხვავებული მდგომარეობაა – ოსმალები ამ შემთხვევაში ქართულ ფეოდალურ სისტემას არ შეხებიან და, შესაბამისად, დავთარში რაიათები შეყვანილია თავიანთ მებატონეებთან ერთად. მაგ. – „სოფელი ახმაჯი ექვემდებარება ამილახვარს. დათუნა ძე დიმიტრისი . . . ჭალა ამილახვრის შვილის გივის მფლობელობაში, ექვემდებარება სსენებულს . . .“.¹⁸

აღსანიშნავია, რომ მესხეთის ზოგიერთ ნაწილში ოსმალების ხელისუფლებამ რიგი სანჯაყებისა იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით გასცა, რაც ჩილდირის ვილაიეთში თითქოს მიწის მემკვიდრეობით საკუთრებაში ქონებას ნიშნავდა. ასეთი კატეგორიის მიწები, თავის მხრივ, დავთარში არ ტარდებოდა.¹⁹ აღნიშნულ რაიონებში კი, შესაძლოა, რაიათები მემკვიდრეობით მფლობელებზე დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ, თუმცა ასეთი მიწების ფონდი ოსმალების მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების უმცირესობას წარმოადგენდა. თანაც დროთა განმავლობაშიც აქაც ტიპური ოსმალური მიწაზე საკუთრების წესი მკვიდრდებოდა.

როგორც ვხედავთ, მესხეთის მიწათმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი XVI-XVIII საუკუნეებში პირადი თავისუფლებით სარგებლობდა და „მიბმული“ იყო თიმარულ სისტემაზე. მიწის დამუშავების შემთხვევაში მათ მიერ სახელმწიფო მიწაზე მოყვანილი მოსავლის 1/5 ნაწილი სამხედრო პირებს, სიფაჰებს, ხელფასის სახით ეძლეოდა. ამავე დროს, ოსმალების ხელისუფლება „რეადას ხალხის დაფანტვას“ ანუ რეგიონიდან მასობრივ გაქცევას კრძალავდა.

1829 წელს რუსეთის არმიამ ახალციხისა და ახალქალაქის მხარეები დაიკავა. მათ ოსმალური საგადასახადო სისტემა დროებით უცვლელად დატოვეს. ჩანს, ისინი არ შეხებიან არც მიწათმოქმედთა სტატუსს. უბრალოდ, მიწების დიდი ნაწილი სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს.²⁰ ადგილობრივ გამუსლიმებულ ქართულ წოდებრივ ელიტას (ბეგებს) სოციალური პრივილეგიები, გარკვეულწილად, შეუნარჩუნეს. 1870-იან წლებში კი ისინი რუსეთის

¹⁷ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 35.

¹⁸ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევეთა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბ. 2009, გვ. 407.

¹⁹ იხ.: მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალების ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., გვ. 312-313.

²⁰ X. A. Вермишев. Экономический быт государственных крестьян Ахалцихского и Ахалкалакского уездов. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края. т. III. ч. II. Тифлис. 1886, გვ. 165.

თავადაზნაურობას გაუთანაბრეს.²¹

XIX საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთში თიმარული სისტემა მოისპო. რაიათების ეკონომიკურ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. სახელმწიფო კონკრეტულ შემოსავალს კონკრეტული ნადელიდან მაინც იღებდა.²² 1877-1878 წლებში რუსებმა დაიკავეს ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი: ერუშეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი, აჭარა, კლარჯეთი, ამიერ და იმიერ ტაო.²³ ამ დროისათვის რუსეთის მთელი იმპერიის მასშტაბით დიდი ხნის დასრულებული იყო საგლეხო რეფორმა. ცხადია, რუსეთის ხელისუფლება ბატონყმური სისტემის არსებობას ამ მხარეებში არ დაუშვებდა. აღნიშნულ შემთხვევაშიც, რუსეთის მთავრობას აქ თითქმის არაფერი შეუცვლია. ადგილზე ბატონყმობის ლიკვიდაცია საჭირო არ გამხდარა. რუსეთის იმპერატორმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ოსმალური კანონი მიწების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის შესახებ და ახლად შემოერთებული ტერიტორიების მიწების ფონდი სახაზინო საკუთრებად გამოაცხადა. მოსახლეობას კი მიწის იგივე ნაკვეთები დაუტოვეს დასამუშავებლად.²⁴ საბოლოოდ, XIX საუკუნის ბოლოს ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მიწათმოქმედებს საკუთრებაში გადაეცათ მიწის მცირე ნაწილი, უმეტესი ფონდისა კი ხაზინის საკუთრებად დარჩა.²⁵

საერთო ჯამში, მივიღეთ შემდეგი სურათი: საქართველოს ეკონომიკური სისტემის 1/3 ნაწილში ბატონყმობა უფრო ადრე გაუქმდა, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთში (ნაპოლეონის მიერ), პრუსიასა (1806 წ.) და რუსეთში (1861 წ.); ეს ფაქტი, თავისთავად, ძალზედ სიმპტომატურია.

²¹ შ. ლომსაძე. სამცხე-საათაბაგო . . ., გვ. 445.

²² მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია (1299-2000), გვ. 290.

²³ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, გვ. 187-191.

²⁴ ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. რუსეთის კოლონიალიზმი საქართველოში. თბ. 2008, გვ. 169.

²⁵ ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. რუსეთის კოლონიალიზმი საქართველოში, გვ. 170.

Tedo Dundua, Apollon Tabuashvili

**EMANCIPATION OF THE SERFS IN THE SOUTHERN
AND SOUTH-WESTERN GEORGIA
(CHILDIR VILAYET)**

Summary

In the glorious days of Byzantium, Emperor Heraclius divided Western part of Anatolia into four themes, each under a *strategos*. Large numbers of soldiers were settled there, receiving inalienable grants of land on condition of hereditary military service. This new arrangement laid the foundation for well-trained native army, consisting of farmer-soldiers' light infantry.

Not exactly the same, but still, there was regular militia in the Ottoman Empire composed of men who were allotted land by the Sultan in exchange for obligation to do military service whenever required. Actually, personally not these warriors, the *sipahis*, but free peasants, the *rayats*, were cultivating state land under formers' supervision. Such a land, which could be hereditary, was known as *timar*. Larger land, known as *ziamet*, meant higher position for sipahi in the army, with greater obligations to provide his equipment.

That is how, partly, the Ottoman army was organized.

Towards the end of the 16th c. Southern and South-Western Georgia became part of the Ottoman Empire. Was the Ottoman military pattern used in Georgia with the Georgian feudals converting themselves into timariots and zaims, and the Georgian serfs – gaining freedom and becoming the rayats?!

Yes, it was. “Book of the Incomes of Childir Vilayet (Southern and South-Western Georgia)” (the 16th c.) contributes as main source for history of Georgia under the Ottomans. And it shows rayats moving freely from one timar to another, and even threatened to be left without job if not cultivating prescribed land.

In the 19th c. Southern and South-Western sites gradually joined the rest of Georgia now being subject of the Russian Empire. And the Russians did not bother themselves by abolishment of serfdom in this newly acquired regions because it had been already abolished there long times ago.

Poland had Napoleon to set the serfs free; Prussians did it in 1806, Russians – in 1861. For the third part of Georgia the picture seems to be more progressive with serfdom being abolished in the 16th c.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ალექსანდრე ბოშიშვილი

მესხი დიდებულის – დოლენჯიშვილის ოჯახი

XVI საუკუნიდან ქართულ და ოსმალურ წყაროებში მოიხსენიება ყანდურალი,¹ ამ სახელის დიდებულები ჩანან ძირითადად დღევანდელი არტაანის და არზრუმის პროვინციებში სხვადასხვა მამულის მფლობელებად. სავარაუდოდ, ერთი საგვარეულოს, დოლენჯიშვილების, წარმომადგენელ სხვადასხვა პირთან უნდა გვქონდეს საქმე.

ყანდურალი პირველად XVI საუკუნის 20-იან წლებში შედგენილ ერთი ოსმალურ დოკუმენტში მოიხსენიება. დოკუმენტში საქართველოზე გამავალი სამხედრო გზაა აღწერილი. სამარშრუტო ცენტრებს, მიმდებარე ციხეებსა და დასახლებებს შორის ყანდურალის მამულიც არის დასახელებული.

„გზა საქართველოს ქვეყნისკენ ბინგიოლის სახელით ცნობილი იალაღიდან გადის ბასიანის დაბლობზე... როგორც კი საქართველოს ტერიტორიაზე ვეხს დაადგამ, მარჯვენა მხარეს საზღვარი გახდევს უსჯულო ყვარეგებს² აზნაურთაგან³ ყანდურალად წოდებულის მამულს. ის ადგილები

¹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქ. შარაშიძისა. ნაწ. I. თბ. 1961, გვ. 43; ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ. 1980, გვ. 46; Парижская хроника. Перевод, исследование, примечания и указатели Г. Г. Аласаниа. Тб. 1991, გვ. 97; ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 518; თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. თბ. 1983; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიაშვილმა. ტ. II. თბ. 1941, გვ. 337, 378, 381, 387.

² ყვარეგარე III სამცხის ათაბაგი (1516-1535 წწ.).

³ საბუთში სოციალური ტერმინებიდან ძირითადად სწორედ აზნაური გამოიყენება, თუმცა დოკუმენტში მოხსენიებული ყანდურალი, სურხანი, როსტომი თუ ელიზბარი ყველანი იმ ფეოდალური სახლების შვილები არიან, რომლებიც შემდეგ მცხეთის საკათალიკოსო მამულების სიაში თავადებად არიან დასახელებული (იხ. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 45).

მისი მამულია. 200 სოფელია ქუფის ციხიდან⁴ ვიდრე საფინჯის სახელით ცნობილი ადგილის ვასწვრივ მიაღწევდეს. ის ქუფი პატარა ციხეა. აქვს რამდენიმე ციცაბო საბრძოლო ადგილი, მაგრამ ძლიერი დარტყმის გადამტანი კი არ არის. აქ მდებარე სოფლების კი აზონის შეილება ცნობილი აზნაურებისაა.⁵ ზოგიერთი კი ყვარყვარეს სახასია. ყანდურალიც მხოლოდ-შობილი როდია. მას რამდენიმე ძმა უნდა ჰყავდეს.⁶

ამრიგად, დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ყანდურალი მნიშვნელოვანი მამულების მფლობელია, მას და მის დიდ ოჯახს ქუფის ციხე და მიმდებარე სოფლები ჰქონიათ.

არზრუმის 1539 წლის იჯმალ (მოკლე) დავთარში რეგისტრირებული ყოფილა ზიმი (ქრისტიანი) ყანდურალი, სოფ. მაწალახეთში (ზივინის ნაპიე, მდებარეობს სარიყამიშის ჩრდ. ნაწილში, ბარდუსის ხეობაში).⁷

XVI საუკუნის 60-იან წლებში კი ოლთისის მკვიდრი ზიმი ყანდურალი საქართველოსა და ირანის ამბებს სულთანს ატყობინებდა და ამგვარი სამსახურის სანაცვლოდ მას 300 ახჩა შემოსავლიანი მიწა უბოძეს.⁸

1595 წელს შედგენილ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში იხსენიება აზნაური ყანდურალი, იგი ფანაკისა და ფანასკერტის რაიონში ფლობს საყანე, საიონჯე, საბამბე მიწას, ვენახსა და წისქვილს.⁹

XVI საუკუნეში მესხეთში დიდი არეულობა დაიწყო. ადგილობრივი დიდებულები და მესხეთის მთავრები, ჯაყელები, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ამასთან ერთად, მესხეთს დაპყრობით ემუქრებოდა ოსმალეთიც. სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო II-ის (1545-1574 წწ.) გარდაცვალების შემდეგ მთავარი მისი შვილი ყვარყვარე IV (1574-1581 წწ.) გახდა, მაგრამ, როგორც ცნობილია სამთავროს, ფაქტობრივად, დედამისი, მუხრანბატონის ასული დედისიმედი განაგებდა. ჯაყელების შემდეგ პირველები შალიკაშვილები იყვნენ, დედისიმედი შალიკაშვილების ძლიერებას ვერ ურიგდებოდა, ამიტომ 1574 წელს ვარაზა ოთარის ძე შალიკაშვილი მოაკვლევინა, რამაც ჯაყელებსა და შალიკაშვილებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. მალე ჯაყელთა წინააღმდეგ შეთქმულებამაც იჩინა თავი, შეთქმულები 1576 წლის ივნისში აჯანყდნენ.¹⁰

მესხი დიდებულები ორად დაჯგუფდნენ, ნაწილი შალიკაშვილებს მიემხ-

⁴ პროფ. ჯ. ბაკე-გრამონი ვარაუდობს, რომ ეს ციხე არზრუმის აღმოსავლეთით მდებარე Kübnük-ია, მის აზრს იზიარებს პროფ. ცისანა აბულაძე (იხ. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, 65 შენ. 69).

⁵ ცისანა აბულაძის აზრით, ავტორი – აქ შეიძლება გულისხმობდეს ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად დადგენილ აზონს, იარედოსის ძეს. (თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 65 შენ. 71).

⁶ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 54.

⁷ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 43-44.

⁸ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 44.

⁹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. II, გვ. 337, 378, 381, 387.

¹⁰ ვ. გუჩუა. საქართველო XVI-ის 50-70-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 125-126.

რო, ნაწილი – ჯაყელებს. ჯაყელების მხარეს იყვნენ ჩვენთვის საინტერესო დოლენჯიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები, ყანდურალი დოლენჯიშვილმა ჯაყელებს ამ დაპირისპირების დროს მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, მთავარი დახმარებაც გაუწია. ერთხელ აჯანყებულმა დიასამიძეებმა, ამატაკისშვილებმა, ბედანისშვილებმა და იობიძეებმა განიზრახეს ჯაყელებს დასცემოდნენ და ერთიანად ამოეწვევებინათ. მათი ამ განზრახვის შესახებ ფანასკერტელმა შეიტყო და უგუბოში მყოფ ყანდურალი დოლენჯიშვილს შეატყობინა. „...იარა და აცნობა უგუბოს დოლენჯის-შვილს ყანდურალის...“, ხოლო „ყანდურალი წარმოვიდა და აცნობა ბატონებსა“, ჯაყელებმა თავდამსხმელებს გაასწრეს.¹¹

აკად. ექვთიმე თაყაიშვილი ვარაუდობდა, რომ უგუბო დოლენჯიშვილის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო.¹² თაყაიშვილი ამ ვარაუდისას მარი ბროსეს ეყრდნობოდა, რომელმაც ფრანგულად პარიზის ქრონიკის ეს მონაკვეთი თარგმნა, როგორც “Il partit et fit dire a Quandour-Ali, fils d'Ougoubo Dolendji” („...წამოვიდა და უთხრა ყანდურალის უგუბო დოლენჯის შვილს“).¹³ მაგრამ შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ უგუბო ადგილია და იგი უნდა გაიგივდეს სხვა წყაროებში მოხსენიებულ გუგუბოსთან. ამ საკითხს ყურადღება პირველად პროფ. სერგი ჯიქიამ მიაქცია, მისი ვარაუდით, ქართულ წყაროებში დასახელებული უგუბო და გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში მოხსენიებული გუგუბო ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო, გუგუბო აღნიშნული იყო გვიანდელ რუკებზეც.¹⁴ მისი ეს მოსაზრება მოგვიანებით სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს¹⁵ და ჩვენც ვეთანხმებით ავტორის ამ დასკვნას.

უგუბო, იგივე გუგუბო მდებარეობს არდაგანის პროვინციაში. სოფლის დღევანდელი სახელწოდებაა ბინბაშაქი (Binbaşak). აქ შემორჩენილი X საუკუნის ეკლესია, 1902 წელს, პირველად სწორედ ექვთიმე თაყაიშვილმა მოინახულა. ექვთიმემ სარკმელის თავზე აღმოჩენილი წარწერის ფრაგმენტის „გ-ი“-ს გამო, შეცდომით სოფლის მაშინდელი სახელწოდება გუგუბო გიორგობას დაუკავშირა და ეკლესიაც წმ. გიორგის სახელზე აშენებულად მიიჩნია.¹⁶

¹¹ ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. გვ. 518.

¹² Е. С. Такайшвили. Три хроники. Источники грузинских летописей. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК). Тифлис 1900, вып. 28, გვ. 193.

¹³ იხ. Парижская хроника, გვ. 97, შენ. 84.

¹⁴ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III. გამოკვლევა. თბ. 1958, გვ. 532-533.

¹⁵ იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. XV-XVI სს. წ. I, გვ. 43; Парижская хроника, გვ. 97, შენ. 84.

¹⁶ გუგუბოს ეკლესია XX საუკუნეში განადგურდა (გუგუბოს ეკლესიის შესახებ ვრცლად იხ. Материалы по археологии Кавказа. Собранные экспедициями Императорского Московского археологического общества, снаряженными на Высочайше дарованные средства. Под ред. графини Уваровой. Вып. XII. М. 1909, გვ. 73-75; დ. ხოშტარია. შენიშვნები გოგუბის (გოგიუბის) ეკლესიის თაობაზე. „ლიტერატურა და ხელოვნება“. №3. 1999, გვ. 130-131; დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ. 2009, გვ. 191; ი. გიგიაშვილი, ი. კოპლატაძე. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2004, გვ. 99.

უგუბო, სავარაუდოდ, დოლენჯიშვილის მამული იყო. ყანდურალი ამ ადგილებში მემამულედ, ზემოთ ნახსენებ, XVI საუკუნის დოკუმენტიდანაც ჩანს.¹⁷

1576 წელს დაწყებული აჯანყება თითქმის ოც თვეს გაგრძელდა. ათაბაგებსა და აჯანყებულებს შორის წარმოებულმა ომმა დიდი ზიანი მიაყენა მესხეთს, ამას ისიც დაემატა, რომ სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთმა დაიპყრო, 1579 წელს ახალციხის (ახისხის, ჩილდირის) საფაშო დაარსდა.¹⁸ ადგილობრივი დიდებულების ნაწილი (ზოგი ოსმალების, ზოგიც ჯაყელების წინააღმდეგ მებრძოლნი) იძულებულნი გახდნენ, სამცხე-საათაბაგო დაეტოვებინათ და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულიყვნენ, სადაც ახალი საგვარეულოები და სათავადოები დააარსეს. ქართული ფეოდალური ტრადიციის მიხედვით, თუ თავადი სხვა ქართულ სამეფოში, ან სამთავროში გადავიდოდა, ერთი რანგით დაბლა აღმოჩნდებოდა. როგორც ჩანს, მესხეთიდან გადმოსული თავადები (შალიკაშვილები, დიასამიძეები, დოლენჯიშვილები და სხვ.) ამ კანონის „მსხვერპლნიც“ გახდნენ.

როგორც აღინიშნა, ყანდურალი დოლენჯიშვილების საგვარეულო სახელი უნდა იყოს. პროფ. ცისანა აბულაძე ვარაუდობს, რომ „იმ ფეოდალური სახლის შვილთაგან, რომლის საგვარეულო სახელი ყანდურალი იყო, ნაწილი ოსმალთა სამსახურში ჩამდგარა, ნაწილი კი გადასახლებულა ქართლში.“¹⁹ სწორედ ამით იხსნება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ – „დოლენჯიშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ“.²⁰

იოანე ბატონიშვილი დოლენჯიშვილების შესახებ, მოგვითხრობს, რომ – „ესენიც არიან ძირით სომხითის (გულისხმობს ქვემო ქართლს. ა. ბ.) თავადნი და მიიღეს გვარად სახელისა გამო დოლენჯისა მეფობასა ვახტანგისასა ქრისტეს აქეთ 1703 წელს²¹ და მუნიდგან იწოდებიან დოლენჯის შვილებად. ამათნი წინაპარნი ცნობილნი იყვნენ დროსა მეფისა სვიმონისასა²² წელსა ქრისტეს აქეთ 1624 და მათი გვარნი, რომელნიმე არიან ახალციხის ნაწილთა შინა“.²³

იოანე ბატონიშვილის ცნობა, დოლენჯიშვილების ქართლში XVII საუკუნის 20-იან წლებში, სიმონ II-ის მეფობის (1619-1630 წწ.) დროს, გამოჩენას-

¹⁷ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 45.

¹⁸ მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალების ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ. 1971, გვ. 133.

¹⁹ თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 44.

²⁰ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 34.

²¹ 1703-1712 წლებში ვახტანგი ქართლის ჯანიშინი იყო, იგი მეფე 1716-1724 წლებში იყო.

²² იგულისხმება ქართლის სიმონ II (1619-1630 წწ.), იგივე სიმონ-ხანი.

²³ იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის, რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 35.

თან დაკავშირებით, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ეს დრო მესხეთიდან ათაბაგ მანუჩარ III-ის (1607-1626 წწ.) ქართლში გადმოსვლას ემთხვევა. როგორც ცნობილია, 1624 წელს არზრუმის ფაშამ ურჩი მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყო, ათაბაგი იძულებული გახდა, მცირერიცხოვანი ამალით ქართლში გადმოსულიყო. მან სპარსელების წინააღმდეგ მარადის ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა. საგარაუდოდ, როდესაც მანუჩარ III-მ მესხეთი დატოვა და თავისი მცირე რაზმით 1624 წელს ქართლში გადმოვიდა, თანმხლებ მესხ დიდებულებს შორის იყო დოლენჯიშვილიც. სწორედ ამიტომ ასახელებს იოანე ბატონიშვილი დოლენჯიშვილების ქართლში პირველად გამოჩენის თარიღად 1624 წელს.

საბოლოოდ დოლენჯიშვილები ქართლში ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის დროს (1703-1712 წწ.) გადმოსულან და 1703 წელს თავადობა მიუღიათ,²⁴ ხოლო მანამდე მათი დაწინაურება და მამულების სამკვიდროდ მიღება 1645 წელს როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დროს, მომხდარა. ეს ჩანს იოანე დოლენჯიშვილის 1778 წლის ერთი არზიდან, რომელშიც იოანე აღნიშნავს, რომ დოლენჯიშვილებს ქვემო ქართლში მამულები უკვე „ასოცდაცამეტი“²⁵ წელიწადია, მამით და პაპით მკვიდრად და მამულად გვიჭირავსო“,²⁶ იქვე აღნიშნავს, რომ – მამულები „ჩვენთვის როსტომ მეფეს უბოძებია და შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დამტკიცებული გვაქვსო“.²⁷ ქართულ ისტორიულ საბუთებში დოლენჯიშვილები, აქტიურად XVII საუკუნიდან ჩნდებიან და უფრო მეტად, XVIII საუკუნის დოკუმენტებში აქტიურობენ.²⁸ დოლენჯიშვილებს XVII საუკუნეში უკვე სამამულე დავები ჰქონდათ მოსაზღვრე იოთამიშვილებთან.²⁹ მოიხსენიებიან ყაფლანიშვილ-ორბელიანების ნასყიდობის სიგელებში.³⁰

ქართლში დამკვიდრებული ყანდურალი დოლენჯიშვილის შთამომავლები მცირე თავადის რანგში იყვნენ, მათი ძირითადი სამფლობელოები დმანისის ხეობაში იყო თავმოყრილი.³¹ 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, მებატონეებად ზაალ და იოთამ დოლენჯიშვილები ჩანან.

ზაალ დოლენჯიშვილს ყმები ჰყავდა: სამღერეთსა და აკაურთაში, სულ 14 კომლი, ორი ბოგანო და ერთი აზნაური. იოთამ დოლენჯიშვილს ყმები ჰყავდა: სამღერეთში, ახალშენსა და აბულმაგში, სულ 6 კომლი და ერთი ბო-

²⁴ იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 35.

²⁵ ანუ 1778-133=1645.

²⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd 2241.

²⁷ ხეც. Hd 2241.

²⁸ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI–XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 86-87.

²⁹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. II, გვ. 86-87.

³⁰ საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფ. 1909, გვ. 205, 395.

³¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. II, გვ. 86-87.

განო.³² მთლიანობაში, ოთხ სოფელში (აბულმაგში, აკაურთაში, ახალშენსა და სამღერეთში) დოლენჯიშვილებს 20 კომლი გლეხი, 3 ბოგანო, 1 მოლაშქრე და 1 აზნაური ჰყავდათ.³³ მეწინავე სადროშოს აღწერაში შეცდომა ნაკლებად სავარაუდოა, არადა ასეთი მცირე რაოდენობით ყმები სათავადოსთვის საეჭვო ჩანს. შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ დოლენჯიშვილებს მამულები და ყმების ნაწილი ყაიყულშიც ჰყოლოდათ. დასტურდამალის მიხედვით, ცნობილია, რომ იგი „დაუწერელი“ ყოფილა,³⁴ ანუ აღწერებს არ ექვემდებარებოდა. ყაიყული თუმცა მეფის სახასო იყო³⁵ და ქართლში ყველაზე ნაკლებად დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა, მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, რომ დოლენჯიშვილებს გარკვეული უფლებები ჰქონდათ ამ მხარეში.

ქართლის სამეფო კარზე დოლენჯიშვილები მცირე სახელოებს ფლობდნენ. 1686 წელს მეფე გიორგი XI-მ (1675-1688; 1703-1709 წწ.) ზაალ დოლენჯიშვილს ყაიყულის მებალახეობა³⁶ უბოძა – „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ამასაღლათ ყაიყულის საბალახოს მკრეფეულობა“.³⁷

ყაიყული ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ და ახალციხის საფაშოსთან მოსახლდრე პროვინციას წარმოადგენდა. იგი ქვემო ქართლის ერთ-ერთი მხარეა, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ყაიყული შეესაბამება აბოცს, რომელსაც ძველად პალაკაციოსაც ეძახდნენ. იგი „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა“.³⁸ აბოცს ტაშირისაგან იმგვარადვე, როგორც ბერდუჯს, ანუ დებდას ბამბაკისაგან, ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული.³⁹

ყაიყულის დასავლეთით უკვე ახალციხის საფაშოს ის რაიონები მდებარეობდა, რომლებიც დოლენჯიშვილების მესხეთში ყოფნის დროს მათი სამკვიდრო მამული იყო. შესაძლოა სწორედ ამიტომ, თავის ძველ მამულთან ახლოს იღებდნენ სამოხელეო ტერიტორიებს. სწორედ დოლენჯიშვილების ხელ-

³² აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა. შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა. ე. თაყაიშვილის გამოც. თბ. 1907, გვ. 71-72.

³³ აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, გვ. 71-72.

³⁴ ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. I. თბ. 1963, გვ. 280.

³⁵ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბ. 1979.

³⁶ მებალახე გადასახადის ამკრეფი მოხელე იყო, ექვემდებარებოდა სახლთუხუცესს (იხ. ვ. გაბაშვილი. დარბაზის რიგის მოხელენი დასტურდამალის მიხედვით. ჟურნ.: „ენიმკის მოამბე“. XIII. 1942, გვ. 165-169).

³⁷ საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 103; ქართული სამართლის ძეგლები. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 230.

³⁸ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919.

ში იყო ყაიყულის მხარეში გადასახადების აკრეფასა და მოსავლის აღებაზე პასუხისმგებლობა.

მოგვიანებით, ერეკლე I-მა ანუ ნაზარალი ხანმა (1688-1703 წწ.) დოღენჯიშილს ყაიყულის მოურავობა ჩამოართვა და ქაიხოსრო საგინაშილს გადასცა.⁴⁰ თუმცა მალე საგინაშილმაც დაკარგა ეს სახელო და ბარათაშილებს გადაეცათ.⁴¹ ნაზარალი ხანმა დოღენჯიშილები ამ მხარეს მთლიანად ვერ ჩამოაშორა და 1692 წელს ყაიყულში ერთი სოფლის, ბეთლემის მოურავობა იასე დოღენჯიშილს უბოძა.⁴² არსენ დოღენჯიშილი გიორგი XI-ის ავღანეთში თანმხლები ყოფილა. იგი მოგვიანებით მანგლისის ეპისკოპოსი იყო.⁴³

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დოღენჯიშილების საგვარეულოს სათავეში იოანე იდგა, იგი იოთამ დოღენჯიშილის ძე იყო და მოღარეთუხუცესის თანამდებობა ეკავა. მისი გარდაცვალების (XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი) შემდეგ ქართლში დოღენჯიშილების სათავედ, ფაქტობრივად, გაუქმდა, სათავედო მამულები და შემოსავალი საგინაშილმა მიიღო,⁴⁴ ნაწილი სიძეს – ნინია ამილახვარს დარჩა.⁴⁵

⁴⁰ მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები. I. თბ. 1949, გვ. 26.

⁴¹ მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები. I. გვ. 26.

⁴² საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 359.

⁴³ ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 487; ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 694; აღ. სახანაშილი. გუჯრები. ქუთაისი. 1891, გვ. 24-25; Грузинские церковные гуджари (грамоты). составитель Д. П. Пурцеладзе. Тфл. 1881, გვ. 10; Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты. составитель Д. П. Пурцеладзе. Тфл. 1882, გვ. 10.

⁴⁴ ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არზა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VII. თბ. 1981, გვ. 659; ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არზა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 740, 776-777; საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშილის რედაქტორობით. ტ. I. ტფ. 1899, გვ. 401.

⁴⁵ შემორჩენილია იოანე დოღენჯიშილის ასულის – ანას – მზითვის წიგნი, რომელშიც უამრავი ნივთია ჩამოთვლილი (იხ. საქართველოს სიძველენი. ტ. I. ტფ. 1899, 403-408).



გუგუბოს, იგივე უგუბოს ეკლესია

(ექვთიმე თაყაიშვილის 1902 წლის ექსპედიციის დროს გადაღებული ფოტო, ეკლესია ამჟამად მთლიანად დანგრეულია)

Alexander Boshishvili

MESKHETIAN NOBLE FAMILY OF DOLENJISHVILI

Summary

Article deals with the history of Meskhetian noble family of Dolenjishvili whose traditional first name was Kandurali. They owned the estates in the provinces of Ardahan and Erzurum. In the 16th century one of the Kanduralis provided certain help to the Ottoman Sultan against Iran and he received the land with the revenue of 300 akchas.

Dolenjishvilis were distinguished as the confidants of the princes from Jakeli dynasty. In 1576 during the feudal war in Meskheta, next Kandurali Dolenjishvili assisted the members of Jakeli family. Other nobles had planned to annihilate the Jakelis, but Kandurali informed them about that danger. One of the Dolenjishvilis accompanied Manuchar III Jakeli when he moved to Kartli in 1624.

Finally, they established themselves in Kartli in 40-50-ies of the 17th century and received the rank of “tavadi” (prince). Their principedom was located in the gorge of Dmanisi and in Kaikuli near the border of Akhaltsikhe pashalic and existed up to the end of the 18th century.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:
კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა
თბილისი. 2012

ნიკო ჯავახიშვილი

ოსმალეთში დაბანაკებული „ქართული ლეგიონის“ ფულის ნიშნები

I მსოფლიო ომის პერიოდში ჩამოყალიბებული გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისა და იმხანად შექმნილი საჯარისო შენაერთის – „ქართული ლეგიონის“ – ისტორიის ცალკეული საკითხები შესწავლილია როგორც ქართულ,¹ ასევე უცხოურ² ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხის ირგვლივ საყურადღებო ცნობებია დაცული ასევე მემუარულ ლიტერატურაშიც.³

¹ გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. შეადგინა და დასაბუჟდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ. თბ. 1942; რ. გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი. თბ. 1995; მ. სვანიძე. 1914 წელს „ოსმალეთსა“ და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. „ქართული დიპლომატია“. ტ. II. თბ. 1995; მ. სვანიძე. ქართული ლეგიონი ოსმალეთში I მსოფლიო ომის დროს. გაზ. „სამშობლო“. თბ. 1992. № 7-10; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში. თბ. 1995; ა. სურგულაძე. კ. სურგულაძე. ქართული ლეგიონი თურქეთში. ბათუმი. 1994; ნ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან). თბ. 1998; ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995; N. Dshawachischwili. Aus der Geschichte der militär-politischen Allianzen zwischen Georgien und Deutschland. Teil I-II. „Kaukasische Post“. Tb. 1996, N 8-9.

² W. Bihl. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil I. Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917. Wien-Köln-Graz. 1975; K. G. Klietmann. Das „Abzeichen“ und der „Orden der Königin Thamar“ in Georgien 1916 und 1918. „Ordenstunde“. Verlag „Die Ordens-Sammlung“. Berlin. 1964. N 23; K. G. Klietmann. The Badge and the Order of Queen Tamara. The Medal Collector. Official Publication of the Orders and Medals Society of America. September-October 1957; D. M. Lang. War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24). The American Numismatic Society Museum Notes. VII. New York. 1957; V. Mericka. Faleristik (ein Buch über Ordenskunde). Prag. 1976; O. Neubecker. Orden Georgiens und Türkische Kriegsauszeichnungen. Uniformen-Markt. 3. J. Berlin. 15 X. 1936; J. Risk. Georgia: Order of Saint Tamara (from the collection of A. A. Miller). The Medal Collector. II. 1952.

³ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. თბ. 1990; რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“. გ. შარაძის საერთო რედაქციით. ტ. III. თბ. 1992; დ. ვაჩნაძე. სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). I. თურნ. „ივერია“. თბილისი-პარიზი. 1992. № 1; კ. სალია. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. თურნ. „ბედი ქართლისა“. პარიზი. 1962. № 39-40; ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ. თბ. 1994; გ. შაორისპირელი (კობახიძე). I მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია. გაზ. „საქართველო“. ბერლინი. 1944. № 109-110; მ. წერეთელი უკანასკნელი ქართული ეპოპეია. გაზ. „ქართველი ერი“. ნიუ-იორკი. 1955-1956. № 1.

ზემოხსენებულ ალიანსთან არის დაკავშირებული „ქართული ლეგიონის“ სამხედრო ჯილდოსა და იმავდროულად – პირველი ქართული ორდენის – „თამარ მეფის ორდენის“ დაწესებისა და არსებობის ისტორია, რომელიც მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი.⁴

წინამდებარე სტატიაში განხილულია ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული „ქართული ლეგიონის“ სახელით გამოშვებული ქადაგდის დროებითი ფულადი ნიშნები – ბონები, რომლებიც 1916-1917 წლებში მიმოიქცეოდა. ამის პარალელურად მოკლედ არის გადმოცემული ისტორია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და „ქართული ლეგიონისა“, რომლებთანაც ხსენებული ბონების გამოშვება და მიმოქცევა მჭიდროდ არის დაკავშირებული.

* * *

1914 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, პეტრე სურგულაძის, მესვეურობით ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც „განმათავისუფლებელ კომიტეტსაც“ უწოდებდნენ. მისი დამფუძნებელი წევრები გახდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, შალვა ვარდიძე, ზია ბეგაბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და სხვები.⁵

ეს კომიტეტი იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, იმ ჯგუფის საქმიანობის გამგრძელებელი საზღვარგარეთ, რომელიც საქართველოში 1909-1910 წლებში არსებობდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, სვიმონ ყიფიანი და სხვები. ისინი გამოსცემდნენ ყოველკვირეულ ჟურნალს „ერი“ (რედაქტორი პეტრე სურგულაძე), რომელიც მტკიცედ იცავდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. ამის გამო ჟურნალი ცენზურის მიერ იდევნებოდა და სხვადასხვა სახელით გამოდიოდა.⁶

1910 წელს ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ეს ჯგუფი რუსეთის ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. ამიტომ პეტრე სურგულაძე თავის თანამოაზრეებთან ერთად იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. ჟენევაში მათ შექმნეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია „თავი-

⁴ ნ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ორდენი.

⁵ კ. სალია. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, გვ. 17.

⁶ მ. წერეთელი. უკანასკნელი ქართული ეპოპეია.

სუფალი საქართველო“ და დაიწყო ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა. ხსენებული ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ: პ. სურგულაძე, მ. წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვები.⁷

სწორედ ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს“ წევრებმა შეადგინეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“ ბირთვი, რომელიც შემდგომ თანდათან ივსებოდა და ომის განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბერლინსა და სტამბოლში (ყოფილ კონსტანტინოპოლში).

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მოვლენათა მსვლელობაში აქტიურად ჩაება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც უნევეიდან ბერლინში გადავიდა. კომიტეტმა გერმანიის მმართველ წრეებთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა.

მალე გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურის, ერის ლუდენდორფის, ხელშეწყობით კაიზერმა ვილჰელმ II-მ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაცია. კომიტეტის შეხვედრებებით, გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივებით დიდად დაინტერესდა კაიზერი, რომელმაც დაავალა თავის შესაბამის დიპლომატიურ უწყებას სათანადოდ მოემზადებინა „ქართული საკითხი“.

კომიტეტისადმი დახმარების აღმოჩენა შედიოდა თვით გერმანიის ინტერესებში. ამ ქვეყნის ხელისუფალნი სათანადოდ აცნობიერებდნენ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ, რომ გერმანიაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით რუსეთისათვის ახალი პრობლემა გაეჩინათ. იმავდროულად საქართველოში დამკვიდრებით გერმანია აზიაში წინსვლისათვის მნიშვნელოვან პლაცდარმს იქმნიდა. ამდენად, გერმანელთა ინტერესები საქართველოსადმი მრავალმხრივი, ხოლო მიზნები შორსმიმავალი იყო.⁸

1914 წლის შემოდგომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი შეუდგა მუშაობას ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიული ჭანეთის ანუ ლაზეთის ტერიტორიაზე (ვიწეში) ეროვნული საჯარისო ფორმირების, „ქართული ლეგიონის“, ჩამოსაყალიბებლად.

ლეგიონის შექმნის საპასუხისმგებლო საქმე იტვირთეს ლეო კერესელიძემ და გერმანელმა ოფიცერმა კიშკემ. ეს უკანასკნელი ითვლებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ატაშედ, ხოლო პოლიტიკური ატაშეს როლს ასევე გერმანელი, მოზელი, ასრულებდა.

ლ. კერესელიძემ ქართველთა და მუსლიმ კავკასიელთაგან შექმნა მომავალი ლეგიონის ბირთვი, რომელიც 70 კაცისაგან შედგებოდა.⁹

გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ლეგიონის ჩამოყალიბების სა-

⁷ რ. გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, გვ. 5-6.

⁸ ნ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ორდენი, გვ. 6-7.

⁹ კ. სალია. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, გვ. 18.

შური საქმე კომიტეტმა მაინც დიდი ენთუზიაზმით განაგრძო.

მ. წერეთლის აგიტაციის შედეგად გერმანიისა და ავსტრიის ტყვეთა ბანაკებში მყოფი რამდენიმე ქართველი ოფიცერი ოსმალეთში ჩავიდა და ლეგიონში ჩაირიცხა.¹⁰

„ქართულმა ლეგიონმა“ საბრძოლო ნათლობა 1914 წლის დეკემბერში, არტანის ადებისათვის ბრძოლაში მიიღო და მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.¹¹

1915 წლის სექტემბრიდან ლეგიონის ადგილსამყოფელი იყო ქალაქი ტრაპიზონი, 1916 წლის მარტიდან – სამსუნი, აგვისტოდან – კერასუნდი (გიორესუნი), აგვისტოს მიწურულიდან – ტირებოლუ, ხოლო 1917 წლის იანვრიდან – კერასუნდი.

1916 წლისათვის „ქართული ლეგიონი“ უკვე ორი ათას მეომარს ითვლიდა.¹²

ლეგიონს ჰქონდა თავისი სამხედრო ლაზარეთი და სარეკრუტო პუნქტი, აგრეთვე რეზიდენცია, რომელიც ჯერ ტრაპიზონში მდებარეობდა, შემდეგ – სამსუნში, ბოლოს კი, კერასუნდში. მას სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები: ლეო კერესელიძე, ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ლეიტენანტი შედე, მურად ბეი მაღალოვი (მაღალაშვილი), ინგურიძე და უფროსი ლეიტენანტი გრაფი გალენი.

ლეგიონი ექვემდებარებოდა სტამბოლში მოქმედ გერმანიის მთავარსარდლობის სამმართველოსთან შექმნილ „კავკასიის ოფიცერთა კავშირს“, რომელსაც ზემოხსენებული გრაფი შულენბურგი ხელმძღვანელობდა.

1915 წლის მიწურულიდან ლეგიონს წვრთნიდა ლეიტენანტი ჰორსტ გუსტავ შლიფაკი. მან შეძლო, რომ სამხედრო დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა ამ შენაერთში სათანადო დონეზე მდგარიყო.

ლეგიონმა თავი კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებშიც გამოიჩინა.

1916 წლის ნოემბრის ბოლოს ექვსი ლეგიონერი საუკეთესო პატრულირებისათვის დააჯილდოვეს ოსმალური რკინის ნახევარმთვარის ორდენით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ოსმალეთის ხელისუფალთა მოთხოვნით გერმანიის უმაღლესი სამხედრო მესვეურები იძულებულნი გახდნენ, რომ 1917 წლის აპრილში დაეშალათ „ქართული ლეგიონი“.¹³

კომიტეტმა შეძლო ლეგიონის ერთი რაზმის შენარჩუნება, რომელიც 1917 წლის მაისში ოსმალეთიდან რუმინეთში გადაიყვანეს.¹⁴ 100-მდე ქრისტიანი ქართველისაგან შემდგარ ამ ჯგუფს დაევალა ბუქარესტთან მდებარე კოტ-

¹⁰ ნ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ორდენი, გვ. 16-17.

¹¹ W. Bihl. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte, გვ. 15.

¹² გ. შაორისპირელი (კობახიძე). I მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია.

¹³ მ. სვანიძე. ქართული ლეგიონი ოსმალეთში I მსოფლიო ომის დროს.

¹⁴ რ. გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, გვ. 8.

როცენის ტყვეთა ბანაკის დაცვა.¹⁵ ამასთანავე, ქართული ჯარის გერმანია-ავსტრიაში ჩამოყალიბების მცდელობა „დამკომს“ შემდეგშიც არ შეუწყვეტია.

1918 წლის ივლისში ქართველ ლეგიონერთა ეს ნაწილი ლეო კერესელიძის მეთაურობით საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით შევიდნენ.

„ქართულ ლეგიონს“ ჰქონდა საკუთარი სამხედრო დროშა, ფორმა და ასევე ჯილდო (თამარ მეფის ორდენი),¹⁶ რომლის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

საგულისხმოა, რომ ლეგიონს საკუთარი ქალაქის ფულის ნიშნებიც კი ჰქონდა.

საინტერესოა, რამ გამოიწვია მისი გამოშვება?

I მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე მეომარ სახელმწიფოებში მიძიმე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. სხვა პრობლემებთან ერთად ნაღდი ფულის დეფიციტიც წარმოიქმნა. ეს პროცესი „ქართულ ლეგიონსაც“ შეეხო.

იმისათვის, რომ „ქართული ლეგიონის“ ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისათვის ხელფასების დარიგება არ შეფერხებულიყო, გერმანიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ამ სამხედრო შენაერთისათვის საგანგებო ფულადი ნიშნები დაებეჭდა.

1916 წლის მარტიდან აგვისტომდე „ქართული ლეგიონის“ ადგილსამყოფელი იყო ქალაქი სამსუნი.

სწორედ ამ პერიოდში ბერლინის სახელმწიფო ზარაფხანაში ლეგიონის სახელით გამოუშვეს ქალაქის დროებითი ფულადი ნიშნები – ბონები.

მსგავსი შემთხვევები მრავლად არის ცნობილი მსოფლიოს უახლესი ისტორიიდან. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ფულადი ნიშნები არაერთი ქვეყნის არმიის, ანდა მისი ცალკეულ შენაერთისათვის იქნა დაბეჭდილი. ამ კატეგორიის ფულის ნიშნებს „სამხედრო ფული“ ეწოდება.

ცნობილია „ქართული ლეგიონის“ ბონების ორი ნომინალი: 5 და 10 პიასტრის (ოსმალური ფულის ერთეულის სახელწოდება) ღირებულებისა. ისინი დაბეჭდილია მოცისფრო ქალაქდზე.

ბონებზე დაფიქსირებულია შემდეგი წარწერები გერმანულ ენაზე:

“**Georgische Legion. Samsun 1916**” („ქართული ლეგიონი. სამსუნი 1916“);

“**Gut für 5 Pstr**” („5 პიასტრი“) ან “**Gut für 10 Pstr**” („10 პიასტრი“);

“**Fünf Piaster**” („ხუთი პიასტრი“) ან “**Zehn Piaster**” („ათი პიასტრი“).

ეს ბონები მიმოიქცეოდა 1917 წლის აპრილამდე, ოსმალეთის ქალაქებში: სამსუნში, კერასუნდსა და ტირებოლში დაბანაკებულ ქართულ ლეგიონში.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ლეგიონის“ სახელით გამოშვებული ბო-

¹⁵ K. G. Klietmann. Das “Abzeichen” und der “Orden der Königin Thamar” in Georgien 1916 und 1918, გვ. 215.

¹⁶ ნ. ჯავახიშვილი. თამარ მეფის ორდენი.

ნები, გერმანიის იმპერიის სახელით გამოშვებულ ქაღალდის ფულის ნიშნებთან ერთად, წარმოდგენილი იყო 2006 წლის აპრილში გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ბონისტეკურ აუქციონზე.¹⁷

ამრიგად, „ქართული ლეგიონის“ ბონების გამოშვებისა და ფუნქციონირების ისტორია გადაჯაჭვულია I მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ოსმალეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული „ქართული ლეგიონის“ ისტორიასთან.

ვინაიდან ეს ბონები ბერლინში დაიბეჭდა, მათზე მხოლოდ გერმანული წარწერები გვხვდება. მიუხედავად ამისა, ისინი „ქართული ლეგიონის“ სახელითაა გამოშვებული და ამ სამხედრო შენაერთში ტრიალებდა. ამიტომ ეს ბონები თანაბრად განეკუთვნება როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ბონისტეკასაც.

¹⁷ Frühwald auktion 71 freitag. 7. April 2006, გვ. 7-8.



ქართული ლეგიონის ბონი. 10 პიასტრი



ქართული ლეგიონის ორდენი

Niko Javakhishvili

PAPER MONEY OF “GEORGIAN LEGION”, CAMPED IN TURKEY

Summary

The article is about temporary paper money (bonds), issued in the name of “Georgian Legion” which combated for the Germany and its allies during the World War I. These bonds circulated in 1916-1917 in the military camps of Georgian Legion in Turkish towns of Samsun, Kerasund and Tirebolu.

The bonds were printed in Berlin and we can find only German inscriptions on them, but, anyway, the bonds are issued in the name of Georgian Legion and circulated in above mentioned military unit. Therefore, those bonds equally belong to German and Georgian bonistics.